დამოუკიდებელი და ზეპარტიული

WWW.ASAVALI.COM

# ასავალ დასავალი

2022 წლის 26 დეკემბერი – 2023 წლის 8 იანვარი

N 1-2

1465-1466

ფასი 3 ლარი და 90 თეთრი

# მიშა შიშველია!

დიდი ხანია, მიშა შიშველია ყველას თვალში, გარდა იმ სექტისა, რომელიც საკუთარი მეფის სიშიშვლეს ვერ ამჩნევს!

8-9



„ასავალ-დასავალის" შემდეგი ნომერი გამოვა 2023 წლის 9 იანვარს

## რომან რურუა:



მშიერმა გავაკეთე ყველაფერი, მაძღარი კაცი არაფრის გამკეთებელია!

ლეგენდარული ქართველი მოჭიდავის უპრეცედენტო გადაწყვეტილება

4

ვერც სანათესაოში და ვერც შვილებში ღირსეულ მემკვიდრეს ვერ ვხედავ, რომ აქაურობა დავუტოვო! ამიტომაც ჰქონდეს სახელმწიფოს, ქართველ ერს!

## მიხეილ ცაგარელი:

# მოდის ფაშიზმი, რომელიც დროზე უნდა ამოვიცნოთ!



16

# ბადრი პატარკაციშვილის ახლო მეგობარი სააკაშვილის მიერ ჟვანიას საფერფლით მოკვლაზე ალაპარაკდა!



*„ასავალ-დასავალის" წინა ნომერში გამოქვეყნებულ წერილს — „ბოლომდე დავრწმუნდით, რომ ზურაბ ჟვანია სააკაშვილის ნასროლმა საფერფლემ მოკლა!" — საინტერესო გაგრძელება მოჰყვა.*

## „ბადრი პატარკაციშვილმა ჟვანიას მკვლელობის შესახებ ინფორმაცია სოლიდურ თანხად იყიდა. არ დაუკონკრეტებია, ვისგან და რამდენად შეიძინა ეს ინფორმაცია, მაგრამ მითხრა – დიდი ფული გადავიხადეო!"


ბოლომდე დავრწმუნდით, რომ ზურაბ ჟვანია სააკაშვილის ნასროლმა საფერფლემ მოკლა!
სააკაშვილის დღევანდელმა ადვოკატებმა – ვალერი გელბახიანმა და შალვა ხაჭაპურიძემ სააკაშვილი პირველებმა დაადანაშაულეს იმაში, რომ ზურაბ ჟვანია საფერფლის სროლით მოკლა!
„ა-დ", 2010 წლის №24
შალვა ხაჭაპურიძე: რასაც ახლა ვიტყვი, ეს არის ბადრი პატარკაციშვილის სიტყვები: ჟვანია მოკლა სააკაშვილმა თავში საფერფლის ჩარტყმით!
„ა-დ", 2010 წლის №14
აშკარად დავინახეთ, რომ კლინიკა „ვივამედში" მედპერსონალისათვის საკვები პროდუქტების მსროლელი და

„ა-დ". 2022 წლის №52







შეგახსენებთ, რომ ზემოხსენებული წერილი მას შემდეგ დაიწერა, რაც სპეციალურმა პენიტენციურმა სამსახურმა გამოაქვეყნა კლინიკა „ვივამედში", **პატიმარ სააკაშვილის** პალატაში, ლეგალურად დამონტაჟებული სათვალთვალო კამერის ვიდეოჩანაწერი, რომელშიც ჩანს, რომ მსჯავრდებული ნაცბელადი აგრესიულად იქცევა და საგნებს უმისამართოდ ისვრის.

**დავწერეთ, რომ „ვივამედის" ოროთახიან ლუქს-პალატაში მოთავსებული ნაცბელადის მიერ საგნების უსაგნო მიმოსროლამ გაგვიასკეცა ნდობა წლების განმავლობაში მოარული ვერსიის მიმართ, რომლის თანახმადაც პრემიერ-მინისტრ ზურაბ ჟვანიას სიცოცხლე პრეზიდენტ სააკაშვილის მიერ ნასროლმა საფერფლემ იმსხვერპლა.**

გავიხსენეთ ისიც, რომ **სააკაშვილის დღევანდელი ადვოკატები — შალვა ხაჭაპურიძე და ვალერი გელბახიანი, რომლებიც უწინ ბადრი პატარკაციშვილის საარჩევნო შტაბში ტრიალებდნენ, პირველები იყვნენ, რომლებმაც ქართულ პრესაში, მათ შორის, „ასავალ-დასავალის" ფურცლებზე, განაცხადეს — ბადრი პატარკაციშვილისაგან ვიცით, რომ ზურაბ ჟვანია მიხეილ სააკაშვილმა შავნაბადას საპრეზიდენტო რეზიდენციაში საფერფლის სროლით მოკლაო!**

„ასავალ-დასავალის" არქივიდან ამოვიღეთ **გელბახიანისა და ხაჭაპურიძის** 12 წლის წინანდელი ინტერვიუები და ხელახლა დავბეჭდეთ ამონარიდები, სადაც ისინი ყვებიან, რომ შავნაბადას რეზიდენციაში სააკაშვილსა და ჟვანიას შორის მწვავე შელაპარაკება მოხდა.

**„შავნაბადაზე შეკრებილი იყვნენ სააკაშვილი, მერაბიშვილი და ადეიშვილი. ისინი ჟვანიას 2 პრეტენზიას უყენებდნენ – ჯერ ერთი, ჩვენს მტერ პატარკაციშვილს ყულევის ტერმინალის ყიდვაში რატომ დაეხმარე და მეორეც, 30 მილიონი, რომელიც ამის სანაცვლოდ გადაგიხადა, ჩვენამდე რატომ არ მოიტანეო!"**

**საქმის გარჩევის დროს, რომელიც ყულევის ნავთობტერმინალის გაყიდვასა და ფულის „მოტეხას" ეხებოდა, სააკაშვილმა ჟვანიას დედა შეაგინა და მისგან საპასუხო გინება მიიღო, რის შემდეგაც რკინის დიდ საფერფლეს დასწვდა და ჟვანიას ესროლა. პრეზიდენტის ნასროლი საფერფლე პრემიერ-მინისტრს საფეთქელში მოხვდა და სული იქვე გააფრთხობინა.**

როგორც კი „ასავალ-დასავალის" წინა ნომერი გამოვიდა და ჩვენმა პუბლიკაციამ დღის სინათლე იხილა, **„ფეისბუქის" პირადი შეტყობინებების ყუთში ასეთი გზავნილი მივიღეთ:**

*„წავიკითხე თქვენი წერილი ჟვანიას გარდაცვალებასთან დაკავშირებით. თუ დაგაინტერესებთ, მოგაწვდით ამ საქმეზე ბადრი პატარკაციშვილის მიერ პირადად ჩემთვის მოყოლილ ამბავს".*

**გზავნილის ავტორი სერიოზული კაცია. ბიზნესმენი. ძირძველი თბილისელი. დედაქალაქის რესპექტაბელურ წრეებში ცნობილი და დაფასებული პიროვნება, რომელსაც ბადრი პატარკაციშვილთან ახლო მეგობრობა აკავშირებდა.**

ცხადია, მაშინვე დავუკავშირდით. შეხვედრა თბილისის ერთ-ერთ ცნობილ რესტორანში დაგვითქვა, რომელიც მისი საკუთრებაა. **რესპონდენტმა, იმ პირობით, რომ კონფიდენციალობას დავიცავდით და მის ვინაობას არ გავამჟღავნებდით, გვითხრა:**

*— ბადრი პატარკაციშვილმა მომიყვა, რომ ჟვანიას მკვლელობის შესახებ ინფორმაცია სოლიდურ თანხად იყიდა.* ***არ დაუკონკრეტებია, ვისგან და რამდენად შეიძინა ეს ინფორმაცია, მაგრამ მითხრა — დიდი ფული გადავიხადეო! საქმე ეხებოდა ხობის რაიონის სოფელ ყულევში, შავი ზღვისა და მდინარე ხობისწყლის შესართავთან დიდი ტერიტორიის პრივატიზაციას, სადაც პატარკაციშვილს ნავთობტერმინალის აშენება უნდო-***

## კვირგვინოსნები

**ირაკლი ღარიბაშვილი**
*საქართველოს პრემიერ-მინისტრი*



ჩემთვის დიდი პატივია რუმინეთში ურთიერთგაგების მემორანდუმის ხელმოწერის ცერემონიაში მონაწილეობის მიღება, რომელიც **შავი ზღვის ფსკერზე ელექტროენერგიის კაბელის განთავსებას გულისხმობს.** ეს პროექტი ახალ შესაძლებლობებს იძლევა მთელი რეგიონისთვის და ენერგოუსაფრთხოების ინფრასტრუქტურის მდგრადობისთვის.

„პირველი არხი"

**ირაკლი კობახიძე**
*„ქართული ოცნების" თავმჯდომარე*



**ზელენსკის** განცხადებას ვერ ექნება ჩვენთვის განსაკუთრებული ფასი, რადგან მისი ხელისუფლება იყო ჩართული **სააკაშვილის** გამოგზავნაში, სანდუმ კი უნდა მიხედოს თავის მე-6 პრეზიდენტ პატიმარს.

„ინტერპრესნიუსი"

**მიხეილ ჯამისულაშვილი**
*ვეტერანი*



**საქართველოს მთავრობავ!** მოგახსენებთ, რომ **გახლავართ კანონიერი ხელისუფლების ეროვნული გვარდიის ვეტერანი** და ბოლო წლებია, ვცხოვრობ 12 კვადრატულ ბინაში! ვარ გულით ავადმყოფი, არ მაქვს მკურნალობის საშუალება! **გთხოვთ, დამაპატიმროთ და ჩამსვათ სააკაშვილის გვერდით!** მეც დავიმსახურე ევრორემონტი, 3-ოთახიანი აპარტამენტები, უფასო სამედიცინო მომსახურება, საუკეთესო საკვები, გათბობა, კონდინციონერი და სხვა სიკეთეები.

„GTMEDIA"

**რატი ბრეგაძე**
*იუსტიციის მინისტრი*



უღირსი საქციელის ჩამდენსაც ღირსეულად უნდა მოექცე. ამიტომ **ჩემს მცირეწლოვან შვილებზე ამორალური სიტყვიერი თავდასხმების პასუხად რადიკალური ოპოზიციის წევრების შვილებს ვუსურვებ ყველაფერ საუკეთესოს და მშვიდობას ყველა სხვა ბავშვთან ერთად.** არასოდეს გარიოთ ბავშვები პოლიტიკაში, ეს ფსკერის ფსკერია და სამარცხვინოა!

„საერთო გაზეთი"

**და.** სააკაშვილის ხელისუფლება ბადრის ყველანაირად უშლიდა ხელს ამ ტერიტორიის შესყიდვაში, მაგრამ **ზურაბ ჟვანია** დაეხმარა და აყიდვინა, რისთვისაც სერიოზული ჰონორარიც მიიღო. ბადრიმ მითხრა — **დახმარების სანაცვლოდ ჟვანიას 30 მილიონი დოლარი გადავუხადეო!** პატარკაციშვილმა არ იცოდა, როგორ და რა მანქანებით, მაგრამ **სააკაშვილისა და მერაბიშვილის ყურამდე მივიდა ინფორმაცია, რომ მან ჟვანიას ყულევის ტერმინალის ყიდვაში დახმარებისათვის დიდი ფული გადაუხადა, ჟვანიას კი ეს ფული არც ხელისუფლების „შავ სალაროში“ შეუტანია და არც სააკაშვილისათვის გაუყვია.** სწორედ ამაზე იყვნენ გაგიჟებული და 2005 წლის 2 თებერვლის ღამეს ჟვანია შავნაბადას რეზიდენციაში დაიბარეს. შეკრებილი იყვნენ **სააკაშვილი, მერაბიშვილი და ადეიშვილი.** ისინი ჟვანიას 2 პრეტენზიას უყენებდნენ — ჯერ ერთი, **ჩვენს მტერ პატარკაციშვილს ყულევის ტერმინალის ყიდვაში რატომ დაეხმარე და მეორეც, 30 მილიონი, რომელიც ამის სანაცვლოდ გადაგიხადა, ჩვენამდე რატომ არ მოიტანეო!** კამათი უკიდურესად გამწვავდა და სააკაშვილმა ჟვანიას დედა შეაგინა. **ჟვანიამაც პასუხი გინებით დაუბრუნა. სააკაშვილმა ხელი დასტაცა საფერფლეს და ჟვანიას გაუქანა. მას საფერფლე თავში მოხვდა და იქვე მოკვდა.**

როგორც ბადრიმ მითხრა, შავნაბადაზე შეკრებილებმა სასწრაფოდ დაურეკეს **გია ბარამიძეს,** ადგილზე მიიყვანეს და უბრძანეს, რომ ყველაფერი ისე გაეკეთებინა, თითქოს ჟვანია უბედურ შემთხვევას შეეწირა. პატარკაციშვილმა მომიყვა ისიც, რომ ჟვანიას გვამი კარდონის დიდ ყუთში მოათავსეს და ასე წაიღეს შავნაბადას რეზიდენციიდან საბურთალოზე — იმ ბინაში, სადაც ვითომ გაზმა გაჟონა.

**აქ დაამთავრა თხრობა ჩვენმა რესპონდენტმა** — ბადრი პატარკაციშვილის ახლო მეგობარმა, **რომელმაც კიდევ ერთხელ დაგვიკონკრეტა, რომ ზურაბ ჟვანიას მკვლელობის შესახებ ინფორმაცია პატარკაციშვილმა დიდ ფულად იყიდა!**

ვისგან შეიძლებოდა ეყიდა **ბადრი პატარკაციშვილს** ასეთი ზესაიდუმლო ინფორმაცია?

ცხადია, იყიდდა **სააკაშვილის რეჟიმის ძალოვანი სტრუქტურებისა და სპეცსამსახურების რომელიმე მაღალჩინოსნისაგან!**

ცხადია ისიც, რომ ბადრი პატარკაციშვილი დიდ ფულს ცრუ და არასანდო ინფორმაციაში არ გადაიხდიდა!

და კიდევ: **ფაქტია, რომ სააკაშვილის დღევანდელი ადვოკატების — ბელბახიანისა და ხაჭაპურიძის გარდა სხვა ცოცხალი ადამიანებიც არსებობენ, რომლებსაც ბადრი პატარკაციშვილმა ზურაბ ჟვანიას მკვლელობის საიდუმლო გაანდო!**

**არ ვიცით, რას ფიქრობს და რას აკეთებს საქართველოს**

**გენერალური პროკურატურა, რომელსაც ჟვანიას საქმე თაროზე აქვს შემოდებული, მაგრამ ჩვენ უფრო და უფრო ვრწმუნდებით, რომ პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანია იმ სუბიექტის ნასროლმა საფერფლემ მოკლა, რომელიც ახლა „ვივამედის“ ფეშენებელურ პალატაში საგნების უმისამართო სროლით არის დაკავებული!**

*ჯაბა ხუბუა*



**„შავნაბადაზე შეკრებილებმა სასწრაფოდ დაურეკეს გია ბარამიძეს, ადგილზე მიიყვანეს და უბრძანეს, რომ ყველაფერი ისე გაეკეთებინა, თითქოს ჟვანია უბედურ შემთხვევას შეეწირა!“**

**„პატარკაციშვილმა მომიყვა ისიც, რომ ჟვანიას გვამი კარდონის დიდ ყუთში მოათავსეს და ასე წაიღეს შავნაბადას რეზიდენციიდან საბურთალოზე!“**

## კვირგვინოსნები



**ანრი ოხანაშვილი**
*პარლამენტარი*

მოწოდებები, რომლებიც ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია და ნიშნავს, რომ, **თურმე,** სააკაშვილი **უნდა გათავისუფლდეს ასე უბრალოდ,** მიუხედავად ტელევიზიის დარბევაში მონაწილეობისა, საკუთრების უფლების შელახვისა, მედიაზე ზეწოლისა, წნეხისა, ხალხის ცემისა და სიკვდილამდე მიყვანასთან დაკავშირებით გაცემული დავალებებისა, **არის ჩვენი საზოგადოების შეურაცხყოფა, აბუჩად აგდება და ამის უფლება არავის აქვს.**

„რეზონანსი“



**შალვა პაპუაშვილი**
*პარლამენტის თავმჯდომარე*

სახელმწიფოს და ექიმების ინტერესშია, **სააკაშვილი** იყოს ჯანმრთელი, რადგან **მას კიდევ 5 წელი აქვს მოსახდელი,** ხოლო მისი ე.წ. მეგობრების ინტერესია, ის რაც შეიძლება დაუძლურდეს.

„ინტერპრესნიუსი“



# ვინ ხართ და ვისთან ხართ თქვენ, მოქალაქენო?

**562-მა ქალმა** თხოვნით მიმართა საქართველოს პრეზიდენტ **სალომე ზურაბიშვილს, შეიწყალოს სისხლის სამართლის მძიმე დანაშაულებისათვის მსჯავრდებული და ბრალდებული მიხეილ სააკაშვილი,** რომლის სისხლიანმა რეჟიმმაც **არაერთი ქალი შემოსა ძაძით,** როცა მათი შვილები, მამები, ძმები თუ მეუღლეები ქუჩაში დახვრიტა და ციხეებში წამებით მოკლა! **მკვლელი, მწამებელი და გამაუპატიურებელი რეჟიმის შემქმნელი სააკაშვილის** პატიმრობიდან გათავისუფლებას ითხოვენ:

*გაბრიელა ჰაბსბურგი, ნანა ალექსანდრია, ნინო კასრაძე, თამარ ჭოხონელიძე, მედეა თუშმალიშვილი, ეთერ ჭკადუა, ნინო კირთაძე, ქეთი მატაბელი, სოფო ჩხიკვაძე, თამარ ჩხეიძე, ხათუნა ოჩიაური, ელენე ხოშტარია, ხატია დეკანოიძე, ეკა კიკნაძე, ჯანა ჯავახიშვილი, ნათია მეგრელიშვილი, ნათია კობერიძე, ვერა ქობალია, ეკა წამალაშვილი, თეონა ჭალიძე, ქეთევან იგნატოვა, ნუცა ალექსი-მესხიშვილი, ირინა გუნცაძე, სოფო ჭყონია, ნუცა კუხიანიძე, ნინო დანელია, ბელა ჩეკურიშვილი, თეო ხატიაშვილი, რუსუდან გოცირიძე, ფიქრია ჩიხრაძე, ნინო ქათამაძე, თინა ბოკუჩავა, თამარ კორძაია, ანა წითლიძე, მარიამ გერსამია, ნინო გოგუაძე, მაკა კასრაძე, ბაია დვალიშვილი, ნატო გაბუნია, ნაზი ჯანეზაშვილი, მაია ცირამუა, მაკა ანთიძე, ქეთი ცხაკაია, მანანა მანჯგალაძე, ქეთი ონიანი, ლია ლორია, ეკა ჯაფარიძე, ნინო ზაუტაშვილი, თეა ადეიშვილი, თინა მამულაშვილი, ნინო ჟორდანია, მანანა გოგოლი, ნინო ბორჩხაძე, ქეთევან ბაქრაძე, მარინა ბერიძე, მერიკო გუბელაძე, ელისო გუდიაშვილი, სალომე დადუნაშვილი, ლელა დუმბაძე, მაია ერისთავი, ირინა ჩაჩავა, ნინო გვეტაძე, ნინო ჯიქია, ეკა მგელაძე, მაია დიასამიძე, ლელა წურწუმია, მაია დარსმელიძე, ირინა ონაშვილი, თინათინ დვალიშვილი, თეონა დოლენჯაშვილი, ეკატერინე მიშველაძე, თამარ სიხარულიძე, ხათუნა ნუცუბიძე, ლატავრა დულარიძე, თამარ დულარიძე, ვიკა ბუკია, ლელა გურჯიშვილი, სამირა ბაირამოვა, სევდია უგრეხელიძე, რუსუდან ცირეკიძე, ანი მიროტაძე, ლელა კოდალაშვილი, ნაზიბროლა რეხვიაშვილი, სოფიო ხუნწარია, ეკა ენუქიძე, თამარ ჩარკვიანი, ხატია შამუგია, მერი კოკაია, სალომე გიორგაძე, ეკა სოსელია, ზარემა ჯინჭარაძე, ლანა მურვანიძე, ნათია მურაჩაშვილი, ქეთი ჩახნაშვილი, გოგოლა კალანდაძე, ეკა ცეცხლაძე, ეთერ წოწორია, მაია ფერაძე, ზეინაბ შინშიაშვილი, ცირა ელისაშვილი, თამარ კოკაია, თამარ სიდამონიძე, ქეთევან აფხაზავა, ნანა ექვთიმიშვილი, სალომე ქობულაშვილი, მაია ადეიშვილი, ეკა სეფერთელაძე, ხათუნა ლეჟავა, ნატო ებანოიძე, ია სეფიაშვილი, თეა პაიჭაძე, ელისაბედ ციციშვილი, რუსუდან ვაშაკიძე, ნათია უგულავა, ელისაბედ დიმიტრიადი, ლიანა კოკაია, მაია ნადირაძე, ლიკა ბასილაია-შავგულიძე, ხათუნა ლაგაზიძე, თეა რენჩ-დარასელი, მაია მაცხონაშვილი, თამარ ცინცაძე, ელენე მაისურაძე, ლელა წიკლაური, ეკატერინე პაპავა, ელენა რჟოტკევიჩ, ხათუნა ჩიხრაძე, ნათია ორმოცაძე, მანანა ბობოხიძე, ნანა (ნანული) გოგოლაშვილი, მარია ექსერ, ნათია ხუციშვილი, ნინო გედენიძე, მზია თაბაგარი, ნაირა მორგოშია, ხათუნა იოსავა, მზია თაბაგარი, ზინაიდა ჯორბენაძე, ნათია გოგოლაშვილი, აზა იმნაიშვილი, მარიკა ჯუღელი, რუსუდან ლაბაძე, ნათია ლაღიძე, ვალენტინა ჯორბენაძე, თამთა მელაშვილი, მედეა რიჩარდსონ, გვანცა გედენიძე, ფიქრია აფციაური-ჭუფნაგელი, თამარ თათა ცოფურაშვილი, მარინა გეგიძე, თეო შარია, ქეთევან წერეთელი, ქეთევან კუჭავა, ლიკა გეგელაშვილი, ნათია გიორგაძე, კატერინ შატბერაშვილი, რუსუდან ფურცელაძე, ციცინო მჭედლიშვილი, ნონა კანკია, ციცინო მჭედლიშვილი, ცირა გელენავა-ვოლობუევა, ელენე ჯავახიშვილი, ნანო ჯორჯაძე, ქეთევან ფურცელაძე, თამარ პაპალაშვილი, ეკატერინე სარია, თამუნა გულედანი, ნინო დოლიძე, თამარ დენტოშვილი, სალომე ლომაია, ზინაიდა საგანელიძე, ანა მანაგაძე, ნინო კიზირია, ნინო მდივანი, მარინა ჯანჯიბუხაშვილი, რუსუდან მჭედლიძე, ბელა რეხვიაშვილი, მარინე კივილაძე, ეკატერინე თოხაძე, დოდო თოხაძე, მარიამ ქუთათელაძე, ხათუნა ცხადაძე, მაია ბიჭიკაშვილი, მარინა ბაბუნაშვილი, მარიამ სოლოღაშვილი, ოლგა მერაბიშვილი, თამარ ოკუჯავა, ინა კუროჩკინა, ლალი შაველაშვილი, ინგა ჟღენტი, სოფიო ხუციშვილი, ნინო სვანიძე, თინა გობეჯიშვილი, ეკა ჯანაშია, ვალისა ღვინჯილია, ნანა ტოხვაძე, ანა მოსაშვილი, ანა ბექაური, მზია ქედელიძე, ხათუნა ბერიძე, დედიკა ბულია, ლიანა კვეკვესკირი, თვალჩინა ბუკია, ირა ჩხიკვიშვილი, ქეთევან ბურღაშვილი, ელზა ქეცბაია, ციცინო დადიანი, ეკატერინე შანიძე, მარინა ჩომახიძე, ნარგიზა გელოვანი, დარეჯან ჯავახიშვილი, მაია ზვიადაური, ნანული კონცელიძე, თამარ ბერუაშვილი, ლალი კახურაშვილი, ელენე ჯაიანი-ჩამბერი, ეკატერინე გუგუნავა, მადონა ქობალია, დარეჯან ხუციშვილი, თამარ ციციშვილი, მარია ჩამბერ, ნათელა ოჩიაური, დიანა გაბროშვილი, ნონა ქაცარავა, მაია კრაწაშვილი, მაია კოხტაშვილი, ქეთევან ალასანია, მაია ხიჯაკაძე, მაია ნიკოლსონი, ნანა ჯაოშვილი, მეგი გოცირიძე, მარიამ დოლიძე, მაია თურმანიძე, ვენერა თურმანიძე, მაია კალანდია, მანანა თურმანიძე, თამთა ცეცაძე, მაია ძოწენიძე, ხათუნა ციხისელი, თამარ ცხოვრებაძე, ხათუნა კახიძე, ბელა ჩეკურიშვილი, სოფიო კერესელიძე, ირმა ჭოლოკავა, მანანა გოგიშვილი, ირმა ჯლამაია, ნათელა ჯლამაია, მარია ახელ, მატს შკონდია, მაკა მინდიაშვილი, ხატია გვენეტაძე, თეონა მესხი, მაია ლომიძე, ლიზა ასათერი, ნათია სიხარულიძე, მადონა ხარჩილაძე, სოფი ხულელიძე, მადონა ხარჩილაძე, რუსუდან გელაშვილი, იზოლდა მერაბიშვილი, ელენე ყურაშვილი, ნინო ლიპარტელიანი, მადლენა ჭკუასელი, ქეთევან ხარაზიშვილი, ვიქტორია კიკაბიძე, შორენა მამამთავრიშვილი, ანანო ქიშმარაია, ია ვასაძე, ნათია გიორგობიანი, თამარ გელაშვილი, ნ. რიჟამაძე, ანა ებანოიძე, ქრისტინე თუმანიშვილი, მარინა რთველაძე, ლეილა გოგიბერიძე, ნინა შაპირო, მაკო ბერიძე, ნინო ბახია, ევა ჩიგილაშვილი, ნათია გოგსაძე, მარია ქავთარაძე, ადა იორბალიდი, მარიამ კაკიტაშვილი, მარგო მატევოსოვა, ნანა ზულიაშვილი, ნატა გოგოლიძე, ნათია დუმბაძე, ნატალია ქაჯაია, ეკატერინე თავდუმაძე, ზანდა ჩიტიაშვილი, ხათუნა მშვიდობაძე, თამარ ბაკიაძე, მანანა ჯებაშვილი, ნინო ჯობავა, ნინო ხატიაშვილი, ლალი ჯანაშია, ელენე შეროზია, ლალი ნიკოლეიშვილი, ნინო გოგიძე, ხათუნა კალაძე, ვიკა ხიზანიშვილი, ირმა სიმონია, მაია გელაშვილი, ნესტან აბდუშელიშვილი, თამარ ნიკოლაიშვილი, მზია გაბუნია, თეონა გაბაიძე, ლიანა გომიძე, ქეთი ცომაია, ნინო ბაისონაშვილი, ქეთევან ჭავჭანიძე, თამარ ჯინჭარაძე, ეკატერინე მესხიძე, ლია შავგულიძე, დეა ერემაშვილი, მედიკო ბაქრაძე, თეო ჯორბენაძე, სალომე გორგაძე, სოფო გორგაძე, ელენე ჯაფარიძე, თეა ცეცხლაძე, ნანუკა ჟორჟოლიანი, ეკატერინე ქადაგიშვილი, ანანო ბაკურაძე, ნესტან (ნენე) კვინიკაძე, ქეთი ნემსაძე, მარიკა გოგორიშვილი, მაია ახვლედიანი, ნანა მაჭავარიანი, მარინა დონაძე, ლია წერეთელი, მაკა ცინცაძე, ნინო სხირტლაძე, თეა სხირტლაძე, რუსუდან ღოღობერიძე, ნინო გუჯაბიძე, ია სიმონიშვილი, მაია ბადრიძე, ია ოთიაშვილი, თამარ სვანიძე, ნანა ნიქაბაძე, ეკა თოხაძე, თეა მიქაია, ნინო ლომთაძე, რუსიკო ამირეჯიბი, ირმა რევიშვილი, ეკა ფანცულაია, ნანა კალანდარიშვილი, ლიკა ჯაიანი, ნანა ლომიძე, ნინო ცომაია, მაია იაშვილი, ქეთა გაბიანი, მაია სვანიძე, მაია საყვარელიძე, მაია ჭალაგანიძე, მაია ჯმუხაძე, მზია გორგაძე, თამარ ჯავახიშვილი, ირინა რამიშვილი, ეკა კონტრიძე, ხათუნა რეხვიაშვილი, თამუნა კეცხოველი, ქეთი ნამგალაძე, ლია მშვიდობაძე, მართა ცხვარიაშვილი, მზია მაჩაიძე, ხათუნა ჯანელიძე, მაია ლოლაძე, ნინო დოდაშვილი, ირმა კახნიაშვილი, მარინა გვახარია, ნუცა მახარაძე, თათია სხირტლაძე, კესო სხირტლაძე, მარიამ ჯოჯუა, ნათია ქავთარაძე, დალი კუპრავა, ნინო ციცქარავა, ეკა ეგაძე, ნანუკა ქოიავა, ნინო ქართველიშვილი, მარიკა მანაგაძე, ირმა მანაგაძე, ანა ხერხეულიძე, თამუნა იოსელიანი, ნინო ჩოდრიშვილი, თამარ გაბუნია, ია მაისურაძე, მანანა ებანოიძე, მარიკა გიორგაძე, მაია ჯორჯაძე, ელენე ნავერიანი, ნინო ახობაძე, მაკა ახობაძე, ნათია მახარაძე, სიბილა გელაძე, მაია ჩიღვინაძე, ია ქუთათელაძე, მანანა მუსხელიშვილი, ლია ბაშალეიშვილი, ლეილა მელია, ნანა ბასილაშვილი, ირინა დემეტრაძე, მაია ჩიგოგიძე, ნინო ფანქველაშვილი, თამრიკო ქუთათელაძე, მაია ოთიაშვილი, მანანა ანთელაძე, ნინო ნინუა, მანანა მალაზონია, ხათუნა ხობუა, ნათია მსხილაძე, სოფო ბუკია, მაია კუპრავა, მანანა არაბული, ნანული ღოღელიანი, ლუიზა ციხელაშვილი, ხათუნა ჭალაგანიძე, მანანა ნიქაბაძე, დალი ჩიჩუა, ირინა თევზაძე, ლელა ოჩიაური, ბუბა ოჩიაური, ქეთი გალდავაძე, მანანა დოდაშვილი, ეკა ასათიანი, მაკა რუხაძე, ინოლა ჩაჩიბაია, ეკა გრიგორაშვილი, თინა ასათიანი, ეკა ყოჩიაშვილი, ეკა რუხაძე, ჰელენა ბედველი, ნანა ჯანაშია, იზოლდა მაჭუტაძე, ირინა ჭოლოშვილი, ნინია ახვლედიანი, ანკა ასათიანი, ლალი ზაუტაშვილი, ელენე ჭელიძე, მაია გოკიელი, ხათუნა თავბერიძე, თაკო ჩიკვაიძე, ლია ჭანტურიძე, სალომე კვიკინია, მაკა კვინიკაძე, ირმა ინარიძე, მარიამ ესაიაშვილი, რუსუდან ძიგრაშვილი, ნატალია ქორიძე, ქეთი კუპრავა, თეა კვინტრაძე, მანანა ლომაძე, მაია ლომაძე, თეიკო კანდელაკი, მაკა კანდელაკი, ელენე ჟვანია, ლამზირა სვანიძე, ნინო ჭოლოშვილი, მაია ნავერიანი, ქეთევან ჩაჩიბაია, მანანა ჯაფარიძე, ელისო ხაბეიშვილი, ნათია მელქაძე, თეა ფხაკაძე, ვალენტინა ჯიქია-ყანჩელი, მარინა ვაჩნაძე, ნატო არსენიშვილი, რუსუდან აფხაზავა, ნორა ასათიანი, მზია მასხარაშვილი, ნელი ელიკაშვილი, ნარა გეგეჩკორი, იამზე სიგუა, ლიანა სიგუა-ჭაერუმ, ნინო გეგელია, ინა ინასარიძე, შორენა ლობჟანიძე, ეკატერინე ადეიშვილი, თათია თოფურია, ნანა საყვარელიძე, მაია შიუკაშვილი, თინა თავართქილაძე, თამარ ჭანჭალეიშვილი, სალომე ჭანჭალეიშვილი, ხათუნა გოგუაძე, მთვარისა კაპანაძე, ანა ჩხიკვაძე, მანანა ნებიერიძე, თამარ ჯანაშია, ია ჯიშკარიანი, დარეჯან ცქვიტარია, ნინო ბალანჩივაძე, ნინო გეწაძე, ირმა მგელაძე, ცირა ჯავახიშვილი, დარეჯან კუხიანიძე, ზოია მაყაშვილი, თეონა ფირანიშვილი, მაკა მეტრეველი, ნესტან გელოვანი, თამარ გელაშვილი, ლალი კლიმიაშვილი, ანა ზამბახიძე, ირმა დგებუაძე, ქეთინო ელოშვილი, ნანა ჯავახია, მანანა გოცირიძე, ირინა გაჩეჩილაძე, ირინა ზერეკიძე, მირანდა ყვავაძე, ინეზა ქებურია, ნანა ბერიკიშვილი, ნონა კუხალაშვილი, ნაზი რეხვიაშვილი, ირინე ვაშაყმაძე, ხათუნა ჯანაშია, მაკა შანავა, ჟანა შამუგია, თინათინ დიდიძე, თინათინ ღოღაძე, ლელა ლაფერაშვილი, ეთერ მახარაძე, ლია ჭალიძე, მაია პაპავაძე, ნანა კუტალაძე, ნინი ჭაჭია, ირინა ბაზღაძე, ია სიჭინავა, მაია შანშიაშვილი, თამარ გზირიშვილი, ნარი ჩხაბერიძე, ხათუნა ნაჭყებია, თინათინ ქავთარაძე, ეკატერინე ჩიტაიშვილი, მანანა შულაია, მარინა იმერლიშვილი, ცაცა კუკულაძე, რუსუდან მიმინოშვილი, ქეთევან სიჭინავა, ქეთევან გომართელი, ელენე ჯანდიერი, ლალი ოდიშარია, ნინო დაშნიანი, ნანა ფხაკაძე, თამთა შამათავა, ფლორა შარვაძე, თამარ მესხი, ნაირა ბერულავა, ინგა ახალაია, ესმა გუმბერიძე, ლელა ჯეჯელავა, ირმა ონაშვილი, ნათია გულბათაშვილი, მარინე ბოჟაძე, ნინო კვიტაიშვილი, ჟანა ჩაჩავა, მარინა ცინცაძე, ნინო ლომოური, ირინე ნაცვლიშვილი, ირმა გორდელაძე.*

**ამ დღეებში სახელოვანმა ქართველმა ფალავანმა, ბეჭდაუდებელმა რომან რურუამ, რომელსაც 80 წელი შეუსრულდა, რუსთაველის თეატრში გამართული იუბილე ორიგინალურად აღნიშნა და სახელმწიფოსგან რამე კი არ იჩუქა, პირიქით, მცხეთის უნიკალური სახლი მთელი თავისი ინფრასტრუქტურითა და დამხმარე ნაგებობებით სახელმწიფოსა და ქართველ ერს აჩუქა! ქონება, რომელიც მილიონობით ამერიკული დოლარი ღირს, მართლაც შთამბეჭდავია... ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში საბჭოთა კავშირის ექვსგზის ჩემპიონი, მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონი, 1964 წლის ტოკიოს ოლიმპიური თამაშების ვერცხლის პრიზიორი და 1968 წლის მეხიკოს ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, რომელიც საჭიდაო ხალიჩიდან დაუმარცხებელი წავიდა, თავის სკანდალურ გადაწყვეტილებაზე საუბრობს და ქვეყანაში შექმნილ მძიმე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სიტუაციას ეხმიანება:**




# ვერც სანათესაოში და ვერც შვილებში ღირსეულ მემკვიდრეს ვერ ვხედავ, რომ აქაურობა დავუტოვო! ამიტომაც ჰქონდეს სახელმწიფოს, ქართველ ერს!

— დიახ! რაც გინდა, მდიდარი იყოს კაცი, სამი თაობის შემდეგ ოჯახი ღატაკდება, რადგან მის მემკვიდრეებს ხელის განძრევა არ უნდათ. ყველა წამოწოლილია და ყველას უნდა მხოლოდ ჭამა და კომფორტი, მაგრამ შრომა სძულთ!

— კი, მივიღე ეს გადაწყვეტილება და მცხეთის სახლი მთელი თავისი მეურნეობით, რომელიც ჩემი ხელით არის შექმნილი, სახელმწიფოსა და ქართველ ხალხს ვაჩუქე! მიზეზი ჩემი გადაწყვეტილებისა არის ის, რომ ჩემი სიკვდილის შემდეგ აქაურობა არ გაიყიდოს! **იმედია, სახელმწიფოს ეყოფა იმის სინდის-ნამუსი, რომ ნაჩუქარს, რომლის აშენებასა და დამშვენებას მთელი ჩემი ენერგია და დიდი ფინანსები შევალიე, არ გაყიდის!** ჩემი გადაწყვეტილება ურყევია და არ შეიცვლება!

**— ბატონო რომან, ღმერთმა დიდხანს გაცოცხლოთ, მაგრამ თქვენ იმის შიში გაქვთ, რომ თქვენ შემდეგ ამ წალკოტს ვინმე გაყიდის და სახელმწიფოს ეს უზარმაზარი და კეთილმოწყობილი ეზო-კარი იმიტომაც გადაეცით?**

— მეც ეს მომელის, ჩემს ოჯახსაც ეს მოელის... ამასწინათ დავფიქრდი და რომ დავიანგარიშე, ჩემი კარიერის განმავლობაში დაახლოებით 17 ტონა ოფლი მაქვს დაღვრილი! ***(ტირის).*** სოფლიდან თბილისში რომ ჩამოვედი, არაფერი გამაჩნდა — არც სახლი, არც კარი, არც ფული, მაგრამ მიზანი მქონდა! **მშიერმა გავაკეთე ყველაფერი, მაძღარი კაცი არაფრის გამკეთებელია!**

კაცი თუ გინდა, დაწყევლო, უსურვე — სულ მაძღარს გევლოსო! თბილისელი ბიჭები თავიანთ ოჯახებში რომ დამპატიჟებდნენ, ქეიფიდან ყველაზე ადრე მე მოვდიოდი ხოლმე, რადგან საკუთარ თავს ვეუბნებოდი — **რომან, ამათ რას აჰყოლილხარ, ყველას სახლ-კარი აქვს და მგლეხივით მშობლები ადგანან თავზე, შენ კი არაფერი გაბადია და რა გექეიფება?** ბიჭებს მოვუბოდიშებდი, ავდგებოდი სუფრიდან, წამოვიდოდი და ვვარჯიშობდი და ვვარჯიშობდი.

**მთაწმინდის ანძიდან მთის ფერდზე ორჯერ ვარ დაშვებული სირბილით.** ხაზს ვუსვამ — **სირბილით!** ეს ურთულესია... ერთი არასწორი მოძრაობა, მუხლის ოდნავი სისუსტე და შესაძლოა, მოკვდე, ან დასახიჩრდე და სამუდამოდ ინვალიდი დარჩე. მაშინ იქ არავითარი კიბეები არ იყო, რომელიც დღეს მოძრავი ვაგონების გარდიგარდმოა გაკეთებული. მთიდან მხოლოდ ვიწრო ბილიკი ეშვებოდა, ისიც უამრავი წინააღმდეგობით.

საბერძნეთში დიდი არისტოტელეს სახლში ვარ ნამყოფი... ეზოში რომ გამოვედი, დავფიქრდი — ამოდენა ტიტანის ქონება ნაცარტუტად იქცა, საბერძნეთმა არისტოტელეს სახლი ვერ შეინარჩუნა, იქაურობა ვერ გადახურა, მაგრამ მისი ბრწყინვალე აზრები და იდეები დარჩა. ცხადია, იმდენი ჭკუა მყოფნის, თავი არისტოტელეს არ შევადარო, მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, ყველაფერი მტვრად იქცევა, რადგან ადამიანები ერთმანეთს არ უფრთხილდებიან. ჰოდა, იქნებ სახელმწიფო მაინც გაუფრთხილდეს იმას, რაც კაცის მიერ ასე გაიწირა. ამას ახალგაზრდობის გასაგონად ვამბობ!

**— პირდაპირი კაცი ვარ და პირდაპირ გკითხავთ — შვილებზე ხართ გაბრაზებული, გულგატეხილი და სახელმწიფოს ამოდენა ქონება იმიტომ გადაეცით?**

— მეც პირდაპირი კაცი ვარ და პირდაპირ გეტყვით: **დიახ, გაბრაზებული ვარ! თქვენ რას მირჩევთ, ვის მივცე ჩემი ქონება?**

**— შვილებს!**

— რატომ?

**— ჩვენ ხომ ჩვენი შვილებისთვის ვცხოვრობთ!**

— ჩვენი შვილები ამ ქვეყანაზე მხოლოდ იმისათვის მოვიდნენ, რომ ჭამონ, სვან და თავად არაფერი შექმნან?! **ვინ იქნებიან ისინი, თუ მხოლოდ ასე უქესოდ იცხოვრებენ?** შვილი მაშინ არის კარგი, როცა ნაყოფს იძლევა და ქვეყანასა და მშობლის გულს ახარებს! ესენი რას იძლევიან? აბა, მითხრას რომელიმემ, რას იძლევა?! მარტო ჭამაა ჩვენი ცხოვრების საზრისი და ადამიანის დანიშნულება სხვა არაფერია?

**— ე.ი. შვილებზე გაბრაზებული ხართ?**

— გაბრაზებული როგორ არ ვიქნები? რა დავაკელი მე ჩემს შვილს? ინგლისური იცის, გერმანული იცის, რუსული იცის, პროფესიით დიპლომატია, მაგრამ ერთი დღე არ უმუშავია... ამაში ან მე ვარ დამნაშავე, ან — სახელმწიფო! **ქონება ჩემია და ვისაც მინდა, იმას მივცემ... ვერც სანათესაოში და ვერც შვილებში ღირსეულ მემკვიდრეს ვერ ვხედავ, რომ აქაურობა დავუტოვო, ამიტომაც ჰქონდეს სახელმწიფოს, ქართველ ერს!** ისე არავინ გაიგოს, თითქოს შვილებს ქუჩაში ვაგდებდე. მაგათ თანხასაც ვუტოვებ და ბინასაც, მაგრამ ჩემს მემკვიდრედ ვერავის ვხედავ!

**— მცხეთის აგარაკზე, რომელიც სახელმწიფოს გადაეცით, რა უნდა გაკეთდეს?**

— მე აქ უნდა დავიმარხო... **მე გიორგი სააკაძე არ ვარ, მაგრამ ჭიდაობაში გიორგი სააკაძე ვიყავი! ვისაც არ სჯერა, წავიდეს და ჩემზე უკეთესად იჭიდაოს!** აქ უნდა გაკეთდეს ჩემი და **ბივი ქართოზიას** მუზეუმი, რადგან გივის, იმის სახელს და საფლავს ვენაცვალე, დღეს ცოტა უჭირს! (ტირის). თუ რატომ გივი და სხვა არავინ, ეს მე ვიცი...

**— ისე ატირებული ოლიმპიური ჩემპიონის ფოტოც ხომ არ გადავიღოთ?**

— არა, არ გინდა, გთხოვ!

**— რაღაცას ძალიან განიცდით და ბოლომდე არ მეუბნებით!**

— კი, განვიცდი! არაა მეტის თქმა საჭირო, დარჩეს ასე... **მე ვერ ვხედავ ჩემს გამგრძელებელს! ვიცი, რაც მოხდება — შვიდ ნაწილად გაიყოფა და გაიყიდება ჩემი სახლ-კარი...** ეს სახლი ცალკე გაიყიდება, უკანა ეზოს ცალკე გაყიდიან, დამხმარე ნაგებობები ცალკე გაიყიდება... ამიტომ აქაურობა ერთიანი და დამშვენებული დარჩეს ქართველ ხალხს, რომლისთვისაც მე ოფლს ვღვრიდი. არც ივანე ჯავახიშვილი ვარ, არც ილია ვეკუა და არც ნიკო მუსხელიშვილი, მე მათ თავს არ შევადრი, რადგან ისინი ტიტანები იყვნენ, მაგრამ ხალიჩაზე, ჩემს სფეროში მეც მაგარი ვიყავი და ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში თუ ვინმეა მსოფლიოში, მეც ვარ! **მე მაქვს ამის პრეტენზია...**

**— პრივატულ საუბარში ბრძანეთ, სააკაშვილი ნათესავად მეკუთვნისო!**

— კი, დედაჩემი **ალასანიას** ქალი იყო. სააკაშვილის ბაბუას, ბატონ **გივი ალასანიას** ძალიან კარგად და ახლოს ვიცნობდი, მის ოჯახში ხშირად ვყოფილვარ, გიულისაც ვიცნობ...


ასე ამარცხებდა მეტოქეებს ლეგენდარული ფალავანი რომან რურუა



**„მე გიორგი სააკაძე არ ვარ, მაგრამ ჭიდაობაში გიორგი სააკაძე ვიყავი! ვისაც არ სჯერა, წავიდეს და ჩემზე უკეთესად იჭიდაოს!“**

რომან რურუას სამოსახლო მცხეთაში, რომელიც მან მთელი თავისი ინფრასტრუქტურითა და დამხმარე ნაგებობებით სახელმწიფოსა და ქართველ ერს აჩუქა!







„ჩემი გადაწყვეტილება ურყევია და არ შეიცვლება!“



გივი კარტოზია

„აქ უნდა გაკეთდეს ჩემი და გივი კარტოზიას მუზეუმი, რადგან გივის, იმის სახელს და საფლავს ვენაცვალე, დღეს ცოტა უჭირს! *(ტირის).* თუ რატომ გივი და სხვა არავინ, ეს მე ვიცი!“

# „მშიერმა გააკეთე ყველაფერი, მაძღარი კაცი არაფრის გამკეთებელია!“

**— გჯერათ, რომ სააკაშვილი კვდება, წამლავენ და აწამებენ?**

— არა, არ მჯერა! **სააკაშვილმა რაც ჩაიდინა, ეგ მაგის გამკეთებელი მარტო არ იყო.** სააკაშვილმა უამრავი დანაშაული ჩაიდინა, მაგრამ დანაშაულის ჩადენაში მას ყველამ შეუწყო ხელი. ამიტომ, ვინც სააკაშვილს ტაშს უკრავდა და ახალისებდა, ყველა გვერდით უნდა მიუსვან! სხვანაირად ქვეყანა არ აშენდება...

**რომ გავიძახით – „ევროპა, ევროპას!“ – რა შავი ქვა დაგვრჩენია იმ ევროპაში? დამთავრდა კაპიტალიზმის ბობოქრობა, ევროპისთანა მათხოვარი უახლოეს მომავალში არავინ იქნება, რადგან მან ყველა ბუნებრივი რესურსი ამოწურა.**

**— თქვენ საქართველოში ერთ-ერთი შეძლებული კაცი ხართ, სააკაშვილმა რამე წაგართვათ?**

— კომუნისტების დროს ქსნის შუშის ქარხანას ვკურირებდი, რომელიც ადგილობრივი ქვიშით, დოლომიტითა და რუსეთიდან შემოტანილი სოდით ფუნქციონირებდა, თან პროდუქციით მთელ კავკასიას ამარაგებდა. ქარხანაში მილიონ 600 ათასი დოლარი მქონდა ჩადებული. როცა საბჭოთა კავშირი დაინგრა, სურვილი გამიჩნდა, ქარხანა იჯარა-გამოსყიდვით დამეტოვებინა, მაგრამ აუქციონზე გამოიტანეს და მასში მონაწილეობა მიაღებინეს თურქულ ფირმა „შეშეჯამს“, რომელიც ევროპაში ერთ-ერთი მონოპოლისტია. **შევარდნაძეს წერილი მივწერე, რომ ქარხანა იჯარა-გამოსყიდვის უფლებით ცნობილი სპორტსმენებისთვის გადმოეცა, მაგრამ უარი მივიღე — აუქციონში ჩაერთეთო.** არადა, ქარხანა 400 მილიონი დოლარი ღირდა და ვის ჰქონდა მაგის საყიდელი ფული? ამიტომ დავრეკე ამერიკაში, ამერიკელები დამეხმარნენ და თურქებს უთხრეს — **თავის ტკივილი არ აგცდებათ, ქარხანას შეეშვით, სანამ რურუა არ იტყვის, ქარხანას ვერ იყიდითო!** მოკლედ, აუქციონი ჩავშალე... შევარდნაძემ მაშინვე იკითხა — რა მოხდაო? **კახა თარგამაძემ** მოახსენა — რურუა უშლის ხელსო! დამიბარეს შინაგან საქმეთა სამინისტროში და პირდაპირ მითხრეს — **რომან, მოგკლავენ და ჩვენ ვერ დაგიცავთო!** მაიძულეს და დამაწერინეს — **თანახმა ვარ, ქარხანა გაიყიდოს-მეთქი.** ჩაატარეს აუქციონი და 400-მილიონიანი ქარხანა თურქებს 4 მილიონად მიჰყიდეს! **4 მილიონს ჩვენც გადავიხდიდით, მოგვეცა ჩვენთვის, შე შობელძაღლო!**

თურქებმა ქსნის ქარხანა გააჩერეს, იყიდეს ბაზარი და მთელ კავკასიას დღეს შუშით თავად ამარაგებენ! აი, ეს გააკეთა **შევარდნაძემ,** ხოლო **სააკაშვილმა** მისი პოლიტიკა გააგრძელა.

**— მაინც რა ქნა?**

— სააკაშვილმა, პრეზიდენტი გახდა თუ არა, **კოტე კემულარია** უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარედ დანიშნა და იმავე დღეს განაცხადა — **ქსნის შუშის ქარხანაში უცხოელ ინვესტორებს აყაჩაღებენ და დაუშვებელიაო!** ეს მოხდა მაშინ, როცა უზენაეს სასამართლოში ერთ კვირაში ჩემი საჩივარი იხილებოდა, ანუ სააკაშვილმა პირდაპირ მიუთითა მოსამართლეს, რაც უნდა გაეკეთებინა! მოსამართლე **ნუნუ კვანტალიანმა** ჩამოყარა ყურები და მითხრა — **რა ვქნა, ბატონო რომან, თავს ზევით ძალა არ მაქვსო!**

**ასე წაართვეს შევარდნაძემ და სააკაშვილმა საქართველოს ქსნის შუშის ქარხანა და გაყიდეს თურქებზე. არ არის ეს ღალატი და დანაშაული? ასეთი რამდენი აქვთ მაგათ გაკეთებული, ვინმემ დათვალა?**

**— საქართველოს რა პერსპექტივა აქვს? თქვენ მეურნე კაცი ხართ და რაშია ჩვენი ხსნა?**

— ცხონებული აკადემიკოსი **პაატა გიორგაძე** მართებულად ამბობდა, რომ საქართველოს ხსნა არის მტკნარ წყალში, რომელიც ღმერთმა საუკეთესო ხარისხისა მოგვცა! აი, ეს არის სიმართლე, დანარჩენი ტყუილი ლაპარაკია ყველაფერი!

**— გიული ალასანია ამბობს, ტექნიკური უნივერსიტეტის კორპუსები ბაბუაჩემმა და ბებიაჩემმა დამიტოვესო! მართლა ასეთი მდიდარი ოჯახი ჰქონდათ ალასანიებს?**

— მაგათ მიტაცებული აქვთ ყველაფერი, ხოლო გიულიმ ეგ ზღაპრები სააკაშვილს მოუყვეს. **სააკაშვილო, ყაჩაღი ხარ, ბანდიტი ხარ, რადგან 400-მილიონიანი ქარხანა თურქებს 4 მილიონად მიჰყიდე!** შეიძლება, მე საქართველოს წინააღმდეგ ვიყო? მაგრამ ეს საქმე დღეს სტრასბურგშია და 42 მილიონს ვითხოვ! **გარწმუნებთ, ამ თანხას მივიღებ, მაგრამ საქართველოს ბიუჯეტმა და ქართველმა ხალხმა რა დააშავა, როცა ორმა მოღალატემ — შევარდნაძემ და სააკაშვილმა საქართველოს ამოდენა ქარხანა გაუყიდეს?**

**— ყველაზე მეტად რა გახარებთ და გული რაზე გწყდებათ?**

— საქართველოში „ადიდასის“ წარმოება მე დავიწყე. ეს საქმეც სასამართლოშია...

**მიხარია, რომ მსოფლიო სპორტში ჩემი სიტყვა ვთქვი, გული იმაზე მწყდება, რომ ამ გაჭირვებულმა ქვეყანამ ვერ გამოიყენა!**

*ესაუბრა*

***დიტო ჩუბინიძე***

**„— პირდაპირი კაცი ვარ და პირდაპირ გკითხავთ — შვილებზე ხართ გაბრაზებული, გულგატეხილი და სახელმწიფოს ამოდენა ქონება იმიტომ გადაეცით?**

— მეც პირდაპირი კაცი ვარ და პირდაპირ გეტყვით: **დიახ, გაბრაზებული ვარ! თქვენ რას მირჩევთ, ვის მივცე ჩემი ქონება?**

**— შვილებს!**

— რატომ?

**— ჩვენ ხომ ჩვენი შვილებისთვის ვცხოვრობთ!**

— ჩვენი შვილები ამ ქვეყანაზე მხოლოდ იმისათვის მოვიდნენ, რომ ჭამონ, სვან და თავად არაფერი შექმნან?!“

„ჩემი კარიერის განმავლობაში დაახლოებით 17 ტონა ოფლი მაქვს დაღვრილი!“



# საქართველომ კაბალური მდგომარეობიდან კაბელურ მდგომარეობაში გადაინაცვლა!

***საქართველომ საკუთარი სუვერენიტეტის განმტკიცების, სახელმწიფო უსაფრთხოების გაძლიერებისა და ეკონომიკური განვითარების გზაზე უმნიშვნელოვანესი ნაბიჯი გადადგა. ეს მოხდა 2022 წლის 17 დეკემბერს რუმინეთის დედაქალაქ ბუქარესტში, სადაც საქართველოს, აზერბაიჯანის, უნგრეთისა და რუმინეთის პირველმა პირებმა ხელი მოაწერეს მემორანდუმს „ენერგიის განვითარებისა და გადაცემის სფეროში სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ“.***

საქართველოს პრემიერ-მინისტრ **ირაკლი ღარიბაშვილის**, აზერბაიჯანის პრეზიდენტ **ილჰამ ალიევის**, უნგრეთის პრემიერ-მინისტრ **ვიქტორ ორბანისა** და რუმინეთის პრემიერ-მინისტრ **ნიკოლაე ჩუკას** მიერ ხელმოწერილი დოკუმენტის მიხედვით, შავი ზღვის ფსკერზე განთავსდება მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი კაბელი, რომელიც აზერბაიჯანს საქართველოს გავლით რუმინეთთან დააკავშირებს, ხოლო მთელ სამხრეთ კავკასიას — ევროპასთან.

**მოკლედ და მარტივად რომ ვთქვათ, შავი ზღვის ფსკერზე სამხრეთ კავკასიისა და ევროპის დამაკავშირებელი მაღალი ძაბვის კაბელის განთავსება საქართველოს ელექტროენერგიის გამტარ გეოსტრატეგიულ ჰაბად აქცევს!**

შესაბამისად, შავი ზღვის ფსკერზე სამხრეთ კავკასიისა და ევროპის დამაკავშირებელი მაღალი ძაბვის კაბელის განთავსება საქართველოს რამდენიმე მიმართულებით აზეირებს:

**მოუტანს დიდ სარგებელს ეკონომიკური განვითარების კუთხით!**

**მოუტანს დიდ სარგებელს სახელმწიფო უსაფრთხოების დაცვის კუთხით!**

**მოუტანს დიდ სარგებელს სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის სიმყარისა და ხელშეუხებლობის კუთხით!**

მას შემდეგ, რაც შავი ზღვის ფსკერზე სამხრეთ კავკასიისა და ევროპის დამაკავშირებელი მაღალი ძაბვის კაბელი განთავსდება, ელექტროენერგიის გეოსტრატეგიულ ჰაბად ქცეულ საქართველოს გაცილებით ნაკლები ელექტროენერგიის იმპორტი დასჭირდება, რაც, ბევრ სიკეთესთან ერთად, დენის ტარიფს შეამცირებს, ხოლო ქვეყნის ენერგოდამოუკიდებლობას გაზრდის, ენერგოდამოუკიდებლობა კი, მოგეხსენებათ, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის ერთ-ერთი მთავარი განმსაზღვრელია.

**აღარაფერს ვამბობთ იმ სოლიდურ ფინანსურ შემოსავალზე, რომელსაც საქართველო, როგორც გეოსტრატეგიული ჰაბი, სამხრეთ კავკასიიდან ევროპისაკენ ელექტროენერგიის გატარებისათვის ე.წ. საკომისიოს სახით მიიღებს.**

მას შემდეგ, რაც შავი ზღვის ფსკერზე მაღალი ძაბვის კაბელი განთავსდება და საქართველო ევროპისაკენ ელექტროენერგიის გამტარ გეოსტრატეგიულ ჰაბად გადაიქცევა, არამხოლოდ ჩვენი რეგიონული სამეზობლო, არამედ ევროკავშირის წევრი ყველა სახელმწიფო სისხლხორცეულად იქნება დაინტერესებული, საქართველოში სტაბილურობასა და მშვიდობას არაფერი დაემუქროს.

**შეიძლება ითქვას, რომ შავი ზღვის ფსკერზე სამხრეთ კავკასიისა და ევროპის დამაკავშირებელი მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი კაბელის განთავსების შემდეგ ევროკავშირის ქვეყნები ერთად და ცალ-ცალკე გახდებიან გეოსტრატეგიულ ჰაბად ქცეული საქართველოს უსაფრთხოების, სტაბილურობისა და მშვიდობის გარანტორები.**

**შავი ზღვის ფსკერზე მაღალი ძაბვის კაბელის განთავსებისა და საქართველოს გეოსტრატეგიულ ჰაბად გადაქცევის შემდეგ** ვერცერთი ევროპელი ლიდერი საკუთარ თავს უფლებას ვეღარ მისცემს, თქვას ის, რაც ცოტა ხნის წინათ საფრანგეთის პრეზიდენტმა **მაკრონმა** განაცხადა — უკრაინასა და მოლდოვას ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი გეოგრაფიული თვალსაზრისითაც ეკუთვნით, საქართველო კი გეოგრაფიულად სხვაგან არისო!

**შავი ზღვის ფსკერზე სამხრეთ კავკასიისა და ევროპის დამაკავშირებელი მაღალი ძაბვის კაბელის განთავსების შემდეგ საქართველო ევროპისათვის იქნება არა „გეოგრაფიულად სხვაგან მყოფი“ ქვეყანა, არამედ სახელმწიფო, რომლის გარეშეც ევროპის ენერგო-**

**შავი ზღვის ფსკერზე მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი კაბელის განთავსების პროექტით საქართველო ყოველგვარი „კანდიდატის სტატუსის“ გარეშე გახდება ერთიანი ევროპული ოჯახის განუყოფელი წევრი და უმნიშვნელოვანესი რგოლი გლობალური უსაფრთხოების ჯაჭვში!**



ვიქტორ ორბანი, ილჰამ ალიევი, ნიკოლაე ჩუკა, ირაკლი ღარიბაშვილი

## კვირგვინოსნები

**თეა წულუკიანი**
*კულტურის მინისტრი*



**სააკაშვილმა** პრეზიდენტობისას ქვეყანაში დაამკვიდრა ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევები, მკვლელობები და ციხეში წამება, **ბატონო ზელენსკი, ასეთი ადამიანის ადგილი საპატიმროშია!** „პირველი არხი“

**გივი მიქანაძე**
*პარლამენტარი*



სტატისტიკას თუ ნახავთ, იხილავთ, **ლომჯარია** თავისი საქმიანობისას რამდენ პატიმარს შეხვდა, მთელი მისი მოღვაწეობა მხოლოდ **სააკაშვილის** უფლებების დაცვას მოანდომა, რაც მიუღებელია. ოპოზიცია ვაჭრობს და ცდილობს, რომ საქართველოს **„ლომჯარია 2“** კანდიდატი ჰყავდეს და სახალხო დამცველი **„ლომჯარია 2“** იყოს, რაც მიუღებელია.

„პირველი არხი“

**ირაკლი ზარქუა**
*პარლამენტარი*



**ბატონო ზელენსკი,** შეურაცხმყოფელი, ალბათ, ის არის, რომ **თქვენი ერთ-ერთი ჩინოვნიკი უკრაინისა და საქართველოს საზღვრებს პატივს არ სცემს,** არაჟნებთან ერთად შემოიპარა აქ რევოლუციის მოსაწყობად.

„ინტერპრესნიუსი“

**ირაკლი ლეტავრია**
*ეკონომისტი*



**რუსებს ჰააგა მოვუგეთ,** რა დროს მანიაკი და საქართველოს გამყიდველი **სააკაშვილია.**

„ალია“

**ემანუელ მაკრონი**
*საფრანგეთის პრეზიდენტი*



თუ რუსეთი დასავლეთისგან **უსაფრთხოების გარანტიებს არ მიიღებს, ომი, შესაძლოა, მთელ კონტინენტზე გავრცელდეს!**

„ინტერპრესნიუსი“

# ბიძინა ივანიშვილის მიერ დატოვებულმა ხელისუფლებამ, პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის თაოსნობით, შეძლო, საქართველო კაბალურ მდგომარეობაში ჩავარდნისგან გადაერჩინა და კაბელურ მდგომარეობაში ჩაეყენებინა!



აი, ეს არის რეალური საქმე და არა — სრულიად ეფემერული „კანდიდატის სტატუსი", რომლის არმოცემითაც საქართველოს კოლექტიური კუბილიუს-ფოტიგები აშანტაჟებენ!

## უსაფრთხოება კითხვის ნიშნის ქვეშ დადგება!

მოკლედ, **შავი ზღვის ფსკერზე მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი კაბელის განთავსების პროექტით** საქართველო ყოველგვარი „კანდიდატის სტატუსის" გარეშე გახდება ერთიანი ევროპული ოჯახის განუყოფელი წევრი და უმნიშვნელოვანესი რგოლი გლობალური უსაფრთხოების ჯაჭვში!

აი, ეს არის რეალური საქმე და არა — **სრულიად ეფემერული „კანდიდატის სტატუსი", რომლის არმოცემითაც საქართველოს კოლექტიური კუბილიუს-ფოტიგები აშანტაჟებენ!**

აი, ეს არის რეალური ევროპული პერსპექტივა და არა — **ევროკომისიის 12-პუნქტიანი რეკომენდაცია, რომლის შესრულებასაც საქართველოს კოლექტიური კრამონ-ჯუკნევიჩიენეები აძალებენ!**

პირდაპირ უნდა ითქვას, რომ **ევროკომისიის მიერ საქართველოს ხელისუფლებისათვის გამოწერილი 12-პუნქტიანი რეკომენდაცია აბსოლუტურად კაბალური ხასიათისაა და მისი ყველა პუნქტის შესრულება კატეგორიულად დაუშვებელია, რადგან სახელმწიფო ინსტიტუტები ფუნქციონირებას ველარ შეძლებენ და ქართული სახელმწიფო მომენტალურად ჩამოიშლება!**

ეს 12-პუნქტიანი რეკომენდაცია საქართველოს მხოლოდ იმიტომ მოახვიეს თავს, რომ ხელისუფლება მაქსიმალურად დაასუსტონ და ნაციონალურ მოძრაობას ძალაუფლების დაბრუნება გაუადვილონ.

ამიტომაც არის **კაბალური** საქართველოსა და ქართველი ხალხისათვის ევროკომისიის 12-პუნქტიანი რეკომენდაცია!

თუმცა, ახლა საქართველომ მიიღო შესაძლებლობა, თავიდან აიცილოს **კაბალურ მდგომარეობაში** ჩავარდნა და აღმოჩნდეს **კაბელურ მდგომარეობაში,** ანუ შავი ზღვის ფსკერზე მაღალი ძაბვის კაბელის განთავსების შემდეგ გადაიქცეს სამხრეთ კავკასიიდან ევროპაში ელექტროენერგიის გამტარ გეოსტრატეგიულ ჰაბად!

პირდაპირ უნდა ითქვას: საქართველომ **კაბალურ მდგომარეობაში** ჩავარდნა თავიდან რომ აიცილა და **კაბელურ მდგომარეობაში** აღმოჩნდა, ეს მხოლოდ უკრაინის ომის გამო მსოფლიოში შექმნილი **ახალი გეოპოლიტიკური რეალობის** გამოძახილი როდია! ეს, უპირველს ყოვლისა, საქართველოს ხელისუფლების სწორი და პრაგმატული პოლიტიკის შედეგი გახლავთ!

დიახ, **რომ არა დღევანდელი ხელისუფლების გონივრული პოლიტიკა, საქართველოს არათუ ევროპის ენერგოუსაფრთხოების სქემაში გეოსტრატეგიულ ჰაბად ქცევის პერსპექტივა არ გამოუჩნდებოდა, არამედ, უკრაინის მსგავსად, რუსეთ-ამერიკის საომარ პოლიგონად გადაიქცეოდა და სახელმწიფოებრიობას საერთოდ დაკარგავდა!**

**ბიძინა ივანიშვილის** მიერ დატოვებულმა ხელისუფლებამ, პრემიერ-მინისტრ **ირაკლი ღარიბაშვილის** თაოსნობით, შეძლო, საქართველო კაბალურ მდგომარეობაში ჩავარდნისგან გადაერჩინა და კაბელურ მდგომარეობაში ჩაეყენებინა!

**ბიძინა ივანიშვილის მიერ დატოვებული ხელისუფლების გონივრული და სახელმწიფოებრივი პოლიტიკის დამსახურებაა,** რომ დღეს საქართველოს ლიდერი **ირაკლი ღარიბაშვილი** უკრაინის ლიდერ ზელენსკივით ტანკსაწინააღმდეგო ჭურვებისა და რაკეტების სამათხოვროდ კი არ დარბის ვაშინგტონსა და ბრიუსელში, არამედ ქვეყნისათვის უაღრესად პერსპექტიულ მემორანდუმებსა და ხელშეკრულებებს აწერს ხელს ევროპელ ლიდერებთან ერთად!

## იყო დრო, როცა სააკაშვილის მანიაკალური რეჟიმი შავი ზღვის ფსკერს წყალქვეშა სასაფლაოდ იყენებდა, სადაც ულმობლად დახვრეტილი უდანაშაულო ქართველი ვაჟკაცების გვამებს ძირავდა, დღეს კი შავი ზღვის ფსკერი საქართველოს სუვერენიტეტის განმტკიცების, სახელმწიფო უსაფრთხოების გაძლიერებისა და ეკონომიკური განვითარებისათვის გამოიყენება!

ეს იმის გარანტიაც არის, რომ კაბალური მდგომარეობიდან კაბელურ მდგომარეობაში გადასულ საქართველოს, რომელსაც შავი ზღვის ფსკერზე განთავსებული კაბელი ელექტროენერგიის გეოსტრატეგიულ ჰაბად აქცევს, ვეღარასოდეს დაეპატრონება სისხლიანი რეჟიმი, რომელმაც დათო ცინდელიანი და პაატა ქარდავა შავ ზღვაში კატერზე დახვრიტა, მერე კი მათი ცხედრები შავი ზღვის ფსკერზე დაძირა!

კრიმინალური ნაცსექტა, თავის სიმულანტ ბელადთან ერთად, ქართველ ხალხს სამუდამოდ ჰყავს დაკაბალებული!



ისტორიული მემორანდუმის ხელმოწერის ცერემონიალზე

> **საქართველოს ლიდერი ირაკლი ღარიბაშვილი უკრაინის ლიდერ ზელენსკივით ტანკსაწინააღმდეგო ჭურვებისა და რაკეტების სამათხოვროდ კი არ დარბის ვაშინგტონსა და ბრიუსელში, არამედ ქვეყნისათვის უაღრესად პერსპექტიულ მემორანდუმებსა და ხელშეკრულებებს აწერს ხელს ევროპელ ლიდერებთან ერთად!**

*ჯაბა ხუბუა*

## კვირგვინოსნები

**არჩილ ხიდირბეგიშვილი**
*„საქინფორმის" მთავარი რედაქტორი*



**საქართველოზე თავდასხმას არავინ აპირებს, ის ზედმეტად მიმზიდველია იმისთვის, რომ მხოლოდ ვინმე ერთს ერგოს! ქართული პრობლემა არის სასოწარკვეთაში, უიმედობასა და წყვდიადში, რაც ახალგაზრდა თაობას დასავლეთიდან ჩამოსულმა გადამთიელებმა-უცხოტომელებმა და მათმა ადგილობრივმა მსახურებმა — სააკაშვილის ჰიბრიდულმა მუტანტებმა** შთააგონეს. ახალგაზრდები კარგავენ პატივისცემას უფროსების მიმართ, აფურთხებენ ერთსაც და მეორესაც, იღებენ ფულს მათგან, ვინც იხდის, ხოლო ვისაც არ უხდიან, ისინი ხელში ან იარაღს იღებენ, ან ყიდულობენ ბილეთს ერთი მიმართულებით! **რუსთაველის, გორგასლისა და აღმაშენებლის ბარაქიან სამშობლოში გაზრდილნი ჯოჯოხეთის გზას გადიან, უპატრონო მიგრანტებად აშშ-სა და სხვა დასავლურ ქვეყნების საზღვრებს მიაღწიონ და ჩაბარდნენ.** ეს კი, ძალიან ხელსაყრელია მათთვის, ვისაც სჭირდება მხოლოდ საქართველოს ტერიტორია მოსახლეობის გარეშე! 2022 წლის 14 დეკემბერს **პრეზიდენტმა ბაიდენმა** ხელი მოაწერა კონგრესის მიერ მოწონებულ კანონს, რომელმაც აშშ-ში ერთნაირსქესიანთა ქორწინება დააკანონა. **რაღას ელოდებით?! გააუქმეთ საქართველოს კონსტიტუციაში პრემიერ ღარიბაშვილის ინიციატივით შეტანილი დეფინიცია, რომ ქორწინება — ქალისა და მამაკაცის კავშირია!**

**გოგა ხაინდრავა**
*კონფლიქტოლოგი*



ისეთი სასტიკი რეჟიმი, **სააკაშვილის** პრეზიდენტობის დროს რომ იყო, 21-ე საუკუნეში მსოფლიოს არცერთ ციხეში არ ყოფილა. აზრადაც არ მოსვლიათ იმის გაკეთება, რასაც **სააკაშვილი** სჩადიოდა თავის **მერაბიშვილ-ადეიშვილ-მეგის ქარდავებთან და ქილერა-მილერებთან** ერთად. ისინი ამ ყველაფერს იღებდნენ და მერე თვითონ უყურებდნენ სააკაშვილის რეზიდენციებში.

„ახალი თაობა"

**ნინო ბურჯანაძე**
*პოლიტიკოსი*



**სააკაშვილი** სულ რომ ცალ ფეხზე ცეკვავდეს, ხელისუფლებამ პასუხი უნდა გასცეს კითხვას, **პატიმარი როგორ მოიწამლა?** კადრებით ვერ გადაფარავენ, სამედიცინო დასკვნაში წერია, რომ ადამიანის ორგანიზმში დარიშხანი და მძიმე მეტალებია აღმოჩენილი. **რას ითხოვთ ამ პრეზიდენტისგან,** რომელიც, გვახსოვს, როგორ ავირჩიეთ, გვარი და სახელი მისი ეწერა და სურათები — **ბიძინა ივანიშვილის, მდინარაძისა და კობახიძის.**

„ახალი თაობა"

***2022 წლის 22 დეკემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოში მიმდინარე სხდომაზე კლინიკა „ვივამედის“ ოროთახიანი აპარტამენტიდან „სკაიპის“ მეშვეობით ჩართეს თმადაუვარცხნელი, წვერგაუპარსავი, ფრჩხილებწაზრდილი პატიმარი სააკაშვილი, რომელიც თვალებს ჭუტავდა და ტუჩებს იმდაგვარად კუმშავდა, რომ ლოყები უფრო ჩაცვენილი გამოსჩენოდა, ვიდრე რეალურად აქვს.***






# მიშა

**ქართველი ხალხი ჰანს ქრისტიან ანდერსენის ზღაპრის პერსონაჟის ამპლუაში გახლავთ — იმ პატარა ბიჭუნას როლში, რომელმაც მეფის სიშიშვლე არამხოლოდ შეამჩნია, არამედ ხმამაღლაც დაიყვირა — „მეფე შიშველია!“**

აშკარა იყო, რომ **მსჯავრდებული ნაცბელადი საზოგადოებას მორიგ უგერგილო სპექტაკლს სთავაზობდა და საწოლიდან თავის გადმოგდების შემდეგ, რაც პენიტენციური სამსახურის მიერ გავრცელებულ ვიდეოში ვიხილეთ, თავის მომკვდარუნებას ამჯერად უკვე მოსამართლის დასანახად ცდილობდა.**

**ისე, პენიტენციურ სამსახურს „ვივამედის“ პალატაში უფრო ხარისხიანი აპარატურა რომ დაემონტაჟებინა, სასამართლოს დარბაზში მდგარ ეკრანზე სააკაშვილის გამოსახულება უფრო მკაფიოდ და ხარისხიანად გამოჩნდებოდა, რაც საზოგადოებას საშუალებას მისცემდა, მისი სიმულანტობის ნიუანსები უკეთესად დაენახა.**

შოუს უფრო მეტად დრამატიზების მიზნით, „ვივამედში“ მყოფ სააკაშვილს მისმა ადვოკატმა **შალვა ხაჭაპურიძემ** სასამართლოს დარბაზიდან მიმართა, ფეხზე წამომდგარიყო, პერანგი აეწია და საზოგადოებისათვის ეჩვენებინა, რა მდგომარეობაშიც არის, თუმცა, მოსამართლე **გიორგი არევაძემ** ნაცბელადს ტანზე გახდის ნება არ დართო — **მსჯავრდებულს შეუძლია, ფეხზე წამოდგეს, მაგრამ გაშიშვლებას თუ დაიწყებს, ვიდეოზარს გავთიშავთ და პროცესში მონაწილეობის საშუალებას აღარ მივცემთო!**

ასე და ამრიგად, სასამართლოს წინაშე სააკაშვილის გაშიშვლების აქტი ვერ შედგა!

თუმცა, **ადვოკატმა ხაჭაპურიძემ,** რომელმაც სააკაშვილს საზოგადოების თვალწინ გაშიშვლებისაკენ მოუწოდა და **მოსამართლე არევაძემ,** რომელმაც სააკაშვილს საზოგადოების თვალწინ გაშიშვლების უფლება არ მისცა, ერთი რამ ვერ გაითვალისწინეს — **ქართველი საზოგადოების თვალში მიშა დიდი ხანია, შიშველია!**

**მიშა შიშველია იმ დღიდან,** როცა ბრძანება გასცა, გლდანში ეკლესიის კარი სატვირთო ავტომანქანის დაჯახებით შეელეწათ და ღამენათევი მრევლი ხელკეტებით დაერბიათ!

**მიშა შიშველია იმ დღიდან,** როცა ბრძანება გასცა, მესტიის რაიონის სოფელ ეცერში ბომბები დაეშინათ აფრასიძეების სახლისათვის, სადაც უდანაშაულო ქალები და ბავშვები იმყოფებოდნენ!

**მიშა შიშველია იმ დღიდან,** როცა ბრძანება გასცა, „ნულოვანი ტოლერანტობა წვრილმანი დანაშაულის წინააღმდეგ! ყველა ციხეში!“

**მიშა შიშველია იმ დღიდან,** როცა მისი რეჟიმის ძალოვნებმა უდანაშაულო ადამიანების დახვრეტა დაიწყეს და ერთმანეთის მიყოლებით გამოასალმეს სიცოცხლეს **ბუტა რობაქიძე, სანდრო გირგვლიანი, ზურა ვაზაგაშვილი, მარად ართმელაძე, შოთა გორგაძე, რომან სურმანიძე, გურამ შარაძე, გიორგი გამცემლიძე, როინ შავაძე, პაატა ქარდავა, დათო ცინდელიანი, გია კრიალაშვილი** და ბევრი სხვა.

**მიშა შიშველია იმ დღიდან,** როცა 2007 წლის 7 ნოემბერს რუსთაველის გამზირსა და რიყეზე მშვიდობიანი მომიტინგეები დაარბია და „იმედის“ ტელევიზია შტურმით აიღო!

**მიშა შიშველია იმ დღიდან,** როცა 2011 წლის 26 მაისს მშვიდობიანი პროტესტი სისხლში ჩაახშო და **ნიკა კვინტრაძე და სულიკო ასათიანი** თავის ჩაფრებს ცემით მოაკვლევინა!

**მიშა შიშველია იმ დღიდან,** როცა საქართველოში ამერიკული **აბუ-გრეიბის მსგავსი პენიტენციური ჯოჯოხეთი** შექმნა, სადაც პატიმრებს აწამებდნენ, აუპატიურებდნენ და სასიკვდილოდ ნაცემებს ციხის მორგში გვამებზე აბამდნენ, სადაც წამებასა და არაადამ-

## კვირგვინოსნები

**მალხაზ ურთქმელიძე**
*სპეციალური პენიტენციური სამსახურის სამედიცინო დეპარტამენტის ხელმძღვანელი*



**სააკაშვილის** ორგანიზმში **არცერთი მაჩვენებელი არ სცდება ნორმას და არის ნორმაზე მკვეთრად ქვემოთ,** მათ შორის, მის თმაში ნანახი **ვერცხლისწყალი ორჯერ ნაკლებია, ვიდრე დასაშვები ნორმა!**

„ინტერპრესნიუსი“

**ლევან მამალაძე**
*სტრატეგიული დაგეგმარების ცენტრის ხელმძღვანელი*



**სააკაშვილის** საზღვარგარეთ გაყვანა **მისი მოკვლის ან დაინვალიდებისათვის სჭირდებათ!** როგორც ჩანს, ეს სცენარი შემუშავებულია და საქართველოს საწინააღმდეგოდ გამოიყენებენ! ჭკუიდან გადასული მიშა არავის სჭირდება, ხოლო **საქართველოს საწინააღმდეგოდ და სიტუაციის ასარევად გარდაცვლილ ან „ბოსტნეულად“ ქცეულ სააკაშვილს ეფექტურად გამოიყენებენ!**

„აიპრესი“

**ნინო წილოსანი**
*პარლამენტარი*



**სააკაშვილი** მისი მმართველობიდან მოყოლებული დღემდე, **ყველა შესაძლო გზებით აზიანებს სახელმწიფოს** — ის გამოიყენება ქვეყნის წინააღმდეგ კამპანიის ერთ-ერთ ფაქტორად!

„პალიტრანიუსი“

**ირაკლი ბათიაშვილი**
*პროფესორი, ფილოსოფოსი*



როგორც ყოფილმა პატიმარმა, პირდაპირ მინდა ვთქვა, **სრული უზნეობაა მესამე პრეზიდენტის წამებასა და არაადამიანურ მოპყრობაზე ლაპარაკი.**

„TV იმედი“

**იაგო ხვიჩია**
*„გირჩის“ ლიდერი, პარლამენტარი*



**მიხეილ სააკაშვილის** მოწამვლის ვერსიის არც მე მჯერა. იმდენი ხანია, პენიტენციურ დაწესებულებაშია**ბატონი სააკაშვილი,** მისი მოწამვლა რომ სდომებოდა ვინმეს, ამას რამენაირად მოახერხებდა.

„აიპრესი“



იანურ მოპყრობას შეეწირა არაერთი უდანაშაულო პატიმრის სიცოცხლე — 23 წლის **ელდარ ქობალიათი** დაწყებული და ჭაღარა **სერგო თეთრაძით** დამთავრებული!

**მიშა შიშველია იმ დღიდან,** როცა ახალგორის რაიონი ე.წ. სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციულ საზღვრებში შეიყვანა, კოდორის ხეობას „ზემო აფხაზეთი“ დაარქვა და ბოლოს ორივე უბრძოლველად ჩააბარა რუსეთს!

**მიშა შიშველია იმ დღიდან,** როცა 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ რუსეთს საქართველოს სტრატეგიული ობიექტები გადასცა და ცალმხრივად დაუწესა უვიზო რეჟიმი!

**მიშა შიშველია იმ დღიდან,** როცა 2008 წლის აგვისტოს ომის დროს გორში მიწაზე ფორთხავდა და საკუთარ რეზიდენციაში ჰალსტუხს ღეჭავდა!

**მიშა შიშველია იმ დღიდან,** როცა 2008 წლის აგვისტოში დაკარგულ 150 სოფელს ქვების გროვა უწოდა!

**მიშა შიშველია იმ დღიდან,** როცა ომის წაგებისა და ქვეყნის ტერიტორიების დაკარგვიდან სულ ცოტა ხანში უცხოელი პორნომასაჟისტი დაიქირავა ბიუჯეტის ფულით!

**მიშა შიშველია იმ დღიდან,** როცა საქართველოს მოქალაქეობა უარყო და უკრაინის მოქალაქეობა მიიღო!

**მიშა შიშველია იმ დღიდან,** როცა **ელგუჯა ცომაიას** ტრაილერში არაჟნის ყუთებს შორის ჩაიმალა და უკანონოდ გადმოკვეთა იმ ქვეყნის საზღვარი, რომლის პრეზიდენტადაც 9 წლის განმავლობაში ითვლებოდა!

მოკლედ, **დიდი ხანია, მიშა შიშველია პოლიტიკურად!**

**დიდი ხანია, მიშა შიშველია მორალურად!**

**დიდი ხანია, მიშა შიშველია ყველას თვალში,**

# შიშველია!

## შალვა ხაჭაპურიძე:

**მე მინდა, ბატონ მიხეილ სააკაშვილს აქედან მივმართო – წამოდგეს ბატონი მიხეილ სააკაშვილი, აიწიოს პერანგი და ვიზუალურად საზოგადოებამ და თქვენ, ბატონო მოსამართლე, შეხედოთ, რა მდგომარეობაში იმყოფება ბატონი სააკაშვილი...**







**გარდა იმ სექტისა, რომელიც საკუთარი მეფის სიშიშვლეს ვერ ამჩნევს და ფარჩა-ატლასით შემოსილი ჰგონია!**

სამაგიეროდ, ქართველი ხალხი გახლავთ **ჰანს ქრისტიან ანდერსენის ზღაპრის პერსონაჟის ამპლუაში — იმ პატარა ბიჭუნას როლში,** რომელმაც მეფის სიშიშვლე არამხოლოდ შეამჩნია, არამედ ხმამაღლაც დაიყვირა — „მეფე შიშველია!“

ასე რომ, **მოსამართლე არევაძეს** პატიმარ სააკაშვილისათვის სასამართლო პროცესზე გაშიშვლების ნება რომც დაერთო, ამით ახალი და განსაკუთრებული არც არაფერი მოხდებოდა! უბრალოდ, საზოგადოება **შიშველი მეფის** მაგივრად ნახავდა **შიშველ პატიმარს,** რომლისთვისაც ამაოდ ცდილობენ წამებულის მანტიის მოსხმას!

***ჯაბა ხუბუა***

## კვირგვინოსნები

**რატი იონათამიშვილი**
*პარლამენტარი*



სახელმწიფოში დაცულია კანონის უზენაესობა და ვერავინ და ვერაფერი ჩაერევა ამაში — **კონკრეტული დამნაშავე, ამ შემთხვევაში მიხეილ სააკაშვილი მოიხდის სასჯელს ისე, როგორც ამას კანონის უზენაესობა და სამართლიანობის პრინციპები მოითხოვს!**

„იმედინიუსი“

**ვიმენ ყურაშვილი**
*ამერიკაში მომუშავე ექიმი*



**მიხეილ სააკაშვილმა** განაცხადა, რომ **უარს ამბობს სისხლში მძიმე მეტალების განსაზღვრაზე და თანხმაა, გაიკეთოს თმის ან ფრჩხილის ანალიზი.** რატომ? სწორედ იმიტომ, რომ პირიქით არის სინამდვილეში, **სისხლში ან შარდში უნდა ინახოს მძიმე მეტალი,** რომ იმსჯელო შემდგომ მის ტოქსიკურობაზე, ხოლო **თმის ან ფრჩხილის ანალიზი არ არის რეკომენდებული,** რადგან დადებითი პასუხის შემთხვევაშიც კი ვერ იმსჯელებ მის ტოქსიკურობაზე ან რამე გავლენაზე კლინიკური მდგომარეობის მხრივ. ამის შემდეგ მაინც **სისხლის ან შარდის ანალიზი** უნდა აიღო და ნახო, იქ არის თუ არა ეს მეტალი.

ძალიან სამწუხაროა და საცოდაობაა იმის ყურება, **თუ როგორ შეუძლიათ ადამიანებს თუნდაც ციხიდან ვინმეს დასახსნელად ქვეყნის იმიჯიც კი შელახონ ტყუილით,** თან უზარმაზარი ტყუილით. კონსილიუმის ექიმების მიკვირს ძალიან! ასევე ძალიან მიკვირს ყველა დანარჩენი ექიმის, ვინც ამას ისმენს და უყურებს! მზად ხართ ყველანი ერთხმად, რომ **მედიცინაც კი ასეთი პოლიტიკით დააბინძუროთ?**

„GTMEDIA“

**შალვა ხაჭაპურიძე**
*მიხეილ სააკაშვილის ადვოკატი*



**სააკაშვილი,** შესაძლოა **პოლონიუმით** მოწამლეს!

„ახალი თაობა“

**მირიან მირიანაშვილი**
*პოლიტიკური ორგანიზაცია „ილია“ თავმჯდომარე*



ამჟამად პატიმრობაში მყოფი ათი პრეზიდენტიდან **სააკაშვილი** დასავლეთიდან გამოსარჩლების მხრივ **ყველაზე ბოლო ადგილზეა!**

„ახალი თაობა“

***2022 წლის 22 დეკემბერს, როცა კლინიკა „ვივამედის“ ოროთახიან ლუქს-პალატაში მოთავსებული მსჯავრდებული სააკაშვილი თბილისის საქალაქო სასამართლოში მიმდინარე პროცესზე „სკაიპის“ მეშვეობით ჩართეს, საზოგადოების დიდი ნაწილი კიდევ ერთხელ დარწმუნდა, რომ ნაცბელადი სიმულანტობს და თავს უნიჭოდ იმკვდარუნებს.*** *სასამართლო პროცესის კვალდაკვალ, პოლიტოლოგმა, ჟურნალისტმა და პიარტექნოლოგმა* ***ლალი მოროშკინამ*** *საკუთარ ფეისბუქ-გვერდზე სააკაშვილისა და ცნობილი ბოლშევიკი რევოლუციონერის* ***სიმონ არშაკის ძე ტერ-პეტროსიანის,*** *იმავე კამოს ფოტოები ერთმანეთის გვერდით განათავსა წარწერით — „კამოს აჯობა“.* ***რატომ არის სააკაშვილი უფრო დიდი სიმულანტი, ვიდრე კამო, რომელმაც, პატიმრობიდან თავის დახსნის მიზნით, საკუთარი განავალიც კი შეჭამა და საკმაოდ დიდხანს ახერხებდა ფსიქიატრების მოტყუებას, თითქოს შეურაცხადი იყო? ამ და სხვა აქტუალურ საკითხებზე ვესაუბრებით ლალი მოროშკინას, რომელიც ჩვენთან ინტერვიუში სკანდალურ განცხადებებს აკეთებს:***







# ლალი მოროშკინა:

# რასაც ახლა მიხეილ სააკაშვილი აკეთებს, მორალური თვალსაზრისით იმაზე უარესია, ვიდრე კამოს მიერ საკუთარი ფეკალიების ჭამა!

— რასაც ახლა მიხეილ სააკაშვილი აკეთებს, მორალური თვალსაზრისით იმაზე უარესია, ვიდრე **კამოს** მიერ საკუთარი ფეკალიების ჭამა! **ვანო მერაბიშვილმა და ბაჩო ახალაიამაც** კი შეძლეს, სასჯელი ბევრად უფრო ღირსეულად მოეხადათ. სააკაშვილს დაავიწყდა, რომ ციხეს შესასვლელის გარდა გამოსასვლელი კარიც აქვს და ადამიანმა პატიმრობის წლები ისე უნდა გაიაროს, გარეთ გამოსვლის შემდეგ საზოგადოებაში თავი გამოეყოფოდეს. ჩვენ ვიცით მაგალითები, როცა ადამიანებმა ციხეში სიცოცხლეც კი დათმეს, რათა ღირსება შეენარჩუნებინათ. თუნდაც პოლკოვნიკი **სერგო თეთრაძე** გავიხსენოთ, რომელმაც გლდანის ციხეში მწამებლებს თავი შეაკლა. რა თქმა უნდა, სააკაშვილს არავინ ეპყრობა ისე, როგორც მისი რეჟიმი სერგო თეთრაძესა და არაერთ სხვა პატიმარს მოექცა, მაგრამ მაინც სამარცხვინოდ შოუს გვთავაზობს და საზოგადოებას უმტკიცებს, რომ ღირსების ნატამალიც აღარ შერჩენია!!!

**— აშკარაა, რომ სააკაშვილს წონაში აქვს დაკლებული და ფიზიკურად ცუდად გამოიყურება.**

— ვესაუბრე მედიკოსების საკმაოდ ფართო წრეს, მათ შორის, იმ ექიმებსაც, რომლებიც უშუალოდ არიან ჩართული სააკაშვილის მკურნალობაში და დანამდვილებით შემიძლია გითხრათ, რომ **იგი სრულიად შერაცხადია.** რაც შეეხება ფიზიკურ მხარეს, სააკაშვილის წონაში კლება სავსებით ბუნებრივია, რადგან სწორედ ამ მიზნით გაიკეთა კუჭის დაპატარავების ოპერაცია საქართველოში ჩამოსვლამდე ცოტა ხნით ადრე! ამასთან, **მიშა გამიზნულად არ ბანაობს, არ იპარსება და არ იპარსავს, რათა საზოგადოებაზე რაც შეიძლება დრამატული ეფექტი მოახდინოს.** საერთოდ, მისი კანი ძვირადღირებულ მასაჟებს, ბოტოქსებსა და ფილერებს არის მიჩვეული და ახლა, როცა ეს ყველაფერი მოაკლდა, ცხადია, გარეგნობაზეც აისახა. დარწმუნებული ვარ, როგორც კი მართლმსაჯულებისაგან თავის დაძვრენას მოახერხებს, მაშინვე ძვირადღირებულ დერმატოლოგებსა და კოსმეტოლოგებს მიაკითხავს და ფორმაში ჩადგება.

**— რას იტყვით იმასთან დაკავშირებით, რომ უკრაინის პრეზიდენტმა ზელენსკიმ საქართველოს ხელისუფლებას გულმოწყალების გამოჩენისა და სააკაშვილის საზღვარგარეთ სამკურნალოდ გაგზავნისაკენ მოუწოდა?**

— ზელენსკი სააკაშვილის მთავარი დამკვეთია! საქართველოში შემოპარების ოპერაციის უკანაც უკრაინის პრეზიდენტი იდგა, მაგრამ გეგმა სააკაშვილის ქართველმა პარტნიორებმა ჩააფლავეს და არ შეუსრულეს დაპირება, რომ ქუჩაში ასიათასობით ადამიანს გამოიყვანდნენ და ხელისუფლებას მისი დაპატიმრების საშუალებას არ მისცემდნენ.

**ზელენსკის, არესტოვიჩისა და მათი გუნდის მიზანი იყო, უკრაინაში ომის დაწყების მომენტისათვის საქართველოს ხელისუფლებაში სააკაშვილი და ნაცები ყოფილიყვნენ.** ისინი განიხილავდნენ ორ სცენარს: საქართველო, როგორც „მოსაცდელი დარბაზი“ ან საქართველო, როგორც შეწირული ქვეყანა!

**— თუ შეიძლება, დააკონკრეტეთ, რას გულისხმობთ?**

— ერთი სცენარის მიხედვით, ზელენსკისა და მისი გარემოცვისათვის საქართველო უნდა ყოფილიყო ნავსაყუდელი, რომელსაც „დევნილი ხელისუფლების“ სტატუსით შეაფარებდნენ თავს დაბომბილი და განადგურებული უკრაინიდან გაქცევის შემდეგ, ხოლო, მეორე სცენარის თანახმად, უკრაინაში ომის დაწყებისთანავე საქართველოს რუსეთის წინააღმდეგ **მეორე ფრონტი** უნდა გაეხსნა. ამ ორივე სცენარის განხორციელებისათვის ზელენსკისა და მის უკან მდგომ ძალებს, უპირველეს ყოვლისა, ამერიკელებს, საქართველოს ხელისუფლებაში სააკაშვილი სჭირდებოდათ!




**— კი მაგრამ, 2021 წლის 1 ოქტომბერს, როცა საქართველოში არაჟნებთან ერთად შემოპარებული სააკაშვილი დააპატიმრეს, ვინ იცოდა, რომ რამდენიმე თვის შემდეგ უკრაინაში ომი დაიწყებოდა?**

— უკრაინაში ომი რომ უნდა ყოფილიყო, ეს კარგა ხნით ადრე იცოდნენ ამერიკისა და ბრიტანეთის დაზვერვამ, აგრეთვე ზელენსკის ხელისუფლებამ, რომელსაც წინასწარ ჰქონდა მოწერილი ხელი უკრაინის დაშლაზე. საქმე ის არის, რომ უკრაინის ომი იმ გლობალური პროექტის ნაწილია, რომელიც მსოფლიოს ხელახალ გადანაწილებას გულისხმობს.

## ამ პროექტის პირველი ფაზა გახლდათ ამერიკის

# «ზელენსკი სააკაშვილის მთავარი

## კვირგვინოსნები

**ვოლოდიმირ ზელენსკი**
*უკრაინის პრეზიდენტი*



მივმართავ ქართველ ერსა და საქართველოს ხელისუფლებას, **აუცილებელია მოწყალების გამოვლენა, განსაკუთრებით — შობის წინ.** ის, რაც ახლა **სააკაშვილის** მიმართ ხდება, ბოროტებაა. გადაიყვანეთ **მიხეილ სააკაშვილი** თუნდაც უკრაინაში, ევროპის სხვა ნებისმიერ ქვეყანაში, ამერიკაში. ზუსტად ახლა არის დრო, რომ კეთილი საქმე გააკეთოთ.

„რეზონანსი“

**მიხაილო პოდოლიაკი**
*უკრაინის პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მრჩეველი*



შეუძლებელია, უყურო, **ცივილიზებული სამყაროს თვალწინ როგორ კლავენ საქართველოს ისტორიასა და მის პრეზიდენტს.** უკრაინა მზადაა, მიიღოს **მიხეილ სააკაშვილი,** უზრუნველყოს მისი უსაფრთხოება და სათანადო მკურნალობა.

„რეზონანსი“

**ნანა კაკაბაძე**
*უფლებადამცველი*



**ზელენსკიმ** საქართველოდან ელჩიც კი გაიწვია, **თავშიც არაერთხელ წამოგვარტყა და დასავლეთსაც ღიად მოუწოდა საქართველოს ხელისუფლების შესაცვლელად ზომების მიღებისკენ.** ეს ყველაფერი მხოლოდ იმიტომ, რომ **ამ ხელისუფლებამ უარი თქვა მეორე ფრონტის გახსნაზე** და ამ სახით უკრაინის დახმარებაზე.

„იმედინიუსი“

**ზაალ ანჯაფარიძე**
*ანალიტიკოსი*



**ზელენსკის** განსასჯელი არაა, საქართველოს რა შეეფერება და რა — არა, სჯობს, ეს შეფასება საკუთარ ქვეყანას მიუყენოს. **აქ რომ კონტეინერით გვიგზავნიდა მის ხელქვეითს და მისი ქვეყნის მოქალაქეს აქაური ხელისუფლების დასამხობად, ეს შეეფერება უკრაინას?**

„იმედინიუსი“

# „სააკაშვილის ლიკვიდაცია გადაწყვეტილია და მას საფრთხე საკუთარი თანაგუნდელებისაგან ემუქრება!“

**ხელისუფლებიდან ტრამპის მოშორება, მეორე ფაზა იყო კოვიდპანდემიის გამოცხადება და მესამე ფაზა არის უკრაინის ომი.**

**— რას ნიშნავს თქვენი განცხადება, რომ ზელენსკიმ წინასწარ მოაწერა ხელი უკრაინის დაშლას?**

**– ზელენსკი დათანხმდა გეგმას, რომელიც უკრაინის დაყოფას ითვალისწინებს – მისი ტერიტორიის ერთ ნაწილს რუსეთი წაიღებს, გარკვეული ნაწილი პოლონეთს გადაეცემა, დარჩენილ ტერიტორიაზე კი „ახალ უკრაინას“ ააშენებენ.**

ცხადია, ამ ყველაფრის გამო ზელენსკის სინდისის ქენჯნა არ შეაწუხებს, რადგან ეთნიკურად უკრაინელი არ არის და არც უკრაინა ყოფილა მისი სამშობლო. **ზელენსკი ყოველთვის რუსული ელიტური შოუ-ბიზნესის ნაწილი იყო და მისი მშობლიური ენაც რუსული გახლდათ, უკრაინული კი მხოლოდ მას შემდეგ ისწავლა, რაც პრეზიდენტად დასვეს.**

მოკლედ, ზელენსკი ერთგვარი „ტროას ცხენია“, რომელსაც უკრაინა შიგნიდან დაანგრევინეს. ამას უკვე უკრაინის მოსახლეობაც კარგად ხვდება, მაგრამ იქ განსხვავებული აზრი ჩახშობილია — თითქმის ყველა ოპოზიციონერი ლიდერი შინაპატიმრობაში იმყოფება, ხოლო ოპოზიციური ტელეარხები და კრიტიკული მედიასაშუალებები დახურულია. პირდაპირ რომ ვთქვათ, ზელენსკიმ უკრაინაში ტოტალიტარული რეჟიმი დაამყარა.

**— სააკაშვილის საკითხს დავუბრუნდეთ!**

— სააკაშვილის ლიკვიდაცია გადაწყვეტილია და მას საფრთხე საკუთარი თანაგუნდელებისაგან ემუქრება!

**— ანუ?**

— როგორ ფიქრობთ, რატომ გაშალეს საინფორმაციო კამპანია, თითქოს სააკაშვილი მოწამლულია? ფონს ამზადებენ! დიახ, **თვითონ მოწამლავენ სააკაშვილს და მერე იტყვიან — აი, ხომ ვამბობდით!** მე და რამდენიმე ადამიანმა საჯაროდ მივმართეთ **გიული ალასანიას**, რომ კლინიკაში სააკაშვილის მნახველთა წრე მაქსიმალურად შეზღუდოს, რათა მისი უსაფრთხოება დაცული იყოს. დარწმუნებული ვარ, მიშა, რომელიც სათავისოდ საღ აზრს არ კარგავს, ჩვენს რჩევას გაითვალისწინებს და ყველა მნახველს აღარ მიიღებს!

**— კი მაგრამ, სააკაშვილის თანაგუნდელებს მისი თავიდან მოშორება რაში სჭირდებათ?**

**— რადგან სააკაშვილმა დავალება ვერ შეასრულა და საქართველოში სახელმწიფო გადატრიალება ვერ მოაწყო, მის დამკვეთებს, მათ შორის, ზელენსკისა და არესტოვიჩს, მიშა ცოცხალი აღარ სჭირდებათ!**

როგორ ფიქრობთ, ზელენსკი რატომ ითხოვს სააკაშვილის უკრაინაში გაგზავნას? სწორედ იმისთვის, რომ მისი ლიკვიდაციის განზრახვა მოიყვანოს სისრულეში! თუმცა, უკრაინაში ან სხვა რომელიმე ქვეყანაში გაშვებას თუ ვერ მიაღწიეს, სააკაშვილის გარემოცვა მაინც ყველაფერს იღონებს, რომ მისი ლიკვიდაცია აქვე მოხდეს!

**— თუმცა, ფაქტია, რომ თავად სააკაშვილსაც აქვს სურვილი, უკრაინაში გაუშვან. ბოლო სასამართლო პროცესზე ქართულად საუბარიც კი არ ისურვა — უკრაინულად უნდა ვილაპარაკოო!**

— სააკაშვილი ცდილობს, ზელენსკი და მისი გარემოცვა დააშანტაჟოს — თუ აქედან არ გამიყვანთ, მოვყვები, რა მიზნით გამომგზავნეთ საქართველოშიო! არადა, **მიშა მართლა რომ ალაპარაკდეს, ზელენსკი მეორე დღესვე გახდება ჰააგის ტრიბუნალის მგზავრი!**

ახლა სააკაშვილის უსაფრთხოებისა და სიცოცხლის გადარჩენის ერთადერთი გარანტია საქართველოს პენიტენციურ სისტემაში დარჩენაა —- სამარტოო საკანში უნდა იჯდეს 24-საათიანი ვიდეო მეთვალყურეობის ქვეშ, რათა თავისიანებმა არ გაასაღონ!

*ესაუბრა*
*გიორგი ძაძამია*




# დამკვეთია!»

## კვირგვინოსნები

**ვატო შაქარიშვილი**, *მოძრაობა „აი ის“ თანადამფუძნებელი*



**ზელენსკის მიმართვა ქართველ ერს** — ცოტა ხმამაღლა ხომ არ ჟღერს?! **როგორ ბედავს, ქართველ ხალხს მიმართოს!**

„აიპრესი“

**ლევან ალაფიშვილი**, *სამართალმცოდნე*



პრეზიდენტის შეწყალება არ იქნება საკმარისი, რომ **სააკაშვილმა** საპატიმრო დატოვოს. ყველაზე კარგი საშუალება იქნებოდა, **სააკაშვილის როგორც უკრაინის მოქალაქის კიევისთვის გადაცემა** და დამთავრდება ეს პრობლემა.

„კვირის პალიტრა“

**ლაშა გეგეჭკორი**, *მიუსაფარ ცხოველთა კონცეპტუალური პროექტის თანავტორი*



**სოსო სირაბიძემ** აჭარის ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ლიდერს **კვერცხი ესროლა** და დაიჭირეს. **გრიგოლ ვაშაძემ** პარლამენტის წინ **თავში ჩაარტყა** სპეცრაზმელს და — არაფერი.

„GTMEDIA“

## გამოკითხვა

# სიმულანტობს თუ არა პატიმარი სააკაშვილი?



**ჯონდი ბაღათურია**, *პოლიტიკოსი:* — დიაგნოზს არცერთი მისი მომხრე ექიმი არ ამბობს, ხოლო კადრების მიხედვით ნამდვილად არ ტოვებს უძლურის შთაბეჭდილებას, საკმარისი ენერგია აქვს, რათა ისტერიკა გამართოს და ექთანს მისთვის მირთმეული ამანათი თავზე გადააყაროს. არც ლოგინიდან თავის გადმოგდების ილეთების დროს ეტყობა უძლურება.



**ნონა აღდგომელაშვილი**, *ექიმი თერაპევტი, ასტროფსიქოლოგი:* — ეგ ტიპი ყოველთვის ფსიქოპათი იყო და ამას მის გაპრეზიდენტებამდე ვამბობდი. რაც შეეხება სიმულაციას, ამის ნიშნები შეუიარაღებელი თვალითაც მშვენივრად ჩანს.



**ნანა კაკაბაძე**, *„ყოფილი პოლიტპატიმრები — ადამიანის უფლებებისათვის“ თავმჯდომარე:* — ეს იყო საკმაოდ უნიჭოდ დადგმული სიმულაცია, თავისი ლურჯი და ალაგ-ალაგ წითელი სინათლის ეფექტებით, შეწოვილი ლოყებით, აჩეჩილი თმებით, გაუპარსავი წვერით.



**გუჯა შვანგირაძე**, *რეჟისორი:* — სიმულაციაა, რა თქმა უნდა. მიშაზე ნიჭიერად, ბარე, ორი მსახიობი ვერ ითამაშებს. რომელი წელი იყო, არ მახსოვს, გურიაში კალანდაზე რომ ჩავიდა, გლეხის ოჯახში სულ შემთხვევით მოვხვდიო, რომ ამბობდა, არადა, პროფესიონალი მსახიობები დაახვედრეს, ვითომ გლეხები და მიშამ ისე შეასრულა თავისი როლი, მსახიობებიც კი პირდაღებულები უყურებდნენ.



**დავით მარტიაშვილი**, *საქართველოსა და უკრაინის ტერიტორიული მთლიანობისათვის მეომარი, ვიცე-პოლკოვნიკი:* — ვერ ვიტან, მეზიზღება და არ მეცოდება. უკვე ისეთ ჭკუაზე ვარ, გაათრიონ ქვეყნიდან, თუ ვინმე გარანტიით მიიღებს, რომ გამოჯანმრთელების მერე ქართულ ციხეში დააბრუნებენ. სიმულირებს თუ ავად არის, ფაქტია, რომ ეს ავადმყოფი გვყავდა 9 წელი პრეზიდენტად. რაც შეეხება მის „წამებას...“ ეტყობა, რომ ამ ხუროშიანთან კაცის გაუპატიურების ვიდეოები აღარ მიაქვთ და **სულიერ წამებას** განიცდის.



**დიმიტრი ლორთქიფანიძე**, *პოლიტიკოსი:* — ის, რაც საზოგადოებამ იხილა, არის არა უბრალოდ სიმულაცია, არამედ გარე მოხმარებისთვის შეფუთული, გრიმირებული და დრამატურგიულად დახვეწილი აფერისტობის მასტერკლასი!



**თემურ ბასილია**, *ყოფილი ვიცე-პრემიერი:* — სააკაშვილს 1992 წლიდან ვიცნობ და კარგად ვიცი მისი მოქმედების ლოგიკა. ნანახი კადრებით არ ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ ავადაა. ამავე დროს, მას ყოველთვის ჰქონდა ფსიქოლოგიური პრობლემები, რომლებიც უკვე აშკარად ვლინდება.



**გოჩა კეკენაძე**, *პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას დაცვის წევრი:* — სიმულირებს, ეგ განდ...ნი (ცენზურა ჩვენია — რედ.), რა თქმა უნდა!



**ია დანელია**, *ჟურნალისტი:* — შემზარა საქართველოს ყოფილი მთავარსარდლის მხრიდან აშკარა სიმულაციამ და იმის მცდელობამ, რომ კაცმა, რომელმაც ნახევარი საქართველო აწამა, ახლა თავად გამოიყურებოდეს წამებულად. არადა, ცუდი მსახიობი აღმოჩნდა. მის ბოტოქსგალეულ სახეზე, დაუვარცხნელ-დაუბანელ თმებზე და მოზრდილ ფრჩხილებზე საქართველოში გული არავის აჩუყებია. მის სიმულაციაზე სერიოზული კვლევა უნდა დადოს სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზამ, რომელიც ჯერაც არავის დაუნიშნავს საქართველოში.



**თამარ მიქელაძე**, *ქართველი ემიგრანტი:* — სააკაშვილი ავად არ არის, ის სიმულანტობს. სასწრაფოდ უნდა იქნას გადაყვანილი ციხის საკანში და დამთავრდეს ეს სამარცხვინო სპექტაკლი!



**მაია ელოშვილი**, *იურისტი:* — მიმდინარე სცენარის დაბალი ხარისხი და უნიჭოდ შესრულებული მომაკვდავის როლი მარწმუნებს, მას სიცოცხლისთვის სახიფათო არაფერი სჭირს და სიმულაციას ეწევა. მსოფლიოში არცერთი პატიმარი არ ჰყავთ ასეთ პატივში და ხმები მისი მოსალოდნელი გარდაცვალების შესახებ გადაჭარბებულია. გათავისუფლების შემთხვევაში, დარწმუნებული ვარ, ის მსწრაფლ „განიკურნება“ და აქტიურ პოლიტიკურ-კრიმინალურ საქმიანობას გააგრძელებს.



**ნათია არღვლიანი**, *ახლახან გარდაცვლილი პოლიტპატიმარ ნორა კვიციანის ქალიშვილი:* — რა თქმა უნდა, სიმულირებს, ეჭვიც არ მეპარება! მორიგი დადგმული სცენაა!



**გია სულაქველიძე**, *ექიმი-ფსიქოთერაპევტი, ფსიქოანალიტიკოსი:* — სიმულაციის დადგენისას შეიძლება სპეციალისტიც ცდებოდეს და თანაც, პაციენტთან უშუალო კონტაქტის გარეშე ამ დასკვნის გაკეთება არ შეიძლება. ტერ-პეტროსიანის, იმავე კამოს მაგალითი გაიხსენეთ...



**ზაურ ბედია**, *მფრინავი:* — ეს არის მსოფლიო დონის არტისტი და ფარისეველი, რომელიც ყველაფერს იგონებს. ისიც ყველამ იცის, რა აქვს დასახული მიზნად. არ დაუჯეროთ, თაღლითია!



**გიორგი ლილუაშვილი**, *სამხედრო ექიმი:* — სააკაშვილისთვის აქამდე არ დაუსვამთ რეალური დიაგნოზი, ხოლო, რაზეც დაქირავებული ექსპერტები საუბრობენ, აბსურდია! სინდრომ „დემენციის“ დაავადებად გასაღება კიდევ უფრო ამტკიცებს მათ უვიცობას. იმ კადრებით დამრჩა შთაბეჭდილება, რომ საზოგადოებას სანახაობას ორივე მხარე უდგამს... რა დროს მიშაა! შიმშილით უამრავი ადამიანი იღუპება და ამ დროს გაჭირვებული ადამიანებისათვის განკუთვნილი თანხები იხარჯება ვიღაცების გასართობად!



**ლაშა გოლუბიანი**, *ადვოკატი:* — დაკვირვებული თვალი ადვილად შეამჩნევდა, რომ ეს იყო ჩვეულებრივი მასკარადი: არ გაიპარსა წვერი, არ დაიჭრა ფრჩხილები! აიჩეჩა თმები, თან კამერაში ჩაერთო ლურჯ ფონზე, რათა უფრო დრამატულად წარმოეჩინა თავი. იღებდა მომაკვდავის მიმიკებს უნიჭო მსახიობივით! არადა, სრული შესაძლებლობა ჰქონდა, მოწესრიგებული წარმდგარიყო სასამართლოს წინაშე, წვერიც გაეპარსა და თმებიც დაევარცხნა. იუსტიციის სამინისტროს მიერ ადრე გავრცელებულ კადრებში ნათლად ჩანს, რომ სიარულიც შეუძლია, ყვირილიც და ექთნებისთვის ნივთების სროლაც.

*მოამზადა*
*ნინო პაპოშვილმა*

***გთავაზობთ საუბარს პოლიტოლოგ არნო ხიდირბეგიშვილთან რუსეთთან ურთიერთობების აღდგენის პერსპექტივების შესახებ, რაზეც ხშირად სპეკულირებენ სხვადასხვა პოლიტიკური და ფსევდოპოლიტიკური ძალები.***

**— რადიკალური ოპოზიცია და საქართველოს „მეგობართა ჯგუფი“ ევროპასა და აშშ-ში უკვე დიდი ხანია, ირწმუნებიან, რომ „ქართული ოცნების“ ხელისუფლება ევროატლანტიკური კურსიდან უხვევს და საქართველოში რუსეთის ინტერესებს ატარებს?**

— მთავრობას, საპარლამენტო უმრავლესობას და „ქართულ ოცნებას“ არანაირი კონტაქტი არა აქვთ რუსეთის ხელმძღვანელობასთან — პრეზიდენტის ადმინისტრაციასთან, ფედერალურ კრებასთან და მმართველ პარტიასთან „ედინაია როსიასთან“. რუსეთში არც ოპოზიციას აქვს კონტაქტები, მაგრამ არა იდეური, არამედ მერკანტილური მოსაზრებებით — **მოსკოვი არაფერს იხდის, ხოლო დასავლეთის, უკრაინისა და სააკაშვილ-კეზერაშვილის სალაროდან უხვად გაედინება ფული.**

**— იქნებ ბიძინა ივანიშვილი ინარჩუნებს კონტაქტებს რუსეთის ხელმძღვანელობასთან, რომლის რუს ოლიგარქად აღიარებას საქართველოს დასავლელი „მეგობრები“ საკანონმდებლო დონეზე ითხოვენ მის წინააღმდეგ სანქციების შემოღების მიზნით?**

— არა, **მილიარდერ ივანიშვილს** შეხება არა აქვს რუსეთის ხელისუფლების არცერთ შტოსთან, მაგრამ, როგორც ბიზნესმენი, რომელიც რუსეთში მუშაობდა, კარგად იცნობს იქაურ საქმიან ელიტას. მათ შეუძლიათ ურთიერთობა ისეთივე წარმატებით, როგორც მსხვილ ამერიკელ და ევროპელ ბიზნესმენებთან.

**— მაშინ რითი ახსნით ურთიერთკრიტიკას პრემიერს, მმართველი პარტიის თავმჯდომარეს და, მეორე მხრივ, აშშ-ის ელჩს, ევროპელ და ამერიკელ პარლამენტარებს შორის, რაც თითქმის მთელი წელი გრძელდებოდა? ამას ოპოზიცია ხელისუფლების ანტიდასავლური კამპანიით ხსნის.**

— ესეც სიცრუეა. კოლექტიურმა დასავლეთმა, რომელსაც ბოლო დრომდე რუსეთის ხელმძღვანელობაც კი პარტნიორებს უწოდებდა, საქართველოში საკუთარი თავის დისკრედიტაცია მოახდინა, რადგან გადააბიჯა წესიერების ყველა ზღვარს. უკანასკნელი წვეთი, რომელმაც მოთმინების ფიალა აავსო, იყო ბრძანება, გაეხსნათ მეორე ფრონტი რუსეთის წინააღმდეგ, რათა დახმარებოდნენ უკრაინას. ამას ივანიშვილისგან ითხოვდა ყველგან ცხვირის ჩამყოფი აშშ-ის ელჩი **კელი დეგნანი,** რომელიც 21 მარტს სპეციალურად სახლში ეახლა, ამას ითხოვდნენ კიევის ხელმძღვანელები და დიპლომატები, ასევე „ჩვენი პარტნიორები“ ევროკავშირიდან, აშშ-ისა და ე. წ. ახალი ევროპის ქვეყნებიდან.

**— ნიშნავს თუ არა კოლექტიური დასავლეთის ასეთი თვითილუსტრაცია საქართველოს ავტომატურ დაახლოებას რუსეთთან?**

— საქართველოს ხელმძღვანელობა არ ჩქარობს რუსეთთან დიალოგის დაწყებას. როგორც ჩანს, ელოდება, რითი დასრულდება ომი უკრაინაში. ამ პოზიციას იზიარებს ზოგიერთი სხვა ქვეყანაც. მაგრამ **სპეცოპერაცია შეიძლება დიდხანს გაგრძელდეს — როგორც პუტინმა თავდაცვის სამინისტროს კოლეგიის სხდომაზე განაცხადა, რუსეთის ეკონომიკა არ იქნება მილიტარიზებული რუსეთის მოქალაქეების სოციალური ინტერესების საზიანოდ.** ხოლო, როცა რუსეთი ყველა დასახულ ამოცანას მიაღწევს, წამოაყენებს უკვე სხვა პირობებს ურთიერთობების დასარეგულირებლად, მაგრამ ისინი საქართველოსთვის ნაკლებად მომგებიანი იქნება. არადა, **საქართველოს დღეს აქვს შანსი, გახდეს რუსეთისთვის ბელარუსზე არანაკლებ ღირებული პარტნიორი და მისგან ტრადიციული რუსული ექსპორტი — მარცვლეული, ნავთობპროდუქტები და ა.შ. — შეღავათიანი, თითქმის შიდა და არა საექსპორტო ფასებით მიიღოს!**

**— რას ფიქრობთ რუსეთთან ვიზების გაუქმებასა და პირდაპირი ავიამიმოსვლის აღდგენაზე, რაც არაერთხელ გამოცხადდა, მაგრამ ყოველ ჯერზე გადაიდო?**

— რუსეთის ვიზები საქართველოს მოქალაქეებისთვის მომავალი წლის ივნისში გაუქმდება და რუსეთთან პირდაპირი ავიამიმოსვლაც აღდგება. ახლა მიმდინარეობს რუტინული ტექნიკური მუშაობა პრეზიდენტ პუტინის 2022 წლის 6 სექტემბრის შესაბამისი დავალების შესასრულებლად და აქ არაფერ შუაშია პოლიტიკოსთა და საზოგადო მოღვაწეთა მიმართვები, რომლებიც უკვე მერამდენედ ცდილობენ, მიიწერონ ეს „დამსახურება“.

რჩება მხოლოდ დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენა, მაგრამ ქართული მხარის ოფიციალური პირობა ჯერ ტერიტორიების დაბრუნებაა. საქართველოში დაქსაქსული ე.წ. პრორუსული ჯგუფები კი რუსეთიდან დაახლოებით ასეთი შინაარსის დეპეშას ელიან: **„ძვირფასო ქართველებო! უარი თქვით ნატოზე და მე დაგიბრუნებთ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს. პატივისცემით ვ. პუტინი. მოსკოვი, კრემლი“.**

**— ეს ყველაფერი არარეალური და არასერიოზულია. დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენა, როგორც მართებულად აღნიშნა ერთმა მაღალკვალიფიციურმა დიპლომატმა, მხარეთა შორის კომპრომისის შედეგი კი არა, უპირველესად, კომპრომისის მიღწევის ინსტრუმენტია — აკი, იმისათვის, რომ მოვილაპარაკოთ, ჯერ უნდა ვილაპარაკოთ!**

— უპირველეს ყოვლისა, მოვიხსნათ „მზის სათვალე“ და თუნდაც თვალის მომჭრელ რეალობას საკუთარი სახელი დავარქვათ. **ცხინვალის რეგიონში სამხედრო კონფლიქტი სააკაშვილმა დაიწყო, რაც რუსეთის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარების მიზეზი გახდა.** რუსეთი სიამოვნებით გაიყვანს იქიდან სამხედრო ბაზებს და თავისი ბიუჯეტისთვის დიდ სარგებელსაც ნახავს, თუ ქართველები შეურიგდებიან აფხაზებსა და ოსებს. არადა, ადრე თუ გვიან ქართველების, აფხაზებისა და ოსების ახალგაზრდა თაობა საერთო ენას ისედაც იპოვის. სასიხარულოა, რომ ჩრდილოელ და სამაჩაბლოელ ოსებს უყვართ თბილისში სტუმრობა, რომ აფხაზები სამკურნალოდ ჩვენთან ჩამოდიან... მაგრამ, სანამ იქ სიტუაციას ვეტერანი ბოევიკები მართავენ, რომლებიც ერთნაირად აგრესიულები არიან როგორც ქართველების, ისე რუსების მიმართ, შერიგება არ მოხდება!

რაც შეეხება უბრალო ხალხს — **ვისაც შერიგება სურდა, უკვე შერიგდა,** თუმცა, ორმა ფიქტიურმა სტრუქტურამ — **შერიგების საქმეთა მინისტრის აპარატმა და იძულებით გადაადგილებულ პირთა სამინისტრომ** — არც კი იცის, საქართველოში რეალურად რამდენი ლტოლვილი დარჩა და მათგან რამდენს სურს შინ დაბრუნება. ჩემი ინფორმაციით, ისინი სულ რაღაც 20 პროცენტს თუ შეადგენენ. დიახ, უკვე მერამდენე წელია, მათ დახმარებას აძლევენ, სახლებს უშენებენ, თითქმის ყველა დაასაქმეს, ბევრი — ძალიან კომფორტულად გრძნობს თავს და, ამდენად, უკვე შეუძლებელი იქნება უწინდელი ბალანსის დაბრუნება, როცა საქართველოს ამ ძირძველ ტერიტორიებზე ქართველები უმრავლესობას წარმოადგენდნენ. დიახ, შინ დაბრუნების შემთხვევაში, აფხაზეთში ისინი უმცირესობაში იქნებიან!

**— დაბოლოს: ზაფხულში ჩამოსული რუსეთის მოქალაქეებიდან 150 ათასი საქართველოში რჩება. შეიძლება თუ არა, ამან პოზიტიური როლი ითამაშოს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების აღდგენაში?**

— საბჭოთა საქართველოში **350 ათასი რუსი** ცხოვრობდა და ეს არანაირ პრობლემას არ წარმოადგენდა. ასე რომ, **სასწრაფოდ უნდა გავაუქმოთ სულელური კანონები, რომლებიც კრძალავს აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში ნამყოფი რუსეთის მოქალაქეების საქართველოში შემოსვლას! ეს კანონები მოქმედებს საქართველოს წინააღმდეგ, რადგანაც აფხაზეთიც და ცხინვალის რეგიონიც საქართველოა!**

უფრო მეტიც, ეს კანონები აფერხებს შერიგების პროცესს ისევე, როგორც საკანონმდებლო ნორმები, რომლებიც საბჭოთა კავშირს ფაშისტურ გერმანიასთან აიგივებს. ამასთანავე, **სასწრაფოდ უნდა დაიხუროს რუსული ოკუპაციის ფეიკ-მუზეუმი,** ხოლო გამოთავისუფლებულ სივრცეში გაიხსნას **ქართული ენის კურსები საქართველოში ჩამოსული რუსებისთვის,** რომელთაგან ნახევარზე მეტს სურს ქართული ენის სწავლა და გარკვეული პერიოდის განმავლობაში აქ დარჩენა! **თუ შერიგებაა, შერიგება იყოს, კმარა, რაც ვიომეთ! ღმერთმა თავისი წყალობა არ მოაკლო საქართველოს — აღმოსავლეთიდან დაძრულ გადამთიელთა შემცვლელად ჩვენთან ჩამოვიდნენ ქრისტიანები, კანონმორჩილი, წესიერი და ლამაზი ადამიანები, შესანიშნავი პროფესიონალები და, სხვათაშორის, სრულებით აპოლიტიკური ხალხი!**

*ესაუბრა*

***ნატო ფოცხიშვილი***




## *არნო ხიდირბეგიშვილი:*

# თუ შერიგებაა, შერიგება იყოს, კმარა, რაც ვიომეთ!



**„სასწრაფოდ უნდა გავაუქმოთ სულელური კანონები, რომლებიც კრძალავს აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში ნამყოფი რუსეთის მოქალაქეების საქართველოში შემოსვლას! ეს კანონები მოქმედებს საქართველოს წინააღმდეგ, რადგანაც აფხაზეთიც და ცხინვალის რეგიონიც საქართველოა!“**

## კვირგვინოსნები

**ამირან სალუქვაძე**
*ანალიტიკოსი*



რუსეთთან კავშირები იქით მოიკითხონ. **ანდრიუს კუბილიუსი და რასა იუკნევიჩიენე** 1988-1989 წლებში **გორბაჩოვის** პერესტროიკის პროპაგანდისტები იყვნენ. მაშინ, როდესაც ლიტვა თავისუფლებისთვის იბრძოდა, ეგენი საბჭოთა კავშირის გადარჩენას ცდილობდნენ. დაიშალა საბჭოთა კავშირი და ახლა ევროპარლამენტში მოძებნეს თბილი ადგილი. ეგენი ეძებენ **ივანიშვილის** ფარულ კავშირებს რუსეთთან? **რასაც ისინი აკეთებენ, პოლიტიკოსობა კი არა, შანტაჟიორობაა!**

„კვირის პალიტრა“

**ანდრო ბარნოვი**
*პრეზიდენტის ადმინისტრაციის ყოფილი უფროსი*



ჰააგის გადაწყვეტილება **ატომური ბომბია** ოპოზიციის ხელში, თუ სწორად გამოიყენებთ. შეეშვით ყველა თავის დევნას, ვინც სადმე რამე წამოროშა. **მიზანში ამოიღეთ ბიძინა და მისი მონები.** ამდენ ტელევიზიაზე, ამდენ ონლაინ რესურსზე მიუწვდება ხელი ოპოზიციას. რეგიონებში ორგანიზაციები გაქვთ! გამოიყენეთ! თორემ **ატომური ბომბი კატის ცუილად გექცევათ.**

„ალია“

**გია ცაგარეიშვილი**
*პარლამენტარი*



ყოველი დღე ნაციონალური მოძრაობისა ამ ქვეყანაში არის **ძალადობის წახალისება და ფიქრი იმაზე, როგორ მოვიდნენ ძალადობრივი გზით ხელისუფლების სათავეში,** როგორ დაშალონ შემდეგ ქვეყანა და მიუგდონ **პუტინს** ფეხებთან.

„იმედინიუსი“

***ექსპერტი საერთაშორისო უსაფრთხოების საკითხებში, პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ვახტანგ მაისაია აცხადებს, რომ ამერიკის ციხიდან კრემლთან დაახლოებული იარაღის ბარონის ვიქტორ ბუტის გათავისუფლებასა და იმ გადატრიალებას შორის, რომელსაც ნაცმოძრაობაში მერაბიშვილი და კეზერაშვილი გეგმავენ, მჭიდრო კავშირი არსებობს:***



ვიქტორ ბუტი







# ვახტანგ მაისაია:

# დავით კეზერაშვილს ხელს ვერ ჰკიდებენ, რადგან ვანო მერაბიშვილთან ერთად ვიქტორ ბუტის პარტნიორია!

## „ვიქტორ ბუტის მარჯვენა ხელი, სერბი იარაღით მოვაჭრე ტედიჩი სააკაშვილის დროს საქართველოში იარაღის კონტრაბანდით იყო დაკავებული!“

— იარაღის ბარონი **ვიქტორ ბუტი,** რომელიც 10 წელი იჯდა ამერიკის ციხეში, ამ დღეებში რუსეთში დააბრუნეს და 31 წლის ტრანსგენდერ კალათბურთელზე **ბრიტნი გრაინერზე** გაცვალეს, რომელიც ნარკოტიკებით ვაჭრობის გამო სასჯელს რუსეთში იხდიდა.

ვიქტორ ბუტი, როგორც იარაღის ლეგენდარული კონტრაბანდისტი, რუსეთის ხელისუფლებაში ე.წ. **„სილოვიკების“ გუნდს** წარმოადგენს, რომლის მთავარი მოთამაშენი არიან **იგორ სეჩინი, ნიკოლაი პატრუშევი, ვიქტორ ივანოვი და ალექსანდრე ბორტნიკოვი.** ვიქტორ ბუტი არის რუსეთის სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის ერთგვარი დილერი, რომელიც რუსული იარაღის უკანონო ბიზნესს თავიდან ბოლომდე წარმართავდა, ყველაფერს კი აკონტროლებდა და აკონტროლებს რუსეთის ფედერალური უშიშროების სამსახური, ანუ ე.წ. „ეფესბე“.

ცნობისათვის, „სილოვიკების“ დაჯგუფებას ამ ბოლო დროს თვით პუტინთანაც კი აქვს უთანხმოება და დაპირისპირება. **ვიქტორ ბუტი** და უდიდესი ნავთობმაგნატი **იგორ სეჩინი** თანაკურსელები იყვნენ, რომლებმაც მოსკოვის უცხო ენების სამხედრო ინსტიტუტი დაამთავრეს პორტუგალიური ენის განხრით. **ბუტი და სეჩინი** ერთად იბრძოდნენ ანგოლასა და მოზამბიკში. **პუტინს** ამერიკული ციხიდან ვიქტორ ბუტის გათავისუფლების შესახებ მოთხოვნა **ნიკოლაი პატრუშევმა** შეუტანა.

ბუტმა ძალიან ბევრი რამ იცის, ის არის ძალიან მაღალი დონის და დეფიციტური სპეციალისტი და თითქმის ყველა ქვეყნის ხელისუფლება ცდილობს, ასეთ ადამიანს არაფერი დაუშავოს. ამერიკის გამოძიების ფედერალური ბიურო და იუსტიციის სამინისტრო ამაოდ ცდილობდნენ მისთვის სამუდამო პატიმრობის მისჯას. ბოლოს და ბოლოს, ბუტს ამერიკაში 25 წელი მაინც გამოუწერეს, თუმცა, რომ არა პროვოკაცია, როცა იგი ტაილანდში ჩაიყვანეს და კოლუმბიის რესპუბლიკური არმიის წარმომადგენლებს შეახვედრეს, ალბათ, ვერც დაიჭერდნენ. რუსეთის ზეწოლით, მთელი სამი წლის განმავლობაში, ტაილანდის მთავრობა ამერიკელებს ბუტს არ აძლევდა და იარაღის ბარონი სასტუმროში იყო გამოკეტილი, მაგრამ ბოლოს ამერიკელებმა თავისი გაიტანეს და ბუტის ექსტრადიცია მოახდინეს!

**— რა კავშირი აქვს იარაღის ბარონ ვიქტორ ბუტს სააკაშვილის ხელისუფლებასთან და რას უნდა მივაწეროთ მისი გათავისუფლება მაშინ, როცა მავანი სააკაშვილის სამშვიდობოს გაყვანას ცდილობს?**

— არსებობს პირდაპირი მტკიცებულებები, რომ **ვიქტორ ბუტს, ვანო მერაბიშვილსა და დავით კეზერაშვილს** შორის დანაშაულებრივი კავშირი არსებობდა და ისინი ჩართული იყვნენ იარაღის უკანონო ბიზნესში. ის ფაქტი, რომ **დავით კეზერაშვილი** დღემდე თავისუფლად დადის და ხელს ვერ ჰკიდებენ, მხოლოდ და მხოლოდ იმაზე მიგვანიშნებს, რომ ის ვანო მერაბიშვილთან ერთად ვიქტორ ბუტის პარტნიორია.

**— ამას რის საფუძველზე აცხადებთ?**

— ამას ვაცხადებ იმის საფუძველზე, რომ ვიქტორ ბუტის მარჯვენა ხელი, სერბი იარაღით მოვაჭრე **ტედიჩი** სააკაშვილის დროს საქართველოში იარაღის კონტრაბანდით იყო დაკავებული! ყველაზე მთავარი — თავის დროზე **ვანო მერაბიშვილის** მრჩეველი **ნიკოლაი პატრუშევის** თანაკურსელი და უახლოესი მეგობარი იყო, რომელიც საბჭოთა კავშირის დროს სამხედრო კონტრდაზვერვაში მუშაობდა. ასე რომ, ვანო მერაბიშვილსა და რუსეთის ხელისუფლების „სილოვიკების“ დაჯგუფებას შორის, ვიქტორ შეიმანისა და მასლოვის გარდა, კავშირს მერაბიშვილის მრჩეველიც უზრუნველყოფდა.

სხვათაშორის, როცა სააკაშვილმა დამიჭირა, ჩემს დაკითხვას ესწრებოდა მერაბიშვილის მრჩეველი — პატრუშევის თანაკურსელი და მეგობარი, რომელსაც ძალიან აინტერესებდა, საიდან ვიცოდი **ვანო მერაბიშვილისა და ვიქტორ შეიმანის** კავშირისა და იმ ტრანზაქციების შესახებ, რომლებიც მერაბიშვილთან, კეზერაშვილთან და ვიქტორ ბუტთან იყო დაკავშირებული.

**— ვინ არის პატრუშევის მეგობარი და თანაკურსელი, რომელიც ვანო მერაბიშვილის მრჩევლად მუშაობდა?**

— მის სახელსა და გვარს ამჯერად არ დავასახელებ, მაგრამ ეროვნებით ქართველი არ არის!

**— დღევანდელმა პროკურატურამ არ იცის ამ ყველაფრის შესახებ?**

— პროკურატურამ ყველაფერი იცის და ჩემს საქმეში ყველა მტკიცებულება დევს, მაგრამ არავინ არაფერს აკეთებს! უფრო მეტიც, ჩემი გამომძიებელი სატელეფონო ზარებზე არ მპასუხობს, ხოლო გენერალურმა პროკურატურამ გამოძიება, ფაქტობრივად, შეწყვიტა. სხვათაშორის, სააკაშვილის კონტრდაზვერვის სამსახურმა ოფიციალურად წამიყენა ბრალი იმის შესახებ, რომ საქართველოდან იარაღის უკანონო ტრანზაქციის სქემა გავშიფრე. აი, ამ დონის დეგენერატები მუშაობდნენ სტრუქტურაში!

**— სააკაშვილის ბიძას თემურ ალასანიას რა კავშირი ჰქონდა საქართველოდან იარაღის კონტრაბანდასთან?**

— თავის დროზე სწორედ მე გამოვააშკარავე ის ამბავი, რომ მიხეილ სააკაშვილი „კაგებეს“ ჯარებში მსახურობდა, რაც დადასტურდა კიდეც. აქედან გამომდინარე, **თემურ ალასანია** საქართველოდან იარაღის კონტრაბანდაში მონაწილეობდა თუ არა, არ ვიცი, მაგრამ **ვანო მერაბიშვილი** და **დავით კეზერაშვილი** ამ საქმეში ნამდვილად ყელამდე იყვნენ ჩაფლული! საქართველოში მიმდინარე პროცესები იარაღის ბარონის **ვიქტორ ბუტის** ამერიკის ციხიდან გათავისუფლებას საეჭვოდ ემთხვევა!

**— რას გულისხმობთ?**

— ის, რომ დღეს **ვანო მერაბიშვილი და დავით კეზერაშვილი** ნაცმოძრაობაში პოლიტიკურ გადატრიალებას აწყობენ, შემთხვევითი არ არის! როგორც ჩანს, მოსკოვს საქართველოში იარაღის ის ახალი პარტიები, ახალი ტრანზაქციები და ახალი ტექნოლოგიები სჭირდება, რომელიც მას არ გააჩნია. ამ ფონზე პრობლემის მოსაგვარებლად **ვიქტორ ბუტი, ვანო მერაბიშვილი და დავით კეზერაშვილი** იდეალური ადამიანები არიან. შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, არ გამოვრიცხავ, მათ შორის კონტაქტები აღდგეს. ვიქტორ ბუტი ამერიკელებს გამოაშვებინეს პუტინმა, რუსეთის ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანმა **ნიკოლაი პატრუშევმა** და ნავთობმაგნატმა **იგორ სეჩინმა.** აქედან გამომდინარე, ნაცმოძრაობაში მოსალოდნელი გადატრიალების უკან რუსეთის სპეცსამსახურები დგანან!

**— გადატრიალება ნაცმოძრაობაში სააკაშვილის ზურგს უკან ხდება?**

— დიახ! ვანო მერაბიშვილი და დავით კეზერაშვილი ნაცმოძრაობაში პოლიტიკურ გადატრიალებას სააკაშვილის ზურგს უკან გეგმავენ. **მათი მიზანი სააკაშვილის ჩაჩოჩებაა, ამიტომ თემურ ალასანიასა და მერაბიშვილ-კეზერაშვილს შორის დაპირისპირება რეალურია.** შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, არ გამოვრიცხავ, თემურ ალასანიამ კრემლთან ცალკე ხაზი გაჭრას...

რაც შეეხება ვანო მერაბიშვილსა და კეზერაშვილს, როგორც არაერთხელ აღვნიშნეთ, ისინი „სილოვიკებთან“ არიან მიბმული და წარმოადგენენ თემურ ალასანიას საპირისპირო ფრთას! შესაბამისად, **როგორ განვითარდება საქართველოში პოლიტიკური პროცესები, დიდწილად იმაზე იქნება დამოკიდებული, ვის დარჩება ძალაუფლება კრემლში — „სილოვიკებს“ თუ „სამხედროებს“!**

*ესაუბრა*

***დიტო ჩუბინიძე***

## კვირგვინოსნები

**სალომე ზურაბიშვილი**
*საქართველოს პრეზიდენტი*



**რუსეთიდან მასობრივი მიგრაცია** აჩვენებს ჩვენს ტოლერანტობას, მაგრამ **სტუმართმოყვარეობა არ უნდა იყოს სულელური.**

„ახალი თაობა“

**სოსო ცინცაძე**
*ექსპერტი*



რუსეთში დიდი წიოკი აქვთ, გერმანიაში **„მეოთხე რაიხის“** შექმნას აპირებენო. **გერმანიას არც ატომური ბომბის შექმნა გაუჭირდება** და არც არავის დაეკითხება, ისე გააკეთებს.

„ალია“

**რამაზ საყვარელიძე**
*პოლიტოლოგი*



მართლა ფიქრობთ, რომ რუსეთის გავლენაა **სააკაშვილის** პატიმრობა? მაშინ **ნაყოფია** რატომაა მიშას მხარდამჭერი? ის ხომ რუსეთის მოქალაქე და რუსეთზე მომუშავე ბიზნესმენია. მაშინ **ელენე ხოშტარია,** რომელიც ხელფასს იღებს რუსეთიდან, რატომ არის მიშას მხარდამჭერი? რუსეთს რომ მოუნდეს, ამ ფიგურებით შეეცდება მიშას მიმართ უარყოფითი დამოკიდებულების გაჩენას.

„კვირის პალიტრა“

**თამთა მეგრელიშვილი**
*„ხალხის ძალის“ წევრი*



დღეს რომ მორალს გვიკითხავს **ბიორგი თარგამაძე კეზერაშვილის** მიერ ჯარის ნაძარცვი ტელეეკრანიდან, სწორედ მისი ხელმოწერაც აქვს იმ მოღალატეობრივ რეზოლუციას, რომელშიც **ნაცებმა ქართულ სახელმწიფოს ომის დაწყება დააბრალეს!**

„იმედინიუსი“

## 2022 წლის 28 დეკემბერს იური სიორიძის გმირული სიკვდილიდან 30 წელი შესრულდება, ხოლო ქართული პოლიციის ისტორიაში მისი გმირული სახელი არასოდეს მოკვდება!



# საქართველოს სახალხო პოლიციელი

***რამდენი ქალაქი, რაიონი ან ადმინისტრაციული ცენტრი იცით საქართველოში, სადაც ადგილობრივი პოლიციის ყოფილი უფროსის ბიუსტი დგას, ადგილობრივი პოლიციის ყოფილი უფროსის სახელობის ქუჩა არსებობს და ადგილობრივი პოლიციის ყოფილი უფროსის სახელობის საჯარო სკოლა ფუნქციონირებს?***

საქართველოში ასეთი ადგილი, ალბათ, ძალიან ცოტაა ან — მხოლოდ ერთი!

და ასეთი ადგილი არის ოზურგეთის მუნიციპალიტეტი!

ახლა, მოდით, ასეც ვიკითხოთ — **პოლიციის რამდენი უფროსი იცით საქართველოში, ვისაც მშობლიურ კუთხეში ბიუსტი დაუდგეს და ვისი სახელიც ქუჩასა და საჯარო სკოლას მიანიჭეს?**

საქართველოში ასეთი პოლიციის უფროსი, ალბათ, ძალიან ცოტაა ან — მხოლოდ ერთი!

და ასეთი კაცი იყო **იური სიორიძე!**

**ოზურგეთის ცენტრალური ქუჩა ოზურგეთის პოლიციის ყოფილი უფროსის იური სიორიძის სახელობისაა!**

ოზურგეთში, 9 აპრილის სკვერში, ოზურგეთის პოლიციის ყოფილი უფროსის **იური სიორიძის** ბიუსტი დგას!

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის **სოფელ კონჭკათის საჯარო სკოლას** ოზურგეთის პოლიციის ყოფილი უფროსის **იური სიორიძის სახელი** აქვს მინიჭებული!

იშვიათი და უნიკალური ამბავი თუ გინდათ, სწორედ ეს არის!

საქართველოში არსებობს **სახალხო არტისტის წოდება** და საქართველოს ჰყავს **სახალხო არტისტები...** საქართველოში არსებობს **სახალხო მხატვრის წოდება** და საქართველოს ჰყავს **სახალხო მხატვრები...** საქართველოში არსებობს სახალხო ანსამბლის წოდება და საქართველოს ჰყავს **სახალხო ანსამბლები...** საქართველოში არ არსებობს **სახალხო პოლიციელის** წოდება, მაგრამ საქართველოს ჰყავდა **სახალხო პოლიციელი იური სიორიძე!**

კი, **სახალხო პოლიციელი ხარ მაშინ,** როცა პოლიციის უფროსად ხალხის დაჟინებული თხოვნით დაგნიშნავენ!

**სახალხო პოლიციელი ხარ მაშინ,** როცა ხალხი შენ გარდა არავის ანდობს საკუთარი სიმშვიდისა და უსაფრთხოების დაცვას!

**სახალხო პოლიციელი ხარ მაშინ,** როცა ხალხი სახელმწიფოს მიერ გამოგზავნილ ფორმიან და პისტოლეტიან კაცად კი არა, საკუთარ კაცად, საკუთარ ნაწილად და საკუთარ იმედად აღგიქვამს!

**იური სიორიძე** ასეთი პოლიციელი იყო!

**სახალხო პოლიციელი!**

**ხალხის პოლიციელი!**

1992 წლის მიწურულს, როცა ნაპუტჩარ და სამოქალაქო ომით გათანგულ საქართველოში დიდი ქაოსი ჰგიებდა და კრიმინალის თარეში არნახულ მასშტაბებს აღწევდა, ოზურგეთის მოსახლეობამ რამდენიმე საპროტესტო აქცია გამართა მოთხოვნით — რაიონის პოლიციის უფროსად დაენიშნათ **იური სიორიძე!**

უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, **ოზურგეთის რაიონის მოსახლეობა კატეგორიულად მოითხოვდა, პოლიციის უფროსად დაებრუნებინათ იური სიორიძე!**

დაებრუნებინათ **უკვე მეორედ!**

იგი ოზურგეთის, მაშინდელი მახარაძის, რაიონის პოლიციის უფროსის თანამდებობას პირველად 1975-1980 წლებში იკავებდა, 1988-1990 წლებში იმავე თანამდებობაზე დააბრუნეს და 1992 წლის 11 დეკემბერს უკვე მესამედ დანიშნეს ძველ პოსტზე.

**ქართული პოლიციის ისტორიაში უიშვიათესი ფაქტია, რომ ერთი და იგივე კაცი სამჯერ დაენიშნოთ ერთსა და იმავე რაიონის პოლიციის უფროსად.**

მაგრამ ხალხმა მოითხოვა **იური სიორიძე!**

**სახალხო პოლიციელი!**

**ხალხის პოლიციელი!**

მანამდე კი დიდ სპორტში იყო. კლასიკურს ჭიდაობდა, ბერძნულ-რომაულს რომ ეძახიან მეორენაირად, 10-ჯერ გახდა საქართველოს ჩემპიონი მძიმე წონაში, საბჭოთა კავშირის პირველობაზე კი სამივე სინჯის მედალს დაეუფლა: 1966 წელს — ოქროს, 1967 წელს — ვერცხლს და 1968 წელს — ბრინჯაოს. მრავალჯერ გაიმარჯვა სხვადასხვა საერთაშორისო ტურნირზე.

მერე **იური სიორიძის** ბრგე ტანზე **მოჭიდავის ფორმა პოლიციელის მუნდირმა შეცვალა,** მოჭიდავე მეტოქეები კი შეცვალეს კრიმინალმა მოწინააღმდეგეებმა.

და იქცა **სპორტის ფალავანი სამართალდამცვის ფალავნად.**

1992 წლის მიწურულს, როცა **იური სიორიძე,** ხალხის დაჟინებული მოთხოვნით, მესამედ დანიშნეს ოზურგეთის პოლიციის უფროსად, თბილისში ელვის უსწრაფესად ჩამოაღწია ხმამ — **სულ რაღაც ერთ კვირაში ისეთი წესრიგი დაამყარა, ფულით გატენილი ჩემოდანი რომ დაგრჩეს გარეთ, მეორე დღეს კაპიკმოუკლებელი დაგხვდებაო!** არადა, ის დრო იყო, მთელ საქართველოში რომ ამბობდნენ — ფეხი არ დაგრჩეს გარეთ, თორემ იმასაც მოგპარავენო!

1990-იანი წლების ქართული პოლიცია კარგად მოგეხსენებათ! სამუშაო პირობები —საშინელი! დამნაშავეთა სამყაროსთან ბრძოლის მატერიალურ-ტექნიკური რესურსი — მწირზე მწირი! აკი, **1992 წლის 20 დეკემბერს, ერთი კვირით ადრე, სანამ ბანდიტებთან შეტაკების დროს გმირულად დაიღუპებოდა, იური სიორიძე პრესაში წერდა:** *„უპირველეს ყოვლისა, გვაკლია საწვავი, რაც აუცილებელია იმისათვის, რომ დამნაშავე ცხელ კვალზე აღმოვაჩინოთ. არა გვაქვს შეიარაღება, არც — უახლესი აპარატურა. პოლიციელების მატერიალური მდგომარეობაც არასახარბიელოა. უიარაღოდ და კუპონებით ბრძოლა კბილებამდე შეიარაღებული და დოლარებით ჯიბეგატენილი ბანდიტების წინააღმდეგ ერთობ ძნელია, მაგრამ ბიჭები მონდომებულები არიან, რომ რაიონში კრიმინოგენური სტაბილიზაცია დამყარდეს. საამისოდ ისინი ცარიელი ხელებითაც შეებრძოლებიან ყველა არაკაცს, რომლებიც არღვევენ მოსახლეობის სიმშვიდეს“.*

**1992 წლის 11 დეკემბერს ოზურგეთის პოლიციის უფროსად ხალხის დაჟინებული მოთხოვნით დაბრუნებულ იური სიორიძეს თანამდებობაზე მუშაობა მხოლოდ 17 დღე დასცალდა და იმ 17 დღის განმავლობაში 17 ოზურგეთელი პოლიციელის სიცოცხლე შეეწირა ბოროტმოქმედებთან ბრძოლას.** მათ შორის იყო 20 წლის **ნუგზარ ტყემალაძე** — იური სიორიძის ხელში გაზრდილი ვაჟკაცი, რომელიც ოზურგეთის თეატრთან კრიმინალების დაკავების დროს მოკლეს.

სწორედ მაშინ თქვა ოზურგეთის პოლიციის უფროსმა: ***„რაიონის პოლიციის შემადგენლობას შეუვალად გვაქვს გადაწყვეტილი — ან დავამყარებთ წესრიგს, ან ბრძოლაში დავიხოცებით!“***

იური სიორიძის ეს სიტყვები ლიტონი პათეტიკა რომ არ იყო, სულ რამდენიმე დღეში დამტკიცდა!

**საუბედუროდ, დამტკიცდა!**

1992 წლის 28 დეკემბრის ღამის ათის ნახევარი იქნებოდა, ოზურგეთის პოლიციაში შეტყობინება რომ შევიდა — **მდინარე ჩოლოქთან, სოფელ ლიხაურისა და ქობულეთის საზღვართან, შეიარაღებულმა ბანდიტებმა ავტობუსი გაიტაცეს და შიგ მსხდომი მგზავრები მძევლებად აიყვანესო.** იური სიორიძე თავის რამდენიმე თანამშრომელთან ერთად მყისვე გაეშურა შემთხვევის ადგილისაკენ. იქ რომ მივიდნენ, ერთ-ერთმა ბოროტმოქმედმა **ოზურგეთის პოლიციის ლეგენდარული უფროსი,** დამნაშავეთა სამყაროსათვის შიშის ზარის დამცემი



საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
ოზურგეთის საგანმანათლებლო რესურსცენტრი

MINISTRY OF EDUCATION AND SCIENCE OF GEORGIA
Ozurgeti Educational ResourceCenter

3500, საქართველო, ქ. ოზურგეთი, ვ. დოლიძის ქ. №1, ტელ: (0 496) 275292, (0 496) 275356
3500, Georgia, Ozurgeti, Dolidze street №1, tel: (0 496) 275292, (0 496) 275356

MES 5 17 0001011865

04/09/2017

სსიპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ კონჭკათის საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს ბატონ მინდია გოთუას

ბატონო მინდია,

გაცნობებთ, რომ თქვენი 2017 წლის 14 ივნისის N 655717 წერილის საფუძველზე სსიპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ კონჭკათის საჯარო სკოლას მიენიჭა იური სიორიძის სახელი.

იხილეთ „სსიპ – ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ კონჭკათის საჯარო სკოლისათვის იური სიორიძის სახელის მინიჭებისა და „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 22 აგვისტოს №145/ნ ბრძანება საფუძვლებში.

პატივისცემით,

გურიის საგანმანათლებლო რესურსცენტრი / ქალაქ ოზურგეთის საგანმანათლებლო რესურსცენტრი
რესურსცენტრის უფროსი
იმედაშვილი ლელა

**დადგენილება ოზურგეთის რაიონის სოფელ კონჭკათის საჯარო სკოლისათვის იური სიორიძის სახელის მინიჭების შესახებ**

## კვირგვინოსნები

**დიმიტრი ლორთქიფანიძე**
*დამოუკიდებელი უფლებადამცველი*



ღრმად ვარ დარწმუნებული, **თუკი ქვეყანა მშვიდობიან, სტაბილურ განვითარებას შეინარჩუნებს,** აუცილებლად დადგება ის ნანატრი დღე, როცა **საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას ვიზეიმებთ.**

„საერთო გაზეთი“

**ელიზბარ ჯაველიძე**
*აკადემიკოსი*



ახალი წლის დადგომისას ყოველთვის ჩვენი დიდი წინაპრის, გამორჩეული უდიდესი ქართველის — **ილია ჭავჭავაძის** საახალწლო მილოცვა მახსენდება, რომელიც ასე იწყება: **„რა გითხრათ, რით გაგახაროთ“.** ვილაცებს **ჩვენი ომში ჩაბმა სურთ.** საკმარისია, ერთი ნაბიჯი შეგვეშალოს და საქართველო აღარ იქნება.

„საერთო გაზეთი“

**იგორ კვესელავა**
*პოლიტოლოგი*



ნაციონალური მოძრაობა **ხელისუფლებაში ვეღარ დაბრუნდება,** ასეთია საზოგადოების განწყობა!

„რეზონანსი“

## თუ ქართული პოლიციის ღირსებასა და გმირულ სულს კონკრეტული სახელები და გვარები გააჩნია, მაშინ იური სიორიძე ერთ-ერთი ასეთი სახელი და გვარია!



ოზურგეთის პოლიციის უფროსი იური სიორიძე თავის სამუშაო კაბინეტში, მოადგილეებთან თათბირისას

**და იქცა სპორტის ფალავანი სამართალდამცვის ფალავნად!**

**იური სიორიძე** იცნო და ხელყუმბარას დამცავი ბერკეტი მოხსნა — აფეთქებით იმუქრებოდა, თუ სამართალდამცავები მისკენ ნაბიჯს გადადგამდნენ. მიუხედავად ამისა, **პოლიციის უფროსი არ შედრკა და ხელყუმბარიან ბანდიტს ხელებში ეცა — ცდილობდა, იმ ადგილისათვის მოეშორებინა, სადაც გატაცებული ავტობუსის მგზავრები იყვნენ თავმოყრილი.** შეხლა-შემოხლის დროს ხელყუმბარა აფეთქდა და სამი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა — დაიღუპნენ თავად ბოროტმოქმედი, რომელსაც გახსნილი ხელყუმბარა ეჭირა, **იური სიორიძე** და მისი თანამშრომელი, პოლიციის ოფიცერი **ქახა სეფერთელაძე.**

ასე ახდა იური სიორიძის მიერ სულ რამდენიმე დღით ადრე ნათქვამი სიტყვები — **„ან დავამყარებთ წესრიგს, ან ბრძოლაში დავიხოცებით!“**

და დაიხოცნენ!

**არ გადავიდა თავის სიტყვას და თავისი ხალხისათვის მიცემულ პირობას ოზურგეთის პოლიციის უფროსად ხალხის დაჟინებული თხოვნით დანიშნული იური სიორიძე!**

**სახალხო პოლიციელი!**
**ხალხის პოლიციელი!**
**გმირი პოლიციელი!**

„დაჯილდოვდეს პოლიციის პოდპოლკოვნიკი **იური სიორიძე** „მხედრული მამაცობის“ მედლით სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას გამოჩენილი პირადი მამაცობისა და გაბედული მოქმედებისათვის (სიკვდილის შემდეგ)“. — **წერია საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის ედუარდ შევარდნაძის მიერ გამოცემულ ბრძანებულებაში.**

სახელმწიფო ჯილდო, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია!

თუმცა, **იური სიორიძის მთავარი ჯილდო მშობლიური ხალხის სიყვარული და პატივისცემაა, რამაც იგი ორჯერ დააბრუნა ოზურგეთის პოლიციის უფროსის პოსტზე!**

იური სიორიძისადმი მშობლიური ხალხის სიყვარულისა და პატივისცემის გამოხატულებაა **იური სიორიძის სახელობის ქუჩა ოზურგეთის ცენტრში, იური სიორიძის სახელობის საჯარო სკოლა ოზურგეთის რაიონის სოფელ კონჭკათში, იური სიორიძის სახელობის ჭიდაობის ტურნირი და იური სიორიძის ბიუსტი 9 აპრილის სკვერში, რომლის გახსნასაც 1996 წელს ზღვა ხალხი ესწრებოდა!**

2022 წლის 28 დეკემბერს იური სიორიძის გმირული სიკვდილიდან 30 წელი შესრულდება, ხოლო ქართული პოლიციის ისტორიაში მისი გმირული სახელი არასოდეს მოკვდება!

**თუ ქართული პოლიციის ღირსებასა და გმირულ სულს კონკრეტული სახელები და გვარები გააჩნია, მაშინ იური სიორიძე ერთ-ერთი ასეთი სახელი და გვარია!**

**სახალხო პოლიციელის** სახელი და გვარი!

**ხალხის პოლიციელის** ვინაობა!

***ჯაბა ხუბუა***

# იური სიორიძის ცხოვრება და სიკვდილი



ოზურგეთის პოლიციის სამგზის უფროსის იური სიორიძის ბიუსტი ოზურგეთში, 9 აპრილის სკვერში, რომლის გახსნასაც 1996 წელს ზღვა ხალხი ესწრებოდა




იური სიორიძის სახელობის ქუჩა ოზურგეთში

## კვირგვინოსნები

**ომარ მარგველაშვილი**
*საქართველოს და საერთაშორისო საინჟინრო აკადემიების აკადემიკოსი*



**საქაშვილს ისეთი უმძიმესი დანაშაულები აქვს ჩადენილი,** რომ ახლა რა მუხლებითაც ასამართლებენ, უდიდეს შეცდომად მიმაჩნია, უფრო სწორად, დანაშაულად! ეს საკითხი სათანადო სამართალდამცავმა ორგანოებმა სკრუპულოზურად უნდა **შეისწავლონ და გამოასწორონ,** თორემ მომავალში სანანებელი გაგვიხდება!

„საქართველოს რესპუბლიკა“

**სანდრო თვალჭრელიძე**
*ანალიტიკოსი*



**ანაკლიის პორტი აშენდება.** მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფო შეინარჩუნებს აქციათა **51 პროცენტს,** რაც საკმარისია გადაწყვეტილების მისაღებად, **49 პროცენტი** კი ინვესტორს ან ინვესტორებს შორის უნდა განაწილდეს. ამ პორტის მშენებლობაში ტვირთბრუნვა მთავარი ფსონი არ არის. **მთავარი ფსონია სტრატეგიული და უსაფრთხოების საკითხები.**

ხელისუფლებამ დასავლურ კურსს **გადაუხვია,** ასე ვთქვათ, ტლიკინში, მაგრამ გადაწყვეტილებებით **არ გადაუხვევია.**

„კვირის პალიტრა“

**გურამ მაჭარაშვილი**
*მოძრაობა „ხალხის ძალის“ წევრი*



გასაკვირი არაა, რომ **„ხალხის ძალის“** შეხედულებებს გამოკითხულთა 46 პროცენტი ეთანხმება — დღეს საზოგადოებას **გაცილებით მაღალი პოლიტიკური და ინტელექტუალური რესურსი** აქვს, ვიდრე პოლიტიკურ პარტიებს.

„იმედინიუსი“

**სოზარ სუბარი**
*მოძრაობა „ხალხის ძალის“ წევრი, პარლამენტარი*



**ლობიზმი** დასავლური დემოკრატიის **მოუშორებელ ჭირად, კორუფციის დაკანონებულ სახედ იქცა,** რომელშიც მილიარდობით ევრო იხარჯება — რასაც ადრე **ქრთამი** ერქვა, ახლა **ლობიზმი** ჰქვია!

„იმედინიუსი“



# მიხეილ ცაგარელი:

# მოდის ფაშიზმი, რომელიც დროზე უნდა ამოვიცნოთ!

***საქართველოში არსებული დღევანდელი მდგომარეობის გათვალისწინებით, ცნობილი ასტროლოგი და პოლიტოლოგი მიხეილ ცაგარელი 2023 წელს მოსალოდნელ პოლიტიკურ ამინდზე გვესაუბრება:***

— **ლურჯი კატა-კურდღლის** წელი მოდის და გასული ვეფხვის წელიწადისგან განსხვავებით, **მომავალი 2023 წელი საქართველოსთვის შედარებით მშვიდი იქნება!** 2022-ში აგრესიაც იყო, ომებიც, რევოლუციებიც და თავის დროზე კარიბის კრიზისიც სწორედ ვეფხვის წელიწადში (1962) მოხდა.

ვინაიდან **კატა-კურდღლის წელს დრაკონის წელი** (2024) მოჰყვება, ეს პერიოდი სწორად უნდა გამოვიყენოთ, ერთგვარი ტაიმ-აუტი ავიღოთ და მშვიდად, დიპლომატიურად მოვაგვაროთ საკითხები. იმას არ ვამბობ, რომ კონფლიქტები არ იქნება ან უკრაინის ომს გააჩერებენ, მაგრამ გაჩნდება მოლაპარაკების საშუალებები.

**— ჯერჯერობით საქართველოში სიმშვიდე არ არის, დაძაბულობას ქმნის თუნდაც სააკაშვილთან დაკავშირებული პროცესები...**

— ჩვენ დღეს მართლაც სააკაშვილის შოუს ვუყურებთ. არადა, ნაციონალური მოძრაობა და მისი ლიდერი თავის დროზე რომ მოეშორებინათ, დღეს საქართველო რეგიონში წამყვანი ქვეყანა იქნებოდა. ჩვენი პოლიტიკით უკან ვიხევთ და, სამწუხაროდ, **ვერც ბიძინა ივანიშვილი და ვერც „ქართული ოცნება“ წინ ვერ აღუდგა სააკაშვილის მფარველ ევროპელ და ამერიკელ ლობისტებს.** ნაციონალური მოძრაობის საკითხი თუ ვერ გადაწყვიტეს, ისევ მთლიანად დამოკიდებული ვიქნებით ამერიკელ და ევროპელ გლობალისტებზე, შორს ვერ წავალთ და ყველაფერი საქართველოსა და ჩვენი სახელმწიფოს დაღუპვით დამთავრდება!

**— სააკაშვილს ბოლომდე მხარს დაუჭერენ? აკი, ამერიკის მიერ გალმერთებული არაერთი ლიდერი გვინახავს ძირს დაცემული...**

— სააკაშვილი გლობალისტებისა და ლიბერალების გამოზრდილია და არ გაწირავენ. მათ სააკაშვილმა ძალიან ბევრი რამ გაუკეთა, თანაც წლების განმავლობაში მსუყედ აჭმევდა. გვახსოვს თუნდაც **მეთიუ ბრაიზას** ქორწილი სტამბოლში, რომლის ხარჯებიც სააკაშვილმა დაფარა. ლობისტებს ის დღესაც აჭმევს და ისიც ფაქტია, რომ სააკაშვილის გეგმით, საქართველოში მხოლოდ 800 ათასი კაცი უნდა დარჩენილიყო, რომელსაც ეცოდინებოდა მხოლოდ კომპიუტერი და უცხო ენები ისევ და ისევ უცხოელების მოსამსახურებლად. საბედნიეროდ, არ დასცალდა, თორემ ხალხი ძალიან ცუდ მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა.

**— სააკაშვილს გაათავისუფლებენ?**

— მის გადაყვანას შეეცდებიან, რადგან ის ჯერ კიდევ დასჭირდებათ უკრაინასა და საქართველოში, სხვაგანაც.

**სააკაშვილს ქვეყნის ეროვნული ინტერესების ნგრევისა და არეულობების დიდი გამოცდილება აქვს, ამას უფასებენ და ასე ადვილად არ გაწირავენ.**

**ყველაფერს გააკეთებენ, რომ ვითომ ფსიქიკურად დაავადდა ან მოწამლეს.** ეს გეგმა მას ჯერ კიდევ მაშინ დაუწერეს, სანამ ჩამოვიდოდა. საქმე მართლა სააკაშვილში კი არ არის, მის უკან დიდი ძალები დგას, ვინც ის აქ ჩამოსასვლელად მოამზადა და ვისი გეგმაც უნდა შეესრულებინა. სააკაშვილს თან ინსტრუქციაც მოაყოლეს, როგორ უნდა მოიქცეს, როგორი სახე უნდა მიიღოს, რას უნდა დაემსგავსოს. მისი კადრები მთელ მსოფლიოში უნდა გავიდეს, უნდა დაარწმუნონ ხალხი, რომ ძალიან ცუდადაა და კიდევ უარესად უნდა გამოიყურებოდეს. როგორ უნდა აუკანკალდეს ხელი, მის თმას რა უნდა დაემართოს, მერე კანს ეკრანზე როგორი ფერი უნდა დაჰკრავდეს და ა.შ. ამაზე უცხოეთში უამრავი პიარჯგუფი მუშაობდა, ამის ოსტატები არიან.

ჩვენი ხალხი შორს არის ამის წარმოდგენასთან, ვერ იჯერებენ, რომ მათ სათაყვანებელ ევროპასა და ამერიკას ამის გაკეთება შეუძლია. **ამერიკის ბოროტებასთან შედარებით, რუსეთი პატარა ბავშვია.** ჯერ კიდევ წინ გვაქვს აღმოჩენები, სააკაშვილის კადრებიც კიდევ გავრცელდება და მერე ნახეთ აღშფოთების ახალი ტალღები.

**— ამ ყველაფრიდან გამოსავალი თუ არსებობდა?**

— უკეთესი იქნებოდა, სააკაშვილი ჩამოსვლისთანავე უკრაინაში გაემწესებინათ. ასეთი გაუთავებელი ბაკქანალია არ იქნებოდა, მაქსიმუმ, რაღაც დაეჩხაპნა და ებოდიალა. 2023 წელს მას თავის დაძვრენის შანსი აქვს, თხის წელში დაბადებული მშვილდოსანია და ეს ახალი წელი ამ ნიშნებისთვის ცუდი არ არის. თავიდანვე ვთქვი — **სააკაშვილი თუ აქ დატოვეს, იტყვიან, რომ ძალიან ავად გახდა და გაათავისუფლეთ, ან პრეზიდენტს აიძულებენ, შეიწყალოს-მეთქი.** დასავლეთი აღშფოთდებოდა და მთავრობას თითს დაუქნევდა, მეგობრებისა და მხარდაჭერის დაკარგვა თუ არ გინდათ, სააკაშვილი უნდა გაუშვათო.

ამ სიტუაციაში მთავრობას მეტი აქტიურობა სჭირდება, რომ ერთხელ და სამუდამოდ მოიშოროს ნაციონალური მოძრაობა, ყველა მათი ლიბერალური ვაიმხარდამჭერები, საქართველომ უნდა იპოვოს თავისი განვითარებისა და დამოუკიდებლობის გზა, რომ გავმრავლდეთ და გადავრჩეთ. **წელს ამის შანსი გვაქვს, კოსმოსიდან სასიკეთო ენერგია მოდის, მაგრამ ერთია შესაძლებლობა და მეორეა ის, თუ როგორ გამოიყენებს ამას მთავრობა. ისინიც მთლიანად დამოკიდებული არიან გლობალისტურ და ლიბერალურ ქვეყნებზე. უნდა ჩამოიცილონ ნაციონალური მოძრაობა. მაგრამ ეს უნდა მოხდეს ნელ-ნელა.**

**— რატომ ნელ-ნელა?**

— ნაცები უცებ რომ გააქრონ, **საქართველოს ვითომ მეგობრები** ერთ ამბავს ატეხენ და შეიძლება საზიანო იზოლაცია შეგვიქმნან. ამიტომ თანდათან და ტაქტიკურად უნდა დაიწყონ ნაცების მოკვეთა, გაიჩინონ ლობისტი ჯგუფები, ისარგებლონ იმით, რომ 2023 და 2025 წლები კაცობრიობისთვის გარდამტეხია, **ამერიკაში ძლიერდება რესპუბლიკური პარტია და მიუხედავად იმისა, რომ**

*გაგრძელება 25-ე გვერდზე*

## „ნაცმოძრაობა და მისი ლიდერი თავის დროზე რომ მოეშორებინათ, დღეს საქართველო რეგიონში წამყვანი ქვეყანა იქნებოდა!“




## „ნაციონალური მოძრაობის საკითხი თუ ვერ გადაწყვიტეს, ისევ მთლიანად დამოკიდებული ვიქნებით ამერიკელ და ევროპელ გლობალისტებზე, შორს ვერ წავალთ და ყველაფერი საქართველოსა და ჩვენი სახელმწიფოს დაღუპვით დამთავრდება!“

## კვირგვინოსნები

**ოთარ ზურაბიშვილი**
*სალომე ზურაბიშვილის ძმა, საფრანგეთში საქართველოს სათვისტომოს ხელმძღვანელი*



**მიხეილ სააკაშვილის** ევროპის მრავალპროფილურ კლინიკაში კომპლექსური მკურნალობა ესაჭიროება, ეს არ შეიძლება საკამათო იყოს!

„ინტერპრესნიუსი“

**მურმან დუმბაძე**
*ნაციონალური მოძრაობა — გაერთიანებული ოპოზიციის წევრი*



ამ ქვეყნისთვის ევროპის ჭიშკრის გასაღები სწორედ **სალომე ზურაბიშვილს** უდევს. ამაზე უნდა იფიქროს ქალბატონმა პრეზიდენტმა. არ შეიძლება, ქართველებმა ჩვენი დამოუკიდებლობის ისტორიიდან **ხუთი პრეზიდენტიდან ორი სიცოცხლეს საკუთარი ხელით გამოვასალმოთ.** არ შეიძლება ასეთი დანაშაულის გამეორება. ამას ისტორია არ გვაპატიებს.

„ახალი თაობა“

**ვალერი ჩეჩელაშვილი**
*დიპლომატი*



**სააკაშვილმა** პოლიტიკური და ადამიანური ფასიც უკვე გადაიხადა საიმისოდ, რომ **სამკურნალოდ გაუშვან!**

„ახალი თაობა“

**ლია მუხაშავრია**
*იურისტი*



დარწმუნებული ვარ, **სააკაშვილის** შენახვა ყოველდღიურად რამდენიმე ათასი ლარი ჯდება და **თუკი მას გაუშვებენ სამკურნალოდ, ბიუჯეტი გათავისუფლდება ხარჯისგან** და ეს თანხები მოხმარდება სხვა მძიმე პატიმარს, რომელსაც არ უთხოვია გათავისუფლება, მაგრამ სჭირდება სამედიცინო დახმარება.

„კვირის პალიტრა“

**ხათუნა სამნიძე**
*ოპოზიციონერი პარლამენტარი*



მინდა, „ქართულ ოცნებას“ შევახსენო, რომ **მიხეილ სააკაშვილის** პოლიტიკური წონა მის ფიზიკურ წონასთან ერთად არ იკლებს.

„პირველი არხი“

# გენერალისიმუსი

№1-2 (169-170)★2022 წლის 26 დეკემბერი - 2023 წლის 8 იანვარი


„ლავრენტი ბერიას ბედი, ძირითადად, იმ ფაქტორმა განსაზღვრა, რომ რუსებს კრემლში კიდევ ერთი ქართველის პირველკაცობა არ უნდოდათ!“

*საბჭოთა საქართველოს ცეკას პირველი მდივანი ჯუმბერ პატიაშვილი „გენერალისიმუსთან“ საგაზეთო საუბარს აგრძელებს და სტალინის პიროვნების შესახებ არაერთ საინტერესო ცნობას გვაწვდის. კომუნისტური საქართველოს პირველი პირი 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიას კიდევ ერთხელ იხსენებს და ხაზგასმით აცხადებს, რომ იმ ავბედით ღამეს რუსთაველის პროსპექტზე ვიღაცამ სნაიპერებიც განალაგა, რომლებიც პატიაშვილის გამოჩენას ელოდნენ:*

დასაწყისი იხ. „გენერალისიმუსი“ 2022 წლის №43-44





## ჯუმბერ პატიაშვილი:
# სტალინიც და ბერიაც მაინც ქართველობის გამო დაისაჯნენ!

— 1943 წელს **თეირანის კონფერენციაზე სტალინმა** თავის მიზანს რომ მიაღწია და რაც უნდოდა, **რუზველტი და ჩერჩილი** ყველაფერზე დაითანხმა, გაშლილ სუფრასთან მოხდა ასეთი რამ: **ჩერჩილმა, რომელსაც ძალიან მოეწონა საქართველოდან ჩამოტანილი ვაშლი, აიჩემა და თქვა, რომ ვაშლი იყო ფრანგული. სტალინი ჩერჩილს, ცხადია, არ დაეთანხმა და უთხრა, რომ ვაშლი საბჭოთა იყო.** კამათში ჩაერთო რუზველტიც, რომელმაც აღნიშნა, რომ ვაშლი, ალბათ, იტალიური უნდა იყოს. სტალინი არ ნებდებოდა და ამტკიცებდა — ვაშლი საბჭოთააო! ბელადმა რუზველტი და ჩერჩილი რომ ვერაფრით გადაარწმუნა, აიღო ვაშლი, რომელიც გვერდულად შუაზე გაჭრა და მერე გაჭრილი ადგილები დამსწრე საზოგადოებას აჩვენა. **ჩერჩილისა და რუზველტის გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა მათ აშკარად დაინახეს ვაშლის გულში გამოსახული საბჭოთა კავშირის სიმბოლო — ვარსკვლავი.** სხვათაშორის, როგორც თეირანის კონფერენციაზე, ისე იალტაში, ჩერჩილისგან განსხვავებით, პრეზიდენტი **რუზველტი** სტალინს თითქმის ყველაფერში ეთანხმებოდა და მხარს უჭერდა, თუმცა, რაც მოგვიანებით **ჩერჩილმა** სტალინის შესახებ დაწერა, მგონი, ისეთი შეფასება ბელადის მოღვაწეობისთვის მსოფლიოში არავის მიუცია!

**— ბატონო ჯუმბერ, როგორი იყო სტალინის დამოკიდებულება საქართველოს მიმართ?**

— ჩემი თვალით მაქვს ნანახი იმ ანკეტის დედანი, სადაც **სტალინი** ადასტურებს და ხელს აწერს, რომ ეროვნებით ქართველია, ხოლო მისი მშობლიური ენა რუსულია. ცხადია, ამით მან რუსებს კოჭი გაუგორა... ასე რომ არ მოქცეულიყო, კრემლში ვერ შევიდოდა. საერთოდ, სტალინი რუსეთით ცხოვრობდა და საქართველოში მას, ფაქტობრივად, არც უმოღვაწია. **სტალინმა რუსეთი განადიდა, მთელი ძალა და ენერგია სწორედ რუსეთს შესწირა და ამ დროს, გამარჯვების დღეს, წითელ მოედანზე მისი სურათი არსად ჩანს!** ეს არის დანაშაული, სირცხვილი და დიდი უსამართლობა, რისთვისაც უფალი ღმერთი სამაგიეროს ყველას გადაუხდის! არ მინდა, გვარები და სახელები დავასახელო, მაგრამ ბევრს სამაგიერო უკვე მიეზღო...

სტალინს პირადი ცხოვრება, ფაქტობრივად, არ ჰქონია და არავითარი ქონება არ დაუგროვებია... გაგახსენებთ **სტალინის** წერილს თავისი ბავშვობის მეგობრის **პეტა კაპანაძისადმი,** რომელსაც თავისი ჰონორარი გამოუგზავნა და, ამავდროულად, **ბერიას** დაავალა, რომ მისთვის სესხიც მიეცათ. **პეტას,** ანუ იმავე **პეტრე კაპანაძის** შვილიშვილები ჩემთან ერთად სწავლობდნენ ვაკეთა მე-6 სკოლაში და მახსოვს მათი განცდები, როცა სტალინი გარდაიცვალა.

სტალინს ყველაფერი ახსოვდა, არაფერი ავიწყდებოდა და მეგობრების მიმართ საოცრად ყურადღებიანი იყო. სწორედ სტალინის მითითებით ათამაშეს გიორგი სააკაძის როლი **აკაკი ხორავას,** თორემ **მიხეილ ჭიაურელს** ამ როლზე **სპარტაკ ბაღაშვილი** სურდა. ავიღოთ თუნდაც **ალექსანდრე ფიოდორის ძე ზასიატკოსთან** დაკავშირებული ისტორია. მოგეხსენებათ, ზასიატკო 1948 წლის დეკემბრიდან 1955 წლის მარტამდე საბჭოთა კავშირის ქვანახშირის მრეწველობის მინისტრი იყო. **ზასიატკოს** მეგობარი გახლდათ ერთი თერჯოლელი კაცი, რომელმაც ამ ლეგენდარულ პიროვნებაზე ბევრი რამ მიამბო. სხვათაშორის, წყალტუბოში ერთ-ერთი ყველაზე ლამაზი და გამორჩეული სანატორიუმი „შახტსტროი“ სწორედ ზასიატკოს მინისტრობის დროს აშენდა.

ვიდრე მინისტრი გახდებოდა, **ალექსანდრე ზასიატკო** „დონბასუგოლის“ უფროსი გახლდათ. საერთოდ, სტალინს ასეთი თვისება ჰქონდა — სადაც ისვენებდა, აუცილებლად მოიკითხავდა და გაიგებდა უმაღლესი პარტიული და სახელოვნებო ელიტიდან კიდევ ვინ ისვენებდა ახლომახლო და მერე იმათთან ერთად სადილობდა ხოლმე. **აკაკი ვასაძეს** ეს ყველაფერი ძალიან კარგად აქვს აღწერილი, როცა **სპარტაკ ბაღაშვილთან** ერთად გაგრიდან სოჭში სტალინთან ჩაიყვანეს. სწორედ სოჭში მოხდა ეს ამბავი: *ალექსანდრე ზასიატკოს შესახებ სტალინს ამცნეს — სვამსო! სტალინმა ზასიატკო დაიბარა, ლაპარაკი გაუბა და საუკეთესო კონიაკით ჭიქა შეუვსო. ზასიატკომ ერთი დალია... ამის შემდეგ ბე-*


გაგრძელება მე-2 გვერდზე


**„ჩერჩილისა და რუზველტის გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა მათ აშკარად დაინახეს ვაშლის გულში გამოსახული საბჭოთა კავშირის სიმბოლო - ვარსკვლავი!“**



**რაც არასოდეს მითქვამს...** ★

# რაც არასოდეს მითქვამს...

## ჯუმბერ პატიაშვილი:

# 9 აპრილის ტრაგედია დაგეგმა იმან, ვისაც ჩემი მოშორება უნდოდა!

## ედუარდ შევარდნაძე ამ ამბავში, რასაკვირველია, მონაწილეობდა!

*დასაწყისი პირველ გვერდზე*

*ლადმა მეორე ჭიქაც შეუვსო. ზასიატკომ ისიც დალია. სტალინმა მესამეჯერ რომ დააპირა ჭიქის შევსება, ზასიატკომ ჭიქას ხელი დააფარა და ბელადს უთხრა — ტოვარიშჩ სტალინ, ზასიატკო მერუ ზნაეტ! ერთი სიტყვით, სტალინს ზასიატკო გამოცდილი ჰყავდა...*

1948 წელს საბჭოთა კავშირის ქვანახშირის მრეწველობის მინისტრი უნდა დაენიშნათ და სტალინს შეუტანეს მინისტრობის კანდიდატთა ათკაციანი სია. სიაში „დონბასუგოლის“ დირექტორი **ალექსანდრე ზასიატკო** სულ ბოლოში იყო. სტალინმა თითოეული კანდიდატი განიხილა და ბოლოს ზასიატკოსთან რომ მივიდა, იკითხა — **ა ზასიატკო?** — ტოვარიშჩ სტალინ, ზასიატკო მოჟნო, ნო ონ პიოტ! — **პიოტ, ნო ზასიატკო მერუ ზნაეტ!** — თქვა სტალინმა და **ალექსანდრე ზასიატკო** საბჭოთა კავშირის ქვანახშირის მრეწველობის მინისტრად დაინიშნა. ზასიატკომ იმ უნიკალური სანატორიუმის გარდა წყალტუბოში ერთი კოტეჯი თავისთვისაც აიშენა. მას საქართველო და ქართველები ძალიან უყვარდა... **გივი აბზიანიძე** იყო წყალტუბოს ქალაქკომის მდივანი და წყალტუბოში ცოლთან ერთად ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის ქვანახშირის მრეწველობის მინისტრი...

**— თქვენ ამ დროს ცეკას პირველი მდივანი იყავით?**

— დიახ, უკვე პირველი მდივანი ვიყავი. მაშინვე ჩავედი წყალტუბოში, სადაც ხუთასადგილიანი სანატორიუმი „საქართველო“ სულ ახალი აშენებული იყო, მაგრამ ბევრი რამ გასაკეთებული გახლდათ და დახმარება გვჭირდებოდა, რასაც ჩვენი ბიუჯეტი ვერ სწვდებოდა. საბჭოთა კავშირის ქვანახშირის მრეწველობის მინისტრს სწორედ **ალექსანდრე ზასიატკოს** მიერ საქართველოსთვის გაკეთებულ სიკეთეზე ველაპარაკე და ბოლოს ვუთხარი — როგორც ზასიატკო, თქვენც ისე დაგვეხმარეთ, რათა წყალტუბო უფრო უკეთესი გავხადოთ-მეთქი! არ მინდა, შევცდე, შესაძლოა, გივი აბზიანიძეს ეს ყველაფერი უკეთ ახსოვს, მაგრამ მინისტრი მოსკოვში დაბრუნდა თუ არა, სულ მოკლე ხანში რამდენიმე ათეული მილიონი მანეთი ჩაგვირიცხა, რომელიც წყალტუბოს გალამაზებას და ინფრასტრუქტურის გამშვენიერებას მოვახმარეთ.

**— სტალინი მოკლეს თუ ბუნებრივი სიკვდილით მოკვდა?**

— სტალინი ავადმყოფობდა... მან რამდენიმე ინსულტი გადაიტანა, თანაც ომმა დიდი ენერგია გამოაცალა. ფაქტობრივად, სამამულო ომის დროს სტალინს არ ეძინა. მთელი მოსკოვი პანიკაში იყო, ყველა გარბოდა, მაგრამ ბელადს კრემლიდან ფეხი არ მოუცვლია... სწორედ ამ საქციელმა, ამ სიმამაცემ და თავდადებამ მეორე მსოფლიო ომში ბევრი რამ განსაზღვრა. ახალს არაფერს ვამბობ — რეპრესიები საბჭოთა კავშირში დაიწყო 1934 წლის დეკემბრის შემდეგ, როცა **სერგეი კიროვი** მოკლეს. მანამდე არავითარი რეპრესიები არ ყოფილა.

**— სტალინის წინააღმდეგ შეთქმულება რეალურად არსებობდა თუ ეს ყველაფერი შეთხზეს?**

— 1986 წელია, ცეკას პირველი მდივანი ვარ და **სერგო ორჯონიკიძის** 100 წლის იუბილე აღინიშნება. მოსკოვიდან ჩამოვიდა სერგოს ქალიშვილი, ქალბატონი **ეთერი** და მისი ვაჟი, რომელიც საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროში მუშაობდა. მე საიუბილეო კომისიის თავმჯდომარე ვიყავი. **ეთერ ორჯონიკიძე,** რომელსაც შვილთან ერთად კიდევ ერთი კაცი, მოხუცი კინოოპერატორი ჩამოჰყვა, ლორეშაში წავიდა... ამ მოხუცმა კინოოპერატორმა ჩამოიტანა ძველი, დოკუმენტური კადრები და ერთ-ერთი შეხვედრის დროს მითხრა — ერთი ფირი უნდა გაჩვენოთო! ცეკაში კინოდარბაზი გვქონდა და მე, ის მოხუცი კინოოპერატორი და კიდევ რამდენიმე კაცი ვუყურებთ ძველ დოკუმენტურ კადრებს. 1937 წელია... ეკრანზე ვხედავთ ჟუკოვკას, სადაც საავიაციო პარადები ტარდებოდა. შეკრებილია მთელი პოლიტბიურო, იქ არის სტალინიც, ხოლო **სერგო ორჯონიკიძე** ამბობს სიტყვას. სერგო აცხადებს ასეთ რამეს — **„პოდ რუკოვოდსტვომ ტოვარიშჩა სტალინა მი პობედიმ!“** სერგომ ეს სიტყვა რომ თქვა, თან შეხედა სტალინს, რომელსაც არავითარი რეაქცია არ ჰქონია და არც ტაშს უკრავდა, არადა, გარშემო ოვაციებით ინგრეოდა ყველაფერი. ცოტა ხანში **სერგო ორჯონიკიძე** ისევ აცხადებს — **„პოდ რუკოვოდსტვომ ნაშეგო ვოჟდია მი პობედიმ!“** ამ დროს მოხუცი კინოოპერატორი მეუბნება — ყურადღებით დააკვირდით სტალინისა და სერგო ორჯონიკიძის ჟესტიკულაციებსა და მოძრაობებსო! ვაკვირდები და ვხედავ, რომ სტალინი არ იძვრის, გაყინულია და სერგო ორჯონიკიძეს საერთოდ არ უსმენს... მოხუცი კინოოპერატორი მეუბნება — **ეს არის წინარე პერიოდი, ვიდრე მოხდება „ზაგოვორ პეშჩერი“!** იცით, ალბათ, რაც მოხდა კისლოვოდსკში...

**— ვიცი, მაგრამ მკითხველსაც მოვუთხროთ!**

— კისლოვოდსკში, სადაც დასასვენებლად იყვნენ ჩასული, ერთ-ერთ მღვიმეში ვითომ ყავის დასალევად შეიკრიბნენ **სერგო ორჯონიკიძე** და სხვა პარტიული ხელმძღვანელები. რეალურად საუბარი მიდიოდა სტალინის დამხობაზე. ორჯონიკიძე ამას რომ მიხვდა, იქიდან წამოვიდა, მაგრამ სტალინმა მომხდარის შესახებ შეიტყო... მოკლედ, ჟუკოვკაში გამართული სამხედრო საჰაერო პარადის შემდეგ **სერ-**









აზა ადამია · გია ქარსელაძე · ეკა ბეჟანიშვილი · ელისო ქიპაშვილი · ვენერა მეტრეველი · ზაირა კიკვიძე · თამარ მამულაშვილი

თამუნა დოლიძე · თამარ ჭოველიძე · თინა ენუქიძე · მამუკა ნოზაძე · მანანა ლოლაძე · მანანა მელქაძე · მარინე ჭყონია

მზია ჯინჭარაძე · ნათია ბაშალეიშვილი · ნანა სამარგულიანი · ნატო გიორგაძე · ნოდარ ჯანგირაშვილი · ნინო თოიძე · შალვა ქვასროლიაშვილი

**გო ორჯონიკიძეს** სახლში „ენკავედეს“ წარმომადგენლები მიადგნენ. სერგომ მაშინვე დაურეკა სტალინს — ჩემთან სახლში ორგანოს წარმომადგენლები არიანო! — რა ვქნა, ხვალ შესაძლოა, ჩემთანაც მოვიდნენო! — უპასუხა სტალინმა. იმ მოხუცმა კინოოპერატორმა მითხრა — **აი, ამის შემდეგ სერგო ორჯონიკიძემ თავი მოიკლაო!**

**— ლავრენტი ბერიას შესახებ რას იტყვით?**

— **ბერიას** შეეშალა და მოტყუვდა... მან წარმოიდგინა, რომ უკვე ქვეყნის ბატონ-პატრონი იყო და ისეთ ვინმეებს ენდო, რომელთა ნდობაც არავითარ შემთხვევაში არ შეიძლებოდა. ლავრენტი ბერიას ბედი, ძირითადად, იმ ფაქტორმა განსაზღვრა, რომ რუსებს კრემლში კიდევ ერთი ქართველის პირველკაცობა არ აწყობდათ! ამიტომაც მოუწყვეს ის, რაც მოუწყვეს! **სტალინიც და ბერიაც,** ძირითადად, მაინც ქართველობის გამო დაისაჯნენ! სტალინის შესახებ ერთი საინტერესო ისტორია უკავშირდება ცნობილ პოეტს **რასულ გამზათოვს,** რომელიც საქართველოს დიდი მეგობარი იყო. 80-იანი წლებია, მოსკოვში ჩავედი, შევედი სასტუმრო „მოსკოვში“ და ვხედავ **ირაკლი აბაშიძეს...**

**— ცეკას პირველი მდივანი იყავით?**

— არა, მხოლოდ დარგის მდივანი ვიყავი. ირაკლი აბაშიძესთან მე და ჩემი მეუღლე **თინა ჭიჭინაძე** ვმეგობრობდით... ყოველ 31 დეკემბერს, ახალი წლის დადგომას 20 წუთი რომ დააკლდებოდა, ირაკლი, როგორც მეკვლე, ზარს დარეკავდა, ჩვენს ოჯახში შემოვიდოდა და ახალ წელს მოგვილოცავდა. ასე გრძელდებოდა წლების განმავლობაში. ირაკლიმ სასტუმრო „მოსკოვში“ დამინახა თუ არა, გადამეხვია. მე ვუთხარი — ნომერში ავალ, ჩემოდანს დავტოვებ და ვივახშმოთ-მეთქი! — მეთხუთმეტე სართულზე ავიდეთო! — მიპასუხა ირაკლიმ. სწორედ მეთხუთმეტე სართულზე იყო რესტორანი. ამ დროს გაიღო კარი და შემოვიდა ცნობილი დაღესტნელი პოეტი **რასულ გამზათოვი,** რომელიც მთელ რუსეთში ძალიან პოპულარული იყო. ირაკლიმ და რასულმა ერთმანეთი დაინახეს თუ არა, გადაეხვივნენ... ორივე სოციალისტური შრომის გმირია, ორივეს ოქროს ვარსკვლავი აქვს. ირაკლი აბაშიძემ რასულ გამზათოვს ჩემი თავი გააცნო და მეთხუთმეტე სართულზე დაპატიჟა. რასულმა ხელები გაასავსავა — არავითარ შემთხვევაში, სასტუმრო „ნაციონალში“ გადავიდეთო! „ნაციონალი“ „მოსკოვის“ მოპირდაპირე მხარეს იყო... რასულ გამზათოვმა სასტუმრო „ნაციონალის“ რესტორანში მე და ირაკლი აბაშიძეს დიდებული სუფრა გაგვიშალა, ქართული კონიაკი შეუკვეთა, მიუხედავად იმისა, რომ სომხური კონიაკი უფრო პოპულარული იყო და დაიწყო — **მინდა, ქართული კონიაკით შევსვა დიდი სტალინის სადღეგრძელო!** მე და ირაკლი სმენად ვიქეცით, ხოლო რასულ გამზათოვმა ასეთი ამბავი მოგვიყვა: *1948 წელს სტალინურ პრემიაზე მამაჩემთან ერთად, რომელიც ასევე პოეტი იყო, მეც წარმადგინეს... მაშინ ძალიან ახალგაზრდა ვიყავი... საბჭოთა კავშირის მწერალთა კავშირის თავმჯდომარე* ***ალექსანდრე ფადეევმა,*** *რომელმაც სტალინს დასაჯილდოებელთა სია ხელმოსაწერად შეუტანა, ბელადს მოახსენა — ამხანაგო სტალინ, სიაში მამა-შვილი გამზათოვი ერთად იყო, მაგრამ ჩვენ ამჯერად მამას ვაძლევთ სტალინურ პრემიას, შვილი ძალიან ახალგაზრდაა და ცოტას დაიცდისო! სტალინმა მოაწერა სიას ხელი და მამაჩემმაც სტალინური პრემია მიიღო... დადგა 1949 წელი, საერთოდ არ მიფიქრია არანაირ პრემიაზე, არც წარდგენილი ვყოფილვარ და* ***ფადეევმა*** *ისევ შეუტანა სტალინს დასაჯილდოებელთა მორიგი სია, რომელშიც მე, ცხადია, შეტანილი არ ვიყავი. ჩემს აულში ვარ და მოსკოვიდან მირეკავენ — სასწრაფოდ უნდა ჩამოხვიდეთ, სტალინური პრემია მოგენიჭათ, დაჯილდოების ცერემონიალზე უნდა იყოთო! ჩამოვედი მოსკოვში და შევხვდი საკავშირო მწერალთა კავშირის თავმჯდომარე* ***ალექსანდრე ფადეევს,*** *რომელმაც მითხრა — შენ სტალინურ პრემიაზე წარდგენილი არ ყოფილხარ, მაგრამ სტალინს სია ხელმოსაწერად რომ შევუტანე და შენი გვარი ვერ ნახა, მკითხა — აი, ის ახალგაზრდა ბიჭი, რომელმაც მამამისის გამო ვერ მიიღო პრემია, რატომ არ შეიტანეთ დასაჯილდოებელთა სიაში? აი, ასე მომანიჭა სტალინმა სტალინური პრემია!* რასულ გამზათოვი ძალიან მადლობელი იყო ამის გამო და საქართველოს მიმართ ჰქონდა გასაოცარი სიყვარული და დამოკიდებულება.

**— მოდით, ახლა ჩვენს ეპოქაში გადმოვინაცვლოთ! 1989 წლის 9 აპრილის ღამეს რუსთაველის პროსპექტზე სნაიპერები ვინ განალაგა და ამის შესახებ როდის შეიტყვეთ?**

— ეს ამბავი მაშინ არ ვიცოდი! ამდენად, ეს არ ყოფილა მიზეზი, რომ მომიტინგეებთან არ ჩავედი.

**ბიუროზე განხილვა მიდიოდა, ჩავსულიყავი თუ არა რუსთაველზე, მთავრობის სასახლის წინ. მეუბნებოდნენ, რომ ჩასვლას აზრი არ ჰქონდა და მომიტინგეებთან ჩემი გამოჩენა ვითარებას კიდევ უფრო დაძაბავდა.**

აი, მაგალითად, **ომარ ფარქოსაძე** კატეგორიულად მეუბნებოდა, რომ იქ ჩემ ჩასვლას არავითარი აზრი არ ჰქონდა!

**— სნაიპერების თემა მაინტერესებს! ვინ მოიყვანა სნაიპერები და სად ისხდნენ?**

— ინფორმაცია იმის შესახებ, რომ რუსთაველზე სნაიპერები იყვნენ განლაგებული და ჩემ გამოჩენას ელოდნენ, შევიტყვე რამდენიმე წლის წინათ. როგორც მეუბნებიან, ისინი გალერეის თავზე ისხდნენ...

**— ვინ მოიყვანა სნაიპერები?**

— ერთი სათხოვარი მაქვს ყველასთან — **9 აპრილის შესახებ ყველა ყველაფერს ლაპარაკობს, მაგრამ ერთი კაცი დუმს და ხმას არ იღებს! არ გაინტერესებთ, რას იტყვის 9 აპრილის შესახებ მაშინდელი უშიშროების მინისტრი გივი გუმბარიძე?** გუმბარიძის ინტერვიუ სადმე წაგიკითხავთ? გუმბარიძესთან ვინმე მისულა და უკითხავს — შენ 9 აპრილის ღამეს რას აკეთებდიო? „გოსდუმაში“ უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარედ **კრიუჩკოვს** რომ ამტკიცებდნენ, დეპუტატმა **ემელიანოვმა** პირდაპირ ჰკითხა — **როგორ მოხდა, რომ საქართველოს „კაგებეს“ მინისტრი გივი გუმბარიძე 9 აპრილის ტრაგედიის შემდეგ საქართველოს ცეკას პირველი მდივანი გახდა?** იცით, რა უპასუხა კრიუჩკოვმა? — გუმბარიძემ 15 წუთით ადრე გაიგო, თუ რა ხდებოდა თბილისში! 9 აპრილის ტრაგედია წინასწარ დაგეგმილი იყო... **ანატოლი სობჩაკი** თბილისში რომ ჩამობრძანდა, მე არ შემხვდა!

**— რატომ?**

**— იმიტომ, რომ დადიოდა და დროს ატარებდა!**

**— ვინ დაგეგმა 9 აპრილის ტრაგედია?**

— 9 აპრილის ტრაგედია დაგეგმა იმან, ვისაც ჩემი მოშორება უნდოდა! **9 აპრილი პირადად მე მომიწყვეს!**

**— და ვინ იყო ეს კაცი, ედუარდ შევარდნაძე?**

— დიახ, **შევარდნაძე** ამ ამბავში, რასაკვირველია, მონაწილეობდა!

**— იყო თუ არა ედუარდ შევარდნაძე 1989 წლის 8 აპრილს თბილისში?**

— **1989 წლის 8 აპრილს შევარდნაძე თბილისის აეროპორტში, თვითმფრინავში იყო და ამის შესახებ არაფერი ვიცოდი.** ეს ამბავი მოგვიანებით შევიტყვე იმ ქალბატონისგან, რომელმაც უშიშროების მინისტრი **გივი გუმბარიძე** შევარდნაძესთან შესახვედრად თბილისის აეროპორტში მდგარ თვითმფრინავში ააცილა და იქ შევარდნაძე დაინახა!

**— ეს თბილისის აეროპორტში მოხდა თუ ვაზიანში?**

— არა, ქალბატონმა შევარდნაძე თბილისის აეროპორტში მდგარ თვითმფრინავში ნახა!

**— ანუ შევარდნაძე თვითმფრინავში „ცხოვრობდა“, გუმბარიძეს შესაბამის ინსტრუქციებს აძლევდა და თქვენ, რესპუბლიკის პირველმა პირმა, არაფერი იცოდით იმის შესახებ, რომ საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ედუარდ შევარდნაძე 1989 წლის 8 აპრილს თბილისში იყო ჩამოსული?**

— დიახ, ამის შესახებ არაფერი ვიცოდი, ეს ყველაფერი ჩემს ზურგს უკან ხდებოდა! 8 აპრილს ჩემს მისაღებში დარეკეს — **„ლიტერ-რეის პრიბივაეტ!“** აგერ არის **ბელა წიკლაური,** დღეს აუდიტში მუშაობს და იმან იცის ყველაფერი... ისე ვიყავი არეულ-დარეული, ძილი არ მქონია, არც მიკითხავს, ვინ მოფრინავდა ამ „ლიტერ-რეისით!“ მაგრამ თხუთმეტ წუთში ისევ გადმორეკეს და გვითხრეს — რაღაც შეიცვალა, ფრენა გაუქმდა და „ლიტერ-რეისი“ აღარ მოფრინავსო! **როგორც ჩანს, მომატყუეს და 8 აპრილს სწორედ იმ რეისით ჩამოაფრინეს შევარდნაძე!**

*ესაუბრა*

***დიტო ჩუბინიძე***

***გაგრძელება იქნება***




გივი გუმბარიძე






რასულ გამზათოვი



ირაკლი აბაშიძე

**„რასულ გამზათოვმა სასტუმრო „ნაციონალის“ რესტორანში მე და ირაკლი აბაშიძეს დიდებული სუფრა გაგვიშალა, ქართული კონიაკი შეუკვეთა და დაიწყო – მინდა, ქართული კონიაკით შევსვა დიდი სტალინის სადღეგრძელო!“**

# რატომ შეიქმნა და რატომ დაინგრა საბჭოთა კავშირი




***1921-1922 წლებში ლენინ-ტროცკის „წითელმა არმიამ“ შეუძლებელი შეძლო და ყოფილი რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში მყოფი ტერიტორიების დიდი ნაწილი ხელახლა დაიპყრო, მათ შორის — „ერთა ლიგის“ წევრი ქვეყნების მიერ დე იურე დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღიარებული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა. ცნობისათვის, მსოფლიო თანამეგობრობას არც უკრაინა ჰქონდა აღიარებული, არც — სომხეთ-აზერბაიჯანი და არც — ბელორუსია. ცენტრალური აზიის დღევანდელი ქვეყნების დამოუკიდებლობაზე კი მაშინ საუბარი სასაცილოც კი იყო.***

აი, ასეთ სიტუაციაში ყველა ფიქრობდა, რომ **ლენინი და ტროცკი** დაპყრობილ ტერიტორიებს უშუალოდ საბჭოთა რუსეთის შემადგენლობაში მოაქცევდნენ, მაგრამ მათ არაორდინარული გადაწყვეტილება მიიღეს და **1922 წლის 30 დეკემბერს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის** შექმნა გამოაცხადეს, სადაც რუსეთის ფედერაცია ერთ-ერთ მოკავშირე რესპუბლიკას წარმოადგენდა. თავდაპირველად საბჭოთა კავშირი ოთხი სუბიექტისგან შედგებოდა — **რსფსრ, უკრაინის სსრ, ბელორუსიის სსრ და ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკა,** რომელშიც, თავის მხრივ, გაერთანებული იყო სამი სუვერენული სახელმწიფო — **საქართველოს სსრ, სომხეთის სსრ და აზერბაიჯანის სსრ.** ერთი სიტყვით, საბჭოთა კავშირი თავდაპირველად ექვსი სუვერენული სახელმწიფოს თანამეგობრობას წარმოადგენდა, სადაც სამი სახელმწიფო თითო-თითო ხმით სარგებლობდა, ხოლო დანარჩენი სამი სახელმწიფო — ერთი კოლექტიური ხმით.

**სტალინი საბჭოთა კავშირის შექმნის იდეას თითქოსდა არ იზიარებდა, მაგრამ სინამდვილეში მან ყველაზე უკეთ უწყოდა, რომ სსრკ-ის შექმნა გარდაუვალი და აუცილებელი იყო.** სტალინის მოღვაწეობამ დაადასტურა, რომ სინამდვილეში ბელადი საბჭოთა კავშირის შექმნას ემხრობოდა, მაგრამ **1922 წელს ის რუსი შოვინისტი კომუნისტების გრძნობებზე თამაშობდა, რათა ამ ხერხით რუსულ რეაქციულ ისტებლიშმენტში მხარდამჭერები და გულშემატკივრები გაეჩინა.**

საბჭოთა კავშირი შეიქმნა იმიტომ, რომ ლენინი და ტროცკი მიზნად ისახავდნენ მსოფლიოში პროლეტარული რევოლუციის ექსპორტს და, სულ მცირე, ევროპის „გაწითლებას“ მაინც. მათ ამ საქმეში მთავარ პარტნიორად გერმანელი კომუნისტები ეგულებოდათ. გერმანიაში კომუნისტური რეჟიმის დამყარების შემთხვევაშიც კი გერმანიის რუსეთის ფედერაციაში შემოყვანა გამორიცხული იყო, მაგრამ საბჭოთა კავშირში კომუნისტური გერმანიის გაწევრიანება სავსებით რეალური ჩანდა, რის პირობასაც გერმანელი კომუნისტები იძლეოდნენ. აი, სწორედ ეს გახლდათ მთავარი მიზეზი საბჭოთა კავშირის შექმნისა.

**საბჭოთა კავშირი მსოფლიოს ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე უფრო ძლევამოსილი, მაგრამ, ამავდროულად, გამორჩეულად ხანმოკლე სიცოცხლის მქონე იმპერია აღმოჩნდა.** უდღეურობით მას მხოლოდ **ნაპოლეონის, ალექსანდრე მაკედონელისა და გერმანიის იმპერიები** უსწრებენ. **ბონაპარტების იმპერიამ** იარსება **1804 წლის 2 დეკემბრიდან 1814 წლამდე,** შემდეგ **1815 წელს მხოლოდ ასი დღე** და ბოლოს **1852 წლიდან 1870 წლის ჩათვლით,** როცა საფრანგეთს **ნაპოლეონ ბონაპარტის ძმისშვილი ნაპოლეონ მესამე** მართავდა, რომელიც სედანის ბრძოლაში პრუსიელებმა დაატყვევეს. სწორედ ამ ბატალიებს მოჰყვა ვერსალის სარკეებიან დარბაზში **1871 წლის 18 იანვარს კაიზერული გერმანიის უდღეური იმპერიის** შექმნა, რომელმაც **1918 წლის ნოემბრამდე** იცოცხლა.

რაც შეეხება **ალექსანდრე მაკედონელის იმპერიას,** ის შეიქმნა დაახლოებით ძველი წელთაღრიცხვის 329 წელს და 309 წლამდე იარსება!

**რომის იმპერია** დაფუძნდა **ძველი წელთაღრიცხვის 27 წელს,** როცა **გაიუს ოქტავიანემ** „ავგუსტუსის“ ტიტული მიიღო. იმპერია ორად გაიყო **395 წელს,** იმპერატორ **თეოდოსიუს პირველის** დროს, რომელმაც თავის ორ ვაჟს — **არკადიუსსა და ჰონორიუსს** აღმოსავლეთისა და დასავლეთის იმპერატორების ტიტულები მიანიჭა. **დასავლეთ რომის იმპერიამ იარსება 476 წლის 23 აგვისტომდე,** როცა ბარბაროსმა **ოდოაკრმა** იმპერატორი **რომულუს ავგუსტულუსი** გადააყენა და საიმპერატორო ასიგნიები აღმოსავლეთ რომის იმპერატორ **ზენონ ისავრიელს** გაუგზავნა. რაც შეეხება **აღმოსავლეთ რომის, ანუ ბიზანტიის იმპერიას,** მას ეს სახელი ევროპელმა ისტორიკოსებმა **კონსტანტინოპოლის** ადგილას ძველი ბერძნების მიერ დაარსებული პოლისის — **ბიზანტიუმის** სახელიდან გამომდინარე უწოდეს. **ბიზანტიის იმპერია 1453 წლის 29 მაისს** დაეცა, როცა **მეჰმედ მეორემ** კონსტანტინოპოლი აიღო!

ბიზანტიის იმპერიის ადგილზე წამომართული **ოსმალეთის სახელმწიფო,** როგორც პატარა სამთავრო, 1299 წელს ვინმე **ოსმანმა** დააარსა. 1402 წლის ივლისში ანგორასთან გამართულ ბრძოლაში, როცა **თემურლენგმა სულთანი ბაიაზიდ პირველი** დაატყვევა, ოსმალთა სახელმწიფომ, ფაქტობრივად, არსებობა შეწყვიტა, მაგრამ 1421 წელს ისევ აღდგა და 1923 წლამდე იარსება, ვიდრე ოსმალეთის იმპერიის ნანგრევებზე აღმოცენებული თურქეთის რესპუბლიკის ლიდერმა **მუსტაფა ქემალმა** სულთანატი არ გააუქმა!

იურიდიულად **ფრანკთა იმპერიას** არასოდეს უარსებია და **კარლოს დიდის** გაიმპერატორებაც შემთხვევითობა იყო. კერძოდ, როგორც ცნობილია, 800 წლის 25 დეკემბერს რომში ჩასულ **კარლოსს** მოულოდნელად რომის პაპმა თავზე რომის იმპერატორის გვირგვინი დაადგა და რომის იმპერატორად ბიზანტიის უზურპატორი და შვილის დამამხობელი იმპერატრიცა ირინას საპირწონედ აკურთხა. ცნობილია, რომ **ბიზანტიის დედოფალმა ირინამ** 787 წელს მსოფლიოს მეშვიდე საეკლესიო კრება მოიწვია, მაგრამ ამის შემდეგ ხიბლში ჩავარდა, საკუთარი შვილი დაამხო და 797 წელს თავი იმპერატორად გამოაცხადა. ამ ფაქტს პატრიარქთა უმეტესობა არ აღიარებდა, რასაც ის შედეგი მოჰყვა, რომ 802 წელს ირინა დაამხეს, ხოლო 811 წელს **ბიზანტიის იმპერატორმა კარლოს დიდი** ბიზანტიის იმპერატორის თანამმართველად ცნო დასავლეთ ევროპაში. **კარლოს დიდის** ცხოვრების აღმწერი და მეგობარი ისტორიკოსი **ეინჰარდი** წერს, რომ, **როცა რომის პაპმა კარლოსს მოულოდნელად იმპერატორის გვირგვინი დაადგა, კარლოსი შიშისაგან ძრწოდა, რადგან ფიქრობდა, რომ ამას ბიზანტიელები არ აპატიებდნენ და მის სამფლობელოში შეიჭრებოდნენ.** ეს რომ თავიდან აეცილებინა, **კარლოსმა დედოფალ ირინას** ხელიც კი სთხოვა და შემდგომში ბიზანტიას საკომპენსაციოდ იტალიაში დიდი ტერიტორიებიც კი დაუთმო. **კარლოს დიდის** სახელმწიფომ 843 წელს ვერდენის ფიცით არსებობა შეწყვიტა.

**საღვთო რომის იმპერია 962 წლიდან 1806 წლამდე არსებობდა და მას ბოლო ნაპოლეონმა მოუღო.** ეს ძალიან სიცოცხლისუნარიანი, მაგრამ, ამავდროულად, სუსტი და მარად მომაკვდავი იმპერია იყო, რადგან სახელმწიფოს ძირითად ენას წარმოადგენდა ლათინური, მაგრამ ამ ენაზე ვერ ლაპარაკობდა იმპერიის დომინანტი გერმანელი ერი. შესაბამისად, ეს იმპერია რეფორმაციამდე კულტურას ვერ ქმნიდა, ხოლო რეფორმაციის შემდეგ მრავალ ნაწილად გაიხლიჩა, შინაგანად გამოიფიტა და დამოუკიდებლად ბრძოლის წარმოებაც კი არ შეეძლო.

არსებობდნენ იმპერიებად წოდებული დამანგრეველი ურდოები — **ჰუნები, ხაზარები, თურქ-სელჩუკები, მონღოლები და თემურ-ლენგი.** მათ შორის განსაკუთრებული სისასტიკითა და ბოროტების ექსპორტით გამოირჩეოდა **თემურლენგი,** რომელიც საქართველოში ვაზს ჩეხდა, მაგრამ ამ დროს ლოთი იყო და სწორედ ლოთობით მოკვდა. **მსოფლიო ცივილიზაციისთვის თემურლენგის მიერ მიყენებული ზარალი დღემდე აუნაზღაურებელია.**

**მონღოლთა ურდო 1206 წელს დაფუძნდა და 1250-იანი წლებისთვის ევრაზიის უდიდეს ნაწილს აკონტროლებდა. მათ არაფერი შეუქმნიათ, სამაგიეროდ, არიული სლავების ერთ ნაწილს, კერძოდ, რუსებს მენტალიტეტი და პოლიტიკური აზროვნება საუკუნოდ დაუმახინჯეს!** მონღოლთა იმპერიის უკანასკნელმა ნაშთმა — **ყირიმის სახანომ** 1783 წლამდე იარსება, როცა ის რუსეთის იმპერიამ დაიპყრო და შეიერთა!

**დიდი ბრიტანეთის სამეფო** მე-19 საუკუნეში მსოფლიოს ყველა დროის უდიდესი და უძლიერესი სახელმწიფო იყო, მაგრამ ბრიტანეთის მონარქები ისევე, როგორც მე-12 საუკუნის მსოფლიოს უძლიერესი სახელმწიფოს — **საქართველოს მონარქები,** „იმპერატორის“ ტიტულს არ ატარებდნენ. ცხადია, არ უნდა დაგვავიწყდეს ის ფაქტი, რომ საქართველოს მეფის ტიტულატურაში არსებობდა **„შაჰინშაჰის“** ტიტულიც და საქართველოს მეფეები ტრაპიზონის იმპერატორთა „პატრონებად“ ითვლებოდნენ. დაახლოებით ამ კონტექსტში უნდა განვიხილოთ ის ამბავი, რომ **დედოფალმა ვიქტორიამ** დამატებით ტიტულად მიიღო **„ინდოეთის იმპერატორის“** ტიტული, რომელსაც ბრიტანეთის მონარქები ინდოეთის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებამდე ატარებდნენ. საქართველოსა და ბრიტანეთის იმპერიები და იმპერატორები იურიდიულად არ არსებობდნენ, მაგრამ საქართველო და ბრიტანეთი სხვადასხვა ეპოქაში მსოფლიოს უძლიერესი ზესახელმწიფოები იყვნენ!

**რუსეთის იმპერია** 1721 წელს **პეტრე დიდმა** შექმნა და მან ოფიციალურად 1917 წლის 1 სექტემბრამდე იარსება. მიუხედავად მისი საბჭოთა კავშირად ტრანსფორმაციისა და შემდეგ დანგრევისა, **რუსეთი ისევ და ისევ რჩება მსოფლიოს უდიდეს იმპერიად, რომელიც უკრაინის დასამორჩილებლად ევროპაში სამკვდრო-სასიცოცხლო ომს აწარმოებს, რადგან უკრაინის გარეშე რუსეთი არათუ იმპერიას ვერ შეკრავს, არამედ მისი, როგორც სახელმწიფოს არსებობა კითხვის ნიშნის ქვეშ დადგება!**

საერთოდ, **ისტორია გვასწავლის, რომ ნებისმიერი იმპერია აუცილებლად დაინგრევა!**

როგორც წესი, **იმპერიები ინგრევიან მაშინ, როცა ისინი თავიანთ საფუძველს სპობენ!** ასე, მაგალითად, **რომის იმპერიამ ნგრევა მაშინ დაიწყო,** როცა იტალიელ ლეგიონერებს იმპერატორებმა გერმანელი ბარბაროსები ანაცვალეს! **ბიზანტია დაინგრა მაშინ,** როცა მან უარი თქვა მრავალეროვანი მსოფლიო საქრისტიანოს ცენტრის ფუნქციაზე და ბერძნულ სამეფოდ დაიწყო გადაკეთება! ხოლო **საბჭოთა კავშირის ნგრევა მაშინ დაიწყო,** როცა ნაძირალა **ნიკიტა ხრუშჩოვმა და მისმა მემკვიდრეებმა სტალინის** სახელი შებღალეს, ხოლო მისი საქმე დაგმეს!

სტალინისა და სტალინიზმის გარეშე საბჭოთა კავშირისა და კომუნისტური სისტემის არსებობა ნონსენსი იყო!

**ბელადის გარეშე საბჭოთა კავშირი მართლაცდა „ბოროტების იმპერიად“ იქცა, რომელიც 1991 წლის დეკემბერში სამმა ლოთმა — ბორის ელცინმა, სტანისლავ შუშკევიჩმა და ლეონიდ კრავჩუკმა ბელორუსიის ტყეში და ბელოვეჟის ტევრში აშენებულ აბანოში მთვრალ მდგომარეობაში შესრულებული ხელმოწერით დაანგრიეს!**

***დიტო ჩუბინიძე***

## იყო და არა იყო რა... ★







## საბჭოთა კავშირს უდღეურობით მხოლოდ ნაპოლეონის, ალექსანდრე მაკედონელისა და გერმანიის იმპერიები უსწრებენ!

# ბიორბი ბეჟირბანის პასუხი მკითხველს ☆

# სუსხიანი „ექიმთა საქმე“ და იოსებ სტალინის უკანასკნელი ზამთარი

**გთხოვთ, დაწვრილებით გვიამბოთ ე. წ. „ექიმთა საქმეზე“, რომელიც გენერალისიმუსის მოულოდნელ და საიდუმლოებით მოცულ სიკვდილს უძღოდა წინ. გვაინტერესებს კრემლის საავადმყოფოს ექიმ ლიდია ტიმაშუკის პიროვნება და ბედი, რომელიც ჯერ გმირად შერაცხეს, მერე კი პროვოკატორად გამოაცხადეს.**





**ალექსანდრე შჩერბაკოვი (1901–1945) და ანდრეი ჟდანოვი (1896–1948), ლიდია ტიმაშუკის წერილის მიხედვით, ექიმების მიერ არასწორად დასმულ დიაგნოზს ემსხვერპლნენ.**



ამ მართლაცდა დეტექტიური ამბის თხრობა, ალბათ, სტალინის ერთ-ერთი უახლოესი თანამოსაგრის **ალექსანდრე შჩერბაკოვის** გამოუცნობი სიკვდილით უნდა დავიწყოთ. 1938 წელს ამ 37 წლის მზარდმა პარტიულმა მუშაკმა მოსკოვის პარტიის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივნის პოსტზე **ხრუშჩოვი** შეცვალა, რომელმაც აშკარად ვერ გაამართლა ბელადის იმედები.

**შჩერბაკოვმა** დაუყოვნებლივ დაიწყო დედაქალაქის ხელმძღვანელი კადრების წმენდა **ხრუშჩოვის მიერ დანიშნული ხალხისაგან,** რითაც, ბუნებრივია, პარტაპარატის ბევრი წარმომადგენლის დიდი სიყვარული ვერ მოიპოვა. მიუხედავად ცკ-ში მოსული საჩივრების და ანონიმური წერილების ნაკადისა **(რომლებიც, უდავოდ, ხრუშჩოვის და მისი დამქაშების მიერ იყო ორგანიზებული),** სადაც **შჩერბაკოვს** ხელაღებით ადანაშაულებდნენ ლოთობასა და გარყვნილებაში, **სტალინი** კარგი თვალით უყურებდა დედაქალაქის პარტორგანიზაციის ახალ ხელმძღვანელს, ითვალისწინებდა მის აზრს და ხშირად აღნიშნავდა, რომ ახალმა ხელმძღვანელობამ, ბოლოს და ბოლოს, მოსკოვში წესრიგი დაამყარა. განსაკუთრებით გამოიჩინა თავი **შჩერბაკოვმა** ომის წლებში, მისი წვლილი დედაქალაქის დაცვაში შეუფასებელია. და აი, უზომო მუშაობით წელმოწყვეტილი **შჩერბაკოვი** ომის მიწურულს გულით ავადდება. მას გარკვეული ხნით კრემლის საავადმყოფოში აწვენენ, მაგრამ **1945 წლის 9 მაისს ექიმები აცხადებენ, რომ პაციენტს სერიოზული არაფერი სჭირს, წოლით რეჟიმს აუქმებენ და საავადმყოფოდან წერენ.** 10 მაისს, შინისაკენ მიმავალს, მას მანქანაში გული უსკდება და კვდება.

მათ, ვისაც ეს ხელს აძლევდა, მოახერხეს 44 წლის ადამიანის მოულოდნელი სიკვდილის მიჩქმალვა. მაგრამ სამი წლის შემდეგ უეცრად იღუპება კიდევ ერთი მსხვილი პარტიული მუშაკი, ფაქტობრივად, მეორე კაცი პარტიაში, სტალინის მეგობარი, სკპ (ბ) ცკ-ის მდივანი **ანდრეი ჟდანოვი.** ისიც ინფარქტით კვდება.

მალე დაცვის მთავარი სამმართველოს უფროსის ნ. ვლასიკის სახელზე მოდის კრემლის საავადმყოფოს ექიმი-კარდიოლოგის **ლიდია ტიმაშუკის** წერილი, რომელშიც ავტორს ამ სამკურნალო დაწესებულებაში გამეფებული უმსგავსობის ფაქტები მოჰყავს და აუწყებს, რომ **შჩერბაკოვიც და ჟდანოვიც** ექიმების მიერ არასწორად დასმულ დიაგნოზს ემსხვერპლნენ.

ჩნდება კითხვა — **ვინ მკურნალობდა ან ერთს, ან მეორეს?**

ამის გარკვევა ადვილია. **შჩერბაკოვის და ჟდანოვის** მკურნალი ექიმი **პროფესორი ეტინგერი** იყო, კონსულტანტი — **პროფესორი ვინოგრადოვი.**

თუმცა, თავდაპირველად მკითხველს წერილის ავტორი გავაცნოთ.

**ლიდია ფედოსეევნა ტიმაშუკი** 1898 წელს დაიბადა უნტერ-ოფიცრის ოჯახში. დაამთავრა გიმნაზია, 1918 წელს სამარის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე ჩააბარა, 1920 წელს დროებით შეწყვიტა სწავლა, რადგან აქტიურად ჩაერთო რუსეთში მძვინვარე ტიფთან ბრძოლის კამპანიაში. 1926 წელს სამედიცინო განათლება მოსკოვში დაასრულა და ამ დროიდან დაიწყო მუშაობა კრემლის საავადმყოფოში.

**რას უსვამდა ხაზს ტიმაშუკი თავის განცხადებაში?**

**„გარდა იმისა,** — წერდა ტიმაშუკი, — **რომ კრემლის საავადმყოფოსა და პოლიკლინიკაში დაბალკვალიფიციური კადრები მუშაობენ, რომლებიც აქ ნაცნობობით და ნათესაობით ეწყობიან, ადგილი აქვს წამყვანი ექიმების მხრიდან გულგრილ დამოკიდებულებას.“** მაგალითად, ტიმაშუკი წერს, რომ პირადად **პროფესორების ვინოგრადოვისა და ეტინგერის** თანდასწრებით გადაუღო **ავადმყოფ ჟდანოვს** კარდიოგრამა, რომელმაც ინფარქტი დაადასტურა. მან კარდიოგრამის ზოლები ქაღალდზე დააწება და დიაგნოზი მიაწერა — **„მიოკარდის ინფარქტი წინა კედლის და ძგიდის მიდამოში“.** მაგრამ ორივე პროფესორი შეედავა მის ამ დიაგნოზს და ავადმყოფს სრულიად საპირისპირო მკურნალობა დაუნიშნეს.

**რით პასუხობს ვლასიკი ამ საგანგაშო სიგნალს?** ის დაუფიქრებლად ჩამოწერს მას არქივში.

ამასობაში **ჟდანოვის** ცხედრის გაკვეთა **ლიდია ტიმაშუკის** დიაგნოზს ადასტურებს. ამის შეტყობის შემდეგ ექიმი მეორე განცხადებას წერს. მაგრამ აქ ის აშკარა შეცდომას უშვებს და წერილს ცკ-ის მდივნის **ალექსეი კუზნეცოვის** სახელზე აგზავნის.

ტიმაშუკის გათვლა აშკარაა — **კუზნეცოვი ჟდანოვის აღზრდილია, მის მიერ დაწინაურებული, და უთუოდ მიიღებს სათანადო ზომებს.** ტიმაშუკს, რა თქმა უნდა, წარმოდგენაც არა აქვს, რომ **ჟდანოვის რჩეული კუზნეცოვი** ურთიერთთავდებობით არის დაკავშირებული პოლიტბიუროს სხვა წევრებთან, რომლებიც სტალინისა და მისი გუნდის წინააღმდეგ, ფაქტობრივად, შეთქმულებას აწყობენ. მთავარი კი ის არის, რომ **კუზნეცოვი სხვებზე მეტად იყო დაინტერესებული ჟდანოვის სიკვდილით, რადგან იმედი ჰქონდა, რომ გათავისუფლებული ადგილი მას ერგებოდა.**

კუზნეცოვი წერილს იმათ გადაუგზავნის, ვისზეც ტიმაშუკი ჩივის — კრემლის საავადმყოფოს ხელმძღვანელობას. და მალე წერილის ავტორი ქუჩაში აღმოჩნდება.

**ტიმაშუკი** არ ცხრება და კიდევ ერთ წერილს აგზავნის, ამჯერად КГБ-ში, მინისტრ აბაკუმოვთან. და მხოლოდ ამის შემდეგ იწყება ორი ცნობილი ხელმძღვანელის უცნაური სიკვდილის გამოძიება. ამ გამოძიებას შედეგად **პროფესორ ეტინგერის** დაპატიმრება მოჰყვება. **ეტინგერის** დაკითხვას უშიშროების სამინისტროს განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებელი, პოდპოლკოვნიკი **მიხეილ რიუმინი** აწარმოებს. პათოლოგიური ანტისემიტი და იუდოფობი რიუმინი თავიდანვე ცდილობს, საქმე **„სიონისტურ შეთქმულებად“** წარმოადგინოს, მაგრამ ერთ მშვენიერ დილას, როდესაც გამოძიებაში მყოფი **ეტინგერის** უშიშროების შინაგანი ციხიდან მასთან მოყვანას მოითხოვს, იგებს, რომ პატიმარი **აბაკუმოვის** ბრძანებით ლეფორტოვოს ციხეში გადაიყვანეს, სადაც ღამით მოულოდნელად გარდაიცვალა გულის დამბლით.

როგორც ვხედავთ, **აბაკუმოვმა,** ერთი მხრივ, „რეაგირება მოახდინა“ სიგნალზე და **ეტინგერი** დააპატიმრა, ანუ მასთან პრეტენზია ვერავის ექნება, ხოლო, მეორე მხრივ, ყველაფერი გააკეთა, რომ პატიმარი დადუმებულიყო.

**რიუმინი მალენკოვის** კაცია, მისი თვალი და ყური უშიშროების სამინისტროში. მალენკოვის თანაშემწის **სუხანოვის** საშუალებით ის თავის მფარველს უკავშირდება, მომხდარს ატყობინებს, მალენკოვი კი ურჩევს, სტალინის სახელზე წერილი დაწეროს, რომელშიც ყველა ფაქტს აღწერს და ამ საქმეში **მინისტრ აბაკუმოვის** „დანაშაულებრივ როლზე“ მიუთითებს.

რიუმინის განცხადებას სტალინს პირადად **მალენკოვი** აცნობს. **სტალინი რიუმინს პირისპირ ხვდება, ბელადის კაბინეტიდან უბრალო პოდპოლკოვნიკი სახელმწიფო უშიშროების მინისტრის მოადგილედ გამოდის.** ცოტა ხანში აბაკუმოვს თანამდებობიდან ხსნიან, გარკვეული ხნის შემდეგ კი აპატიმრებენ. ახალ მინისტრად პარტიულ მუშაკს, მანამდე პარტიის თათრეთის საოლქო კომიტეტის მდივანს ნიშნავენ.

**რიუმინი** დაჟინებული ადამიანია. ის ტიმაშუკის სიგნალების შესახებ იგებს. წერილები არქივიდან გამოაქვთ. მათი არსებობა და ის, თუ როგორ მოეკიდნენ ამ სიგნალებს **ვლასიკი და აბაკუმოვი,** სტალინისთვის ხდება ცნობილი. ვლასიკს სტალინის თანაშემწის თანამდებობიდან ხსნიან. **ერთმანეთის მიყოლებით აპატიმრებენ კრემლის საავადმყოფოს ექიმებს, მათ შორის, ცნობილ პროფესორებს — ვინოგრადოვს, ვოვსის, ეგოროვს, მაიოროვს, კოგანს** და ა. შ. დაპატიმრებულები აღიარებენ **„სიონისტური შეთქმულების“** არსებობას და ხელმძღვანელობის წევრთა **„არასწორ მკურნალობას“.**

**1953 წლის 13 იანვარს** „პრავდა“ ბეჭდავს სარედაქციო სტატიას **„საზიზღარი ჯაშუშები და მკვლელები პროფესორ-ექიმების ნიღბით“.** პრესაში ქვეყნდება სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება გამოვლენილი სიფხიზლისათვის **ლიდია ტიმაშუკის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ,** მაგრამ როგორც **სვეტლანა ალილუევას,** ისე მახლობელი აგარაკის ეკონომის **ვალენტინა ისტომინას** მოწმობით, სტალინი ბოლომდე არ იჯერებდა, რომ კრემლის ექიმები მავნებლები იყვნენ.

**გადის 1953 წლის იანვარი. ჩაივლის თებერვალი. მარტის დასაწყისში კი სტალინი მოულოდნელად კვდება.**

ბელადის გარდაცვალებიდან თვეც არ არის გასული — მარტის ბოლოს და აპრილის დასაწყისში **„ექიმთა საქმეში“ ყველა დაპატიმრებულს ათავისუფლებენ და ისინი კვლავ თავიანთ თანამდებობებს იკავებენ კრემლის სამკურნალო-სანიტარიულ სამმართველოში.** „პრავდაში“ ჩნდება ახალი, დიამეტრულად საპირისპირო ცნობა **„ექიმთა საქმის“ შესახებ,** რომელიც გაერთიანებულმა შსს-მ მოამზადა **(მინისტრი — ლ. ბერია).** მასში გვარწმუნებენ, რომ **ექიმების მიერ მავნებლობის აღიარება „საბჭოთა კანონებით უმკაცრესად აკრძალული მეთოდებით იქნა მოპოვებული.“ სხვაგვარად რომ ვთქვათ — წამებით.** იმავე დღეს (5 აპრილს) ქვეყნდება ბრძანებულება **ტიმაშუკის ლენინის ორდენით დაჯილდოების გაუქმების შესახებ.** გარკვეული ხნის შემდეგ გაიელვებს მოკლე ინფორმაცია **რიუმინის დაპატიმრების და დახვრეტის შესახებ.**

მე-20 ყრილობაზე ხრუშჩოვი განაცხადებს, რომ **„ექიმთა საქმე“ სტალინმა შეთითხნა პროვოკატორისა და ორგანოების აგენტის — ტიმაშუკის დასმენაზე დაყრდნობით.**

ყრილობის დამთავრებისთანავე **ტიმაშუკი** სკკპ ცკ-ში წერილს წერს, რომელშიც ცდილობს, ახსნას, როგორ მოხდა ყველაფერი, აღადგინოს სამართლიანობა და თავისი პატიოსანი სახელი. ბუნებრივია, მას არავინ პასუხობს. **უმუშევარი ექიმი კერძო პრაქტიკით ირჩენს თავს. საკავშირო და რესპუბლიკური გაზეთების მკითხველები კი მრისხანე წერილებით მის გასამართლებას და მოსკოვიდან გასახლებას მოითხოვენ — „ბერიას პროვოკატორი დედაქალაქიდან წაეთრიოს“.** თუმცა, 1945 წლიდან ბერია სახელმწიფო უშიშროების ორგანოებს კურატორობას აღარ უწევს, მეტიც, სწორედ მან ბრძანა დაპატიმრებული ექიმების გათავისუფლება. მაგრამ ბერია ამ დროს უკვე მკვდარია და მისთვის ყველაფრის გადაბრალება შეიძლება. სხვათაშორის, **ხრუშჩოვი** მოხერხებულად სარგებლობს ამ გარემოებით და **22-ე ყრილობაზე აცხადებს, რომ „ექიმთა საქმე“ „სტალინის დავალებით ბერიამ შეთითხნა“.**

ტიმაშუკს არ ასამართლებენ და არც ასახლებენ. მაგრამ მისი მდგომარეობა რთულია. სამსახურში არსად იღებენ, კერძო პრაქტიკა მხოლოდ თავის გატანის საშუალებას იძლევა.

გადის 10 წელი. **ტიმაშუკი სკკპ 23-ე, ამჯერად უკვე ბრეჟნევულ ყრილობას სწერს. მაგრამ თავისი წინამორბედი ხრუშჩოვის მსგავსად, ექიმს პასუხის ღირსად არც ბრეჟნევი თვლის.** 1988 წელს ღრმად მოხუცებული ლიდია ტიმაშუკი კვლავაც სახელგატეხილი, სიღატაკეში აღესრულება.

ჩვენ ფაქტები გადმოვეცით. დასკვნები კი მკითხველმა გააკეთოს — **ვინ და რისთვის მოაწყო „ექიმთა საქმე“, ვინ აგებს პასუხს შჩერბაკოვის, ჟდანოვის და თავად სტალინის სიკვდილზე და ვინ იყო ლიდია ტიმაშუკი — პროვოკატორი თუ მსხვერპლი?**

ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ექიმ ლ. ფ. ტიმაშუკის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

იმ დახმარებისათვის, რაც მთავრობას გაუწია მკვლელ-ექიმთა მხილების საქმეში, ექიმი ლიდია ფედოსის ასული **ტიმაშუკი** დაჯილდოებულ იქნას **ლენინის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. შვერნიკი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი.

მოსკოვი, კრემლი. 1953 წ. 20 იანვარი.

*„კომუნისტი“, 1953 წლის 23 იანვარი*

საზიზღარი ჯაშუშები და მკვლელები პროფესორ-ექიმების ნიღბით

დღეს ქვეყნდება საკდესის ქრონიკა მავნებელ ექიმთა ჯგუფის დაპატიმრების შესახებ. ეს ტერორისტული ჯგუფი, რომელიც რამდენიმე ხნის წინათ აღმოაჩინეს სახელმწიფო უშიშროების ორგანოებმა, მიზნად ისახავდა, მავნებლური მკურნალობის გზით, სიცოცხლე შეემოკლებინა საბჭოთა კავშირის აქტიური მოღვაწეებისათვის.

...ნად მხილებულია ბინძური სახე ამ ჯაშუშური სიონისტური ორგანიზაციისა, რომელიც თავის საზიზღარ საქმიანობას ფარავდა ქველმოქმედების ნიღბით.

ემყარებოდნენ რა ებრაელთა გახრწნილ ბურჟუაზიულ ნაციონალისტთა ჯგუფს, პროფესიონალმა ჯაშუშებმა და ტერორისტებმა „ჯოინტიდან“, ამერიკის დაზვერვის დავალებითა და...

...ბევრ ჩვენს მუშაკში წარმოშობენ განცხრომისა და თვითდამშვიდების განწყობილებას. ამგვარი განწყობილება ჯერ კიდევ როდია დაძლეული. დოყლაპიები ჩვენში ჯერ კიდევ ცოტა როდია. სწორედ ჩვენი ადამიანების ეს დოყლაპიობა წარმოადგენს მასაზრდოებელ ნიადაგს ავაზაკური მავნებლობისათვის.

...რომლებსაც მხარს უჭერს იმპერიალისტური სამყარო, კვლავაც გასწევენ მავნებლობას.

ყოველივე ეს ავალებს საბჭოთა ადამიანებს ყველა ღონისძიებით გააძლიერონ რევოლუციური სიფხიზლე, ფხიზლად ადევნონ თვალყური მტრის ოინებს...

*„კომუნისტი“, 1953 წლის 14 იანვარი*

# რა მოხდა ნაძალადევის კლუბში და რატომ უწოდა ისიდორე რამიშვილმა სტალინს «ყორღანაშვილი»



ისიდორე რამიშვილი

***პროფესორი სვიმონ მასხარაშვილი სტალინთან დაკავშირებულ ერთ საჩოთირო ისტორიას იხსენებს, რომლის შესახებაც მითქმა-მოთქმა ასი წლის შემდეგაც არ წყდება. მეცნიერი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ნაძალადევის კლუბში მომხდარმა ინციდენტმა თბილისისადმი სტალინის დამოკიდებულება იმდენად შეცვალა, რომ საქართველოს დედაქალაქს ყოველთვის თავს არიდებდა:***

— ათეული წლებია, საქართველოში გავრცელებულია ტრივიალური ისტორია იმის შესახებ, თითქოს გასაბჭოების შემდეგ თბილისში პირველად ჩამოსულ სტალინს ნაძალადევის რაიონში, გიორგი პლეხანოვის სახელობის კლუბში, ვაგონშემკეთებელი ქარხნის მუშები და, ზოგადად, თბილისის მუშათა კლასის წარმომადგენლები ძალიან ცუდად შეხვდნენ, დაუსტვინეს, მასზე საცემრად გაიწიეს და ა.შ.

ეს შეხვედრა ნაძალადევში 1921 წლის 7 ივლისს მართლაც გაიმართა და საქართველოსა და თბილისისადმი სტალინის დამოკიდებულებაზე დიდი გავლენა იქონია. მომხდართან დაკავშირებით ერთადერთი წყარო **ვლასა მგელაძის** მემუარებია, რომელიც ძალიან ტენდენციურია... ვლასა მგელაძე ცნობილი სოციალ-დემოკრატი — მენშევიკი იყო, მაგრამ არა **კაკი წერეთლისა და კარლო ჩხეიძის** მსგავსი კოსმოპოლიტი. იგი პატრიოტი გახლდათ, რომელმაც 1918 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება მთელ თბილისს იმით ამცნო, რომ მამადავითზე აირბინა და ზარების რეკვა ატეხა. **ვლასა მგელაძემ,** მაქსიმ გორკის მეშვეობით, კუნძულ კაპრიზე პირადად გაიცნო ლენინი, ის გახლდათ სახალხო გვარდიის ერთ-ერთი დამფუძნებელი და ძალიან აქტიური პიროვნება, რომელიც სტალინსაც იცნობდა.

**— 1921 წლის 7 ივლისის სკანდალური შეხვედრის შესახებ თავად სტალინს არავითარი მოგონება არ დაუტოვებია?**

— სტალინი მაშინ თბილისიდან იმდენად შეურაცხყოფილი წავიდა, ნაძალადევის კლუბში გამართული შეხვედრა არასოდეს გაუხსენებია! უფრო მეტიც, 1921 წლის 7 ივლისის ინციდენტის შემდეგ ბელადი თბილისში გავლით თუ ჩამოვიდოდა, თორემ საქართველოს დედაქალაქს ყოველთვის ერიდებოდა. სწორედ ამიტომ იყო, რომ დედამისის დაკრძალვაზეც არ ჩამოსულა... **ბელადი სად აღარ ისვენებდა — ლიკანში, ბაგრაში, ბიჭვინთაში, შოვში, წყალტუბოში, მაგრამ თბილისსა და, განსაკუთრებით, ნაძალადევს — მუშათა უბანს, სადაც ყველას იცნობდა და თითქმის ყველა ოჯახში ჰქონდა ჭიქა ღვინო აწეული, 1921 წლის 7 ივლისის შემდეგ კეთროვანივით ერიდებოდა!**

**— მაინც რა მოხდა ნაძალადევში, გიორგი პლეხანოვის სახელობის კლუბში, 1921 წლის 7 ივლისს?**

— შევთანხმდეთ, რომ 1921 წლის თებერვალ-მარტში საქართველოს გასაბჭოება ქართველების ხელით და რუსის ჯარით მოხდა! **რევკომში ყველა მნიშვნელოვანი თანამდებობა, სხვა რესპუბლიკებისგან განსხვავებით, მხოლოდ ქართველებს ეჭირათ და რუსის ჯარსაც ქართველები შემოუძღვნენ. ამდენად, თუ სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში ადგილი ჰქონდა რუსულ კომუნისტურ ოკუპაციას, საქართველოში განხორციელდა ქართული კომუნისტური ოკუპაცია, რადგან ოკუპაციის სათავეში სწორედ ქართველი ბოლშევიკები და „შულავერის კომიტეტი“ იდგნენ!**

დანამდვილებით ვერავინ იტყვის, 1921 წლის 7 ივლისამდე სტალინი თუნდაც ერთხელ ჩამოსული იყო თუ არა ახლად გაწითლებულ საქართველოში, მაგრამ ფაქტია, რომ არავითარი საბუთი არ არსებობს იმის დასამტკიცებლად, რომ სტალინი, **სერგო ორჯონიკიძის მსგავსად,** საქართველოში „წითელ არმიას“ შემოუძღვა.

1921 წლის 7 ივლისს საქართველოში ჩამოსული სტალინი რუსეთის კომპარტიის პოლიტბიუროს წევრი და კრემლის მესვეურთაგან თანამდებობით ყველაზე დიდი ქართველი იყო. არ უნდა დაგვავიწყდეს ერთი რამ — **ფილიპე მახარაძე, მიხა ცხაკაია, სერგო ორჯონიკიძე, ბუდუ მდივანი და „შულავერის კომიტეტის“ სხვა წევრები** სწორედ იმ პერიოდში, როცა სტალინი საქართველოში ჩამოვიდა, აქტიურად ხვდებოდნენ მშრომელებს და ინტელიგენციის წარმომადგენლებს, მაგრამ არსად იმის მსგავსი ინციდენტი არ მომხდარა, რასაც ნაძალადევის კლუბში ჰქონდა ადგილი. ეს ყველაფერი გვაფიქრებინებს, რომ **1921 წლის 7 ივლისს ნაძალადევის კლუბში სტალინს ობსტრუქცია თავად ქართველმა, კერძოდ, გურულმა ბოლშევიკებმა მოუწყვეს, რომლებიც ფილიპე მახარაძის ფრთას წარმოადგენდნენ და ოდნავ მოგვიანებით ე.წ. „ნაციონალ-უკლონისტებად“ ჩამოყალიბდნენ.** ახლა, რაც შეეხება ინციდენტს!



**ვლასა მგელაძის** მემუარებიდან ირკვევა, რომ სტალინი ცდილობდა, ნაძალადევის კლუბში ესაუბრა იმ გეგმებსა და გამოწვევებზე, რომლებიც ქვეყნის წინაშე იდგა. მოგეხსენებათ, რუსეთში ხალხი შიმშილობდა, ყველანაირი საერთაშორისო ხელშეკრულება გაუქმებული იყო, ამოდენა იმპერიაში 1918-1920 წლებში, ფაქტობრივად, შეწყვეტილი გახლდათ ფულად-საკრედიტო ურთიერთობები. **ტროცკიმ და ლენინმა** რუსეთში ფულიც კი გააუქმეს და ქვეყანა დაღუპვის კარამდე მიიყვანეს. შექმნილ სიტუაციაში ლენინი იძულებული გახდა, „ნეპი“ შემოეღო, ბრიტანეთთან ხელშეკრულება გაეფორმებინა და კერძო საკუთრება დაეშვა, რაც კაპიტალისტური სამყაროს წინაშე სრული კაპიტულაცია იყო. თავის მხრივ, საქართველოშიც უმძიმესი ეკონომიკური სიტუაცია შეიქმნა, რადგან 1921 წლის თებერვალ-მარტის შემდეგ ქვეყნიდან ვერც მანგანუმი გადიოდა, ვერც ბაქოდან მომავალი ნავთობი და ბათუმის პორტიც ჩაიკეტა... ნოე ჟორდანიას მთავრობის სამარცხვინო გაქცევის შემდეგ ევროპულ ბაზართან კავშირი შეწყდა, მდგომარეობამ კრიტიკულ ზღვარს მიაღწია. სწორედ ამ პრობლემებზე და მათ გამომწვევ მიზეზებზე აპირებდა სტალინი საუბარს, მაგრამ არ აცალეს!

**— ვინ არ აცალა?**

— სტალინს ასევე უნდოდა, ეთქვა, რომ ეროვნულ სუვერენიტეტსა და დამოუკიდებლობას არავინ ეხებოდა... მოგეხსენებათ, 1921 წელს საქართველო იურიდიულად ისევ დამოუკიდებელი იყო. სწორედ ამ თემებზე საუბრობდა მომავალი ბელადი, როცა მას ორი პიროვნება წამოუხტა — ერთი გახლდათ სახალხო გვარდიელი **ალექსანდრე დგებუაძე,** ხოლო მეორე — **ისიდორე რამიშვილი.** ალექსანდრე დგებუაძემ სტალინს პირდაპირ უთხრა — **შენ არავითარი უფლება არ გაქვს, საქართველოს სუვერენიტეტსა და დამოუკიდებლობაზე, ასევე სოციალიზმზე ილაპარაკო, რადგან ხარ მოსკოვიდან, სადაც სიტუაცია კანიბალიზმამდე მიიყვანეთო!** მართლაც, ლენინისა და ტროცკის სულელურმა სამხედრო კომუნიზმის იდეამ რამდენიმე თვეში რუსეთის ეკონომიკა 40 პროცენტით შეამცირა და ქვეყანაში შიმშილობა

## *სვიმონ მასხარაშვილი:*
## სტალინი მაშინ თბილისიდან იმდენად შეურაცხყოფილი წავიდა, რომ ნაძალადევის კლუბში გამართული შეხვედრა არასოდეს გაუხსენებია!





**„საქართველოს ეროვნული გმირი მარო მაყაშვილი გერმანელების მიერ ქვეყნის ოკუპაციას აპროტესტებდა და თავის დღიურში წერდა – საქართველოს დამოუკიდებლობა იმისთვის არ მოუპოვებია, რომ რუსეთის არმიის ნაცვლად აქ ჯერ გერმანელი და მერე ბრიტანელი ოკუპანტები შემოსულიყვნენო!“**

დაიწყო. რუსეთში მშიერთა ჯანყი არ ცხრებოდა, რასაც ნაძირალა **მიხეილ ტუხაჩევსკი და ტროცკი** ტყვიითა და სოფლების გადაბუგვით უპირისპირდებოდნენ.

სტალინი შეეცადა, ამ ყველაფერზე ძალიან წყნარი ტონით გაეცა პასუხი, მაგრამ არ მოუსმინეს. მაშინ ტრიბუნაზე ავიდა ხანდაზმული მენშევიკი **ისიდორე რამიშვილი,** რომელსაც მთელი დარბაზი გამაყრუებელი ოვაციით შეხვდა. ისიდორემ ბოლშევიკების მიერ ოკუპირებული საქართველოს უმძიმესი ვითარება აღწერა და განაცხადა, რომ ბოლშევიკებმა ქვეყანას არნახული კრახი მოუტანეს — გაჩერდა ეკონომიკა და გამწვავდა კრიმინოგენური სიტუაცია. **ისიდორე რამიშვილმა ამ ყველაფერში ბრალი სტალინს დასდო და მას მოღალატე „კახაბერ ყორღანაშვილი“ უწოდა!** ისიდორე რამიშვილის ეს სიტყვები აიტაცა მთელმა დარბაზმა და სტალინი გამოაცხადეს **„ყორღანაშვილად“...** უფრო მეტიც, დარბაზში ისეთი აგრესიული ვითარება შეიქმნა, რომ ვიღაცები სტალინის მოსაკლავადაც კი იწევდნენ.

**— კიდევ ვინ აქტიურობდა სტალინის წინააღმდეგ?**

— **ალექსანდრე დგებუაძისა და ისიდორე რამიშვილის** გარდა სტალინის წინააღმდეგ იმ დღეს განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ **ალექსანდრე ფარნიევი და ალექსანდრე ლომთათიძე.** ფარნიევი დუშეთიდან იყო და ქართველობდა... კლუბში სტალინის წინააღმდეგ ასევე ძალიან აქტიურობდა **სილიბისტრო ჯიბლაძეც.** ისიდორე რამიშვილი ნაძალადევის კლუბში შეკრებილმა მენშევიკებმა პატივისცემის ნიშნად ხელში აიტაცეს და გარეთ სულ ტაშის გრიალით გამოიყვანეს, ხოლო სტალინის გარშემო დარბაზში მყოფმა დაახლოებით ასამდე კომუნისტმა ცოცხალი ჯაჭვი შეკრა და მომავალი ბელადი ასე გამოიყვანეს შენობიდან. მოკლედ, **ნაძალადევის კლუბში სტალინის შეხვედრა ვაგონშემკეთებელი ქარხნის მუშებთან, ძველ რევოლუციონერებთან და სოციალ-დემოკრატებთან მძლავრ ანტიბოლშევიკურ მანიფესტაციაში გადაიზარდა.**

**— არსებობს გადმოცემა, თითქოს ნაძალადევის კლუბში მომხდარი ინციდენტის შემდეგ სტალინი ქართველებს დაემუქრა — მე თქვენ გიჩვენებთ სეირს, თქვე სოციალისტ-„დუქანშჩიკებოო“!**

— ეს ყველაფერი მითებია და მეტი არაფერი, რადგან სტალინს ნაძალადევის კლუბში საუბრის საშუალება არ მისცეს. ხაზგასმით უნდა ითქვას ერთი რამ — **არცერთ იმ პიროვნებას, რომელმაც 1921 წლის 7 ივლისს სტალინს ნაძალადევის კლუბში ობსტრუქცია მოუწყო და „კახაბერ ყორღანაშვილად“ გამოაცხადა, არაფერი დამართნია!**

**— ვლასა მგელაძე ამ ინციდენტს შეესწრო თუ სხვის მონათხრობს იხსენებს?**

— ეს ზუსტად არავინ იცის! **ვლასა მგელაძე** თავის მემუარებში ძალიან ტენდენციურია, რადგან სტალინს საშინლად არ სწყალობს, მაგრამ იმის დადგენა, ესწრებოდა თუ არა იგი ზემოხსენებულ შეხვედრას, ძალიან რთულია. **ვლასა მგელაძეც, ისიდორე რამიშვილიც, ალექსანდრე დგებუაძეც** და ინციდენტში მონაწილე სხვა პირები დააპატიმრეს, მაგრამ უმალ გაათავისუფლეს. საერთოდ, ამ ადამიანებს ხშირად იჭერდნენ და ათავისუფლებდნენ... მოკლედ, იმ ამბისთვის, რაც მათ ნაძალადევში მოაწყვეს, იმ დღეებში არავინ დახვრეტილა, მაგრამ, ვინც დაიხვრიტა, სულ სხვა საქმეებზე და ისიც



ფილიპე მახარაძე

# „1921 წლის 7 ივლისს ნაძალადევის კლუბში სტალინს ობსტრუქცია თავად ქართველმა, კერძოდ, გურულმა ბოლშევიკებმა მოუწყვეს, რომლებიც ფილიპე მახარაძის ფრთას წარმოადგენდნენ!“



ასე გამოიყურება დღეს ნაძალადევის რაიონში მდებარე ყოფილი პლეხანოვის სახელობის კლუბის ტერიტორია, სადაც 1921 წლის 7 ივლისს იოსებ სტალინს გურულმა ბოლშევიკებმა ობსტრუქცია მოუწყვეს



1937 წელს. მაგალითად, **ალექსანდრე ფარნიევი** არც მერე დაუხვრეტიათ, სულ თანამდებობებზე მუშაობდა. არადა, სტალინი ნაძალადევში ოპოზიციასთან კი არა, თავის საძმოსთან სალაპარაკოდ მივიდა, რადგან დარბაზში მსხდომთაგან ყველას იცნობდა, მაგრამ საძმომ მას არ მოუსმინა, არ ალაპარაკა და გადაუარა. სტალინს უნდოდა, ეთქვა, რომ მეთერთმეტე არმიის მთელ ხელმძღვანელობას თბილისელი გერმანელის — **ჰეკერის** მეთაურობით, სულ ქართველები შეადგენდნენ და რომ წითელი არმიის საქართველოში შემოყვანა არაფრით იყო იმაზე დიდი ბოროტება, როცა **ნოე ჟორდანია** გერმანიის შეიარაღებულ ძალებს ქვეყანაში შემოუძღვა და მთელი რკინიგზა, პორტები და სტრატეგიული ობიექტები მათ ხელში გადავიდა.

სხვათაშორის, საქართველოს ეროვნული გმირი **მარო მაყაშვილი** გერმანელების მიერ ქვეყნის ოკუპაციას აპროტესტებდა და თავის დღიურში წერდა — საქართველოს დამოუკიდებლობა იმისთვის არ მოუპოვებია, რომ რუსეთის არმიის ნაცვლად აქ ჯერ გერმანელი და მერე ბრიტანელი ოკუპანტები შემოსულიყვნენო! ცნობისათვის, იმ ბრიტანელებთან შეტაკებისას, მენშევიკების დროს, უვაჟკაცესი ქართველი ბიჭი დახვრიტეს. ერთ-ერთი ბრიტანელი უწესოდ იქცეოდა, ქართველმა ბიჭმა ღირსება დაიცვა და ის ბრიტანელი ჩხუბში შემოაკვდა. ქართული სამართლით, ბიჭი საერთოდ გამართლდებოდა, მაგრამ ბრიტანელების საოკუპაციო ადმინისტრაციამ ნოე ჟორდანიას ულტიმატუმი წაუყენა და ის ქართველი ახალგაზრდა, რომელმაც ქართული ღირსება დაიცვა, დაახვრეტინა!

**სხვათაშორის, ნოე ჟორდანია გერმანელებს რომ შემოუძღვა, მაშინ ყარსის ხელშეკრულება ჯერ კიდევ არ იყო გაფორმებული და საქართველოს ტაო-კლარჯეთზე ჩვეულებრივი, იურიდიული უფლება ჰქონდა...**

— მაშინ არც ავტონომიები იყო ჩამოყალიბებული, მაგრამ **ნოე ჟორდანიამ** 1918 წლის მაის-ივნისში თურქებთან და გერმანელებთან ფოთსა და ბათუმში ხელშეკრულებები გააფორმა და თურქებს ბათუმიც დაუთმო და მთელი სამცხე-ჯავახეთი ბორჯომის გარეშე. ეს რატომ გვავიწყდება? დიახ, **„პატრიოტმა“ ქართველებმა მოაწერეს ასეთ ხელშეკრულებებს ხელი და მენშევიკები ბოლშევიკებზე ნაკლები კოსმოპოლიტები და ნაგვები არ ყოფილან!** ერთი საკითხია ყველაზე საინტერესო — ვინ იყო ის ხალხი, ვინც სტალინს **„კახაბერ ყორღანაშვილი“** უწოდა და გადაუარა? დავიწყოთ **ალექსანდრე დგებუაძით,** რომელიც სახალხო გვარდიის დამფუძნებელი გახლდათ... სახალხო გვარდიამ 1921 წლის თებერვალში პირდაპირ ღალატი ჩაიდინა, როცა ბორჩალო მიატოვა, არმიას იარაღი არ მისცა და, ფაქტობრივად, მტერს გადასცა. აი, ასეთი ორგანიზაციის დამფუძნებელს ალანძღვინეს სტალინი 1921 წლის 7 ივლისს.

სხვათაშორის, ამის შემდეგ სტალინს ქართველებთან შეხვედრები ჰქონდა და ძალიან ინტენსიურიც, მათ შორის, მწერლებთან, მსახიობებთან, მეცნიერებთან, მაგრამ, თუ არ ჩავთვლით ბელადის რამდენიმე მეგობარს — **პეტა კაპანაძეს, ჩოდრიშვილსა და ძმებ ეგნატაშვილებს,** მან ყველა ძველ თანამებრძოლთან ურთიერთობა გაწყვიტა. შეიძლება ითქვას, რომ **1921 წლის 7 ივლისს სტალინისა და ქართველი სოციალ-დემოკრატების გზები, რომელთა ელიტაც 1937 წელს განადგურდა, საბოლოოდ გაიყო!**

*ესაუბრა*

***დიტო ჩუბინიძე***

***გაგრძელება იქნება***

**ისტორიკოსის თვალით ★**

# გიორგი ბეჟირგანის პასუხები მკითხველს ★

## ცნობილია, რა გზით „გადაურჩა“ ნიურნბერგის სასამართლოს ჰიტლერი. გვიამბეთ, როგორ მოახერხეს ეს ჰიმლერმა და გებელსმა?

სიცოცხლის ბოლომდე ფიურერის ერთგულმა **გებელსმა** თავის მეუღლე **მაგდასთან** ერთად მოიკლა თავი, მანამდე კი მცირეწლოვანი შვილები მოწამლა. სიკვდილისწინა ბარათში იგი წერდა: **„მე, ჩემს მეუღლესთან ერთად და შვილების სახელით, რომლებსაც ჯერ დამოუკიდებელი გადაწყვეტილების მიღება არ ძალუძთ, ვაცხადებ ჩემს ურყევ გადაწყვეტილებას — არ დავტოვოთ რაიხის დედაქალაქი და სიცოცხლე ფიურერის გვერდით დავასრულოთ.“**

რაც შეეხება ესესის რაიხსფიურერ **ჰენრიხ ჰიმლერს**, მან, გებელსისაგან განსხვავებით, ღალატი დიდი ხნით ადრე ჩაიფიქრა. თავიდან იგი ინგლისელებთან და ამერიკელებთან სეპარატული მოლაპარაკების წარმოებას ცდილობდა, მაგრამ მოკავშირეებმა ასეთ ოდიოზურ ფიგურასთან კონტაქტზე წასვლა ვერ გაბედეს. ამ მცდელობის შემდეგ ჰიტლერმა **ჰიმლერი** ყველა პოსტიდან მოხსნა და პარტიიდან გარიცხა, ოღონდ — დაუსწრებლად, რადგან იგი იმალებოდა. როცა დარწმუნდა, რომ ამაოდ ირჯებოდა, 1945 წლის გაზაფხულზე **ესესის რაიხსფიურერმა გადაწყვიტა, ჯარისკაცთა შორის მიმალულიყო, რომლებიც მასობრივად ბარდებოდნენ ტყვედ მოკავშირეებსაც და წითელ არმიასაც. იგი ჯარისკაცის ფორმაში გამოეწყო, ეფრეიტორ ჰანს დიტცის სახელზე საბუთები გაიმზადა, ამერიკელებს ჩაბარდა და სამხედრო ტყვეთა ბანაკში აღმოჩნდა.**

პირველ დღეებში მისი ინკოგნიტო არ გამომჟღავნებულა, მაგრამ შემდეგ ბანაკის ხელმძღვანელობიდან ვიღაცამ შეამჩნია ხნიერი სალდათი, ჩამოგლეჯილ, კვამლის, დენთის და სისხლის სუნით აქოთებულ ტყვეებს შორის ბანაკის ტერიტორიაზე ახალთახალი ფორმით რომ კოპწიაობდა და ეს საეჭვოდ მოეჩვენა. ეფრეიტორს საბუთები შეუმოწმეს. ისინიც პრაქტიკულად ახალი აღმოჩნდა. **ამ შემოწმების დროს ერთმა ამერიკელმა ოფიცერმა შენიშნა, რომ ეფრეიტორი საოცრად ჰგავდა რაიხსფიურერ ჰიმლერს.** ეს უკანასკნელი მიხვდა, რომ მისი საქმე წასული იყო, **კბილის გვირგვინში ჩამალული კალიუმციანიდიანი ამპულის გატეხვა მოასწრო და სიცოცხლე ერთ წამში მოისწრაფა.**

ისიც უნდა ითქვას, რომ თავის დროზე რაიხსფიურერის ბრძანებით, ამპულიანი კბილის გვირგვინი ყველა ესესელს ჩაუმონტაჟეს.




## ლენინს უკანასკნელ ხანებამდე „კეთილ ძიად“ გვიხატავდნენ, რომელიც ჭიანჭველასაც არ დაადგამდა ფეხს. გარდაქმნის წლებში ლენინზე ბევრი ახალი შევიტყვეთ და „კეთილი ძიას“ ხატებაც გაფერმკრთალდა. თქვენი აზრით, ვინ უფრო ულმობელი იყო – ლენინი თუ სტალინი?

რა თქმა უნდა, **ლენინი.** აქ არ შეიძლება, ორი აზრი არსებობდეს. ჯერ ერთი, **სწორედ ლენინი გახლდათ ძალადობის მთელი სისტემის ავტორი და შემოქმედი; მის ხელში აღმოცენდა პირველი საკონცენტრაციო ბანაკები, დაიწყო მასობრივი დახვრეტა სასამართლოს გარეშე.** ისეთი თავგამოდებული ანტისტალინისტიც კი, როგორიც **აბდურახმან ავტორხანოვი** გახლავთ, თავის შრომაში **„ლენინის როლი რუსეთის ბედ-იღბალში“** აღიარებს, რომ **„ლენინის დანაშაული პირველადია, სტალინისა კი — მეორადი.“**

ცნობილია, რომ **ლენინს** არაერთხელ უსაყვედურია თავისი მოწაფისთვის **„მეტისმეტი ლმობიერება“** და უნდა ითქვას — საფუძვლიანადაც. მაგალითად, 1918 წელს, როდესაც **ლენინმა** პოლიტბიუროზე კადეტთა პარტიის ცკ-ის მთელი შემადგენლობის დაპატიმრების საკითხი დააყენა, **სტალინი** პოლიტბიუროს ერთადერთი წევრი აღმოჩნდა, რომელიც ამას შეეწინააღმდეგა. სტალინისავე გამოქომაგებამ განაპირობა მაშინ ბოლშევიკთა პარტიაში ზინოვიევისა და კამენევის დატოვება, რომელთაც ლენინი **„რევოლუციის შტრეიკბრეხერებს“** უწოდებდა და პარტიიდან მათ გარიცხვას ითხოვდა. **შემორჩენილია საბუთები, რომლებიც მოწმობს, რომ სტალინი კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა აჯანყებულ კრონშტადტზე შეტევას და ამბოხებულ მატროსებთან მშვიდობიანი მოლაპარაკების დაწყებას სთავაზობდა, მაგრამ იგი უმცირესობაში აღმოჩნდა — ლენინმა, ტროცკიმ და ტუხაჩევსკიმ კრონშტადტი სისხლში ჩაახრჩვეს.**

**სტალინს** არაერთხელ გამოუთქვამს უარყოფითი აზრი მძევალთა დახვრეტის სისტემაზეც, რომელსაც **ტროცკი** და **ტუხაჩევსკი** ლენინის ბრძანებით ფართოდ იყენებდნენ გლეხური აჯანყების რაიონებში.

აქვე თვალსაჩინოებისთვის რამდენიმე ნაწყვეტს მოვიტანთ სხვადასხვა წლებით დათარიღებული ლენინის წერილებიდან და ბრძანებებიდან: **„ზინოვიევს. პიტერში მუშებს სურთ, ვოლოდარსკის მკვლელობას მასობრივი ტერორით უპასუხონ, თქვენ კი მათ აკავებთ. გადაჭრით ვაპროტესტებ!“** (1918 წ. მარტი). **„აუცილებელია კულაკების, მღვდლების და თეთრგვარდიელების წინააღმდეგ მასობრივი ტერორის გატარება. საეჭვონი საკონცენტრაციო ბანაკებში გამოამწყვდიეთ“** (1919 წ. აგვისტო).

დააკვირდით, „საეჭვონი“ და არა რაიმეში დამნაშავენი.

**„ნიჟნიში (ნოვგოროდში)... უნდა გამოიყვანოთ და დახვრიტოთ ასობით მეძავი, რომლებიც სალდათებს ალოთებენ“** (1918 წ. სექტემბერი).

**„ძალ-ღონე არ დაიშუროთ ასტრახანელი მექრთამეების და სპეკულანტების დასაჭერად და დასახვრეტად“** (1918 წ. დეკემბერი). **„გაფრთხილებთ, რომ გუბაღმასკომის თავმჯდომარეებს დავაპატიმრებ და მათ დახვრეტას მივაღწევ“** (1919 წ. მაისი).

**„ჩამოახრჩვეთ, აუცილებლად ჩამოახრჩვეთ, ასი მაინც“** (1919 წ. ივნისი).

**„დახვრიტეთ, არავის არაფერი ჰკითხოთ და არც იდიოტური გაჯანჯლება დაუშვათ“** (1920 წ. აგვისტო). **„გაჯანჯლებაში“** ალბათ, გამოძიება და სასამართლო იგულისხმება.

და ასე შემდეგ. მაგალითების გაგრძელება კიდევ დიდხანს შეიძლება.




## ერთხელ, მოსკოვში ყოფნისას, ნოვოდევიჩიეს სასაფლაო მოვინახულე. იქ, ზუსტად ნადეჟდა ალილუევას საფლავის პირდაპირ, ფილა დავინახე წარწერით „ვასილი სტალინი.“ მანამდე დარწმუნებული ვიყავი, რომ ვასილი სტალინი ყაზანშია დაკრძალული. ნუთუ მისი ნეშტი მოგვიანებით გადმოასვენეს?

არა, არ გადმოუსვენებიათ. **ვასილი იოსების ძე სტალინი** იქვე განისვენებს, სადაც დაკრძალეს — **ყაზანის არსკის სასაფლაოზე.** სხვათაშორის, იქ ფილას აწერია **„ჯუღაშვილი ვასილი იოსების ძე“.** დაბადების თარიღი შეცდომით მიუთითებიათ. ვასილი 1920 კი არა, **1921 წელს დაიბადა.** გარდაცვალების თარიღი კი ზუსტია — **1962 წლის მარტი.**

საფლავში, რომელიც თქვენ ნახეთ, სტალინის ვაჟი **(მეორე ქორწინებიდან) ვასილი ვასილის ძე სტალინი** განისვენებს. პირველ ცოლთან — **გალინა ბურდონსკაიასთან** ვასილი იოსების ძეს ორი შვილი ჰყავდა — **ალექსანდრე** (დაიბადა 1941 წელს) და **ნადეჟდა** (დაიბადა 1943 წელს). **ალექსანდრე ბურდონსკი** მოსკოვში რუსეთის არმიის თეატრის რეჟისორი გახლავთ. 1946 წელს, ბურდონსკაიასთან დაშორების შემდეგ, ვასილი სტალინმა **მარშალ ტიმოშენკოს** ქალიშვილი **ეკატერინე** შეირთო ცოლად, რომელსაც, სხვათაშორის, ქართველი დედა ჰყავდა. ამ ქორწინებიდან 1947 წელს ვაჟიშვილი **ვასილი** დაიბადა, 1949-ში კი ქალიშვილი — **სვეტლანა.** სვეტლანას ბავშვობიდან ნერვული დაავადება ჰქონდა, სპეციალურ კლინიკებშიც მკურნალობდა, ხოლო 1989 წელს გარდაიცვალა. **ვასილიც** სუსტი ჯანმრთელობისა იყო, თანაც ადრიდანვე ნარკოტიკებს მიეჩვია. მან სკოლა მოსკოვში დაამთავრა, ცოტა ხანს თბილისის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე სწავლობდა. **ვასილი** 1972 წელს გარდაიცვალა მოსკოვის ერთ-ერთ საავადმყოფოში. **მამამისისაგან განსხვავებით, მას „ნება დართეს“, სტალინის გვარით განესვენა, თანაც პრესტიჟულ სასაფლაოზე.**

## სამამულო ომის დროს სმოლენსკთან, ხატინის ტყეში, რამდენიმე ათასი პოლონელი ოფიცერი დახვრიტეს, რომლებიც სსრკ-ში სტალინსა და ჰიტლერს შორის პოლონეთის გაყოფის შემდეგ აღმოჩნდნენ. საბჭოთა მხარემ ამ ბოროტმოქმედებაში გერმანელები დაადანაშაულა, გერმანულმა – ნკვდ. მაინც, ვინ არის დამნაშავე ხატინის ტრაგედიაში – ჰიმლერის უწყება თუ ბერიასი?

ხატინის ტყის საიდუმლოს მხოლოდ **გორბაჩოვის** მმართველობის წლებში აეხადა ფარდა. **საბჭოთა კავშირის ხელისუფლებამ პოლონეთს საბუთები გადასცა, რომლებიც მოწმობდა, რომ პოლონელ ოფიცერთა დახვრეტა საბჭოთა ხელისუფლების პირდაპირი მითითებით განხორციელდა.** ეს ომის დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე მოხდა.

**მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტის** ხელმოწერის შემდეგ საბჭოთა ჯარებმა მანამდე პოლონეთის კუთვნილი დასავლეთ უკრაინა და დასავლეთ ბელორუსია დაიკავეს. ათეულობით ათასი პოლონელი სამხედრო სსრკ-ში ტყვეობაში აღმოჩნდა. ჯარისკაცები სხვადასხვა ბანაკებში გაამწესეს, ხოლო ოფიცრები — კოზელსკის, ოსტაშკოვის და სტარობელსკის სამ ბანაკში. მათი რიცხვი დაახლოებით 15 ათასს შეადგენდა. აბსოლუტური უმრავლესობა ანტისაბჭოურად იყო განწყობილი. ბანაკებში ჩანერგილი აგენტების ცნობით, იქ ამბოხება მზადდებოდა. ისედაც მოუსვენარი დრო იდგა და 1940 წლის 5 მარტს პოლიტბიუროზე ტყვეთა შემდგომი ბედის საკითხი დაისვა.

**ვოროშილოვმა** „პოლონური ჭირის“ ლიკვიდაციის წინადადება წამოაყენა, რადგან ომის შემთხვევაში იგი წითელ არმიას ზურგში ჩასცემდა მახვილს. ამას პოლიტბიუროს ყველა წევრმა დაუჭირა მხარი, **ბერიას** გარდა, რომლის აზრით, ოფიცრები პოლონური ნაციონალური ნაწილების ჩამოყალიბებისათვის უნდა გამოეყენებინათ, განსაკუთრებით ანტისაბჭოურად განწყობილნი კი შორეულ ბანაკებში გაემწესებინათ. კენჭისყრით **ვოროშილოვის** წინადადება გავიდა. **ბერიამ** განაცხადა, რადგანაც საქმე სამხედროებს ეხება, ეგზეკუციაც წითელმა არმიამ ჩაატაროსო. სტალინი მას დაეთანხმა.

პოლონელი ოფიცრები პარტიებად გადაჰყავდათ **ხატინის ტყეში** და იქ ხვრეტდნენ. ეს დანაშაულებრივი აქცია, რომელიც კაცობრიობის წინაშე ბოლშევიზმის ერთ-ერთ მთავარ ბოროტმოქმედებად იქცა, 1940 წლის გაზაფხულ-ზაფხულში განხორციელდა.

**1941 წლის ივლისში ვერმახტის ჯარებმა სმოლენსკის ოლქის ტერიტორიამდე მიაღწიეს და ოფიცერთა სამარხიც აღმოაჩინეს.** 1943 წლის გაზაფხულზე გერმანელების მიერ მოწვეულმა ექსპერტებმა (მათი მოკავშირე ქვეყნებიდან) დაადასტურეს, რომ ეს საბჭოელთა ნამოქმედარია. რამდენიმე თვეში გერმანელებისგან გათავისუფლებულ ამ ტერიტორიაზე საბჭოთა მხარის მოწვეულმა საერთაშორისო კომისიამ ინგლისელი, ამერიკელი და ფრანგი ექსპერტების მონაწილეობით ახალი ექსპერტიზა ჩაატარა და დაასკვნა, რომ პოლონელი ოფიცრები გერმანელებთან ტყვედ ჩაცვივდნენ და 1941 წლის აგვისტოში იქნენ დახვრეტილი. **ამ აქციაში საბჭოთა მხარის მონაწილეობის შესახებ ვერსია მონაჭორად გამოცხადდა.**



როგორც ხედავთ, **ლავრენტი ბერიას** ამ დანაშაულთან შეხება არ ჰქონია. სამაგიეროდ, ჩვენი მეორე თანამემამულე — **ლავრენტი ჯანჯღავა,** იგივე **ცანავა,** მასში აქტიურად მონაწილეობდა. ზოგი მონაცემით, ამ ეგზეკუციის ერთ-ერთი ხელმძღვანელიც გახლდათ. **გენერალი ლავრენტი ცანავა,** ბერიას მითითებით, 1953 წელს დააპატიმრეს, მაგრამ მის საქმეში მხოლოდ ცნობილი ებრაელი მსახიობისა და რეჟისორის **სოლომონ მიხოელსის** მკვლელობის ორგანიზება ფიგურირებდა. **ცანავა** 1955 წლის ოქტომბერში პატიმრობაში გარდაიცვალა. იგი სტალინისა და ბერიას სიკვდილსაც მოესწრო.

გენერალისიმუსი
№1-2 (169-170) 2022 წლის 26 დეკემბერი - 2023 წლის 8 იანვარი
სარედაქციო კოლეგია
„ასავალ-დასავალის“ საგამომცემლო სახლი. ვებ-გვერდი ინტერნეტში: www. asavali.com ელ-ფოსტა: mail@asavali.com
ფეისბუქი: www. facebook.com/Asavali.com გამოდის 2003 წლის 7 აპრილიდან.

დასაწყისი მე-16 გვერდზე

ტრამპს გამალებით ებრძვიან, ეს იქნება გლობალისტ-ლიბერალური ტენდენციების დამარხვა ამერიკასა და ევროპაში.

**— სალომე ზურაბიშვილის ძმა ოთარ ზურაბიშვილიც სააკაშვილის სასწრაფო გათავისუფლებას ითხოვს...**

— ვინ არის ზურაბიშვილის ძმა, რას წარმოადგენს, ქართველმა ერმა მისცა მას მანდატი, რომ ლექციები გვიკითხოს?! პრემიერსაც ჰყავს დედმამიშვილი, ბიძინა ივანიშვილსაც, ასე ყველა რომ ჩაერიოს, ქვეყანა რას დაემსგავსება?! **პარლამენტის წევრების დები და ძმები სახელმწიფო პირები არ არიან და მათ სახელმწიფოს მართვის უფლება არა აქვთ.** კიდევ ერთხელ მოვუწოდებ სალომე ზურაბიშვილს, საკუთარი ქვეყნის სამსახურში ჩადგეს და ერის საზიანოდ არ მოიქცეს. ადრეც გითხარით — **მას აქვს საგვარეულო წყევლა, მის წინაპრებსაც ცუდი რამ აქვთ გაკეთებული საქართველოსთვის. გამოასწოროს ის საგვარეულო ცოდვა, გადახედოს საქართველოს ისტორიას, ყველის გამყიდველი ხომ არ არის, სახელმწიფო მეთაურია!** აქ **გიორგი კვირიკაშვილი** მახსენდება უნებურად, როცა თქვა — თურქეთი საქართველოს ისტორიული მეგობარიაო, აი, ამას ემსგავსება ზურაბიშვილი.

**— ამერიკამ უკრაინას 40 მილიარდი დოლარის დახმარება უნდა გამოუყოს. ამბობენ, სააკაშვილს ეშინია, რომ ეს ფული მის გარეშე გადანაწილდება.**

— საქართველოს სათავეში ნაციონალური მოძრაობის დაბრუნება ამერიკელების მიზანია, მაგრამ უნდათ, ეს უკრაინის ხელით გააკეთონ! საომარ ვითარებაში თუ ჩაგვაბეს, საქართველოში ქვა ქვაზე არ დარჩება. **კონგრესში ზელენსკის მიღების მერე, ცხადი გახდა, რომ ომის გაჩერებას არ აპირებენ, მათი მიზანია, რაც შეიძლება მეტი უკრაინელი და ქართველი დაიხოცოს.** ასე რომ, უკრაინაში დიდხანს გაგრძელდება ბაკქანალია, რადგან ამერიკას ევროპის ხარჯზე სურს გაძლიერება. ზოგადად კი, რუსეთი თუ დამარცხდა, ამას საქართველოსთვის დამანგრეველი შედეგი მოჰყვება.

**— ჩვენი ქვეყნისათვის გამოსავალი რაშია?**

— საქართველომ უნდა მონახოს სხვა ლობისტები. ეს სიტუაცია არ იქნებოდა, კოჰაბიტაცია რომ არ გამოეცხადებინათ. ახლაც მთავრობა თუ არ დაანებებს თავს არჩევნებზე ნაციონალებისთვის ხმების მიწერას, არაფერი გვეშველება.

**— გიორგი მარგველაშვილის თქმით, საქართველოში სიტუაციას შეცვლის ერთი ზარი ამერიკიდან... სააკაშვილის გათავისუფლებას გულისხმობდა!**

— **სააკაშვილიც და მარგველაშვილიც** ერთი და იგივე დემოკრატიული პარტიის მიერ არიან გამოზრდილები, მარგველაშვილმა იმით დაგვამახსოვრა თავი, რომ ნათესავები გამოჰყავდა ციხეებიდან, ბიუჯეტის ფულით კარგი დრო ატარა ოლიმპიადაზე, ოთხი წელი პრეზიდენტის სასახლეში იცხოვრა და კარგად დაისვენა. დიახ, საქმეს ერთი ზარი გადაწყვეტს ისევე, როგორც კომუნისტების დროს მოსკოვიდან რომ რეკავდნენ. ყველაფერთან ერთად, საქართველოს კიდევ უფრო დიდი საფრთხე ელოდება, დემოგრაფიული სიტუაცია თუ არ შეიცვალა. დიახ, 2022 წელს საქართველოში ყველაზე ნაკლები ქართველი დაიბადა. მაშ, ვისთვის შენდება ეს სახლები და ვისთვის იგება გზები? ამიტომ ზარები უნდა შემოვკრათ, თორემ აქ სულ სხვა ძალები მოვლენ.

**— რას უსურვებთ ამ ახალ წელს პრემიერ-მინისტრს და ბიძინა ივანიშვილს?**

— უპირველესად, მოთმინებას! ეს ადამიანები დიდი წნეხის ქვეშ არიან, მაგრამ ნელ-ნელა უნდა დაეხსნან ლიბერალურ მეგობრებს და საქართველო წურბელებისგან გაათავისუფლონ. ფსევდოენჯეოების ხელში დიდძალი ფულია და ყველაფერი ცუდი შეუძლიათ, მოაწყონ, მათ შორის, ახალი „ვარდების რევოლუციაც“. დიახ, გლობალისტებისა და ლიბერალური ჯგუფების სახით ისევ ნაცისტები მოდიან! მოდის ფაშიზმი, რომელიც დროზე უნდა ამოვიცნოთ!

*ესაუბრა*
*ქეთევან ხამიცაშვილი*

თემის გაგრძელება 32-ე გვერდზე



„სააკაშვილს თან ინსტრუქციაც მოაყოლეს, როგორ უნდა მოიქცეს, როგორი სახე უნდა მიიღოს, რას უნდა დაემსგავსოს... როგორ უნდა აუკანკალდეს ხელი, მის თმას რა უნდა დაემართოს, მერე კანს ეკრანზე როგორი ფერი უნდა დაჰკრავდეს!“



„კიდევ ერთხელ მოვუწოდებ სალომე ზურაბიშვილს, საკუთარი ქვეყნის სამსახურში ჩადგეს და ერის საზიანოდ არ მოიქცეს!“

„ვინ არის ზურაბიშვილის ძმა, რას წარმოადგენს, ქართველმა ერმა მისცა მას მანდატი, რომ ლექციები გვიკითხოს?!“



„ამერიკაში ძლიერდება რესპუბლიკური პარტია და მიუხედავად იმისა, რომ ტრამპს გამალებით ებრძვიან, ეს იქნება გლობალისტ-ლიბერალური ტენდენციების დამარხვა ამერიკასა და ევროპაში!“

## კვირგვინოსნები

**პაატა ზაქარეიშვილი**
*ექსპერტ-კონფლიქტოლოგი*



ყველაფერს იზამენ, რომ **სააკაშვილი** არ მოკვდეს, თუმცა, **გამოშვებით არ გამოუშვებენ, გამოშვება იქნება მიშასა და ნაცმოძრაობის გამარჯვება.** მიშა წავა უცხოეთში, იმკურნალებს რამდენიმე თვე და მერე ზუსტად არჩევნების წინ სათავეში ჩაუდგება ნაციონალურ მოძრაობას.

„ახალი თაობა“

**ლევან ნიკოლეიშვილი**
*ექსპერტი*



**ნაცმოძრაობის უბინძურესი ბუნება** იცით, როგორია? რეზოლუციას ხელი მოაწერეს, სადაც ომის დანაშაულზე იყო საუბარი, **საკუთარ ქვეყანას ომის დაწყება დააბრალეს** და ახლა აქეთ ატრიალებენ, ჰააგა ჩვენ მოვიგეთო.

„საქართველოს რესპუბლიკა“

**ვაჟა სურგულაძე**
*ჯანდაცვის ექსპერტი*



**სერგეენკო და კახაძე** ხომ არიან ექიმები, ხომ თეთრი ხალათის სიწმინდეზე მელაპარაკებიან, მივიდნენ და ადგილზე ნახონ **სააკაშვილი.** მარტო ჯანდაცვის კომიტეტის წევრობა და ხელის აწევა და ჩაწევა არ არის საქმე.

„ახალი თაობა“

**გიული ალასანია**
*მიხეილ სააკაშვილის დედა*



**სააკაშვილი** მომავალ დაბადების დღეს არ უნდა იყოს არც აქ, არც — ციხეში, ეს არ დაუმსახურებია, ყოფილი სისტემის დანგრევისთვის **საქართველოსგან, უკრაინისგან მხოლოდ მადლობა დაიმსახურა!**

„პირველი არხი“

***როგორც ირკვევა, პოეტ შოთა ნიშნიანიძის ამაღელვებელი სტრიქონები: „...გულო სანამ გული გქვია, გულო უნდა მტკიოდე...“ — ოდენ, პოეტური მეტაფორაა, რომელიც მეცნიერულ საფუძველს მოკლებულია, რადგან გულის ტკივილისთვის წაყრუება სიკვდილთან შეთამაშების ტოლფასია.*** *„გულის არეში ტკივილი ყველაზე ხშირი მიზეზია, რის გამოც ადამიანი ექიმთან მისვლას გადაწყვეტს. ეს შეგრძნება სიკვდილის შიშთან არის დაკავშირებული, თუმცა, იმთავითვე უნდა ითქვას, რომ გულმკერდის არეში ნებისმიერი ტკივილი არ არის გულის პათოლოგიის მაუწყებელი“,* ***— ამ სიტყვებით დაიწყო ჩვენთან საუბარი ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრის კარდიოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა სოფიო უნგიაძემ:***



ჩაფიძის გულის ცენტრი
CHAPIDZE HEART CENTER

# სოფიო უნგიაძე:

# ამ შემთხვევაში დაკარგული თითოეული წუთი შესაძლოა, გადამწყვეტი აღმოჩნდეს!



— შესაძლოა, მკერდის არეში ტკივილი გამოწვეული იყოს გაციებით, ნევრალგიით, ნეკნების, სასუნთქი გზების, პლევრის, ფილტვის და სხვა პათოლოგიებითაც, მაგრამ პაციენტი სწორად იქცევა, როცა ექიმს მიმართავს, რათა გულის რაიმე დაავადება არ გამორჩეს. **უშუალოდ გულის ტკივილი ყველაზე ხშირად სტენოკარდიას, ანუ გულის მკვებავი სისხლძარღვების შევიწროებას უკავშირდება.** ამ დროს გულის სისხლით მომარაგება და მისი ჟანგბადით გამოკვება არ შეესაბამება ამ ორგანოს მოთხოვნებს, რაც ხშირად გამოწვეულია ათეროსკლეროზით. ამ პათოლოგიის დროს გულის მკვებავ სისხლძარღვებში ლაგდება **ქოლესტერინი,** რომელიც ამ სისხლძარღვების ამა თუ იმ ხარისხით შევიწროებას იწვევს. თუ მაღალი ხარისხის შევიწროება რამდენიმე სისხლძარღვში ერთდროულად აღინიშნება და სისხლით გულის მომარაგების პრობლემა დროში ხანგრძლივდება, შესაძლოა, მიოკარდიუმის ინფარქტშიც გადაიზარდოს, რაც უკვე გადაუდებელ ჰოსპიტალიზაციას, შესაბამის კვლევებს და ჩარევას საჭიროებს.

**— მოქალაქეთა უმრავლესობა ჩაფიძის გულის ცენტრს, ძირითადად, რა ჩივილებით აკითხავს?**

— მოდიან პაციენტები, რომლებიც კონკრეტულ სიმპტომებს: **ადვილად დაღლას, გულის ფრიალს, არითმიას და, რაც მთავარია, გულის არეში ტკივილს შეიგრძნობენ.** ეს სიმპტომები, შესაძლოა, ბანალური, ემოციური ფონით იყოს განპირობებული, ან მათ მიღმა სერიოზული და მძიმე, სიცოცხლისთვის განსაკუთრებით საშიში პათოლოგიები იმალებოდეს, რომელთა აღმოსაფხვრელად მედიკამენტური მკურნალობა შედეგს არ იძლევა და ოპერაციული ჩარევა ხდება აუცილებელი. შეიმჩნევა სასიამოვნო ტენდენცია: თუ ადრე უკვე შორს წასული პათოლოგიური პროცესების გამო ძალიან მძიმე მდგომარეობაში მყოფი კონტინგენტი გვაკითხავდა, ახლა დამოკიდებულება შეიცვალა და პაციენტების დიდი ნაწილი, მათ შორის, სრულიად ჯანმრთელი ადამიანებიც — პროფილაქტიკური გამოკვლევების მიზნითაც მოდიან. ეს ტენდენცია შესაძლებლობას იძლევა, პათოლოგიის აღმოჩენა და მკურნალობა საწყის ეტაპზევე განხორციელდეს, შესაბამისად, გაცილებით სახარბიელო შედეგით.

**— რა ხდება გულის კუნთში, რომელიც სისხლით მომარაგების პრობლემის გამო შიმშილს განიცდის?**

— გულის კუნთოვანი უჯრედის შიმშილი გარკვეულ პერიოდში შექცევადი ცვლილებით ხასიათდება, თუმცა, როდესაც შიმშილის დრო 15 წუთს აჭარბებს, გულის კუნთოვანი უჯრედი, მიოკარდიოციტი კვდება და, შესაბამისად, გულის იმ უბანზე, სადაც უჯრედები დაიღუპნენ, ყალიბდება ნაწიბური, რის გამოც გული თავის ფუნქციას — კუმშვადობას — სრულყოფილად ვეღარ შეასრულებს. ამას სხვადასხვა სახის გართულება და გულის უკმარისობა შეიძლება მოჰყვეს. ამიტომ **ძალიან მნიშვნელოვანია, რომ პაციენტმა მკერდის არეში ტკივილის აღმოცენებიდან რაც შეიძლება სწრაფად მიმართოს ექიმს.** რაც უფრო მალე მოხდება პაციენტის ჰოსპიტალიზაცია, თანამედროვე, კორონაროგრაფიული გამოკვლევა და საჭირო შემთხვევაში გადაუდებელი ზომების მიღება **(სტენტის ჩადგმა ან შუნტირება),** მით მეტია ალბათობა, პაციენტმა პრობლემას ზედმეტი გართულების გარეშე დააღწიოს თავი.

სტენოკარდია გახლავთ ბალანსის დარღვევა ჟანგბადზე გულის მოთხოვნილებასა და გულის კუნთამდე მის მიწოდებას შორის, რაც შესაძლოა, განპირობებული იყოს სხვა დაავადებებითაც, რომლებიც, თავის მხრივ, ამ დისბალანსს და შედეგად, გულის კუნთის შიმშილს იწვევენ. ამიტომ, კორონაროგრაფიის მეთოდმა რევოლუციური გარდატეხა მოახდინა, სწორედ მასზე დაყრდნობით მოხდა ადამიანის პოპულაციის სიცოცხლის გახანგრძლივება, რადგან ხდება სპაზმის გამომწვევი მიზეზის, მისი ლოკაციის დადგენა და შემდეგ მკურნალობის სწორად დაგეგმვა. ბოლო დროს ხშირად საუბრობენ **მიკროვასკულურ სტენოკარდიაზე,** რომელიც განპირობებულია გულის მკვებავი წვრილი სისხლძარღვების შევიწროების გამომწვევი მექანიზმებით.

**— რასთან გვაქვს საქმე, როდესაც პაციენტი ჩივის, რომ „გული უფრიალებს“?**

— ეს მოვლენა, ძირითადად, გულის რითმის დარღვევას უკავშირდება და ხდება ექსტრასისტოლური არითმიის, ან მოციმციმე არითმიის დროს, რაც ნიშნავს გულის ნორმალური, თანაბარი პულსაციის დარღვევის ფონზე გულისცემის „ამოვარდნის“ შეგრძნებას. ზოგი პაციენტი 2-3 ამოვარდნასაც მკვეთრად განიცდის, მაგრამ ისეთი პაციენტიც გვყოლია, 24 საათის განმავლობაში 20 ათასი ამოვარდნა რომ ჰქონდა, მაგრამ საერთოდ ვერ უგრძნია. **მოციმციმე არითმიის მოხსნა შესაძლებელია და სასურველია, მისი დაწყებიდან რაც შეიძლება მალე, რამდენიმე საათში მოხდეს.** თუ იგი 3-4 დღის განმავლობაში გრძელდება, მკურნალობა გაცილებით რთულია, თანაც, ამ პათოლოგიას თავისი გართულებებიც ახასიათებს.

**— რა პრობლემა აქვს პაციენტს, რომელიც ჩივის, რომ „სული ეხუთება“?**

— სულის ხუთვაში ჰაერის უკმარისობა, ადვილად დაღლა და ქოშინი იგულისხმება, რომელიც, ძირითადად, გულის უკმარისობით არის გამოწვეული. ამ პათოლოგიას დიაგნოსტიკის კონკრეტული კრიტერიუმები აქვს. აუცილებელია კარდიოგრამის, გულის ექოსკოპიის, სხვადასხვა ლაბორატორიული ანალიზის შეფასება. შეიძლება, ეს მდგომარეობა აღინიშნოს სტრესის, ემოციური გადაძაბვის ფონზე. ასეთი შეგრძნება შეიძლება, ბრონქებისა და ფილტვების დაავადებითაც იყოს გამოწვეული.

**— გულის პათოლოგიების მატება ასაკის მატების პირდაპირპროპორციულია?**

— ძირითადად, ასეა — გულის იშემიური დაავადება უფრო ხშირად 55 წელზე უფროს მამაკაცებს და 65 წელზე უფროს ქალებს ემართებათ, თუმცა, არცთუ იშვიათად ახალგაზრდულ ასაკშიც შეინიშნება და ასეთ შემთხვევებში არ არის გამორიცხული, გულის სნეულებათა გამომწვევი გენეტიკური წინასწარი განწყობაც არსებობდეს. ამას სათანადო კვლევა სჭირდება, რაც საქართველოში ახლაღა ინერგება და ამ მხრივ **ჩაფიძის გულის ცენტრი** ავანგარდ კლინიკათა შორის მოიაზრება.

**— ადამიანებს მიაჩნიათ, რომ ყველა გრძნობა და ემოცია გულში იბადება. აქვს თუ არა მყარი მეცნიერული საფუძველი ამ მოსაზრებას?**

— გულისყური, გულზე მომხვდა, გულდასმით, გული დამწყდა, გული გამისკდა, გული მომივიდა, უგულო და ა.შ. — მხატვრული და ლირიკული შედარებებია, ემოციებს და გრძნობებს გამოხატავს. ამ ემოციების მექანიზმის შესახებ თანამედროვე მეცნიერებას ჯერჯერობით მკვეთრი განმარტება არ გააჩნია. შესაძლოა, გული მართლაც იტევს ისეთ ინფორმაციებს, რომლებიც მეცნიერებას ჯერ არ განუმარტავს და ისინი გარკვეულწილად მართლაც იყოს გულთან დაკავშირებული.

**— 21-ე საუკუნეში რაიმე, თვისობრივად ახალი გულის დაავადება ხომ არ შეინიშნება?**

— ახალი დაავადება არ გამოკვეთილა, თუმცა, დიაგნოსტიკის მეთოდები დაიხვეწა. პაციენტს შესაძლოა, ადრეც ჰქონდა კონკრეტული პათოლოგია, რომლის გამომჟღავნებაც ვერ ხდებოდა. თანამედროვე დიაგნოსტიკის მეთოდებმა წინ წამოსწია უამრავი პრობლემა, რომელთა შესახებ ადრე, როცა, მაგალითად, ინფარქტის დიაგნოსტირება კარდიოგრამით ხდებოდა — უბრალოდ, არ ვიცოდით. ახლა შეიძლება წინ გვედოს საზარელი კარდიოგრამა, თუმცა, პაციენტს ობიექტურად, ინფარქტი საერთოდ არ აღენიშნებოდეს; ან შეიძლება, ადრე თუ გულის უკმარისობაზე ექოსკოპიის მიხედვით მსჯელობდნენ, როცა კუმშვადობა დაბალი იყო, ახლა უკმარისობა ისეთ შემთხვევასაც ეწოდოს, როცა კუმშვადობა დარღვეული საერთოდ არ არის!

**— ნოვაციები, რომლებიც ჩაფიძის გულის ცენტრში ბრწყინვალედ არის ათვისებული, ცხადია, სხვა პროფილის დაავადებათა ეფექტური მკურნალობის საშუალებას იძლევა.**

— მთავარია, პაციენტმა ყველა საქმე გადადოს და დაუყოვნებლივ მოგვმართოს, თუ მკერდის ძვლის უკან მოჭერითი ხასიათის ტკივილს, წვას, ქვედა ყბაში, მხარის, ზურგისა და ხელის არეში გადაცემულ სიმხურვალეს შეიგრძნობს; ან თუ არტერიული წნევა დროის დიდ შუალედში მაღალ, ანდა, პირიქით — დაბალ ნიშნულს აღწევს... ასევე დროულად უნდა მოგვაკითხონ არითმიის, გამოხატული ძლიერი ქოშინისა და ჰაერის უკმარისობის განცდის შემთხვევაში. უნდა გვახსოვდეს — ასეთ დროს თითოეული დაკარგული წუთი შესაძლოა, ჯანმრთელობისთვის და სიცოცხლისთვისაც კი გადამწყვეტი იყოს!



**„ძალიან მნიშვნელოვანია, რომ პაციენტმა მკერდის არეში ტკივილის აღმოცენებიდან რაც შეიძლება სწრაფად მიმართოს ექიმს!“**

**„მოციმციმე არითმიის მოხსნა შესაძლებელია და სასურველია, მისი დაწყებიდან რაც შეიძლება მალე, რამდენიმე საათში მოხდეს. თუ იგი 3-4 დღის განმავლობაში გრძელდება, მკურნალობა გაცილებით რთულია, თანაც, ამ პათოლოგიას თავისი გართულებებიც ახასიათებს!“**

*ესაუბრა*
***ზაზა დავითაია***

*„1 თვით 2 ათასი ლარი მასესხე, ულაპარაკოდ დაგიბრუნებ!“ — გეუბნებათ უახლოესი მეგობარი ან ნათესავი. აბა, გაჭირვებულ ადამიანს უარს როგორ ეტყვით? თუ გაქვთ, ასესხებთ კიდეც, მაგრამ გადის ფულის დაბრუნების დათქმული ვადა და მოვალე ყურს არ იბერტყავს. როგორ დაიბრუნებთ თანხას, რომელიც თქვენც ძალიან გჭირდებათ? მსგავსი ამბავი თავს ყველას გადაგვხდენია და ხშირად ერთდროულად ფულისა და ნათესავის დაკარგვით დამთავრებულა... არსებობს თუ არა ამ მდგომარეობიდან სწორი გამოსავალი? გვესაუბრება ადამიანის უფლებათა დამცველი, პრაქტიკოსი ადვოკატი*
*გელა ნიკოლაიშვილი:*



## „ამიტომაც არის, რომ ადამიანები მსგავს შემთხვევებში ქურდულ გარჩევებს მიმართავენ ან შურისმაძიებლები ხდებიან და მოვალეებს კლავენ!“

## *გელა ნიკოლაიშვილი:*

# ხელშეკრულების გარეშე ფული ნათესავსაც არ ასესხოთ, თორემ შეიძლება, ფულიც დაკარგოთ და ნათესავიც!

— ფულის სესხების ეს ბანალური სიტუაციაც კი იურიდიულ ენაზე **კონტრაქტად** იწოდება. არსებობს როგორც ზეპირი, ისე ხელშეკრულებითი და ნოტარიულად დამოწმებული კონტრაქტები. ისეთი კონტრაქტიც არსებობს, რომელსაც მხოლოდ მოწმეები ადასტურებენ.

**— ზეპირი შეთანხმება რას ნიშნავს?**

— ეს არის ორ ადამიანს შორის შეთანხმება, რომ ერთი მეორისგან გარკვეული ვადით ფულს სესხულობს. თავიდან მხარეები ვერც კი წარმოიდგენენ, რომ მათ შორის დამოკიდებულება შეიძლება გართულდეს. მათ უხერხულად მიაჩნიათ ურთიერთნდობის კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენება, შესაბამისად, რაიმე სახის ხელწერილის დადებას ზედმეტად მიიჩნევენ. მაგრამ ხშირად ისე ხდება, რომ მევალე, ნებსით თუ უნებლიეთ, მთლიანად ან ნაწილობრივ არღვევს ზეპირ შეთანხმებას. მსგავსი შემთხვევები ფულთან ერთად არამხოლოდ მეგობრისა თუ ნათესავის დაკარგვით, არამედ არცთუ იშვიათად, შურისძიებით ან მკვლელობითაც მთავრდება. როგორც წესი, ვალის დაბრუნების საქმე სასამართლომდე არ მიდის, არა იმიტომ, რომ მევალე ამ ინსტიტუტს არ ენდობა, არამედ იმის გამო, რომ სასამართლოს ფარგლებში დავა ძალიან დიდხანს შეიძლება გაგრძელდეს და მევალეს ჩივილი ხანგრძლივი ნერვიულობის ფასად დაუჯდეს. ამ დროს ადამიანები მარტივ გამოსავალს პოულობენ და ქურდული სამყაროს წარმომადგენლებს ან სხვა ავტორიტეტებს მიმართავენ, რაც საქართველოს კანონმდებლობით, დანაშაულად ითვლება. აი, ახლა მე მაქვს ერთი საქმე, რომელიც აჭარაში ძმებს შორის დავით დაიწყო. ერთ-ერთმა ძმამ პოლიციაშიც კი შეიტანა საჩივარი. დავაში ჩაერთნენ მეზობლები, მეგობრები, ავტორიტეტები... მათ შორის ერთ-ერთი კანონიერი ქურდიც აღმოჩნდა, რომელიც უცხოეთში იმყოფებოდა. მას სთხოვეს, საქმეში ჩარეულიყო და ძმები მოერიგებინა, არადა, ყველაფერი იმგვარად დასრულდა, რომ კრიმინალურ ავტორიტეტთან კავშირის გამო 8 კაცი ჩაჯდა ციხეში! მათგან ზოგს — 3-დან 6 წლამდე, ზოგს კი 7-დან 10 წლამდე პატიმრობა ემუქრებათ!

**— რა გამოდის? თუ ხელშეკრულება არ გააფორმე, ჯობია, გასესხებული თანხა არ მოიკითხო, თორემ შეიძლება ციხეშიც აღმოჩნდე?**

— არა, თუ ხელშეკრულება არ გაგიფორმებიათ, ჯობს, სასამართლოს მიმართოთ, მაგრამ მოწმე მაინც უნდა გყავდეთ, რომელიც დაგიდასტურებთ, რომ ფული მართლაც ასესხეთ მოვალეს. ახლა მეორე მაგალითსაც გეტყვით: ამ შემთხვევაში კანონიერი ქურდისთვის არ მიუმართავთ, მაგრამ ერთმა მეორეს ჩაადებინა ბინა იპოთეკით. უთხრა, რომ რაღაც ტენდერი ჰქონდა მოგებული და სასწრაფოდ 50 ათასი დოლარი სჭირდებოდა, ხოლო ფულის მოგების შემთხვევაში მასაც ასარგებლებდა, ოღონდ, მათ შორის არანაირი წერილობითი გარიგება არ შემდგარა, ამის გარეშე ჩადო ამ ადამიანმა წყნეთის ბინა იპოთეკაში, მაგრამ მერე ეს თანხა ეცოტავა და პარტნიორთან შეთანხმების გარეშე 80 ათასად გადააიპოთეკარა. ის კაცი პატიოსნად უხდიდა იპოთეკას, იმასაც აღიარებს, რომ ვალი აქვს მისი, მაგრამ ამან 50-ის ნაცვლად 80 ათასი მოსთხოვა და ამის გამო ბრალი აქვს წაყენებული.

არადა, გამოსავალი არის ძალიან მარტივი — **აუცილებელია, გადაილახოს უხერხულობის გრძნობა და შედგეს ხელწერილი, რომელშიც აისახება, რომ ერთმა ადამიანმა ამა და ამ დღეს კონკრეტული ვადით მეორე ადამიანს ასესხა თუ სხვა დანიშნულებით მისცა ამდენი და ამდენი თანხა.** სასურველია, იქვე იყოს მითითებული, რა სანქცია უნდა იტვირთოს მოვალემ, თუ შეთანხმებას დაარღვევს — გადაუფორმებს მანქანას ან სხვა რაიმე ქონებას და ა.შ. ხოლო, თუ ეს შეთანხმება დაირღვა, შემდეგ სასამართლო გაარკვევს სიმართლეს.

## დეტალურად გაწერილი ხელშეკრულების გარეშე მეგობრებსა და ნათესავებს შორის კი არა, მამა-შვილსა და ძმებს შორისაც კი რთულდება ურთიერთობები!

**— ვთქვათ, ადამიანი დაიქირავეს, როგორც ძიძა. ერთი თვე ამუშავეს და შეპირებული ანაზღაურება არ მისცეს. რა უნდა იღონოს, რომ კუთვნილი ჯამაგირი მიიღოს?**

— უნდა შეძლოს დამტკიცება, რომ ასეთი შეთანხმება მართლაც არსებობდა. თუ შეთანხმება არ არსებობს და არც მოწმეები ჰყავს, კანონის ფარგლებში ვერაფერს გააწყობს. **ამიტომაც არის, რომ ადამიანები მსგავს შემთხვევებში ქურდულ გარჩევებს მიმართავენ ან შურისმაძიებლები ხდებიან და მოვალეებს კლავენ!**

ვინც კომპანიაში ან კერძო პირთან ხელშეკრულების გაფორმების გარეშე იწყებს მუშაობს, დავის შემთხვევაში სამართლებრივად დაცული ვერ იქნება. საქართველოს შრომის კოდექსი კონკრეტულად განსაზღვრავს, რა უფლებები და ვალდებულებები აქვს დამქირავებელს და დაქირავებულს, იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულება ოფიციალურად იქნება დადებული. ხელშეკრულებაში აუცილებლად უნდა აისახოს, რამდენი ხნით დაიდო, რა სამუშაოს შესრულება გევალებათ და რა ოდენობის ანაზღაურების საფასურად, აგრეთვე რა შემთხვევაში შეუძლია დამქირავებელს თქვენი გათავისუფლება და ა.შ.

**— ვთქვათ, სახლში რემონტის გასაკეთებლად ხელოსანს წინასწარ მივეცი ფული. მან სამუშაოს ნაწილი შეასრულა და დანარჩენზე თავს არ იწუხებს, ასე რომ ვთქვათ — გადამაგდო. ამ შემთხვევაში რა ვიღონო?**

— თუ იმაზე მეტი თანხა გაქვთ მიცემული, ვიდრე მის მიერ უკვე შესრულებული სამუშაოს ჰონორარია, უნდა უჩივლოთ და ფულის დაბრუნება მოსთხოვოთ. აქაც, მთავარია, ხელშეკრულებაში როგორ არის გაწერილი. **სარჩელის შეტანამდე უნდა განახორციელოთ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, რაც იმას გულისხმობს, რომ ქონება, რაც საჯარო რეესტრში ხელოსნის სახელზე ირიცხება, დააყადაღოთ!** სასამართლო დავის მოგების შემთხვევაში თქვენ შეძლებთ, სააღსრულებოს დახმარებით, ქონება გააყიდვინოთ და თქვენი ფული ამოიღოთ. ერთი ეგ არის, ეს ყველაფერი დიდ დროს მოითხოვს და უზომო ნერვების ფასად დაგიჯდებათ!

**— ვთქვათ, ბანკიდან ვისესხე თანხა და უკან ვეღარ ვაბრუნებ...**

— ეს საკითხი ბანკებს კარგად აქვთ დარეგულირებული — თუ გაცილებით დიდი ღირებულების საქონელი არ ჩადეთ, ბანკი სესხს არ მოგცემთ!

**— თუ ბანკში ბინა მაქვს ჩადებული და ყაბულს ვარ, ეს ბინა მათ დავუტოვო... აქვს თუ არა ბანკს უფლება, სხვა ქონება დამათმობინოს?**

— ბანკი თქვენგან არასოდეს დაიტოვებს ისეთ ქონებას, რომელიც მის სანაცვლოდ მოცემულ თანხასთან შედარებით ნაკლები ეღირება! როცა ბანკი ვთქვათ, 50 ათასს გაძლევთ, თქვენი ბინა, რასაც ბანკში დებთ, 70 ათასზე ნაკლები არ უნდა ღირდეს. სხვა შემთხვევაში, ბანკი გაკოტრდება. თუ ვალს არ ფარავთ, მოქმედებს გაფრთხილებების დადგენილი წესი, შემდეგ თქვენი ქონება სააღსრულებო ბიუროს გადაეცემა და აუქციონზე იქნება გატანილი. თქვენ შეიძლება გქონდეთ 10 ათასი ვალი, თქვენი ბინა კი 50 ათასი ღირდეს... ბანკი არ ეცდება, თქვენი ბინა ღირებულების ფასში გაყიდოს, თქვენგან 10 ათასი დაიტოვოს და 40 ათასი ნაშთი დაგიბრუნოთ. რეალურად, სხვანაირად ხდება ხოლმე — ჩავარდება პირველი აუქციონი; მეორე აუქციონზე ბინის ფასი განახევრდება, ბოლოს კი, თუ კლიენტი დროულად არ იშოვეთ და თავადვე არ გაყიდეთ, თქვენი 50-ათასიანი ბინა შეიძლება სულაც, 10 ათასად შეიძინონ.

**— თუ შეიქმნა გარკვეული ფორსმაჟორული სიტუაცია, რის გამოც, ბანკი ჩემთვის ბინის გარანტიით ნასესხებ თანხას ამ ბინის გაყიდვით ვერ იღებს. აქვს თუ არა უფლება თანხის ამოღების მიზნით ჩემი სხვა ქონება დააყადაღოს ან აუქციონზე გაიტანოს?**

— ასეთი სიტუაცია ძნელად წარმოსადგენია, თუმცა, თეორიულად ეს შესაძლებელია. თუ ბანკი ჩადებული ქონების გარანტიით თქვენთვის ნასესხებ თანხას ვერ იღებს, მას შეუძლია სასამართლოს მიმართოს, არგუმენტებით დაამტკიცოს, რომ თანხის ამოღება ვერ მოახერხა და სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე თქვენს სხვა ქონებაზე გამოაცხადოს პრეტენზია. რა თქმა უნდა, სასამართლოზე თქვენც გექნებათ თქვენი არგუმენტების გამოხატვის საშუალება და შემდეგ უკვე მოსამართლის გადასაწყვეტია საბოლოო ვერდიქტი. თუმცა, მსგავსი შემთხვევა აქამდე მისულიყო, არ მსმენია.




**— რას უნდა მივაქციოთ ყურადღება, როცა ბანკიდან სესხი გამოგვაქვს?**

— ყურადღება უნდა მიაქციოთ ნიუანსებს, რომელიც ხშირად ხელშეკრულებებში წვრილი შრიფტით არის ხოლმე დაწერილი. ამის გამო მოქალაქეები ხშირად მათთვის არასახარბიელო პირობებს წაუკითხავად აწერენ ხოლმე ხელს, რისი გამოსწორებაც მერე შეუძლებელი ხდება. არადა, სესხის გამოტანის დროს მოქალაქემ ყველა დეტალი ზედმიწევნით უნდა დააზუსტოს. მოქალაქეები ზოგჯერ, ოღონდ სესხი დაიმტკიცონ, დროს არ კარგავენ ხელშეკრულების გასაცნობად და შემდეგ უსიამოვნო ფაქტის წინაშე დგებიან ხოლმე!

## „აუცილებელია, გადაილახოს უხერხულობის გრძნობა და შედგეს ხელწერილი, რომელშიც აისახება, რომ ერთმა ადამიანმა ამა და ამ დღეს კონკრეტული ვადით მეორე ადამიანს ასესხა თუ სხვა დანიშნულებით მისცა ამდენი და ამდენი თანხა!“

*ესაუბრა*
**ზაზა დავითაია**

***პარიზის ყველაზე ელიტურ უმაღლეს სასწავლებელში სკანდალია. გასულ კვირას უნივერსიტეტიდან გააგდეს ცნობილი ქორეოგრაფი, რომელიც ამტკიცებდა, რომ კლასიკურ ცეკვებში, მამაკაცისა და ქალის როლები განსხვავებული უნდა იყოს, ანუ, მარტივად რომ ვთქვათ, ქორეოგრაფს პედაგოგიური საქმიანობა მხოლოდ იმიტომ აუკრძალეს, რადგან ის სტუდენტებში ქადაგებდა — ქალი ქალია, კაცი კი — კაცია!***


ვალერი პლაზენე

# პარიზის ელიტური უმაღლესი სასწავლებლიდან პროფესორი მხოლოდ იმიტომ გააგდეს, რომ კაცსა და ქალს განსხვავებული სქესის წარმომადგენლად თვლის!

# ქალ-კაციადა ფრანციცულად

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ **პარიზის პოლიტიკური კვლევების ინსტიტუტი** ფრანგული პოლიტელიტის მთავარი სამჭედლოა! თავად განსაჯეთ: ამ ინსტიტუტის კურსდამთავრებულები არიან გავლენიანი ჟურნალისტები, დიპლომატები, უცხოეთის ქვეყნების პრემიერები და პრეზიდენტები და თავად საფრანგეთის ხუთი პრეზიდენტი!

აგერ საფრანგეთის მოქმედი პრეზიდენტი **ემანუელ მაკრონი** სწორედ ამ უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტი იყო!

**ძირითადი სასწავლო კურსის გარდა, როგორც ყველა დიდი უმაღლესი სასწავლებელი, პარიზის პოლიტიკური კვლევების ინსტიტუტიც სტუდენტებს სხვადასხვა სექციებს სთავაზობს — დაწყებული სპორტულით და ქორეოგრაფიულით დამთავრებული!**

ჰოდა, ქალბატონი პროფესორი **ვალერი პლაზენე,** რომელიც ამავე ინსტიტუტის კურსდამთავრებულია, ბოლო რვა წლის განმავლობაში სამეჯლისო ცეკვის ქორეოგრაფიული ფაკულტატივის ხელმძღვანელი გახლდათ! პლაზენე დიდი პოპულარობით სარგებლობდა სტუდენტებში და ინსტიტუტის ხელმძღვანელობაც ძალიან კმაყოფილი იყო მისი მუშაობით! მაგრამ პროფესორმა რვაწლიანი წარმატებული მუშაობის შემდეგ საკუთარი პრინციპების გამო საყვარელი სამსახური დაკარგა!

მოკლედ, **ლგბტ პროგრესულად განწყობილმა სტუდენტებმა** პროფესორს უჩივლეს ინსტიტუტის ხელმძღვანელობასთან — გენდერულ იდენტობას არ ცნობს და ჩვეულებრივი ჰომოფობია, რადგან კატეგორიულად არ აწყვილებს ერთნაირსქესიან ქორეოგრაფიულ პარტნიორებსო.

პროფესორმა პლაზენემ ინსტიტუტის ხელმძღვანელობას განუმარტა, რომ კაცი, ბუნებისაგან დადგენილი წესით, ძლიერი და დიდია, ვიდრე ქალი, ამდენად, ცეკვისას სწორედ ფიზიკურად ძლიერმა კაცმა უნდა ატაროს ქალი, რათა ცეკვის ჰარმონია არ დაირღვეს. მაგრამ ინსტიტუტის მესვეურებმა ეს არგუმენტები არ მიიღეს და პროფესორს ულტიმატუმის ფორმით წაუყენეს: **ან მიიღებდა ახალ გენდერულად ნეიტრალურ წესებს, რომლებითაც არ დაირღვეოდა სექსუმცირესობების უფლებები, ანდა წავიდოდა სამსახურიდან!**

ჰოდა, ვალერი პლაზენემ მშობლიური ინსტიტუტის დატოვება არჩია!

ეს ამბავი ფრანგულ პრესაში გახმაურდა. ასევე დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია სოციალურ ქსელებში. საზოგადოება ორ ნაწილად გაიყო: მემარჯვენეები პროფესორს მიემხრნენ, მემარცხენეები კი — ინსტიტუტის ლიბერალ ხელმძღვანელობას!

**პარიზის პოლიტიკური კვლევების ინსტიტუტის დირექტორმა განაცხადა, რომ პედაგოგის საქციელი არანაირად არ ჯდებოდა ინსტიტუტის ეთიკური ქარტიის ფარგლებში, რადგან ის დისკრიმინაციას უწევდა სექსუალურ უმცირესობებს!** თუ რა მსოფლმხედველობა ბატონობს ზემოხსენებულ პარიზულ ელიტურ სასწავლებელში, ამისათვის გაზეთ „ფიგაროს“ მიერ გამოქვეყნებული ერთ-ერთი კვლევის შედეგებიც კმარა: **ინსტიტუტის სტუდენტთა სამი მეოთხედის აზრით, ქალებსა და კაცებს შორის განსხვავება საზოგადოებაში ხელოვნურად არის შექმნილი და სინამდვილეში, რეალობასთან არაფერი საერთო არა აქვს!** ანუ, მომავალი ფრანგული ელიტის აბსოლუტური უმრავლესობის აზრით, ქალსა და კაცს შორის განსხვავება არ არსებობს.

აი, ასე ყალიბდება „უმცირესობების დიქტატურა“ — უფრო სწორად, ის უკვე ჩამოყალიბებულია და ტოტალურადაც მძლავრობს!

ამის კვალობაზე, ევროპული ცივილიზაციის მთავარ ფასეულობაზე — აზრის თავისუფლებაზე აპელირება უკვე აზრს კარგავს, რადგან სიტყვის თავისუფლების მონოპოლია უკვე ლგბტ დიქტატურას უპყრია ხელთ!

***გიორგი გიგაური***


ვალერი პლაზენე სტუდენტებთან ერთად

**ლგბტ პროგრესულად განწყობილმა სტუდენტებმა პროფესორს უჩივლეს ინსტიტუტის ხელმძღვანელობასთან – გენდერულ იდენტობას არ ცნობს და ჩვეულებრივი ჰომოფობია, რადგან კატეგორიულად არ აწყვილებს ერთნაირსქესიან ქორეოგრაფიულ პარტნიორებსო!**

## კვირგვინოსნები

**ზურაბ გუგუჩია**
*ფიზიკოსი, მეცნიერი*



**მინდა, ისეთი მაგნიტური ნახევარგამტარების შექმნა, რომლებიც კაცობრიობას ელექტროენერგიის გრანდიოზულ ნაკადს დაუზოგავს.** აღნიშნული ნახევარგამტარი დაახლოებით ორჯერ ნაკლებ ელექტროენერგიას მოიხმარს, ვიდრე ნობელის პრემიის ლაურეატების აღმოჩენილი ადრინდელი ნახევარგამტარები.

„კვირის პალიტრა“

**გოჩა აფციაური**
*ჩიორას როლის შემსრულებელი ფილმში „ჩიორა“*



„ჩიორა“ 1984 წელს გამოვიდა ეკრანებზე, თუმცა, პოპულარობა და სიყვარული პრემიერიდან თითქმის 40 წლის შემდეგაც არ დაუკარგავს. **მე სულ გამითეთრდა თმა, „ჩიორა“ კი არ ბერდება...** 20 წლის ვიყავი, ამ ფილმში რომ გადამიღეს და მას შემდეგ ჩემთვის **გოჩა აღარავის დაუძახია, ყველა ჩიორას მეძახის!**

„კვირის პალიტრა“

**გიორგი გაბუნია**
*„მთავარი არხის“ გენერალური დირექტორი*



ჯულიეტა ვაშაყმაძე ტელევიზიაში რომ მისულიყო, მას შენობაში არ შეუშვებდნენ. ეს იყო პოლიტიკის ნაწილი, რაც ძალიან ცუდად შემოუტრიალდა არამარტო მაშინდელ ხელისუფლებას, მთლიანად ქვეყანას. გამოშვება მოხდა ცუდად, რა თქმა უნდა. სინამდვილეში, **იმ ნაკადის ნაწილი იყო, სამწუხაროდ, რასაც შემდეგ დაერქვა „ჩარეცხილები“.**

„რადიო თავისუფლება“

**მანიკა ასათიანი**
*ტელეწამყვანი*



თბილისში შეიძლება ერთი წელი ისე გავიდეს, რომ მაღაზიაში არ შევიდე. **ჩემი გარდერობი ძირითადად უცხოეთში ახლდება.** საერთოდ, გვიჟდები საქართველოზე. რამდენიმე დღით რომ წავიდე საქართველოდან, სულ მენატრება აქაურობა.

„სარკე“

*ანსამბლ „ორერას“ წევრი, 85 წლის **გენო ნადირაშვილი**, კომპოზიტორები — **გოგი ჩლაიძე** და **კახა ცაბაძე**, მსახიობები — **ზუკა პაპუაშვილი** და **მერაბ თავაძე**, ანსამბლ „ივერიის“ წევრი **ვახტანგ ტატიშვილი** ასახელებენ იმ ქალბატონებს, რომელთაც სიამოვნებით მიუძღვნიდნენ ყვავილების თაიგულს.*

# ვის მივართმევდით ყვავილების თაიგულს








**გენო ნადირაშვილი:** — მიყვარს ვარდები, ტიტები და მიხაკები. ამ ყვავილების თაიგულებს მივართმევდი ხოლმე ჩემს საყვარელ და ღირსეულ ქალბატონებს, დღესაც ჩემი ახლობლის — **ნანა ქეჟერაშვილის** დაბადების დღე იყო და ვარდები გავუგზავნე. **ბავშვობაში ერთი გოგონა მიყვარდა, თინიკო ერქვა, ჩემს უბანში — ჩუღურეთში ცხოვრობდა, მისთვის ყოველთვის ვკრეფდი გვირილებსაც და მინდვრის სხვა ყვავილებსაც.** უხაროდა. თინიკო გათხოვდა და არ ვიცი, სად არის. დღესაც, ბევრი წლის შემდეგ, სიამოვნებით მივართმევდი მას ამ ულამაზესი ყვავილების — გვირილების თაიგულს!

**გოგი ჩლაიძე:** — ყვავილებს — **იასამნებს** მივართმევდი ჩემს მეუღლეს **მარი ჩაჩანიძეს,** ხოლო დაგვიანებულ ყვავილებს — **ტიტების თაიგულს** მივართმევდი **დედას,** რომელსაც ძალიან უყვარდა.

**მერაბ თავაძე:** — მიყვარს მინდვრის ყვავილები, რომლებიც ასევე ძალიან უყვარდა ჩემს მეუღლეს **იზა ბიბოშვილს.** საშუალება რომ მქონდეს, უკლებლივ ყველა ყვავილს, პატივისცემის ნიშნად, მივართმევდი ქართველ ქალბატონებს, რადგან ქართველი ქალი სიყვარულსაც იმსახურებს და დაფასებასაც. ჩემს ცხოვრებაში არსებობს ქალბატონი **მაია არეშიძე,** რომელსაც სიამოვნებით მივართმევდი **თეთრი ვარდების თაიგულს.**

**ზუკა პაპუაშვილი:** — მინდვრის ყვავილები მიყვარს და სიამოვნებით მივართმევდი ჩემს შვილს **ქეთევან პაპუაშვილს** და **დედას** — **ია ვერძულიშვილს.** რაც შეეხება დაგვიანებულ თაიგულს, მოდით, საიდუმლოდ დავტოვოთ, ვისაც მივართმევდი.

**ვახტანგ ტატიშვილი:** — მიყვარს ყვავილები, ვარდი და ია. 98 წლის სიდედრი მყავს, **ქალბატონი მარია** და, პირველ რიგში, სწორედ მას მივართმევდი ვარდებსაც და იებსაც, ხოლო **ხასხასა ახალ ვარდებს და დაგვიანებულ თაიგულსაც სიამოვნებით მივართმევ ჩემს მეუღლეს ნინო ბოლქვაძეს,** რომელმაც მთელი ცხოვრების მანძილზე ჩემთვის ძალიან ბევრი საქმე აკეთა და დღესაც თავდაუზოგავად იღვწის. **ძალიან დასაფასებელია მეუღლისაგან ერთგულება და გვერდით დგომა, არ დაიშუროთ მისთვის ყვავილები.**



**კახა ცაბაძე:** — მიყვარს ვარდები და ვარდების თაიგულს მივუძღვნიდი **ჩემს დედიკოს თამარ მაჭავარიანს.** სამწუხაროდ, ის ცოცხალი აღარ არის. რაც შეეხება დაგვიანებულ თაიგულს — **ვარდებს მივუძღვნიდი ჩემს ნათლიას ამია ურუშაძეს.** ქალბატონი ამია შესანიშნავი ადამიანია და კიდევ დიდხანს სიცოცხლეს ვუსურვებ.

•

რამდენიმე წლის წინათ თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის დირიჟორის **დიდიმ მირცხულავას** მეუღლემ **ნატო ჭავჭავაძე-მირცხულავამ** ჩვენი გაზეთისათვის მიცემულ ინტერვიუში იებთან დაკავშირებით ერთი ამბავი გაიხსენა, რომელსაც აქვე გთავაზობთ: *მრგვალ ბაღთან ვცხოვრობდით, ჩვენთან ახლოს, ბარნოვის ქუჩაზე, ე.წ. მსახიობთა სახლის პირველ სართულზე* ***სესილია თაყაიშვილი*** *ცხოვრობდა. გაზაფხულზე ჩემი მეუღლე დილით ვარჯიშობდა ხოლმე და კუს ტბის მიდამოებში დარბოდა, ხოლო იქიდან დაბრუნებულს გზად სესილიას სახლთან უწევდა გამოვლა. სესილიას ყოველთვის ღია ჰქონდა ფანჯრები. ვარჯიშის ბოლოს დიდიმი კუს ტბასთან ახალგაღვიძებულ იებს კრეფდა ხოლმე და სესილიას ფანჯრიდან სახლში უყრიდა.* ***ერთ დღესაც სესილიამ დამირეკა — თქვენს მეუღლეს გადაეცით, შეწყვიტოს ჩემს ფანჯარაში იების შემოყრა, თორემ უკვე დამღალა ნაგვის ხვეტამ.*** *იმ დღის შემდეგ* ***დიდიმმა*** *სესილიას ფანჯრებში იების შეყრა შეწყვიტა. მაგრამ გავიდა დრო და სესილიამ ისევ დამირეკა —* ***დიდიმს გადაეცით, ისევ იები შემომიყაროს ფანჯრიდან, თავს ისე ვგრძნობ, თითქოს დავბერდი.***

*ესაუბრა*
***ქეთევან ხამიცაშვილი***


თამარისი Tamarisi

დაინახე:




ბათუმი, კონსტანტინე გამსახურდიას 38

571 19 93 93 598 79 40 00

www.facebook.com/tamarisioptics


## ქვირგვინოსნები

**რატი გაჩეჩილაძე**
*მოცეკვავე*



მამა ყოველთვის ამბობდა, **კარგი მეწყვილის** პოვნა უფრო ძნელია, ვიდრე **კარგი მეუღლისო!**

„სარკე“

**თიკა მახალდიანი**
*მომღერალი*



დრომ მოიტანა თუ გარემო შეიცვალა, არ ვიცი, მაგრამ **ადამიანები თითქოს გაცივდნენ ერთმანეთის მიმართ,** უფრო თავისთვის ცხოვრობენ.

„სარკე“

**სიენა მილერი**
*მსახიობი*



**სამი ჩაშლილი ნიშნობა** ბევრად უკეთესია, ვიდრე **სამი განქორწინება!**

„სარკე“

**სოფო გელოვანი**
*მომღერალი*



მეუბნებიან — რატომ პასიურობ, უფრო **ხშირად უნდა გამოჩნდე, მიდგე-მოდგე, შეაწუხო ნაცნობებიო!** ძალიან ვაფასებ აქტიურ ადამიანებს, მათ, ვისაც ეხერხებათ ასე მოქცევა, მაგრამ მე არ შემიძლია.

„სარკე“

**ლუხუმ ჩხვიმიანი**
*მსოფლიო ჩემპიონი ძიუდოში*



სკოლაში რომ მივდიოდი, **ნაყინის ფულიც არ მქონდა, არც სასადილოში რამის ყიდვი**ს საშუალება მქონია, მაგრამ დღეს იმდენი გამაკეთებინა ჩემმა სიყვარულმა და შრომამ, **რომ მალდივებზე დავისვენე!**

„თბილისელები“

**ზეინაბ ლევანიშვილი**
*ზაზა ფაჩულიას სიდედრი*



**„ფაჩულიას სიდედრი“** — ახლა ასე მიცნობენ. მსახიობი ვარ, პედაგოგი, მეც მაქვს სახელი, გვარი, პროფესია, მაგრამ მაინც **„ფაჩულიას სიდედრს“** მეძახიან. მოკლედ, **სიძემ დამჩრდილა!**

„კვირის პალიტრა“

# პატიმარ სააკაშვილის ცინიზმი საკითხავი

# სააკაშვილის „ძალის გამოღვიძება“ და რუსთავის საპყრობილეში მიძინება!




დასაწყისი იხ. „ა–დ“, 2022 წლის №9–52



***„ასავალ-დასავალი“ აგრძელებს მიხეილ სააკაშვილის ქართულ ენაზე დასტამბული მემუარების მიმოხილვას. ეს წიგნი ნაცთა ფიურერმა ჯერ კიდევ უკრაინაში ცხოვრებისას გამოსცა და იმდენად არის საინტერესო, რამდენადაც სწორედ ამ ნაშრომით გეგმავდა საქართველოში სარევოლუციოდ „ძალის გამოღვიძებას“, როგორც ადოლფ ჰიტლერი თავისი „მაინ კამპფით“, ანუ „ჩემი ბრძოლით“!***

მიხეილ სააკაშვილი თავის მემუარებში განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს 2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში დამარცხების მიზეზების გაანალიზებას, რაც კიდევ ერთხელ წარმოაჩენს, რა და როგორ გადააფასა ხელისუფლებიდან გაპანღურებულმა. და, რა თქმა უნდა, მემუარისტის მთავარი სამიზნე მისი მთავარი მტრის — **ბიძინა ივანიშვილის** პერსონაა:

***„როდესაც დამეწყო პრობლემები ბადრი პატარკაციშვილთან და დამჭირდა მომხრეები, ივანიშვილმა განაცხადა, რომ პატარკაციშვილი ბოროტებაა და ის მე დამიჭერს მხარს. ის მართლა მიჭერდა მხარს, ვიდრე პატარკაციშვილი ცოცხალი იყო. ივანიშვილის სიტყვები იმის შესახებ, რომ ის უხდიდა ხელფასს პოლიციას და სხვა სახელმწიფო სამსახურებს, არ შეესაბამება სიმართლეს. რეალურად მან დააფინანსა 2005 წელს ჯარისთვის გარკვეული რაოდენობის ტექნიკის შეძენა, ხოლო, როდესაც ჩვენ დავიწყეთ ბათუმის კეთილმოწყობა, ჩემი თხოვნით, მან ეშმაკის ბორბალი შეიძინა, რომელიც ქალაქში არსებული ცვლილებების პირველი მანიშნებელი გახდა. მან შემოგვთავაზა სახელმწიფო აპარატში ხელფასის დანამატების მიცემა, მაგრამ მასთან ჩვენ ის არ მივუშვით“*** *(მ.სააკაშვილი, „ძალის გამოღვიძება“, გვ. 245).*

როგორც ხედავთ, **სააკაშვილი** თავად აღიარებს, ივანიშვილი გვაფინანსებდა, მაგრამ სახელმწიფო მოხელეების ხელფასების დანამატების დაფინანსების საშუალება არ მივეცითო!

სააკაშვილი ასევე იხსენებს, როგორ ჩაერთო ივანიშვილი პოლიტიკაში 2011 წლის მიწურულს:

***„ივანიშვილმა ისევ გახსნა „მეცხრე არხი“ და მრავალი რეგიონული არხიც შეიძინა. გაჩნდა მთელი სატელევიზიო ქსელი.*** *მის მიერ შექმნილი „ქართული ოცნება“ ჩვენს პროვოცირებას შეუდგა.* ***ივანიშვილის ხალხმა საქართველოში შემოიტანა თანამგზავრული ანტენები*** *(ე.წ. „თეფშები“),* ***რის შემდეგაც „ოცნების“ აგიტატორებმა დაიწყეს მოსახლეობისათვის ამ ანტენების დარიგება. თითო ანტენა 100 დოლარი ღირდა. ჩვენთან აკრძალულია ამომრჩევლის მოსყიდვა, ამიტომ ჩვენ აგიტატორების დაკავება დავიწყეთ.*** *მხოლოდ მოგვიანებით გავარკვიეთ, რომ ეს პროვოკაცია იყო და მეტი არაფერი.* ***ივანიშვილი იმუქრებოდა, რომ დაარიგებდა ნახევარ მილიონ ანტენას, თუმცა, შემოიტანა სულ რამდენიმე ათასი ცალი. გათვლა იმაზე იყო, რომ ჩვენ მოვახდენდით რეაგირებას და „ოცნებას“ კიდევ ერთი საბაბი გაუჩნდებოდა, ხელისუფლება კრიტიკის ქარცეცხლში გაეხვია“*** *(იქვე, გვ. 246).*

ანუ სააკაშვილი სამარცხვინოდ აღიარებს, რომ, როგორც რომელიღაც ირანელი აიათოლა, სატელიტურ ანტენებს ებრძოდა და ამის გამო ხალხს აპატიმრებდა!

არადა, რომ ჰკითხო, „დემოკრატიის შუქურა“ იყო!

მემუარისტის მტკიცებით, „ქართული ოცნება“ ხელისუფლებაში ყველაფრის ნგრევის გეგმით მოვიდა:

***„ოცნება მოვიდა ხელისუფლებაში ლოზუნგით „შევცვალოთ ყველაფერი“. მათ დასანგრევად განწირული თანამედროვე შენობების ვრცელი სიაც კი ჰქონდათ მომზადებული.*** *ამ სიაში შედიოდა* ***მშვიდობის ხიდი თბილისში, საპრეზიდენტო სასახლე, მუსიკალური თეატრი*** *და სხვა. წინსწრებით ვიტყვი, რომ ეს მათ არ გამოუვიდათ.* ***ისინი მოვიდნენ, როგორც ბარბაროსები უფრო განვითარებულ იმპერიაში და მიიღეს მათთვის საძულველი ცხოვრების წესების დიდი ნაწილი“*** *(იქვე, გვ. 246).*

რამდენად არაადეკვატურად აფასებს სააკაშვილი მისი რეჟიმის სამარცხვინო დამარცხების მიზეზებს, იქიდანაც ნათლად ჩანს, რას ასახელებს მემუარისტი, აი, რატომ დავმარცხდითო:

***„ჩვენს დამარცხებაში ლომის წილი შეიტანა სუფთა რუსული სტილის ჭორების კამპანიამ, ინტერნეტტექნოლოგიებმა, რომლებიც რუსებმა მოგვიანებით ამერიკის არჩევნებში გამოიყენეს და ასევე პროვოკაციებმა.*** *ყველაზე ძლიერი აღმოჩნდა* ***პატიმართა წამების ვიდეოს გასაჯაროება.*** *მხოლოდ მოგვიანებით დადგინდა, რომ კადრები, გარდა ერთისა, დადგმული იყო.* ***საპატიმროებთან მიმართებაში ნაწილობრივ ჩვენი ბრალიც იკვეთებოდა. ჩვენ არ გავწმინდეთ ციხის სისტემა ძველი კადრებისაგან. მეტწილად ესენი იყვნენ ადრე გათავისუფლებული პოლიციელები, რომლებსაც სძულდათ ყველაფერი ახალი. ჩვენ შევცდით — არ შეიძლებოდა მათი ციხეებში შეშვება, რადგან ისინი სადისტები იყვნენ“*** *(იქვე, გვ. 246).*

და ვანო **მერაბიშვილი, ძმები ახალაიები, მეგის ქარდავები** და სხვა ნაცზონდერფიურერები სადისტები არ იყვნენ?! თუ ესენიც წინა რეჟიმის გადმონაშთები გახლდნენ?!

სამეგრელოს საცავებში აღმოჩენილი ვიდეოარქივიც დადგმული იყო და კასტილიანი ჯალათი არ აუპატიურებდა მაგიდაზე მისკოჩილ პატიმარს, რუსეთის აგენტობა აღიარეო?!

თუ **სანდრო გირგვლიანის** ან პოლკოვნიკ **როინ შავაძის** წამებით მკვლელობა იყო დადგმული ან 7 ნოემბრის და 26 მაისის ხალხის სისხლიანი რბევა რუსთაველის გამზირზე?!

სააკაშვილი იმდენად უბადრუკი და საცოდავია თავის მართლებაში, რომ ორთაჭალის ციხის ეგრეთ წოდებული ბუნტის ჩახშობასაც კი სათავისოდ იხსენებს:

***„როდესაც ავლაგმეთ „კანონიერი ქურდები“, გაგვაფრთხილეს, რომ იქნებოდა ბუნტი. პენიტენციური სისტემის უფროსად მე დავნიშნე 26 წლის ბაჩო ახალაია და როდესაც ერთ-ერთ ციხეში, როგორც შეგვპირდნენ, დაიწყო ბუნტი, მან ის ჩაახშო. ჩახშობისას დაიღუპა ხუთი კაცი, რადგან პატიმრებმა ციხეს ცეცხლი წაუკიდეს, ხელთ იგდეს იარაღი და საპასუხო ცეცხლი გახსნეს“*** *(იქვე, 248).*

აი, ასე უმდაბლესად ცრუობს მემუარისტი, პატიმრებმა ცეცხლი გაგვიხსნესო და იმიტომაც ჩავცხრილეთ ისინი ავტომატებით საკნებშიო!

ამის შემდეგ კი **სააკაშვილი** გამაოგნებელ რამეს ასკვნის:

***„ჩვენ რამდენჯერმე შევცვალეთ ციხის ხელმძღვანელობა და უხეში ძალის გამოყენება უკვე გაცილებით ნაკლებ მასშტაბს იღებდა. მაგრამ ყველამ დაიმახსოვრა, რომ წესრიგის დამყარება იყო საკმაოდ ხისტი, თან უნდა ვაღიარო, რომ რეციდივები მაინც იყო ხოლმე.*** *პროვოკაციის მოწყობა ადვილია, თუ სისტემის შიგნით ხარ.* ***ბედუქაძემ*** *ამაში ნამდვილად წარმატებას მიაღწია. ნორმალურ ვითარებაში ეს შემთხვევა განსაკუთრებულ როლს არ შეასრულებდა. უბრალოდ, იმ მომენტში საზოგადოების ნაწილი ხელისუფლების წინააღმდეგ საბაბს ეძებდა.* ***სხვა ფორმალური მიზეზი არ იყო: ქვეყანა სწრაფად ვითარდებოდა, ჩვენს სიტყვას და საქმეს ფასი ჰქონდა, ოპოზიციაც ცუდად გამოიყურებოდა“*** *(იქვე, გვ. 248).*

აი, ეს არის სააკაშვილი: პატიმრების წამებასა და გაუპატიურებას სხვა ვითარებაში ყურადღებას არავინ მიაქცევდა და ჩვენ მხოლოდ იმიტომ დავმარცხდით, რომ ხალხი მიზეზს ეძებდაო!

დაბოლოს, ფსკერი, სახელად სააკაშვილი, რომელიც თავადვე ჩახვრიტა და საკუთარ საფირმო სიმდაბლესაც კი გადააჭარბა:

***„მოსკოვი მაშინ ომით გვემუქრებოდა, თუ ივანიშვილი არჩევნებს არ მოიგებდა. ჩემი ერთი თანამებრძოლი, პროფესიით პროქტოლოგი, ხსნიდა ფეისბუქში, რომ შეუძლებელია ვინმე ცოცხით გააუპატიურო. თუ ადამიანს ცოცხს შეურჭობ უკანალში, ის უბრალოდ, იღუპება. კვირების განმავლობაში მისი ცოცხით გაუპატიურება შეუძლებელია. მან დაამტკიცა, რომ ეს დადგმა იყო, მაგრამ არავინ მოუსმინა“*** *(იქვე, გვ. 248).*

აი, ასე: მემუარისტი უშუბლისძარღვოდ იტყუება — **თუ ივანიშვილი არ გაიმარჯვებდა, რუსეთი ომით გვემუქრებოდაო,** ანუ ამიტომაც მისცა შეშინებულმა ხალხმა 2012 წლის 1 ოქტომბერს ხმა „ქართულ ოცნებასო“!

და, რაც მთავარია: **სააკაშვილმა და მისმა მეგობარმა პროქტოლოგმა დაამტკიცეს, რომ, თუ ცოცხს ბოლომდე არ შეურჭობ, ეს გაუპატიურებად არ უნდა ჩაითვალოს!**

***გიორგი გიგაური***

***გაგრძელება იქნება***



## მიხეილ სააკაშვილი:

## ჩემმა თანამებრძოლმა პროქტოლოგმა დაამტკიცა, რომ, თუ ადამიანს უკანალში ცოცხს შეურჭობ, ის მაშინვე იღუპება!



# პროდუქტები, რომლებსაც ზამთარში ორგანიზმი ითხოვს!

**ზამთარში ადამიანის ორგანიზმი მუშაობის საგანგებო რეჟიმზე გადადის. ქართველი ჰომეოპათი, ექიმი კახა საბახტარიშვილი იმ აუცილებლად საჭირო პროდუქტებს ჩამოთვლის, რომელიც ადამიანმა ზამთარში უნდა მიიღოს:**




## კახა საბახტარიშვილი:

## ჩიას რეგულარული მოხმარება ინფარქტითა და ინსულტით გარდაცვლილთა რიცხვს 50 პროცენტით ამცირებს!

— ზამთარში კვების რაციონი, როგორც წესი, ღარიბია ვიტამინებითა და სასიცოცხლოდ აუცილებელი მიკროელემენტებით. ასეთ დროს ადამიანები საფთიაქო ქიმიას მიმართავენ და ყველა ამ საჭირო ნაერთს ხელოვნური გზით იღებენ, მაგრამ ერთია ქიმიური გზით მიღებული სასარგებლო ელემენტები, ხოლო მეორე — ის ცოცხალი პროდუქტები, რომლებიც იმავე ელემენტებს ბუნებრივი სახით შეიცავენ და ადამიანისთვის საფრთხეს არ წარმოადგენენ.

**— არსებობს თუ არა ისეთი სუპერპროდუქტები, რომლებიც ზამთარში ჩვენთვის სასიცოცხლოდ აუცილებელი ვიტამინებისა და მიკროელემენტების დეფიციტს სრულად შეავსებს და ქიმიური მედიკამენტების დახმარება არ დაგვჭირდება?**

— ყველაზე გამორჩეული მაინც ესპანური სალბის თესლია, რომელსაც საქართველოში **ჩიას** ეძახიან. ამ მცენარის სამშობლო ლათინური ამერიკაა. აცტეკებსა და მაიას ტომებში იგი იმდენად პოპულარული იყო, რომ მეომრებს, რომლებიც ცხელ და აუტანელ პირობებში გადაადგილდებოდნენ, იარაღთან ერთად აუცილებლად მიჰქონდათ ჩიას მარცვლებით სავსე პარკი. სწორედ ჩია აძლევდა მათ ენერგიასა და ძალას. მაიას ტომთა ენაზე სახელწოდება **„ჩია“** „ძალას“ ნიშნავს და იმდენად ძვირფასი პროდუქტია, რომ ძველი წელთაღრიცხვის 1500-900 წლებში აცტეკებსა და მაიას ტომებში ერთი მონა 100 მარცვალ ჩიაზე იცვლებოდა!

ევროპაში ჩია ესპანელებმა შემოიტანეს, სწორედ ამიტომ ეწოდება მას **„ესპანური სალბი“.** ამასთან, მისი პოპულარობა მსოფლიოში უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში მკვეთრად გაიზარდა. **იტალიელი კარდიოლოგების დასკვნით, ჩიას რეგულარული მოხმარება ინფარქტითა და ინსულტით გარდაცვლილთა რიცხვს 50 პროცენტით ამცირებს!** აღარაფერს ვამბობთ იმის შესახებ, რომ ჩია ძალიან კარგად მოქმედებს **შაქრიან დიაბეტზე** და ხელს უწყობს წონაში კლებას! ამიტომაც არ ყოფილა შემთხვევითი, რომ 2009 წელს ევროკავშირმა საგანგებო დადგენილებით ჩია ჯანმრთელობისათვის აუცილებელ მთავარ საკვებ პროდუქტად აღიარა!

**— მაინც რა მეცნიერული ახსნა აქვს ჩიას სასარგებლო თვისებებს?**

— ის, რომ ცხიმოვანი მჟავა **„ომეგა-3“** ორგანიზმისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელია, ამაზე სიტყვას აღარ გავაგრძელებთ. ამ ნივთიერებას დიდი რაოდენობით შეიცავს **ორაგული და ზუთხი,** მაგრამ ბევრმა არ იცის, რომ **ჩიას თესლში „ომეგა-3“ რვაჯერ მეტია, ვიდრე ძვირფასი ჯიშის თევზებში!** უფრო მეტიც, ჩიას შემადგენელი **ალფა ლინოლეინის მჟავა,** რომელიც „ომეგა-3“-ს ქმნის, მოკლეჯაჭვიანია, ხოლო თევზის ხორცში შემავალი იგივე „ომეგა-3“ — გრძელჯაჭვიანი. არადა, ამ დროს მოკლეჯაჭვიანი „ომეგა-3“ უფრო დაბლა სწევს ქოლესტერინს, ვიდრე თევზის ხორცში შემავალი გრძელჯაჭვიანი ცხიმოვანი მჟავა. ამიტომაც ჩია გულისა და თავის ტვინისათვის შეუცვლელი პროდუქტია. **გარდა იმისა, რომ ჩიას მარცვალი დაბლა სწევს შაქარს, მისი გამოყენება ორგანიზმს პროსტატის, მკერდის და მსხვილი ნაწლავის სიმსივნეებისგან იცავს.** ჩია შეიცავს **ამინომჟავა ტრიფტოფანს,** რომელიც ადამიანის ორგანიზმში ბედნიერების ჰორმონად — **სეროტონინად** გარდაიქმნება. აქედან გამომდინარე, **ჩია დეპრესიით შეპყრობილ ადამიანებზე იშვიათად კარგ გავლენას ახდენს!**

არაერთხელ აღგვინიშნავს, რომ რძე მოზრდილი ადამიანისთვის რეკომენდებული არ არის! არადა, რძე კალციუმის წყაროა. **მავანთა გასახარად ვიტყვი, რომ რძე თავისუფლად შეგვიძლია ჩავანაცვლოთ ჩიას მარცვლებით, რადგან მასში ექვსჯერ მეტი კალციუმია.** რაც შეეხება C ვიტამინს, ჩიაში იგი ფორთოხალთან შედარებით შვიდჯერ მეტია და მაგნიუმიც თხუთმეტჯერ აღემატება ბროკოლის ჯიშის კომბოსტოში მის შემცველობას. უფრო მეტიც, ჩიაში სამჯერ მეტი რკინაა, ვიდრე ისპანახში და ორნახევარჯერ მეტი ცილა — ვიდრე ლობიოში. ამიტომაც ჩიასგან მომზადებული შეჭამანდი უფრო ანაყრებს ადამიანს, ვიდრე იმავე რაოდენობის ლობიო. ყველაზე გასაოცარი ის ფაქტია, რომ ჩია აძლობს, მაგრამ, ამავდროულად, ხელს უწყობს წონაში კლებას!

**— ეს რანაირად ხდება?**

— საქმე ის გახლავთ, რომ ჩიას მარცვლის ორმოცი პროცენტი უჯრედისი, ანუ მცენარეული ცელულოზაა და თავის წონაზე ოცჯერ მეტი რაოდენობის წყლის შთანთქმა შეუძლია! კუჭში სითხის შთანთქმის კვალდაკვალ ჩიას მარცვლები ფუვდება და ქმნის სიმაძღრის შეგრძნებას, რაც საბოლოოდ იმას ნიშნავს, რომ ადამიანი წონაში ბუნებრივი გზით იკლებს. უფრო მეტიც, ნაწლავებში გადასული ამ გაფუებული მასის ბოჭკოები შესანიშნავი საკვებია იქ არსებული სასარგებლო ბაქტერიებისთვის. ამას დავუმატოთ ნაწლავთა პერისტალტიკის გაძლიერება და კუჭის მოქმედების გაუმჯობესება.

**— როგორ უნდა მივიღოთ ჩია?**

— **ერთ-ნახევარი სუფრის კოვზი ჩიას მარცვლები უნდა ჩავყაროთ ერთ ჩაის ჭიქა წყალში. ამის შემდეგ ის უნდა შევდგათ მაცივარში და გავაჩეროთ ერთი საათი.** ჩიას მარცვლები გაფუვდება და მიიღებს ჟელე კონსისტენციის მონის ბლის, ანუ ფაფის სახეს. ეს ფაფა შეგვიძლია მივირთვათ, **ანდა გავხსნათ ერთ ლიტრ წყალში და მივიღოთ დღის განმავლობაში.** სასიამოვნო გემოს მისაცემად მიღებულ მასას შეგვიძლია დავამატოთ ფორთოხლის ან ლიმონის ნაჭრები. **შესაძლებელია, ჩიას მარცვლები დღის განმავლობაში მოხარშვის გარეშეც მივიღოთ, როგორც მზესუმზირის თესლი, ოღონდ აუცილებლად უნდა დავაყოლოთ წყალი.** უნდა გვახსოვდეს, რომ იმ ადამიანებმა, რომლებიც დაბალ წნევას ატარებენ, ჩია არ უნდა მიიღონ, რადგან ჩია წნევის კარგი დამწევია. სხვათაშორის, **ჩემი პაციენტები ერთხმად აღნიშნავენ, რომ, ვისაც შაკიკი ან ხშირი თავის ტკივილი ტანჯავდა, ჩიას რეგულარული მიღებით მდგომარეობა მკვეთრად გაუმჯობესდათ.** ამ ყველაფრის მიზეზი, ჩემი აზრით, ჩიაში ამინომჟავა ტრიფტოფანის მაღალი შემცველობაა. ჩიას ვურჩევ იმ პაციენტებსაც, რომლებსაც სისხლში რკინის დაბალი შემცველობა აქვთ. აქვე არ შემიძლია, არ აღვნიშნო, რომ ზამთარში სუპერპროდუქტია ბროწეული, რომლის სამშობლოდაც ძველ კართაგენს მიიჩნევენ.



## „გარდა იმისა, რომ ჩიას მარცვალი დაბლა სწევს შაქარს, მისი გამოყენება ორგანიზმს პროსტატის, მკერდისა და მსხვილი ნაწლავის სიმსივნეებისგან იცავს!“

**— მაინც რა გამოარჩევს ბროწეულს სხვა პროდუქტებისგან?**

— დიდი რაოდენობით ანტიოქსიდანტებს შეიცავს და, ამდენად, კიბოსა და ინფარქტის რისკს მკვეთრად ამცირებს. **ბროწეული სისხლში ჟანგბადის კონცენტრაციას ზრდის, ხელს უშლის თრომბების წარმოქმნას და აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას.** მწვანე ჩაი და წითელი ღვინო იმიტომ მოგვწონს, რომ ტანინს შეიცავს, არადა, **ბროწეულში ტანინის ოდენობა ბევრად მეტია, ვიდრე მწვანე ჩაისა და წითელ ღვინოში.** გარდა ამისა, ბროწეული დაბალკალორიულია და ძალიან კარგია მათთვის, ვისაც წონაში დაკლება სურს.

იტალიელთა კვლევებით დადგინდა, რომ თაგვებს, რომლებსაც ბროწეულის წვენს ასმევდნენ, ათეროსკლეროზის პროგრესირება 30 პროცენტით შეუმცირდათ. ბროწეულის წვენი და ნაყოფი ცუდ ქოლესტერინს ჟანგავს და ათეროსკლეროზის განვითარებას ხელს უშლის. **ბროწეული ებრძვის სახსრების ანთებას, რადგან ანადგურებს იმ ფერმენტებს, რომლებიც ხრტილებს აზიანებენ.** ბროწეული საუკეთესოა შაქრიანი დიაბეტიანებისთვისაც.



## „ბროწეული საუკეთესოა შაქრიანი დიაბეტიანებისთვისაც!“

**— რა რაოდენობით უნდა მივიღოთ ბროწეული?**

— დღიურად დაახლოებით ნახევარი ჩაის ჭიქა ბროწეულის მარცვლები სავსებით საკმარისია იმისთვის, რომ წნევაც დავწიოთ და შაქრის რეგულაციასაც შევუწყოთ ხელი! ბროწეულის გარდა, **ზამთარში ძალიან სასარგებლოა სელის თესლიც.** ერთი ჩაის კოვზი სელის თესლი 200 გრამ წყალში უნდა ჩავყაროთ, 12 საათი გავაჩეროთ და დილით უზმოზე მივირთვათ.

სელის თესლი ალფა-ლინოლენის მჟავას შეიცავს, რომელიც სხვა არაფერია, თუ არა **„ომეგა-3“ და „ომეგა-6“.** სელის თესლი ანთების საწინააღმდეგოა და კიბოს უჯრედებს კლავს. სელის თესლი განსაკუთრებით ემტერება პროსტატისა და ძუძუს კიბოს უჯრედებს! **საუკეთესო შედეგს მივიღებთ, თუ სელის თესლს ყავის საფქვავში დავფქვავთ და საჭმელს შევურევთ.**

იმპერატორი **კარლ მეხუთე,** რომელსაც მთელი ევროპის გაერთიანების შანსი ჰქონდა, სელის თესლს იმხელა მნიშვნელობას ანიჭებდა, საგანგებო კანონით ქვეშევრდომებს მისი ჭამა დაავალდებულა!

ზამთარში საუკეთესოა მზესუმზირის თესლიც, ოღონდ — ნედლი და მოუხალავი. ის ძალიან მდიდარია **ფიტოსტეროლებით,** რომლებიც კარგ ქოლესტერინს ჰგვანან. **ბევრმა შესაძლოა, არ იცის, რომ მზესუმზირა გულწვის, ანუ ე.წ. „იჟოგის“ დროს არაჩვეულებრივია. გარდა ამისა, შეიცავს E ვიტამინს, რომელიც ცხიმში იხსნება და დაზიანებისგან იცავს თავის ტვინის ცხიმოვან უჯრედებს.** სხვათაშორის, მზესუმზირა ევროპაში კოლუმბის ექსპედიციის წევრებმა პერუდან შემოიტანეს და ის დიდი ხნის განმავლობაში დეკორატიულ მცენარედ იყო მიჩნეული. 1835 წელს ვორონეჟის გუბერნიაში რუსმა გლეხმა მზესუმზირის თესლისგან მსოფლიოში პირველად ზეთი გამოხადა. აი, სწორედ ამის შემდეგ დაიწყო მზესუმზირის, როგორც საკვები პროდუქტის გამოყენება მთელ მსოფლიოში. რუსეთი და უკრაინა მსოფლიოში მზესუმზირის ზეთის ძირითადი მწარმოებლები არიან. მზესუმზირის დღიური დოზა ერთი მეოთხედი ჩაის ჭიქაა.

**— რამდენად უზრუნველყოფს ჩვენი ორგანიზმისთვის სასარგებლო და აუცილებელი ელემენტების მარაგის შევსებას ზამთარში გოგრის თესლის მიღება?**

— 100 გრამი გოგრის თესლი ადამიანისათვის საჭირო ცილების დღიური ნორმის 54 პროცენტს შეადგენს. ეს იმას ნიშნავს, რომ **ადამიანმა ხორცი საერთოდ რომ არ მიიღოს და ყოველდღიურად 200 გრამი გოგრის თესლი შეჭამოს, ცილების დეფიციტი არ ექნება!** ზამთარში მზის შუქის ნაკლებობის გამო ადამიანი მიდრეკილია დეპრესიისკენ. გოგრის თესლი დიდი რაოდენობით **L-ტრიფტოფანს** შეიცავს, რომელიც ადამიანის ორგანიზმში ბედნიერების ჰორმონად — **სეროტონინად** გარდაიქმნება. ასე რომ, ნედლი გოგრის თესლი ზამთრის დეპრესიის დროს შესანიშნავი ბუნებრივი წამალია!

იმ მარილებს შორის, რომლებიც თირკმლებში გროვდება, ყველაზე ძნელად დასაშლელი კალციუმის ოქსალატებია, **გოგრის ნედლი თესლი კი თირკმლებში მათ დალექვას უშლის ხელს!** არაფერს ვიტყვით იმის შესახებ, რომ გოგრის თესლი უხსოვარი დროიდან ცნობილია, როგორც ჭიების საწინააღმდეგო, პროსტატიტის სამკურნალო საშუალება და B ვიტამინის საუკეთესო შემცვლელი. თუ ზემოხსენებულ პროდუქტებს ნატურალური სახით მივიღებთ, ზამთარში მიკროელემენტების, ვიტამინებისა და ცხიმოვანი მჟავების ქიმიური პრეპარატების სახით მიღება შესაძლოა, აღარც კი დაგვჭირდეს, რაც ორგანიზმისთვის დიდი შვება და სტიმული იქნება!

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***



## „სელის თესლი განსაკუთრებით ემტერება პროსტატისა და ძუძუს კიბოს უჯრედებს!“



# აღმოსავლეთში კატა-კურდღლის წელიწადს, პირველ რიგში, ოჯახურ კეთილდღეობას, ჯანმრთელი და კრეატიული ბავშვების დაბადებას უკავშირებენ

***— აღმოსავლეთში კატა (კურდღლის წელი) რის სიმბოლოდ არის აღიარებული, უპირველესად, რას უკავშირდება და ვის განასხვავებს? წარმატების მისაღწევად რა ტაქტიკას უნდა მივმართოთ და თავად კატისგან რა უნდა ვისწავლოთ? ჯანმრთელობისა და ფსიქოენერგეტიკული მდგრადობის შენარჩუნებისთვის რა იქნება მნიშვნელოვანი? რას დაუკავშირდება ცის კაბადონზე ერთ-ერთი მთავარი დინამიკური ასპექტი? რა ზეგავლენას მოახდენს მზის აქტიურობაზე მძლავრი პლანეტების ერთ ვიწრო სეგმენტში შეკრება და როდის გადაკვეთს დედამიწა მზის ენერგიის ანომალიურ ნაკადებს? რა შეიძლება გამოიწვიოს კუროს ზოდიაქოში მყოფი პლანეტების — იუპიტერისა და ურანის მნიშვნელოვანმა ზეგავლენამ და სად შეიძლება შეიქმნას სამოქალაქო ომის საფრთხე? წლის მეორე კვარტალში რა სასიკეთო მოვლენებია მოსალოდნელი და ამ მიმართებით რომელი მონაკვეთია გამონაკლისი? როგორ დავიმსახუროთ წლის მმართველისა და მასპინძლის კატა-კურდღლის კეთილგანწყობა? რა სარიტუალო ხერხებს გვთავაზობს აღმოსავლური სიბრძნე? — ამ და სხვა საკითხებზე ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი გვესაუბრება.***

**— რამდენიმე დღეში ახალი 2023 წელი შემოგვიღებს კარს... აღმოსავლური კალენდრით ვინ იქნება წლის მასპინძელი და მმართველი?**

— აღმოსავლური კალენდრის მიხედვით წლის სტიქიის „ინ" ენერგიის ლურჯი (შავი) კატა-კურდღლის წელიწადი, რეალურად, 2023 წლის 22 იანვარს, ახალმთვარეობას, თბილისის დროით 00.56 საათზე შემოგვიბრძანდება. აღმოსავლეთში იგი დღეგრძელობის, სიცოცხლისუნარიანობისა და სექსუალურობის სიმბოლოდ არის აღიარებული და მას, პირველ რიგში, ოჯახურ კეთილდღეობას, ჯანმრთელი და კრეატიული ბავშვების დაბადებას უკავშირებენ. ნიშანდობლივია ისიც, რომ კატა იდუმალ კოსმოსურ ძალებს განასახიერებს, რომლებსაც ბედ-იღბალზე ზეგავლენის მოხდენა და ასევე მოულოდნელად გამოჩენა თუ გაუჩინარება ძალუძს. ძველი დროიდან, ახალსახლობისას პირველი სახლში კატა შედიოდა, რათა ნეგატიური ენერგიები გაენეიტრალებინა. ითვლება, რომ კატა ფუძის ანგელოზთან მეგობრობს და იგი არამარტო სიმყუდროვეს და სითბოს, არამედ სახლში გამეფებული ფსიქოლოგიური და ემოციური კომფორტის გამომხატველია. კატის მაგალითზე ადამიანებსაც შეუძლიათ, ისწავლონ, თუ როგორ უნდა მოერგონ სხვადასხვა ცხოვრებისეულ გარემოებებს, ხან — სითბოში თავი გაინებივრონ, ხან კი დაცემისას მიწაზე „ოთხივე თათით" დაეშვან. თავად კატა საკუთარ თავისუფლებას ძალიან უფრთხილდება და მოთვინიერებას არ ექვემდებარება. აღმოსავლეთში კატის წელიწადი საკმაოდ მშვიდ წლად მიიჩნევა, მითუმეტეს, რომ იგი აუცილებელი წონასწორობითი ვეფხვის წელიწადის დინამიკური და დრამატული მოვლენების შემდეგ ძალების აღსადგენად. 2023 — კატის (კურდღლის) წელი სასიყვარულო ურთიერთობისას პარტნიორებს საშუალებას მისცემს, ღრმა, დაუვიწყარი შეგრძნებები განიცადონ. ერთი შეხედვით, ყველაზე უიმედო, დაძაბულ ოჯახურ ურთიერთობაშიც ამ წელს მეტი ჰარმონიულობა გაჩნდება. ოჯახური ღირებულებები პირველ ადგილზე გადაინაცვლებს. აღმოსავლეთში მიაჩნიათ, რომ კატის წელიწადში წარმატების მისაღწევად მისივე ტაქტიკის გამოყენება გვმართებს და უნდა ვიმოქმედოთ მოფერებით, გრძნობების მანიპულირებით და პოზიტიური დამოკიდებულებით. ამავდროულად, კატა მინიატიურული ვეფხვია და შეუძლია ბრჭყალებიც გამოაჩინოს, თუკი კუდზე დააბიჯებ. კატა ასევე კარგი მსახიობია, წარმატების მისაღწევად ნიღბებს ხშირად იცვლის, ანუ მოუწევს ხან შეუტიოს, ხან — სიმპათია, შინაგანი კეთილგანწყობილი ბუნება გამოავლინოს და ჭეშმარიტი მიზნები და განზრახვები შენიღბოს.

**— როგორც ყოველთვის, 2023 წელსაც აქტუალური თემაა ჯანმრთელობის საკითხი. ამ მიმართებით რა უნდა გავითვალისწინოთ?**

— **2023 წელს ჯანმრთელობის მდგომარეობის შესანარჩუნებლად მეტად სასურველია გაციებას, ზედმეტ ემოციურობასა და დაძაბულობას მოვერიდოთ, ფსიქოენერგეტიკული მდგრადობისთვის მნიშვნელოვანი იქნება თვითგამხნევება და დროულად მოდუნება.** ნიშანდობლივია ისიც, რომ ყველაზე მეტი ენერგეტიკული დატვირთვა იქნება თირკმლებისა და შარდის ბუშტის მერიდიანზე. საკვებს რაც შეეხება, მან უნდა გააააქტიუროს საჭმლის მომნელებელი სისტემისა და თირკმლების მუშაობა, რომელიც, წელს მთელი ჩვენი ორგანიზმის სტაბილიზატორები იქნებიან. ამასთან, **წელს უკიდურესად არასასურველი იქნება ზედმეტი ცხიმის შემცველი (ცხვრის ხორცის) საკვებისა და ლუდის მიღება.** რეკომენდებული იქნება, მივირთვათ მეტი ხილი (ქლიავი, ლეღვი, წითელი ვაშლი, ჭერმისა და გარგრის ჩირები). მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს პარკოსნებს. სასიკეთო იქნება დაღერღილი ფქვილისგან გამომცხვარი პურის, ჭვავისა და შვრიის გამოყენება.

**— 2023 წლის განმავლობაში როგორი იქნება ვითარება ცის კაბადონზე და მნათობებისა თუ პლანეტების ზემოქმედება?**

— აღმოსავლურ ასტროლოგიაში **წყლის სტიქიასთან ასოცირდება შავი ან ლურჯი ფერი. ამ თვისების ენერგიები კი სერიოზული კონსტრუქციული და საზოგადოებრივი ცვლილებების მაცნეა. მთვარის აღმავალი კვანძი, რომელიც წლის მეორე ნახევარში ვერძის ნიშანში შევა,** ამ გარდაქმნებს შემატებს აუცილებელ ცეცხლოვან ენერგიას. ერთ-ერთი მთავარი დინამიკური ასპექტი დაუკავშირდება იმ გარემოებას, რომ **სატურნი** (რეფორმების, სახელმწიფოს მართვისა და კონტროლის მართვის პლანეტა) მთელი წელიწადი თევზების ზოდიაქოში იმოძრავებს, რის გამოც **ნეპტუნთან** ერთად გააქტიურებს **კუროს** ზოდიაქოში მყოფი პლანეტების — **იუპიტერისა და ურანის** გაერთიანებას. **ამ მძლავრი პლანეტების ვიწრო სეგმენტში შეკრება ძლიერ ზეგავლენას მოახდენს მზის აქტიურობაზე და გამოიწვევს ანომალიურ გრავიტაციულ მოქცევით ზემოქმედებას მის ფოტოსფეროზე. მზის ენერგიის ნაკადებს, თევზები-ვერძი-კუროს ზონა მიიზიდავს, რაც შესაძლოა, მკვეთრი ცვლილებების მიზეზი გახდეს. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ დედამიწა წელს რამდენჯერმე** (მარტში, სექტემბერსა და ოქტომბერში) **გადაკვეთს მზის ენერგიის ამ ანომალიურ ნაკადებს. 2023 წლის მეორე კვარტალი შედარებით მშვიდი იქნება. მესამე კვარტალში კი კუროს ზოდიაქოში მყოფი პლანეტების — იუპიტერისა და ურანის მნიშვნელოვნად გაზრდილი გავლენა სერიოზულ სამხედრო კონფლიქტს, ტერორიზმის გააქტიურებას, დიდი ქვეყნების მეთაურებს შორის ურთიერთობის გამწვავებას გამოიწვევს. ამერიკაში კი სამოქალაქო ომის საფრთხეს შექმნის.**

**2023 წლის მეოთხე კვარტალს** (ნოემბრის გამოკლებით) **შევიძლია, წლის ერთ-ერთი ყველაზე სასიკეთო პერიოდი ვუწოდოთ. 10 ოქტომბრის შემდეგ გაჩნდება პროფესიული თუ შემოქმედებითი გაფართოების და გასული თვეების უძრაობისა და კრიზისული შედეგების დაძლევის საშუალება. გამონაკლისი მხოლოდ 27 ოქტომბერი-14 ნოემბრის შუალედი იქნება, რომე-**

## გეომაგნიტური დღეებია 26, 30, 31 დეკემბერი და 3, 5, 7 იანვარი



**7 იანვარი – სავსემთვარეობა, პიკი – 03.09 საათზე;**
**22 იანვარი – ახალმთვარეობა, პიკი – 00.56 საათზე.**

## კვირგვინოსნები

**ლაშა რამიშვილი**
*მსახიობი*



ვისურვებდი, რომ 2023-იდან ქართველებს ჩემი თამადობით **თავისუფლების აზრი გვესწავლოს და მისი უზრდელობისა და ზღვარგადასული ქმედებებისგან გარჩევა შეგვძლებოდეს.** სოციალურ ქსელში რომ ვაკვირდები, სამწუხაროდ, ხშირად ვხედავ, რომ **უზრდელობას თავისუფლებას ეძახიან** და იმედია, ნამდვილი თავისუფლების გემოს გავიგებთ და ამ ფენომენის რეალურ სახეს შევიცნობთ.

„თბილისელები"

**ნინო დარასელი**
*ჟურნალისტი*



ბოლო დროს **ტექნოლოგიური პროგრესი** უკვე ცოტა მაშინებს და ცოტა **ჩვენი თავის რობოტებით ჩანაცვლების მეშინია!**

„თბილისელები"

**გიგა კუხიანიძე**
*რეჟისორი*



სამჯერ გვაქვს მოგებული **„ევროვიზია"** და ეს ჯერ ვერცერთმა ქვეყანამ ვერ შეძლო.

„თბილისელები"

**ნატო დუმბაძე**
*პროდიუსერი*



ძალიან მეშინოდა ფრენის. ჩემზე ამბობდნენ: **ნატო სანამ თვითმფრინავში ჩაჯდება, მანამდე მამაო შეჰყავს,** აკურთხებინებს და მერე ჯდებაო!

„თბილისელები"

**ქართლოს ნატროშვილი**
*პროდიუსერი*



ორმა ქალმა დამიყვირა ბაზარში: **მიშა, გაჩერდი და გვიპასუხეო!** გავჩერდი და მეკითხებიან: **რატომ დაშორდი სანდრას?** მე თავის მართლება დავიწყე და რას ჰქვია, რატომ დაშორდი, **რად გინდოდა ლიზა იასკოო?**

„თბილისელები"

# პერიოდი 16 იანვრამდე ძალიან შედეგიანი და იმედის მომცემი იქნება ზოდიაქოს ნიშნების უმრავლესობისათვის




***— იანვრის დასაწყისში რა განაპირობებს პოზიტიურ ცვლილებებს ანდა რამ შეიძლება წარმოშვას ხელის შემშლელი პრობლემები? პლანეტების — მარსისა და ვენერას წყვილი თვის მეორე დეკადაში რა შემთხვევაში მოიტანს დადებით შედეგს და როდის ჯობია ნებისმიერი საზოგადოებრივ-პოლიტიკური საქმიანობის დაგეგმვა? რა და რა თვისებებს გაამახვილებს მესამე დეკადის დასაწყისში მზის გადანაცვლება თხის რქის ზოდიაქოდან მერწყულის ზოდიაქოს ნიშანში? როდის დაიწყება და რამდენ ხანს გაგრძელდება ზამთრის ყველაზე რთული პერიოდი?***

**— რას გვპირდება ახალი 2023 წლის პირველი თვე — იანვარი?**

— **იანვრის დასაწყისი ზოდიაქოს ნიშანთა უმრავლესობისთვის ყველაზე პოზიტიური, აქტიური და ენერგიული პერიოდი იქნება. ამ დროს მიღებული გადაწყვეტილებები დაუკავშირდება მომავალში კარიერულ ზრდასა და ყოფიერ კეთილდღეობას.** ამგვარ პოზიტიურ ცვლილებებს ხელს შეუწყობს აღმავალ მთვარესთან **დედამიწის ბიოსფეროს** დადებითი ტანდემი, რის შემდეგადაც **პერიოდი 16 იანვრამდე ძალიან შედეგიანი და იმედის მომცემი იქნება.** უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მიზნის მიღწევისას ხელის შემშლელი პრობლემები შესაძლოა, წარმოიქმნას მხოლოდ შეთანხმებისა და დანაპირების არშესრულების შემთხვევაში, ამიტომ ნურავის დაჰპირდებით ისეთ რამეს, რაშიც თავად დარწმუნებული არ ხართ. ქმედითუნარიანობისა და ბრძოლისუნარიანობის მმართველი პლანეტა **მარსი 12 იანვრიდან** დაასრულებს რეტროგრადულ მოძრაობას, ხოლო სილამაზისა და სიყვარულის მმართველი პლანეტა **ვენერა 17 იანვრიდან მერწყულის** ზოდიაქოში გადაინაცვლებს. ცის კაბადონზე ამგვარი ცვლილება და ამ ორი პლანეტის წყვილი განაპირობებს წარმატებას როგორც საქმიანი მოლაპარაკებისას, ისე შემოქმედებითი საქმიანობისას. ყველაზე მეტად იღბალი გაუღიმებთ ქალბატონებს, რომელთა ინტუიციაც შუა თვეში განსაკუთრებით გაძლიერდება. პლანეტათა ამგვარი კომბინაცია ასევე დადებით შედეგს მოუტანს ყველას, ვინც არ დაიზარებს და დაუღალავად მიზანმიმართულად იმოქმედებს სამსახურში, ბიზნესში თუ საოჯახო კავშირის გასამყარებლად. ეს დრო სასიკეთო იქნება საპირისპირო სქესის წარმომადგენელთა გასაცნობად და ახალი პირადი ურთიერთობების ჩამოსაყალიბებლად. ამავდროულად, **ნებისმიერი საზოგადოებრივი თუ პოლიტიკური საქმიანობა უმჯობესია, დაიგეგმოს ან 8 იანვრამდე, ან 19-27 იანვრის შუალედში.** ამ შემთხვევაში შესაძლებელი იქნება სარესურსო ბაზის შექმნა, რომელიც 21 რიცხვის შემდგომ განვითარებას პოვებს. მითუფრო, რომ 18 დეკემბრიდან იღბლიანობისა და წარმატების მმართველი **პლანეტა იუპიტერი** გადაინაცვლებს **ვერძის** ზოდიაქოში, სადაც ძლიერ ენერგეტიკულ ვიბრაციასა და იმპულსს შექმნის. ნიშანდობლივია ისიც, რომ განსაკუთრებულად თავდაჯერებულნი გახდებიან ცეცხლის სტიქიის ნიშნები (ვერძი, ლომი, მშვილდოსანი). თუმცა, არანაკლებ ქმედითუნარიანები იქნებიან ჰაერის სტიქიის წარმომადგენლებიც (ტყუპი, სასწორი, მერწყული).

**— რა და რა თვისებებს გაამახვილებს ადამიანებში იანვრის მესამე დეკადის დასაწყისში მზის გადანაცვლება თხის რქის ზოდიაქოდან მერწყულის ზოდიაქოს ნიშანში?**

— **მზე 20 იანვარს (12.31) გადაინაცვლებს რა მერწყულის ზოდიაქოში, უახლოესი ერთი თვის მანძილზე ადამიანებში გააძლიერებს თავისუფლებისკენ, რეფორმებისკენ ლტოლვას, დემოკრატიულ ფასეულობებს, მეგობრულ კონტაქტებს, გონებამახვილობასა და ორიგინალურად თვითგამოვლენის უნარს, ასევე სიჯიუტეს, სიზარმაცეს, სულსწრაფობასა და უყაირათობასაც.** უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამჟამინდელი ზამთრის ყველაზე რთული პერიოდი **27 იანვარს დაიწყება და 9 თებერვლამდე გასტანს.** ამ დროს ადამიანების სასიცოცხლო ენერგია შემცირდება და ფიზიკური ძალებიც იკლებს, რის შედეგადაც იმატებს აგრესიულობა და შფოთი. გონებაგაფანტულობა და გულმავიწყობა კი გაზრდის საქმიანობისას შეცდომების რაოდენობას, დანაკარგს, დაძაბულობას. ენერგიის ნაკლებობა, შესაძლოა, საერთაშორისო ურთიერთობებზეც აისახოს, საომარი მოქმედება განაპირობოს, ძველი პოლიტიკური კონფლიქტი გაამწვავოს და ახალი უთანხმოება წარმოშვას.



**„ნებისმიერი საზოგადოებრივი თუ პოლიტიკური საქმიანობა უმჯობესია, დაიგეგმოს ან 8 იანვრამდე, ან 19–27 იანვრის შუალედში!“**

*რუბრიკას უძღვება*
***მარინა მერკვილაძე***

***თემის გაგრძელება 34-ე გვერდზე***

**ლიც, შესაძლოა, აღმოჩნდეს გამძლეობის ტესტირება როგორც ჯანმრთელობისთვის, ისე ყველა სახის სტაბილურობისთვის. წლის ბოლოს კი** მოსალოდნელია ასევე სამომხმარებლო და საწარმოო ნდობის ინდექსების ზრდა, ტურიზმის გამოცოცხლება და საინვესტიციო აქტიურობა.

**— რას გვირჩევთ, როგორ აღვნიშნოთ ახალი 2023 წლის შემობრძანება. რა ეამება წლის მასპინძელ კატა-კურდღელს?**

— კარგი იქნება, თუ ახალი წლის ღამეს, 31 დეკემბერს, ზოგიერთ სარიტუალო ხერხსაც გავითვალისწინებთ, რათა **კატა-კურდღელს** პატივი მივაგოთ და მისი კეთილგანწყობა დავიმსახუროთ. თუ ამ წესებს ორჯერ შევასრულებთ (31 დეკემბერსა და 22 იანვარს) უფრო უკეთესი იქნება, რადგან ორმაგ კეთილგანწყობას დავიბევეთ. **2023 წლის რიცხვია 7,** ამიტომ სასურველია, 7, 5 ან 3 სანთელი ავანთოთ ახალი წლის დადგომამდე 15-20 წუთით ადრე და გასულ წელს მადლობა გადავუხადოთ, ხოლო ახალი წლის დაწყებისთანავე ჩავუთქვათ 3, 5 ან 7 სურვილი. ასევე კარგი იქნება, თუ წლის სიმბოლური გამოსახულების ქვეშ დავდებთ სამორლარიან და ერთ ცალ ერთლარიან მონეტას და თითო სურვილს ჩავუთქვამთ. ასევე წყლით სავსე ჭიქაში ან აკვარიუმში მოვათავსებთ იმავე სახით მონეტებს და დილამდე დავტოვებთ (მერე შეგიძლიათ დახარჯოთ), მოგეხსენებათ, წყლის სტიქია ფულის შემომტანია. **ნაძვის ხის მორთვებში** სასურველია, სჭარბობდეს **ლურჯი, მწვანე, თეთრი ან ოქროსფერი,** მას გვერდით **ჩიჩილაკი** მიუდგით. სასურველია, იქვე მოვათავსოთ მანდარინის ტოტებიც, როგორც ხვავისა და ბარაქის სიმბოლო. **წლის მინერალებია აქატი, საფირონი, აკვამარინი, ძოწი, ცირკონი, მარგალიტი, თეთრი მარჯანი, ამეთვისტო. ლითონებიდან კი პრიორიტეტულია ვერცხლი. სადღესასწაულო სუფრა უნდა დაამშვენოთ ჯანსაღი და დახვეწილი კერძებითა და ნუგბარით.** ნუ გადატვირთავთ ძნელად შესათვისებადი ცხიმებით, რამეთუ კატა ფაქიზი მჭამელია. **იმოქმედეთ პრინციპით „სჯობს ცოტა, მაგრამ საუკეთესო“.** ვინაიდან 22 იანვრამდე **ვეფხვის** წელიწადი გრძელდება, საახალწლოდ სუფრაზე მოათავსეთ **ვეფხვის, კატის, კურდღლის** სიმბოლური გამოსახულებები. **ვეფხვს** — ცოტაოდენი ხორცი, **კურდღელს** — სტაფილო, **კატას** თევზი ან ყველი დაუდეთ. ახალი წლის ღამეს განეწყვეთ პოზიტიურად და მხიარულად შეეგებეთ ახალ 2023 წელს. **გისურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას, წინსვლას! დაე, იყოს იგი მშვიდობიანი, ხვავიანი, სიკეთით აღსავსე თითოეული ოჯახისთვის, სრულიად საქართველოსთვის და მთელი ჩვენი ძვირფასი პლანეტისთვის!!!**

## კვირგვინოსნები

**ნატალია ქუთათელაძე**
*მომღერალი*



ჩემი და **ნიკო ჯაფარიძის** ურთიერთობას ბევრი უსიამოვნება ახლდა თან — არჩილის ოჯახის დანგრევა, რომელიც ძალიან არასასიამოვნო ფაქტი იყო. მეორე ქორწინებიდან 3 შვილი ჰყავს. **მაქვს პასუხისმგებლობის გრძნობა ამ ბავშვებთან, რაც მთელი ცხოვრება გამყვება.** მათ დაუმსახურებლად ეტკინათ და ამაში, რა თქმა უნდა, ჩემი ხელიც ურევია.

„სარკე“

**ანა კოშაძე**
*ტელეწამყვანი*



**34 წლის ასაკში გავხდი სტუდენტი.** იმდენად მიჭირს მეცადინეობა... ყოველ საღამოს გავშლი სამეცადინოებს **„თხა და გიგოსავით“,** მოვიმარაგებ ყველაფერს, მერე ხან „ფეისბუქს“ ჩამოვსქროლავ, ხან რილსებს ვათვალიერებ და მერე დამეძინება.

„სარკე“

**მარიამ სანოგო**
*მოდელი, ტელეწამყვანი*



მეგობრებმა უკვე კარგად იციან, რომ **ახალი წლის დღეებში ჩვენთან აუცილებლად გაიშლება ტრადიციული ქართული სუფრა ქართული ღვინით,** სხვადასხვა სასმისებით და გიტარებით. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან მოდაშია ევროპულად გაშლილი სუფრა, **ჩვენ ქართული ტრადიციული მოლხენა გვიყვარს,** კარგი ქალაქური სიმღერებითა და ქართული კერძებით.

„სარკე“

**დალი ჩიტალაძე**
*მოდის ექსპერტი*



საახალწლო რჩევა: **ცოტა ტრენდული შტრიხები შევიტანოთ ჩვენს გარდერობში და ყოველთვის ლამაზად ვიქნებით ჩაცმული.** მთავარია, ელეგანტურობა შევინარჩუნოთ, არ ვიყოთ ვულგარულები. **ახალი წელი მოდის, გაბრჭყვიალდით და იყავით ფერადოვნები.** ყოველი ახალი წელი ეს არის ახლის დასაწყისი.

„სარკე“



# 26 დეკემბერი – 1 იანვრის ასტროლოგიური პროგნოზი




შესაძლოა, სამსახური ან სპეციალობა შეიცვალოთ, ანდა ახალი საქმე დაიწყოთ. საქმიანობისას პარტნიორები ყურადღებით შეარჩიეთ და სხვისი ფინანსების იმედით ნუ იქნებით. ოჯახის წევრთა პრობლემა ან ჯანმრთელობა, შესაძლოა, კვირის მთავარ თემად იქცეს. მოგზაურობისას შესაძლებელია, ახალი სასიყვარულო ურთიერთობის დამყარება. საკუთარ ჯანმრთელობასაც გაუფრთხილდით, რადგან თქვენი ენერგობალანსი შემცირებულია.




**გონებამახვილი იქნებით და ინტუიციაც იმატებს, ამიტომ გარშემო მყოფებზე ადვილად მოახდენთ გავლენას და იდეის განსახორციელებლად ჯგუფურად იმუშავებთ. თუ დეტალებზეც წინასწარ იფიქრებთ და ზუსტ გეგმას შეიმუშავებთ, უშეცდომოდ მოქმედებასა და მიზნის მიღწევასაც შეძლებთ. ოჯახის წევრებისგან, შვილებისგან და საყვარელი ადამიანისგან მხარდაჭერას მიიღებთ. კარგი დღეა ახალი შენაძენისთვის, მოგზაურობაც დადებითად ჩაივლის.**




სასიამოვნო კონტაქტებისა და ხშირი გადაადგილებების მეშვეობით დაღლილობას დაძლევთ და განწყობასაც გამოისწორებთ. სასიყვარულო სფეროში თქვენი შეხედულებები შეიცვლება და მეუღლის ან შეყვარებულის მიმართ დამოკიდებულება უფრო სიღრმისეული გახდება. ჯანმრთელობის მდგომარეობა კი დამოკიდებული იქნება თქვენს უნარებსა და ოპტიმიზმზე. კარგი დროა სამკურნალო პროცედურების ჩასატარებლადაც.




**წარმატების მისაღწევად აქტიურად იმოქმედებთ და იშრომებთ. ფინანსებთან მიმართებით ნუ გარისკავთ, ახალი ადამიანები გაიცანით და საჭირო კავშირებიც დაამყარეთ. შესაძლოა, რომანი წამოიწყოთ თქვენივე წრის წარმომადგენელთან, რის გამოც საქმეს ხარისხიანად ვერ შეასრულებთ. ოჯახის წევრებს წვრილმანების გამო ნუ აუხირდებით და მეტი ყურადღება მიაქციეთ მშრობლების რჩევებს. ჯანმრთელობა სტაბილური გექნებათ, თუმცა, დროდადრო ჯობს, დაისვენოთ.**




სერიოზულად დაფიქრდებით არამარტო საქმეზე, არამედ ცხოვრებისეულ მიზნებსა და მათი მიღწევის საშუალებებზე. გადაადგილებებისა და მოგზაურობების რაოდენობა იმატებს. ფინანსური მდგომარეობა გაგიუმჯობესდებათ, მაგრამ ამას მთავარ მიზნად ნუ დაისახავთ. შესაძლებელია, საქმიანი ურთიერთობის ჩამოყალიბება ნათესავთან ან მეგობართან. საყვარელი ადამიანი კი სიამოვნების წყაროდ იქცევა. შვილებთან ურთიერთობა სულიერ სიმშვიდეს შეგმატებთ. გამართლებული იქნება მცირეოდენი რისკიც.




**ახალი იდეები შრომას გაგიადვილებთ და მიზანთან დაგაახლოვებთ. საზოგადოებაში რაც მეტ დროს დაჭყოფთ, მით მეტი პერსპექტივა გაგიჩნდებათ. შემოსავლის რაოდენობაც გაიზრდება. საქმიან და სასიყვარულო პარტნიორებთან ურთიერთობაც მოწესრიგდება, რის გამოც გაგიადვილდებათ მოლაპარაკებების წარმოება და შეთანხმების მიღწევა. კარგი პერიოდია ქველმოქმედებისა და სულიერი პრაქტიკისთვისაც.**




განწყობა გაგიუმჯობესდებათ. სამსახურში თქვენი პოპულარობა მოიმატებს. ახალი კავშირები დაგეხმარებათ სარფიანი მოლაპარაკებების ჩატარებაში, კარიერაში წინსვლაც შესაძლებელია. რომანტიკული განწყობა შემოქმედებისთვის სტიმულად იქცევა. არ არის გამორიცხული საჩუქრის ან ფულადი პრემიის მიღებაც. კარგი დროა დასასვენებლად გამგზავრებისთვის, ჯანმრთელობის გასაუმჯობესებლად და ძალების აღდგენისთვის.




**საინტერესო ადამიანთა წრეში ბევრ დროს გაატარებთ. კარგი პერიოდია სიახლის შესაცნობად და ავტორიტეტის გასამყარებლად. რთული საკითხების გადაწყვეტას მოერიდეთ და ახლობლებსა და შეყვარებულს მეტად ენდეთ. ფინანსური მდგომარეობა, საშუალებას მოგცემთ, ოცნებები აისრულოთ და ძვირადღირებული ნივთები და საჩუქრები შეიძინოთ. მშვენიერი დროა უცხოეთში სამოგზაუროდ და საქმის დასაწყებად, თუმცა, უცნობებს არ ენდოთ და ინფორმაციაც შეამოწმეთ.**




მოგზაურობის, გადაადგილებების, ბევრი ურთიერთობისა და შეხვედრების პერიოდია, რომელიც საქმიანი ვიზიტებისთვის უნდა გამოიყენოთ. გარისკვასა და კრიზისულ სიტუაციას ერიდეთ, რათა ურთიერთობა არ გაიფუჭოთ ოჯახის წევრებთან, მეგობრებთან და შეყვარებულთან. გაუგებრობა, შესაძლოა, კავშირის გაწყვეტის მიზეზიც გახდეს. კრედიტის აღება არ არის სასურველი. ჯანმრთელობასაც გაუფრთხილდით.




**თქვენი ავტორიტეტი იმატებს და თქვენს აზრს ბევრი ადამიანი მოისმენს და გაითვალისწინებს როგორც შინ, ისე გარეთ. მეტი დრო დაუთმეთ პირად პრობლემებს, სასიყვარულო ურთიერთობას, გარეგნობას თუ კარიერას. დრო ხელს უწყობს ახალი ურთიერთობების დამყარებასა და აუცილებელი მოლაპარაკებების ჩატარებას. მოგზაურობამ და გადაადგილებებმა შესაძლოა, თქვენი გეგმები რადიკალურად შეცვალოს.**




საქმიანი პარტნიორების დახმარებით არამარტო ახალ კავშირებს დაამყარებთ, არამედ შემოქმედებითი პოტენციალისა და დაგროვილი ცოდნის გამოყენების ახალ გზებს იპოვით. ცვლილებები ნუ შეგაშინებთ და ილუზიის გარეშე დაიწყეთ მომავალი პერიოდის დაგეგმვა. უცხოეთში მოგზაურობა ბევრ სიამოვნებასა და პერსპექტივას გიქადით. პირად საკითხში კი თავისუფლების მოთხოვნილება და პასუხისმგებლობის შემცირება მეუღლის ან შეყვარებულის უკმაყოფილებას გამოიწვევს.




**განწყობა გაგიუმჯობესდებათ. თქვენი ავტორიტეტი და პრესტიჟიც გაიზრდება. შეგეცვლებათ მიზნები და შეხედულებები. შემოსავალი მოიმატებს და ახალი შესაძლებლობებიც გაჩნდება. საქმეში გონივრული რისკიც გამართლებული იქნება. მით უფრო თუ რაიმე იდეის განხორციელებას აპირებთ. კარგი პერიოდია მოგზაურობისთვის, უცხოელებთან კავშირი კარგი შემოსავლის მიღებას გიქადით, ოღონდ, ეცადეთ, ყველა საბუთი დროულად გააფორმოთ.**

# რას ურჩევს ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი ზოდიაქოს თორმეტივე ნიშნით დაბადებულებს?

## 26 დეკემბერი, ორშაბათი

**მზე** იმყოფება თხის რქის ზოდიაქოში. ამოდის 08.27 საათზე, ჩადის 17.36 საათზე. **მთვარე** მერწყულის ზოდიაქოშია. ამოდის 10.21 საათზე, ჩადის 20.08 საათზე (მთვარის მე-4 დღე იწყება 12.57 საათზე. I ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 22.19 საათიდან 23.59 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეს შესაძლოა, ფართო შესაძლებობების წინაშე აღმოჩნდეთ. მაღალია მოულოდნელი შეხვედრის, იღბლიანი შემთხვევის, უჩვეულო შემოთავაზების ალბათობა. ამავდროულად იკრძალება დაცინვა, სარკაზმი. ორგანიზმი მიმართულია თვითწმენდაზე, ამიტომ მოერიდეთ ზედმეტი საკვების მიღებას, ნურც ზედმეტს ილაპარაკებთ. არ არის სასურველი საიდუმლოს გამჟღავნება, მცენარეების დარგვა-გადარგვა. კარგი დღეა სუნთქვითი ვარჯიშებისთვის, საზოგადოებრივ-რეფორმატორული საქმიანობისთვის, სარემონტო-სამდებრო სამუშაოებისთვის, უძრავი ქონების, კომპიუტერის, ელექტრო და აირდანადგარების შესაძენად, სამეცნიერო კვლევისთვის, სახლის მშენებლობისთვის. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ნერვული სისტემა, ვენები, ფეხის კუნთები, თვალები. **ქვები:** საფირონი, აკვამარინი, ცირკონი, ლაბრადორიტი, ამაზონიტი, ძოწი. **პოზიტიური დღეა** ტყუპისთვის, ლომისთვის, მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის. **ნეგატიურია** კუროსთვის, ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის.

## 27 დეკემბერი, სამშაბათი,

**მზე** იმყოფება თხის რქის ზოდიაქოში. ამოდის 08.27 საათზე, ჩადის 17.37 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (11.35) თევზების ზოდიაქოში. ამოდის 10.54 საათზე, ჩადის 21.27 საათზე (მთვარის მე-5 დღე იწყება 13.11 საათზე. I ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 00.00 საათიდან 11.35 საათამდე. **ტენდენციები:** საახალწლო სამზადისის დროა. მოერიდეთ ბასრ საგნებს. არ არის სასურველი ზედმეტი ლაპარაკი, ალკოჰოლის, ნარკოტიკული და ფსიქოტროპული საშუალებების მიღება, საიდუმლოს გამხელა, ანალიზების ჩაბარება, ექოსკოპია, ტერფების მასაჟი. შედეგიანია კუჭ-ნაწლავის, ლიმფური სისტემის მკურნალობა. კარგი დღეა ქველმოქმედებისთვის, შემოქმედებისთვის, ნოვატორული საქმიანობისთვის, მგზავრობისთვის, ქორწინებისთვის, სახლის მშენებლობისთვის. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია თვალები, ნერვული და ენდოკრინული სისტემა, ტერფები. **ქვები:** საფირონი, აკვამარინი, მარგალიტი, გიშერი, მარჯანი, ამეთვისტო. **პოზიტიური დღეა** კირჩხიბისთვის, თხის რქისთვის, თევზებისთვის. **ნეგატიურია** ვერძისთვის, სასწორისთვის.

## 28 დეკემბერი, ოთხშაბათი

**მზე** იმყოფება თხის რქის ზოდიაქოში. ამოდის 08.27 საათზე, ჩადის 17.38 საათზე. **მთვარე** თევზების ზოდიაქოშია. ამოდის 11.22 საათზე, ჩადის 22.41 საათზე (მთვარის მე-6 დღე იწყება 13.21 საათზე. I ფაზა). **ტენდენციები:** დღეს ინტუიციას დაეყრდენით. ზედმეტ სექსუალურ ენერგიას ნუ გადაზრდით ემოციებსა და აგრესიაში. სასიკეთო დღეა სულიერი განახლებისა და მედიტაციისთვის, შემოქმედებისთვის, ქველმოქმედებისთვის, მგზავრობისთვის, იურიდიული საქმეებისთვის, მცენარეთა დარგვა-გადარგვისთვის. არ არის სასურველი ალკოჰოლის, ფსიქოტროპული და ნარკოტიკული საშუალებების მიღება, ექოსკოპია, ანალიზის ჩაბარება, სისხლის აღება ან გაცემა, ახალი საქმის დაწყება, თავის დაბანა. მოერიდეთ ცეცხლსასროლი იარაღისა და ასაფეთქებელი ნივთიერებების გამოყენებას. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ტერფები, თვალები, ნერვული სისტემა. **ქვები:** მარგალიტი, ალექსანდრიტი, გიშერი, მარჯანი, ამეთვისტო. **პოზიტიური დღეა** კუროსთვის, ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის. **ნეგატიურია** ტყუპისთვის, ლომისთვის, მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის.

## 29 დეკემბერი, ხუთშაბათი

**მზე** იმყოფება თხის რქის ზოდიაქოში. ამოდის 08.28 საათზე, ჩადის 17.38 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (14.37) ვერძის ზოდიაქოში. ამოდის 11.35 საათზე, ჩადის 23.10 საათზე (მთვარის მე-7 დღე იწყება 13.29 საათზე. I ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 10.21 საათიდან 14.37 საათამდე. **ტენდენციები:** დღეს ინტელექტისა და კომუნიკაციების მმართველი პლანეტა **მერკური** რეტროგრადული ხდება (სამი კვირით). ამ პერიოდში, შესაძლოა, დავუბრუნდეთ დაუსრულებელ ან არასწორად წარმართულ საქმეს, ძველ კონტაქტებს, ძველ ინფორმაციებს, რათა ეს ყოველივე ახლებურად გავიაზროთ. აღნიშნულ პერიოდში გართულდება მგზავრობა, კომუნიკაცია, მოლაპარაკებები, ინფორმაციების მიღება-გადაცემა, ტექნიკური მოწყობილობებისა და კომპიუტერის მუშაობა. დღეს სასიკეთოა სიბრძნის, სამართლიანობის გამოვლენა. შედეგიანია თირკმლების მკურნალობა. კარგი დღეა ქორწინებისთვის, შემოქმედებისთვის, ქველმოქმედებისთვის. არ არის სასურველი პლასტიკური ოპერაციები, წესების დარღვევა. გაუფრთხილდით თვალებს. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია თავი, ნერვული სისტემა, სისხლძარღვები, ტერფები. **ქვები:** მარგალიტი, ლალი, იაგუნდი, წითელი იასპი, ძოწი. **პოზიტიური დღეა** ვერძისთვის, სასწორისთვის. **ნეგატიურია** კირჩხიბისთვის, თხის რქისთვის.

## 30 დეკემბერი, პარასკევი

**მზე** იმყოფება თხის რქის ზოდიაქოში. ამოდის 08.28 საათზე, ჩადის 17.39 საათზე. **მთვარე** ვერძის ზოდიაქოშია. ამოდის 12.07 საათზე, ჩადის 23.59 საათზე (მთვარის მე-8 დღე იწყება 13.36 საათზე. მე-2 ფაზა იწყება 05.22 საათზე). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეს სესხით რაიმეს ყიდვას მოერიდეთ. თვალებს ნუ გადაღლით. სასიკეთოა საყვარელი ადამიანებისთვის საჩუქრის მიძღვნა. კარგი დღეა მგზავრობისთვის, სპორტული ინვენტარის, მჭრელი საგნების, ტრენაჟორების, ტანსაცმელ-ფეხსაცმლის შესაძენად, ხელმძღვანელთან ურთიერთობისთვის. შედეგიანია თირკმლებისა და შარდის ბუშტის მკურნალობა. არ არის სასურველი ქორწინება, საფინანსო ოპერაციები, კაპიტალდაბანდება, სტომატოლოგიური პროცედურები, კამათი და სულსწრაფობა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია თავი, გრძნობათა ორგანოები, სისხლძარღვები. **ქვები:** ლალი, იაგუნდი, ძოწი, ბრილიანტი, ფირუზი. **პოზიტიური დღეა** ლომისთვის, მერწყულისთვის. **ნეგატიურია** კუროსთვის, ღრიანკალისთვის.

## 31 დეკემბერი, შაბათი

**მზე** იმყოფება თხის რქის ზოდიაქოში. ამოდის 08.28 საათზე, ჩადის 17.40 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (21.10) კუროს ზოდიაქოში. ამოდის 12.29 საათზე, ჩადის 1 იანვარს 01.00 საათზე (მთვარის მე-9 დღე იწყება 13.44 საათზე. მე-2 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 16.44 საათიდან 21.10 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** ახალი წლის ღამეს ნუ დაივიწყებთ და ჩაუთქვით სურვილები, ირწმუნეთ, დაიჯერეთ და აგიხდებათ. უფალს მადლობით მიმართეთ, დაილოცეთ სანთლით ხელში. სასიკეთო დღეა სასიყვარულო შეხვედრებისთვის, კულტურულ-გასართობი ღონისძიებებისთვის, შემოქმედებითი უნარის გამოსავლენად, ტრანსაცმელ-ფეხსაცმლის, პარფიუმერია-კოსმეტიკის შესაძენად. არ არის სასურველი სარისკო ქმედება, სულსწრაფობა, ასაფეთქებელი და მჭრელი ნივთების გამოყენება. განეწყვეთ ოპტიმისტურად და სიხარულით შეეგებეთ **ახალ 2023 წელს — ლურჯი კატა-კურდღლის წელიწადს! ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ყელი, ენდოკრინული სისტემა. **პოზიტიური დღეა** ყველა ზოდიაქოს ნიშნისთვის.

## 1 იანვარი, კვირა

**მზე** იმყოფება თხის რქის ზოდიაქოში. ამოდის 08.28 საათზე, ჩადის 17.41 საათზე. **მთვარე** კუროს ზოდიაქოშია. ამოდის 13.53 საათზე, ჩადის 2 იანვარს 03.07 საათზე (მთვარის მე-10 დღე იწყება 13.53 საათზე). **ტენდენციები: გილოცავთ ახალ 2023 წელს! იხარეთ და იდღეგრძელეთ!!!** ოჯახის წევრებს, ახლობლებსა და მეგობრებს მეტი დრო დაუთმეთ. კარგი დღეა გასართობი ღონისძიებებისთვის, ბუნებასთან კონტაქტისთვის, ახალი ნაცნობობისთვის, საოჯახო დღესასწაულისთვის, შემოქმედებისთვის, მგზავრობისთვის, საჩუქრების მიძღვნისთვის. მოერიდეთ ცივ და გაზიან სასმელებს, ცხარე საკვებს, სულსწრაფობასა და გარისკვას. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ყელი, ენდოკრინული სისტემა. **ქვები:** აქატი, მალაქიტი, გიშერი, ზურმუხტი. **პოზიტიური დღე**ა კუროსთვის, კირჩხიბისთვის, თხის რქისთვის. **ნეგატიურია** ვერძისთვის, სასწორისთვის.

# რას ურჩევს ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი ზოდიაქოს თორმეტივე ნიშნით დაბადებულებს?

## 2 იანვარი, ორშაბათი

მზე იმყოფება თხის რქის ზოდიაქოში. ამოდის 08.28 საათზე, ჩადის 17.42 საათზე. **მთვარე** კუროს ზოდიაქოშია. ამოდის 14.19 საათზე, ჩადის 3 იანვარს 04.14 საათზე (მთვარის მე-11 დღე იწყება 14.04 საათზე. მე-2 ფაზა). **ტენდენციები:** დრო დაუთმეთ ახლობლებს, საყვარელ ადამიანებს. კოლექტიური ძალისხმევა ინდივიდუალურ მოქმედებაზე უკეთესია. კარგი დღეა კულტურული გასართობი ღონისძიებებისთვის, მგზავრობისთვის, ვაჭრობისთვის, ახალი ნაცნობობისთვის, ტანსაცმელ-ფეხსაცმლის, პარფიუმერია-კოსმეტიკის, მუსიკალური აპარატურის, ცხოველის შესაძენად, მეგობრული კონტაქტებისთვის. ერთგულებისა და სტაბილურობის დღეა. იმატებს სილამაზის აღქმის უნარი, საკითხებისადმი პრაგმატული მიდგომა, მატერიალური აზროვნება. არ არის სასურველი სულსწრაფი გადაწყვეტილებების მიღება, გარისკვა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ყელი, ენდოკრინული სისტემა, სწორი ნაწლავი. **ქვები:** მალაქიტი, აქატი, მარგალიტი, მარჯანი, ონიქსი. **პოზიტიური დღეა** ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის, თევზებისთვის. **ნეგატიურია** ტყუპისთვის, ლომისთვის, მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის.

## 3 იანვარი, სამშაბათი

**მზე** იმყოფება თხის რქის ზოდიაქოში. ამოდის 08.28 საათზე, ჩადის 17.43 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (06.54) ტყუპის ზოდიაქოში. ამოდის 14.49 საათზე, ჩადის 4 იანვარს 05.20 საათზე (მთვარის მე-12 დღე იწყება 14.21 საათზე. მე-2 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 02.16 საათიდან 06.54 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეს სიყვარულისა და სილამაზის მფარველი პლანეტა **ვენერა** გადაინაცვლებს **მერწყულის** ზოდიაქოში (27 იანვრამდე), რაც ხელს შეუწყობს პარტნიორთა შორის მეტ თავისუფლებას, დამოუკიდებლობას, სპონტანურ იმპროვიზაციას, ორიგინალურ თვითგამოვლენას, სიახლეებისკენ მიდრეკილებას, ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებას. დღეს კარგი დღეა კონტაქტებისთვის, ფინანსური ოპერაციებისთვის, აუქციონებისთვის, რეკლამირებისთვის, მშენებლობისთვის, სავაჭრო გარიგებებისთვის. არ არის სასურველი ახალი საქმის დაწყება, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა, თმის შეჭრა-შეღებვა. მოერიდეთ უჰაერო სივრცეს. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ფილტვები, მხრები, ხელები. **ქვები:** ტოპაზი, აკვამარინი, ლაბრადორიტი, ჰიაცინტი, ამაზონიტი. **პოზიტიური დღეა** ვერძისთვის, სასწორისთვის. **ნეგატიურია** კუროსთვის, კირჩხიბისთვის.

## 4 იანვარი, ოთხშაბათი

**მზე** იმყოფება თხის რქის ზოდიაქოში. ამოდის 08.28 საათზე, ჩადის 17.43 საათზე. **მთვარე** ტყუპის ზოდიაქოშია. ამოდის 15.26 საათზე, ჩადის 5 იანვარს 06.25 საათზე (მთვარის მე-13 დღე იწყება 14.44 საათზე. მე-2 ფაზა). **ტენდენციები:** დღეს მხოლოდ აქტუალური საკითხი გადაწყვიტეთ, ნუ დაიღლებით. კარგი დღეა ინტერვიუებისა და რეკლამისთვის, კონტაქტებისა და მოლაპარაკებებისთვის, სავაჭრო გარიგებებისთვის, მიმოწერისთვის, ხელშეკრულების დასადებად, მოგზაურობისთვის. არ არის სასურველი ახალი საქმის დაწყება, ზედმეტი ინფორმაციით გადატვირთვა, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ფილტვები, ბრონქები, მხრები, ხელები. **ქვები:** ტოპაზი, ჰელიოტროპი, საფირონი, ნეფრიტი, ბერილი. **პოზიტიური დღეა** ტყუპისთვის, ლომისთვის. **ნეგატიურია** ქალწულისთვის, თევზებისთვის.

## 5 იანვარი, ხუთშაბათი

**მზე** იმყოფება თხის რქის ზოდიაქოში. ამოდის 08.28 საათზე, ჩადის 17.44 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (18.18) კირჩხიბის ზოდიაქოში. ამოდის 16.09 საათზე, ჩადის 6 იანვარს 07.25 საათზე (მთვარის მე-14 დღე იწყება 15.19 საათზე. მე-2 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 04.07 საათიდან 18.18 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეს ახალ საქმეს ნუ დაიწყებთ. კარგი დღეა მეგობრული კონტაქტებისთვის, საკომუნიკაციო აპარატების შესაძენად, ინტერვიუებისთვის, რეკლამირებისთვის, ინფორმაციის გაცვლისთვის, ახალი პროფესიის ასათვისებლად, საქმიანი შეხვედრებისთვის, სამეცნიერო კვლევისთვის, სწავლისთვის, საბანკო ოპერაციებისთვის. არ არის სასურველი ქორწინება, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა. ნაკლები ილაპარაკეთ და საიდუმლო ინფორმაციას ნუ გათქვამთ. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ფილტვები, ბრონქები, მხრები, ხელები. **ქვები:** ტოპაზი, ჰიაცინტი, ამაზონიტი, აკვამარინი, ზურმუხტი. **პოზიტიური დღეა** მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის. **ნეგატიურია** ღრიანკალისთვის, თხის რქისთვის.

## 6 იანვარი, პარასკევი

**მზე** იმყოფება თხის რქის ზოდიაქოში. ამოდის 08.28 საათზე, ჩადის 17.45 საათზე. **მთვარე** კირჩხიბის ზოდიაქოშია. ამოდის 17.00 საათზე, ჩადის 7 იანვარს 08.20 საათზე (მთვარის მე-15 დღე იწყება 16.09 საათზე. მე-2 ფაზა). **ტენდენციები:** დღეს ხვალინდელი სავსემთვარეობის წინ, შესაძლოა, მოულოდნელად მოლაპარაკებით მიღწეული შედეგი შეიცვალოს და გადაიხედოს ვალდებულების პირობები. არ არის სასურველი მნიშვნელოვანი მოლაპარაკების ჩატარება, ხელოვნურად სირთულეების შექმნა, ქორწინება, სესხის აღება, ბინის შეცვლა, მცენარეების დარგვა-გადარგვა. ხელმოწერამდე საბუთები კარგად შეამოწმეთ. კარგი დღეა საოჯახო-სანათესაო ურთიერთობისთვის, ტრადიციებში ჩასაღრმავებლად, კულინარიული საქმიანობისთვის. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია კუჭი, მკერდი, ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი. **ქვები:** ზურმუხტი, ოპალი, აქატი, მალაქიტი, მარჯანი. **პოზიტიური დღეა** კუროსთვის, კირჩხიბისთვის, თევზებისთვის. **ნეგატიურია** ვერძისთვის, ტყუპისთვის, ლომისთვის, სასწორისთვის.

## 7 იანვარი, შაბათი

**მზე** იმყოფება თხის რქის ზოდიაქოში. ამოდის 08.28 საათზე, ჩადის 17.46 საათზე. **მთვარე** კირჩხიბის ზოდიაქოშია. ამოდის 17.57 საათზე, ჩადის 8 იანვარს 09.08 საათზე (მთვარის მე-16 დღე იწყება 17.12 საათზე. **სავსემთვარეობაა,** პიკი — 03.09 საათზე. ამ დროს იწყება მე-3 ფაზა). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები: ქრისტეშობას გილოცავთ!** სასიკეთოა ლოცვა. კარგი დღეა საოჯახო-სანათესაო ურთიერთობებისთვის, კულინარიული საქმიანობისთვის, შემოქმედებისთვის, ვაჭრობისთვის, ხალხური რეწვის ნიმუშების შესაძენად. მოერიდეთ ეჭვიანობას, აკონტროლეთ ემოციები. მაღალია ფინანსური შეცდომების, ცდუნებების, ავარიების, კონფლიქტის ალბათობაც. არ არის სასურველი ცეცხლთან და მჭრელ საგნებთან ურთიერთობა, ქორწინება, სესხის აღება, ბინის შეცვლა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია კუჭი, მკერდი, ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი. **ქვები:** ზურმუხტი, გიშერი, აქატი, ოპალი, ამეთვისტო. **პოზიტიური დღეა** ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის, თხის რქისთვის. **ნეგატიურია** მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის.

## 8 იანვარი, კვირა

**მზე** იმყოფება თხის რქის ზოდიაქოში. ამოდის 08.28 საათზე, ჩადის 17.47 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (06.35) ლომის ზოდიაქოში. ამოდის 18.58 საათზე, ჩადის 9 იანვარს 09.47 საათზე (მთვარის მე-17 დღე იწყება 18.25 საათზე. მე-3 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 02.23 საათიდან 06.35 საათამდე. **ტენდენციები:** დილის საათებში მაღალია კონფლიქტის წარმოშობის ალბათობა, ყურადღება გმართებთ, პროვოკაციას ერიდეთ, ემოციები აკონტროლეთ. არ არის სასურველი ფინანსური გარიგება, ქორწინება, პრეტენზიების გამოხატვა, ხელშეკრულების დადება, ბინის შეცვლა. კარგი დღეა შემოქმედებისთვის, კულტურულ-გასართობი ღონისძიებებისთვის, მეგობრული კონტაქტებისთვის, გავლენიან ადამიანებთან ურთიერთობისთვის, ძვირფასი ნივთების, საჩუქრების შესაძენად, სპორტული ღონისძიებებისთვის, სტუმრების მისაღებად და ვიზიტებისთვის, თმის შეჭრა-მოვლისთვის. არ არის სასურველი ნერვიულობა, სიმძიმის აწევა, გულს გაუფრთხილდით. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია გულ-სისხლძარღვთა სისტემა, ხერხემალი. **ქვები:** ბრილიანტი, მთის ბროლი, სერდოლიკი, ქარვა, სარდიონი. **პოზიტიური დღეა** ვერძისთვის, სასწორისთვის. **ნეგატიურია** კუროსთვის, კირჩხიბისთვის.

# 2-8 იანვრის ასტროლოგიური პროგნოზი






ხელსაყრელი პერიოდია სულიერი და ინტელექტუალური ზრდისთვის. კონტაქტების, შეხვედრებისა და გადაადგილებების რაოდენობა იმატებს. ახალი კავშირებითა და სამუშაოს შესრულების შემთხვევაში, შემოსავლების გაზრდას შეძლებთ, რაც თავდაჯერებას უფრო გაგიძლიერებთ. ეს პერიოდი კარგია მოგზაურობისთვის და ახალი ინფორმაციების ათვისებისთვის. ახალი სასიყვარულო კავშირიც მყარი და ხანგრძლივი აღმოჩნდება.




**ეს კვირა გამორჩეული იქნება აქტიურობით, ბევრი კონტაქტებით, ხანმოკლე მოგზაურობებითა და ახალი ნაცნობობით. საქმეებიც მეტად საინტერესოდ მოგეჩვენებათ. უყურადღებოდ ნუ დატოვებთ ოჯახის წევრებს, მშობლებსა და ნათესავებს. მათგან ბევრ სითბოსა და მზრუნველობას იგრძნობთ. სასიყვარულო ურთიერთობისას კი თქვენი ეჭვიანობა, შესაძლოა, განხეთქილების მიზეზად გადაიქცეს.**




ეს კვირა ხალისიანი იქნება, რომანტიკულობითა და მხიარული გართობით აღსავსე. საქმეში წარმატება და ახლობლებისთვის უანგაროდ გაწეული დახმარება ავტორიტეტს აგიმაღლებთ. მატერიალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად კი ჯობს, გამოცდილი ადამიანების რჩევები გაითვალისწინოთ. უცხოეთში მცხოვრებ ადამიანებთან ურთიერთობაც სიამოვნებას მოგანიჭებთ. ბავშვებთან კი შეეცადეთ, უფრო თბილი და დამთბობი იყოთ.




**გარშემო მყოფებზე ფსიქოლოგიური ზეგავლენით მიზნის მიღწევაც გაგიადვილდებათ. ურთიერთობების სტილი შეიცვლება. მეგობრულ კონტატებსა და მხიარულებას ბევრ დროს დაუთმობთ. შესაძლოა, თავყრილობაზე გაიცნოთ ადამიანი, რომელთანაც სერიოზული და ხანგრძლივი ურთიერთობა ჩამოგიყალიბდებათ, რაც ოჯახის შექმნაზე დაგაფიქრებთ. ეს დრო კარგია მკურნალობის ჩასატარებლად, ფიზიკური ფორმის აღსადგენად და ახალი იმიჯის შესაქმნელად.**




კარგი დროა ახალი კავშირების დასამყარებლად და მხიარული თავყრილობებისთვის. თუმცა, ახალგაცნობილებთან ურთიერთობისას მოგიწევთ მათი ცხოვრების წესთან შეგუება და მათი მსოფლმხედველობის გათვალისწინება. სასიყვარულო სფეროში ჰარმონიულობა დაგეხმარებათ პროფესიულ წინსვლაში. მცირე სირთულეების მიუხედავად მიზნის მიღწევას ახალი ინფორმაციის დროული გამოყენებით შეძლებთ. ნაცნობ ადგილებში მოგზაურობა კი დიდ სიამოვნებას მოგანიჭებთ.




**მეგობრებისა და თანამოაზრეების წრეში ბევრ დროს გაატარებთ, რაც დადებითად აისახება თქვენს შინაგან მდგომარეობაზე. ახლად გაცნობილი ადამიანები დაგეხმარებიან შემოქმედებითად თავის გამოვლენაში. ფინანსებთან დაკავშირებული ყველა საქმე კი ჯობს, დროებით გადადოთ, რათა არ აჩქარდეთ და არ შეცდეთ. კარგი კვირაა ახლო მანძილზე მოგზაურობისთვის, დასვენებისა და ძალების აღსადგენად.**




სამახსოვრო და მოვლენებით აღსავსე კვირაა. აქტიური ცხოვრებისეული პოზიცია, გადაადგილებები, შეხვედრები და მხიარულება თქვენს ცხოვრებას დატვირთულსა და საინტერესოს გახდის. ფინანსური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, შესაძლოა, კონფიდენციალური ინფორმაციის წყარო გამოიყენოთ. შესაძლოა, უცხოეთში გამგზავრებაც მოგიწიოთ, რაც აგავსებთ ახალ-ახალი შეგრძნებებითა და სასიამოვნო განცდებით.




**დასვენება, მიმოწერა, სატელეფონო საუბრები, გულის ნადების გაზიარება და პირადი შეხვედრები მოგადუნებთ, ოპტიმიზმით აგავსებთ და ნერვულ დაძაბულობას მოგიხსნით. ოჯახის წევრებთან და ნათესავებთან ურთიერთობა გაგიუმჯობესდებათ. შემოქმედებითად საქმის შესრულება ფინანსურ მდგომარეობას გაგიმყარებთ. კარგი პერიოდია ახლო მანძილზე მოგზაურობებისთვის და ასევე უცხოელებთან კავშირისთვის.**




იღბლიანი, სასიამოვნო კვირაა, რომლის დროსაც გაგიადვილდებათ დასვენებაც და ჩანაფიქრის განხორციელებაც. სახლში ჰარმონიული სიტუაცია ენერგიას შეგმატებთ და შეძლებთ, შესაძლო სირთულეებს იოლად გაუმკლავდეთ. თქვენი მიზნები ახალ და საინტერესო საქმიანობას დაუკავშირდება. შესაძლოა, გაიცნოთ ადამიანები, რომლებიც წინსვლაში დაგეხმარებიან. მოგზაურობა და უცხოელებთან კონტაქტიც სასურველ შედეგს მოიტანს.




**ეს კვირა არამარტო მხიარულებისა და გართობის, არამედ საკმაოდ ნაყოფიერი დროც არის, ამიტომ შეხვედრა-დროსტარების გარდა, მომავალ საქმიანობაზეც იზრუნეთ. კარგი პერიოდია ახალი პროექტის დასაწყებად, ძველი ჩანაფიქრის განსახორციელებლად, ფინანსური და მატერიალური მდგომარეობის გამოსასწორებლად. ოჯახის წევრები და საყვარელი ადამიანი კი ნებისმიერ წამოწყებაში მხარს დაგიჭერენ. შორეულ მოგზაურობას რაც შეეხება, ჯობს, დროულად დაასრულოთ.**




მხიარული და ჰარმონიული ატმოსფეროს შექმნასა და ნაყოფიერ თანამშრომლობაზე იზრუნეთ. კარგი პერიოდია ახალი საქმიანი ურთიერთობების დასამყარებლად. საკუთარი აზრის მართებულობაში დარწმუნებული იქნებით და ყოველმხრივ დაიცავთ საკუთარ პოზიციებს. შეყვარებულთან ურთიერთობის გაცივებაზე ნუ იფიქრებთ, რათა სიტუაცია თავად არ დაძაბოთ. შეხვედრა-გადაადგილებებისა და ახალი ნაცნობების რაოდენობა იმატებს.




**მხიარული, ენერგიული და ნაყოფიერი კვირაა, ამიტომ შეეცადეთ, ყველა საქმე წინასწარ დაგეგმოთ. ადრე დაწყებული საქმეები შემოსავალს გიქადით. მასშტაბურ პროექტებში კი გონივრული რისკი გაამართლებს. გრძნობებში დროულად გაერკვიეთ, რათა გული არავის ატკინოთ. ამ დროს დაწყებული მოგზაურობა, კარგი ჯანმრთელობისა და განწყობის მიუხედავად, ჯობს, დროულად დაასრულოთ. კარგი პერიოდია ახალი საქმიანი კონტაქტების დასამყარებლად.**

*რუბრიკას უძღვება მარინა მერკვილაძე*

# 2023 წლის ასტროლოგიური პროგნოზი დასავლური ზოდიაქოს ნიშნებისათვის

## ვერძი (21.03 – 20.04)

**წლის პირველი ნახევარი** პოზიტიური სიახლეების დროა, რაც გამოწვეულია წარმატებისა და იღბლიანობის მმართველი პლანეტა **იუპიტერის** ტრანზიტით **ვერძის ზოდიაქოში,** რომელიც 16 მაისამდე გაგრძელდება. **ვერძი** ყველაზე აქტიური იქნება მარტის ბოლოსა და აპრილში. ჯანმრთელობისა და კონფლიქტების თვალსაზრისით, ყველაზე რთული იქნება **8-20 მარტის** შუალედი. **აპრილსა და მაისში** შესაძლებლობა მიეცემათ, მატერიალური მდგომარეობა გაიუმჯობესონ. ივლისის დასაწყისში ტემპი იკლებს და განსაკუთრებით 15-22 ივლისის შუალედში დასვენება მართებთ, რადგან ქრონიკული დაავადებების გამწვავებაა მოსალოდნელი. იგივე სიტუაცია აგვისტოშიც გამოვლინდება. ამავდროულად, მზად უნდა იყვნენ მოულოდნელი ცვლილებებისთვის, რომელსაც საფუძველი **ივლისის პირველ** ნახევარში ჩაეყრება და აგვისტოს ბოლოს გამოვლინდება, დინამიკური მესამე კვარტალის დანარჩენ პერიოდს ახალი გეგმების დასახვას მოანდომებენ, რაც შემოდგომისთვის ნათლად გამოჩნდება. **ნოემბრის დასაწყისში** (12 რიცხვამდე) ვერძთა უმრავლესობა ახალ სამსახურს მოიძიებს. ეს დრო სასიკეთო იქნება მატერიალური კეთილდღეობის მოსაპოვებლად.

## კურო (21.04 – 21.05)

იანვარში მნიშვნელოვანია, თქვენ მორიგი ცვლილებებისათვის მოემზადოთ, რომლის ხანგრძლივობა **3 წელია. პირველ კვარტალში** რეკომენდებულია აქტიურობა და არ უნდა შეუშინდეთ გრანდიოზული ამოცანების დასახვას. კვარტალის დასაწყისი კი კარიერული, შემოქმედებითი და სასიყვარულო წარმატებების დროა. **აპრილის დასაწყისიდან** რთული გარემოებანი აღმოცენდება, რომელთა გადაჭრა სწრაფად და გადაუდებლად მოგიწევთ. **წლის მეორე ნახევარში** თავს უფრო თავდაჯერებულად იგრძნობთ. **ივლისის ბოლოსა** და, განსაკუთრებით, **აგვისტოში** ჯანმრთელობას გაუფრთხილდით, აქტივობა შეამცირეთ და დაისვენეთ. ამ პერიოდში მეტი თვითკონტროლია საჭირო, რადგან მოსალოდნელია ურთიერთობის დაძაბვა ახლობლებთან, შვილებთან, ნათესავებთან, უფროსობასთან. **წლის მეორე ნახევარში** ენერგოპოტენციალი მნიშვნელოვნად იმატებს და თუ ზაფხულში კარგად დაისვენებთ, **მესამე კვარტალის ბოლოს** და მთელი **მეოთხე კვარტალი** საკმაოდ თავდაჯერებული იქნებით. **22 ნოემბრიდან 5 დეკემბრამდე** კი აქტიურობა და ამბიციები უნდა მოთოკოთ. მთლიანობაში 2023 წელი სასიკეთო იქნება. ძველ საქმეებს დაასრულებთ და ახალ **გლობალურ** ამოცანებსაც დასახავთ.

## ტყუპი (22.05 – 21.06)

**ტყუპთა** უმრავლესობისთვის **20 იანვრამდე** პერიოდი მარტივი არ იქნება, რადგან ენერგეტიკის სიმცირის გამო თავდაჯერებისა და სიმშვიდის ნაკლებობას იგრძნობენ. თუმცა, შემდგომ მთელი თებერვლის მანძილზე საკმაოდ გაძლიერდებიან და მკვეთრი წინსვლა ელოდებათ კარიერაში, ბიზნესსა და ასევე სასიყვარულო წამოწყებებში, ამგვარად, **წლის პირველი თვეები** ტყუპმა რაც შეიძლება მეტი უნდა იაქტიუროს, რადგან **მარტის მეორე დეკადაში** მოსალოდნელია პრობლემების აღმოცენება და ამ არასტაბილურ პერიოდში მაღალი იქნება საქმის შეფერხების, გაუთვალისწინებელი სიტუაციების ალბათობა. ასევე უკიდურესი სიფრთხილე მართებთ მოგზაურობისას. უფრო სასიკეთო პერიოდი კი **მესამე კვარტალში** დაიწყება. **ივლისსა და აგვისტოში,** დასვენების პერიოდში, მათ საინტერესო შეხვედრები და რომანტიკული თავგადასავლები ელით. **სექტემბრიდან დეკემბრის** ჩათვლით ეგზალტირებულ, ფსიქოლოგიურად აქტიურ და არცთუ მდგრად პოზიციაში იქნებიან, თუმცა, ეს, დიდი ალბათობით, პოზიტიურ გავლენას მოახდენს განსაკუთრებით **ოქტომბერში, ნოემბრის ბოლოსა და დეკემბერში** კარიერაზე, მაგრამ მოგზაურობისას კვლავ სიფრთხილე უნდა გამოიჩინონ. **უსიამოვნებანი დეკემბრის დასაწყისში გაქარწყლდება** და **ტყუპი** ამ წელს გაიხსენებს როგორც ერთ-ერთ საინტერესო და შემოქმედებით პერიოდს თავის ცხოვრებაში.

## კირჩხიბი (22.06 – 22.07)

**კირჩხიბთა უმრავლესობისათვის წლის პირველი კვარტალი, განსაკუთრებით იანვარი, მეტად დინამიკური და შემოქმედებითი იქნება.** წარმატების მისაღწევად, სასურველია, მთელი წლის განმავლობაში პარტნიორებთან ერთად მოქმედება. ენერგეტიკა **მაისის შუა რიცხვებიდან** მოყოლებული აღმავლობის პიკზე ექნებათ. **წლის მეორე ნახევარში,** ფრიად წარმატებით შეძლებენ საკუთარი თავის გამოვლენას, რაც მათ ავტორიტეტს გააძლიერებს. **26 იანვრიდან 10 თებერვლის ჩათვლით** კოსმოსის ნეგატიური გავლენა კირჩხიბის ენერგეტიკაზეც აისახება. **აპრილსა და მაისში** ზოგიერთი მოვლენა პოზიტიურ ცვლილებებს განაპირობებს მათ ბედში, გეგმებსა თუ ფინანსური მდგომარეობის თვალსაზრისით. ამიტომ ეს პერიოდი აქტიურად უნდა გამოიყენონ და, ზოგ შემთხვევაში, გარისკონ კიდეც. **6-20 ივნისის** შუალედში კი სიფრთხილე მართებთ. შესაძლოა, წარსულის შეცდომებს, შეუსრულებელ მოვალეობებს ან დაუსრულებელ ურთიერთობებს თუ ფარულ ავისმოსურნეს გადააწყდნენ. **ივლისი, აგვისტო** და, განსაკუთრებით, **სექტემბერი** კარგი, დინამიკური იმპულსის მომწოდებელი იქნება. ამგვარად, **სექტემბერი და მთლიანად მეოთხე კვარტალი** ერთ-ერთი ყველაზე დინამიკური და სასიკეთო პერიოდი იქნება წლის მანძილზე და მრავალი მათგანი ხელიდან გაშვებული შანსის ანაზღაურებას შეძლებს.

## ლომი (23.07 – 23.08)

**ლომთა უმრავლესობისთვის წლის პირველი კვარტალი** აქტიური მუშაობისა და ახალ-ახალი მიღწევების პერიოდი იქნება. **იანვარი და თებერვალი** მრავალ ცვლილებებს ჰპირდება, ამიტომ მათ საუკეთესო თვისებების დემონსტრირება მართებთ, რადგან თებერვლის ბოლოს და მარტის პირველ ნახევარში ამის გაკეთება ბევრად რთული იქნება. **მეორე კვარტალის დიდი ნაწილი უფრო სასიკეთო იქნება**. შესაძლოა, საინტერესო წინადადებები მიიღონ, რომელიც ხელს შეუწყობს პროფესიულ და სულიერ ზრდას. **12 ივლისის შემდგომ** კი არასახარბიელო პერიოდი დაიწყება და დიდი ყურადღება და ძალისხმევა იქნება საჭირო ახალი გეგმებისა და წინადადებების მიმართ, რომლებსაც მიიღებენ საკუთარი დაბადების დღემდე და აგვისტოს ბოლოს. ამ მხრივ სექტემბერი და მთელი მეოთხე კვარტალი უფრო სასიამოვნო იქნება ნებისმიერი ინოვაციისა და სამუშაოს შეცვლისთვის. ასევე სარისკო ღონისძიებებისა და სასიყვარულო ურთიერთობისთვის (გამონაკლისია 27 ოქტომბერი-19 ნოემბრის შუალედი). თუ **ლომი** ამ პერიოდის გამოცდას გადალახავს, ნოემბრის ბოლოს მრავალი მათგანი გაცილებით მეტ კმაყოფილებასა და ბედნიერებას იგრძნობს.

## ქალწული (24.08 – 23.09)

**იანვარი** მრავალი **ქალწულისთვის** ახალი საქმიანობის დაწყებისა და მნიშვნელოვანი მიღწევების დრო იქნება. ასევე სასიკეთოა **თებერვალიც.** წლის **პირველ კვარტალში** მათი ენერგეტიკა აღმავალი იქნება (გამონაკლისია 26 იანვარი-9 თებერვლის შუალედი). ეს პერიოდი სასიკეთო იქნება სასიყვარულო, მეგობრული და პარტნიორული კავშირების ჩამოყალიბებისთვის, რომელიც განვითარებას პოვებს 16 მაისის შემდეგ, ამიტომ **მეორე კვარტალი** სასიკეთო იქნება ნებისმიერი წამოწყებისთვის და მოგზაურობა-მივლინებისთვის. **აპრილის მესამე** დეკადასა და მაისის დასაწყისში იღბალი მათ მხარეს იქნება და შეძლებენ საქმეების მნიშვნელოვნად წინ წაწევას, ფინანსურ მდგრადობას. ამ პოზიტიურმა პერიოდმა, შესაძლოა ივლისის პირველი ნახევარიც მოიცვას, ამიტომ მისი გამოყენება მაქსიმალურად ეფექტურად არის საჭირო. **ივლისის** მეორე დეკადა და **აგვისტო** კი მათი ენერგეტიკისთვის ნაკლებსასიკეთოა, ამიტომ უნდა დაისვენონ, წინააღმდეგ შემთხვევაში, მუშაობით ორგანიზმს გადატვირთავენ და ფაციფუცში სასიცოცხლო ძალებს ფუჭად დახარჯავენ. ამგვარად, ჯობს, მნიშვნელოვან საქმეებსა და შემოქმედებით გეგმებს **ქალწული მესამე კვარტალის ბოლოს** დაუბრუნდეს. დაბადების დღის შემდეგ და უკვე მეოთხე კვარტალში მათ წინაშე მომხიბვლელი პერსპექტივები გადაიშლება.





# საახალწლო კერძების რეცეპტები ცნობილი ადამიანებისაგან!

***ყველასათვის ცნობილი ქალბატონი მსახიობები ლიკა ქობულაძე, თამთა ჭელიძე, მეგი კეჟერაძე, მაკა შალიკაშვილი, მომღერალი რუსუდან მუმლაძე და ყველასათვის საყვარელი მსახიობის აკაკი კვანტალიანის ქალიშვილი ქეთევან კვანტალიანი გვილოცავენ ახალ წელს და გვთავაზობენ საახალწლო კერძების რეცეპტებს:***



**ლიკა ქობულაძე:** — ყოველ ახალ წელს ვამზადებ ქართული სამზარეულოს ტრადიციულ კერძებს. გაგიზიარებთ **ინდაურის საცივის** ჩემეულ რეცეპტს: **ინდაურს** ვათავსებთ ქვაბში, ვასხამთ **წყალს,** ვხარშავთ. შემდეგ უკვე მოხარშულს ვიღებთ წვენიდან, ვათავსებთ თუნუქის ფურცელზე, ვდგამთ ღუმელში და ვწვავთ. ამის პარალელურად, **ბულიონს ვხდით ცხიმს და მასში წვრილად დაჭრილ ხახვს ვშუშავთ.** ვამატებთ ცოტაოდენ **ფქვილს** და ვურევთ. როცა ვარდისფერს მიიღებს, ვასხამთ დარჩენილ **ბულიონს.** ხორცსაკეპ მანქანაში ორჯერ ვატარებთ **ნიგოზს** (გნებავთ, ბლენდერში), ვუმატებთ **ყვითელ ყვავილს, მარილს, დანაყილ ნიორს,** ვხდით **ზეთს.** ვუმატებთ **უცხო სუნელს, დარიჩინს, მიხაკს, ქინძს და წიწაკას.** შემდეგ ამ ყველაფერს ვხსნით **თბილ ბულიონში** და ვხარშავთ. ადუღებამდე შიგ ვაწყოთ ნაჭრებად დაჭრილ შემწვარ **ინდაურს.** როგორც კი დუღილს დაიწყებს, გაზს გამოვრთავთ. თუ გნებავთ, დაამატეთ ერთი სუფრის კოვზი **ძმარი.**

**გილოცავთ ახალ წელს, გისურვებთ ჯანმრთელობას, დღეგრძელობას, მზეგრძელობას, ხვავსა და ბარაქას, რომ არცერთ ქართულ ოჯახს არ სციოდეს, არ შიოდეს, საქართველოში მაცხოვრებელი არცერთი ადამიანი თავს დაჩაგრულად არ გრძნობდეს, არ იყოს შურისძიება, ვიხაროთ და ვიმრავლოთ თავისუფალ, დამოუკიდებელ საქართველოში. ახალ წელს გილოცავთ „ასავალ-დასავალის“ რედაქციას, მის არაჩვეულებრივ ხელმძღვანელს ლაშა ნადარეიშვილს, მიყვარხართ და გისურვებთ დიდ წარმატებებს.**

**თამთა ჭელიძე:** — ახალი წლის დღესასწაულისთვის ყველა სათანადოდ ემზადება. პირველ რიგში, საჭიროა კარგი განწყობა და ხალისი. შემოგთავაზებთ **შოკოლადის ტორტისა** და **შოკოლადის კექსის** რეცეპტს, რომელიც ძალიან გემრიელია და საახალწლო სუფრას უხდება.

**შოკოლადის ტორტი: 14 კვერცხის ცილა** კარგად უნდა ავთქვიფოთ, უნდა გათეთრდეს, ნელ-ნელა დავამატოთ **14 სუფრის კოვზი შაქარი, 14 კვერცხის გული, 14 სუფრის კოვზი ფქვილი, 2-3 სუფრის კოვზი თაფლი, 1 ჩაის კოვზი სოდა და 3-4 სუფრის კოვზი კაკაოს ფხვნილი, ვანილი.** მიღებული მასა უნდა გავყოთ 3 ნაწილად და გამოვაცხოთ ტორტის ფორმაში, სადაც წინასწარ ჩადებული გვაქვს ცხიმწასმული კალკის ქაღალდი. **ტორტის კრემისთვის** საჭიროა **შოკოლადის მინანქარი.** ვადნობთ ორ ფილა **შავ შოკოლადს,** ვაგრილებთ და ვურევთ **400 გრამ ათქვეფილ კარაქს** (და არა მარგარინს), ვუმატებთ **2 სუფრის კოვზ კონიაკს.** უკვე გამომცხვარ და გაციებულ ფენებს — ბისკვიტებს ვუსვამთ კრემს და ვინახავთ გრილ ადგილას. ტორტს ზემოდან დაახეხეთ **შოკოლადის ფილა.**

**შოკოლადის კექსი:** ერთმანეთში ავურიოთ **500 გრამი ფქვილი და 6-7 სუფრის კოვზი კაკაო, დავაყაროთ გამაფხვიერებელი, სოდა** და კარგად ავურიოთ. ცალკე ავთქვიფოთ **3 კვერცხი** და **300 გრამი შაქარი,** დავასხათ **ერთი ქილა მაწონი** და **1 სუფრის კოვზი ზეთი.** ამ ყველაფერს დავაყაროთ ცალკე არეული **კაკაო** და **ფქვილი.** ეს მასა მოვათავსოთ ცხიმწასმულ ფორმაში და შევდგათ უკვე გახურებულ ღუმელში. ვაცხოთ საშუალო ტემპერატურაზე. როცა ეს მასა კარგად გამოშრება, კექსი მზადაა. ცალკე ვამზადებთ მინანქარს — **შოკოლადის ფილას ვასხამთ 3-4 სუფრის კოვზ რძეს, ვუმატებთ 1 სუფრის კოვზ კარაქს.** ვდგამთ დაბალ ცეცხლზე და ვურევთ. როცა წამოდუღდება, ზემოდან მოვასხამთ კექსს. მიირთვით გემრიელად.



**გილოცავთ ახალ წელს, გისურვებთ ყველაფერს საუკეთესოს, ბედნიერებას, თავისუფლებას! მშვიდობა ჩემს ხალხს, ჩემს საყვარელ ქართველებს! ფეხბედნიერი წელი გქონოდეთ.**



**ყველას ვულოცავ ახალ წელს, შევიყვაროთ ერთმანეთი, შევწყვიტოთ აგრესია და გავიხსენოთ სიკეთე. ეს გაგვიადვილებს ყოფას და მოგვიხსნის დაძაბულობას. დაე, არ იყოს მოწყენილობა, დაისადგუროს სიხარულმა, ბავშვები გვყავდეს კარგად.**

**მეგი კეჟერაძე:** — ჩვენთვის ახალი წელი ძალიან დიდი დღესასწაული იყო, ყოველმხრივ იგრძნობოდა, რომ წინ დიდი სიხარული გველოდა, ყველა ოჯახში მხიარულება სუფევდა. საახალწლო სუფრა იყო უხვი და ლამაზი. ჩემი თაობის ხალხს ახსოვს წარსული ახალი წლის დღეები. ვინაიდან ხორცს არ მივირთმევ, ახალ წელს, ძირითადად, სალათებს ვამზადებ. ამჯერად გიზიარებთ **ყვავილოვანი კომბოსტოსგან** მომზადებულ კერძს, ძალიან სასარგებლოა, გემრიელი და ადვილად მოსამზადებელი. **ყვავილოვან კომბოსტოს** ვრეცხავთ და წყალში ვაწყობთ. როცა წამოდუღდება, ამოვავლებთ **კვერცხისა** და **საფანელისაგან** მომზადებულ მასაში და ტაფაზე ვბრაწავთ, ვაწყობთ ლანგარზე. მიირთვით გემრიელად.



**რუსუდან მუმლაძე:** — საახალწლო სუფრისთვის აუცილებლად ვამზადებ ჩემს მიერ მოგონილ კერძს. ვხარშავ **20 კვერცხს** (გააჩნია, სტუმრების რაოდენობას), **ვჭრი შუაზე, კვერცხის გულებს** ვიღებ და ვკმაზავ მოთუშული **ხახვით,** სხვადასხვა **მწვანილით, ყვითელი ყვავილით** და **შავი პილპილით.** შემდეგ ამ მასას ვათავსებ მოხარშულ **ცილაში** და ლამაზად ვაწყობ ლანგარზე. შეგიძლიათ, გააფორმოთ დაჭრილი **მწვანილით.** ძალიან გემრიელი და ორიგინალური ცივი კერძია.

**გილოცავთ ახალ წელს, გისურვებთ მშვიდობას და კეთილდღეობას, ჯანმრთელობას, ერთმანეთის სიყვარულს, მოისპოს ქიშპობა და შური, ბოღმა, მეტად შევიყვაროთ ერთმანეთი და დავაფასოთ, ვაღიაროთ ნიჭიერება.**



**მაკა შალიკაშვილი:** — ძალიან მიყვარს სალათები, ამიტომ ყოველ ახალ წელს ვამზადებ ჩემს საყვარელ სალათს **ცეზარს.** ჩაგაწერინებთ რეცეპტს: **სალათის ფურცლებს** ნახევარი საათის განმავლობაში ვაწყობთ ცივ წყალში (ფურცელი ხრაშუნა ხდება). **პურს** ვჭრით კუბიკებად და ზეთწასმულ ტაფაზე ვბრაწავთ. ვიღებთ **ქათმის ფილეს,** ვაყრით **მარილს,** ვწვავთ და შემდეგ ვჭრით თხელ ფირფიტებად. ასევე ვჭრით **ყველს** და **სალათის** ფურცლებს. მომზადებულ პროდუქტებს ვანაწილებთ სალათის ჭურჭელში, ვუმატებთ დაჭრილ **პომიდორს — ჩერის.** გემოვნების მიხედვით შეგიძლიათ, დაამატოთ **მაიონეზი** და **ნიორი.**

**გილოცავთ ახალ წელს, პირველ რიგში, გისურვებთ ჯანმრთელობას, ულევ სიხარულს და სიკეთეს. ბედნიერი წელი დაებედოს საქართველოს!**



**ქეთევან კვანტალიანი:** — ჩვენი ოჯახის საახალწლო სუფრაზე აუცილებლად უნდა ყოფილიყო **შებრაწული გოჭი, საცივი, ხაჭაპური,** ათასგვარი **ტკბილეული, ტორტიც** კი. მამას ძალიან უყვარდა **ლობიოც,** განსაკუთრებით კი მისი მამიდაშვილის მეუღლის, ბათუმელი ქალბატონის ნათელას მიერ შეკმაზული **ლობიო.** იმ ოჯახს საკუთარ ბაღში მოყვანილი **ლობიო** ჰქონდა, **ქორფა მწვანილები** და ამიტომაც გამოდიოდა **ლობიო** გემრიელი.

ახლა კი მარტო ვცხოვრობ და მრავალგვარ კერძებს არ ვამზადებ, მაგრამ **გოზინაყი** მიყვარს და შემოგთავაზებთ მის რეცეპტს. ახალ წლამდე ორი კვირით ადრე, **ნიგოზს** გასაშრობად ვშლი. შეეცადეთ, შეარჩიოთ ხარისხიანი **ნიგოზი.** შემდეგ ამ გამომშრალ **ნიგოზს** წვრილად ვჭრი და ისევ ვშლი გამოსაშრობად. როდესაც შევატყობ, რომ **ნიგოზს** სინოტივე აღარა აქვს, **თაფლს** ვადუღებ და ამ დაჭრილ **ნიგოზს** შიგნით ვყრი. ვურევ, ვუმატებ ცოტაოდენ **შაქარს.** როდესაც ეს მასა ქარვისფერი გახდება, ვდებ დაფაზე და ვაბრტყელებ. თუ გსურთ, რომ **გოზინაყი** თეთრი ფერის გამოვიდეს, თეთრი **ნიგოზი** შეარჩიეთ და ფერფლი მოაცილეთ. არ მიყვარს ძალიან რბილი **გოზინაყი,** ვამჯობინებ ცოტა მაგარს და კნატუნას. შარშან ექსპერიმენტი ჩავატარე, ახალ წელს მომზადებული გოზინაყი ფოლგაში გავახვიე და მაცივარში შევინახე. თუმცა, თვეების განმავლობაში დამავიწყდა. როცა გამახსენდა, მაისის თვე იყო. გავხსენი ფოლგა და ჰოი, საოცრებავ, გოზინაყი არაჩვეულებრივად შენახულიყო და გემოც შენარჩუნებული ჰქონდა. სცადეთ თქვენც გოზინაყის შენახვა და გარკვეული დროის მერე დააგემოვნეთ.



**სრულიად საქართველოს ვულოცავ ახალ წელს, გისურვებთ ჯანმრთელობას, ხვავსა და ბარაქას. ყველაფერი რომ გექნებათ, კარგ ხასიათზეც იქნებით და თავს ბედნიერად იგრძნობთ.**

*მოამზადა ქეთევან ხამიტაშვილმა*

# 2023 წლის ასტროლოგიური პროგნოზი დასავლური ზოდიაქოს ნიშნებისათვის

## სასწორი (24.09 – 22.10)

სასწორთა უმრავლესობისთვის წლის დასაწყისი, განსაკუთრებით **იანვარ-თებერვალი,** მეტად მნიშვნელოვანი იქნება კარიერისთვის და პარტნიორებთან ურთიერთობის განმტკიცებისთვის. წლის **პირველი და მეორე კვარტალი** სასიკეთო იქნება ახალი სამსახურის დაწყებისთვის, ბიზნესსა თუ შემოქმედებით საქმიანობაში ნებისმიერი წამოწყებისთვის. უმნიშვნელოვანესი შეხვედრა, მოლაპარაკება და შეთანხმებანი ჯობს, თებერვალში განხორციელდეს. **მარტის ბოლოსა და აპრილში** მოულოდნელად საინტერესო პერსპექტივები გამოჩნდება. შეიძლება ითქვას, რომ **აპრილი და მაისის პირველი ნახევარი** ერთ-ერთი ყველაზე იღბლიანი პერიოდი იქნება მნიშვნელოვანი ცვლილებებისათვის მთელი წლის განმავლობაში. **14-25 ივლისის შუალედში და 23 აგვისტოდან 2 სექტემბრამდე** კი უმჯობესია, დაისვენონ, რადგან ეს მეტად არასასიკეთო პერიოდი იქნება, მათ შორის, ენერეგეტიკული თვალსაზრისითაც. 10 ოქტომბრის შემდეგ კი მატერიალური კეთილდღეობის ზრდისთვის ახალი შესაძლებლობები გაჩნდება, ამიტომ **მეოთხე კვარტალში** მაქსიმალურად უნდა იაქტიურონ და სულიერი, შემოქმედებითი და ენერგეტიკული პოტენციალი უმთავრესი მიზნის მისაღწევად გამოიყენონ. ეს პერიოდი ასევე, არცთუ ცუდი იქნება მოგზაურობისთვის და სასიყვარულო ურთიერთობისთვის, კონტაქტებისთვის (განსაკუთრებით 23 ნოემბრის შემდგომ).

## ღრიანკალი (23.10 –თ 22.11)

**წლის პირველი კვარტალი** დაუკავშირდება ახალ გეგმებს, შემოქმედებით წამოწყებებსა და ახალ რომანტიკულ ურთიერთობებს. **26 იანვრამდე ენერგეტიკა აღმავალი** იქნება, ამიტომ **იანვრის** პოზიტიურ პერიოდებში, თებერვლის მეორე ნახევარსა და მარტის დასაწყისში, **ღრიანკალმა** აქტიურად უნდა იმოქმედოს, ყველა კავშირი გამოიყენოს, ხოლო საქმეში იხელმძღვანელოს „ნაბიჯ-ნაბიჯის" პრინციპით. **აპრილი და მაისის დასაწყისი** სასიკეთო იქნება საქმიანობის სფეროს გასაფართოებლად, საკუთარი გეგმებისთვის, ახალი თანამშრომლებისა და მფარველთა მოსაპოვებლად. წლის **მეორე კვარტალში ღრიანკალი** ენერგეტიკულ და შემოქმედებით აღმავლობას იგრძნობს. ამიტომ **კუროს** ნიშანში მყოფ პლანეტა **იუპიტერს** მათ ბედ-იღბალზე საგრძნობი გავლენა ექნება. **ივნისის ბოლო, ივლისი და აგვისტო** ხელსაყრელი იქნება მათთვის, ვინც გარისკავს და წამოწყებული საქმის განვითარებას გააგრძელებს. 22 სექტემბრამდე პერიოდში მათ მხოლოდ საკუთარი თავის იმედი უნდა ჰქონდეთ. ამ დროს სამსახურის ან გეგმების მკვეთრად შეცვლა არ ღირს. **ოქტომბერში** ჯობს, დასვენებაზე იფიქრონ. **12 ოქტომბრის შემდეგ ენერგოპოტენციალი მნიშვნელოვნად მოემატებათ,** რაც შესაძლებლობას მისცემთ, კარიერაში წინ წაიწიონ, მატერიალური მდგომარეობა გაიუმჯობესონ, სასიყვარულო კავშირი განამტკიცონ.

## მშვილდოსანი (23.11 – 21.12)

**წლის პირველი კვარტალი** მეტად მნიშვნელოვანი იქნება ბედ-იღბლის პოზიტიურად შეცვლისთვის. **იანვარი და 19 თებერვლამდე** პერიოდი ფრიად დინამიკური იქნება. რამდენადაც მზად იქნება **მშვილდოსანი,** მისდიოს თავის მთავარ გეგმებს, მიზნებსა და ამბიციებს წლის დასაწყისში, იმდენად წარმატებით განახორციელებს გეგმებს. მარტის მეორე ნახევარსა და მესამე კვარტალის დასაწყისის პერიოდში მოსალოდნელია საკმაოდ ბობოქარი ცვლილებები მის ცხოვრებაში. ამგვარად, **წლის მეორე კვარტალი იქნება ერთ-ერთი ყველაზე დასამახსოვრებელი, ბედ-იღბლის განმსაზღვრელი პერიოდი მთელი წლის მანძილზე. მესამე კვარტალში, 23 აგვისტოს შემდეგ,** აუცილებელია დასვენება. **ოქტომბრის ბოლომდე** მნიშვნელოვანი იქნება ბევრი რამის მოსწრება. ახალი საინტერესო პერსპექტივები, ახალი სამუშაო, რაც გეგმის რეალიზების საშუალებას მისცემს, გამოჩნდება 22 ნოემბრის შემდეგ. ნოემბრის პირველ ნახევარში **მშვილდოსანი,** შესაძლოა, პირად და საყოფაცხოვრებო ხასიათის სირთულეს წააწყდეს, ხოლო ნოემბრის ბოლოდან შეძლებენ დასახული გეგმების წარმატებით განხორციელებას.

## თხის რქა (22.12 — 20.01)

**წლის პირველ კვარტალში,** განსაკუთრებით 26 იანვრამდე, **თხის რქათა** უმრავლესობა იმოქმედებს თავდაჯერებულად, მტკიცე რწმენით, რომ მათ მიერ დასახული გეგმები და მიზნები მართებულია. **26 იანვარი-8 თებერვლის** შუალედში დიდი ყურადღება მართებთ მგზავრობისას და კონტაქტების მიმართ. მოსალოდნელია პრობლემის შექმნა როგორც ფსიქოენერგეტიკასთან და ჯანმრთელობასთან, ისე გარშემო მყოფებთან დაკავშირებით, რომელნიც ხელს შეუშლიან მოქმედებისას. თუმცა, „მარტოხელა მებრძოლმა" **თხის რქამ** მიზანმიმართულად უნდა იმოქმედოს. **მარტის მეორე დეკადაში** აღმავლობის პერიოდი დაიწყება, რომელიც მეორე კვარტალშიც გაგრძელდება და **აპრილის ბოლოსა და მაისის დასაწყისში** წარმოშობილი გარემოებანი დაეხმარება საკუთარ თავში ახალი შესაძლებლობების აღმოჩენაში. **მესამე კვარტალში,** ივლისში, უნდა დაფიქრდნენ თავიანთი გეგმების განახლებასა და რეალიზებაზე. საიმედო მეგობრების, პარტნიორებისა და თანამოაზრეების წყალობით **ივლისსა და აგვისტოში** უფრო წარმატებული იქნება. შესაძლოა, დიდი რაოდენობით ფული დასჭირდეს **აგვისტოს ბოლოსა და სექტემბრის დასაწყისში** თავისი გეგმის რეალიზაციისთვის. **ოქტომბრის თვე** ფრიად წარმატებული იქნება. შესაძლებლობა მიეცემა, ბიზნესი გააფართოოს, კოლეგების თვალში კარგი მხრიდან წარმოჩნდეს. **შემოდგომაზე** შესაძლებელი იქნება კარიერული აღმასვლა, ბიზნესის განმტკიცება და მოგების მიღება. ნოემბრის ბოლოდან იღბალი გაუღიმებს როგორც ბიზნესში, ისე სიყვარულში.

## მერწყული (21.01 — 18.02)

მერწყულთა უმრავლესობისთვის მეტად დინამიკური და მთლიანობაში პოზიტიური წელი იქნება, განსაკუთრებით, მისი პირველი ნახევარი. ამ პერიოდში მნიშვნელოვნად შეიცვლება მათი კავშირები და ცნობიერება განახლებისთვის ახალ იმპულსს მიიღებს. ბევრი მათგანი აქტიურად შეუდგება ახალი პროფესიის ათვისებას, არასტანდარტულ საშუალებას იპოვის კეთილდღეობის ასამაღლებლად, წარმატებით შეძლებს ახალი შანსების რეალიზებას და კომპეტენტურ ადამიანებთან სასარგებლო კონტაქტებისა და მათი საქმიანი რჩევების გამოყენებას. **პირველ კვარტალში,** დაბადების დღის შემდეგ, ენერგეტიკა განახლებას დაიწყებს. ჯანმრთელობა განმტკიცდება, ოპტიმიზმი გაჩნდება. **მაის-ივნისში** დაეხმარება ხელსაყრელი თანამშრომლობა, რასაც წარმატებით გამოიყენებს. სექტემბრის ბოლოს ფინანსების გამყარებას შეძლებს. მატერიალური წარმატებისა და ახალი პროექტების თვალსაზრისით, განსაკუთრებით სასიკეთო იქნება **მეოთხე კვარტალის** დასაწყისი 25 ოქტომბრამდე. **ოქტომბრის ბოლოსა და 1-12 ნოემბრის შუალედში** ბევრ მათგანს ემოციურობა და სულსწრაფობა მოეძალებათ და მხოლოდ ამ თვისებებთან გამკლავების შემთხვევაში შეძლებენ **მეოთხე კვარტალის მეორე ნახევარში** შესამჩნევი წარმატების მიღწევას.

## თევზები (19.02 — 20.03)

წლის დასაწყისი ნეიტრალური იქნება პლანეტა **სატურნის** გამო, რომელიც მარტის თვეში **თევზების** ზოდიაქოში შევა. იანვარსა და თებერვლის დასაწყისში აქტიურად მოუწევთ **თევზებს** დაწყებულ პროექტებზე მუშაობა, რათა მათი დასრულება თებერვლის შუა რიცხვებამდე შეძლონ. ამგვარად, **თევზები** 2023 წელს ვალების გარეშე შეხვდებიან, პლანეტა **სატურნი** მეორე კვარტალში ვეღარ შეძლებს მათი შემოქმედებითი და სულიერი განვითარების შეფერხებას. ასევე სასურველია, უარი განაცხადონ უსარგებლო კავშირებსა და სარისკო წამოწყებებზე. **მესამე კვარტალში თევზების** უმრავლესობა გაიხსნება სასიყვარულო და პარტნიორული კონტაქტებისთვის. **სექტემბერში** კი სიამოვნებით და ფრიად წარმატებით დაკავდებიან საოჯახო საქმეებითა თუ მეურნეობით. ამასთან, იმატებს კარიერული აღმასვლის შანსი და ავტორიტეტიც. უკვე სექტემბრიდან გამოავლენენ ინტელექტს, სამსახურში რეფორმებისთვის, ცვლილებებისთვის მზაობას. მშვენივრად მოახერხებენ საუკეთესო თვისებების ფრიად ეფექტურად გამოყენებასა და გრძელვადიანი ურთიერთობების აწყობას. **12 ნოემბრის შემდგომ** უმრავლესობა საკმაოდ წარმატებულად იმოქმედებს და წლის ბოლოსათვის მეტად მიმზიდველნი და სასურველნი გახდებიან.

*ცნობილ მოდელს*
***კრისტი ყიფშიძეს***
***ტრადიციად აქვს, ყოველ ახალ წელს ახალი ტანსაცმლით შეხვდეს, მას ამჯერადაც შერჩეული აქვს ხავერდის კაბა თეთრი შტრიხით. უცხოური მოდის სახლიდან უპირატესობას ანიჭებს ივ სენ ლორანის მოდელებს, ხოლო არომატებიდან*** *CHANEL N5* ***ამჯობინებს:***



# კრისტი ყიფშიძე: საკუთარ თავს დღესასწაული თვითონ უნდა მოუწყო, ჩაიცვი ის, რაც გიხდება!

— 2023 წელი შავი კურდღლის წელიწადია, თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ აუცილებლად შავი ტანსაცმელი უნდა ჩავიცვათ და ყველას ერთი სტილისა და ერთი გემოვნებით შერჩეული ტანსაცმელი ეცვას. ჩაიცვით ის, რაშიც თავს კომფორტულად და თავდაჯერებულად იგრძნობთ, ნუ დაიტანჯავთ თავს ფიქრისგან, თუკი რომელიმე მოდის სახლი ერთ კონკრეტულ მოდელს გთავაზობთ, რომ მაინცდამაინც ის უნდა ჩაიცვათ. ტანსაცმელში შეიტანეთ გარკვეული შტრიხები — რაც მოგწონთ და რაც თქვენს ხასიათსა და გემოვნებას გამოკვეთს. თუ პოდიუმს თვალს ადევნებთ, თქვენთვის საჭირო მოდელებს ადვილად შეარჩევთ, ამასთან, მოდელის მოვალეობაც ის არის, რომ თავის მიერ წარმოდგენილი ტანსაცმლით ემოცია გადმოსცეს და მაყურებლამდე მიიტანოს.

**— ახალი წლისთვის კაბა შერჩეული გაქვთ?**

— ტრადიცია მაქვს, რომ ყოველი ახალი წლის ღამეს მეცვას ახალი კაბა ან ახალი ფეხსაცმელი. წელს შავი ხავერდის კაბა შევარჩიე პატარა თეთრი შტრიხით. არ არის მინი და არც ძალიან გრძელი. საერთოდ, მოდას აყოლა არ მიყვარს, როცა გარკვეულ მოდელებს წარმოადგენენ ხოლმე, მათში ყოველთვის ჩემი სტილისა და ხასიათის ტანსაცმელს ვარჩევ, რადგან ქსოვილის შერჩევა მხოლოდ ტანზე მორგება არ არის, უნდა გრძნობდე, რომ ის კონკრეტული კაბა მხოლოდ შენთვის შეიკერა, მასში საკუთარი თავი იპოვე და ბედნიერი ხარ. უნდა ასხივებდე, ბრწყინავდე და ბედნიერი ემოციებით გვერდზე მდგომებსაც ბედნიერება და ხალისი მიანიჭო. ამასთან, ქალბატონებმა ყურადღება უნდა მიაქციონ საზოგადოებაში საკუთარ მანერებს, ქცევასა და საუბარს, თორემ რაც უნდა მოდური და ძვირფასი კაბა ეცვათ, უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდებიან და ტანსაცმელი თავის მნიშვნელობას დაკარგავს. მოდურად ჩაცმა ძვირადღირებულ ტანსაცმელს არ გულისხმობს, თუ კარგად იცი, რა გიხდება და იცი შენი სტილი, დამიჯერეთ, დაბალფასიან ტანსაცმელშიც იპოვით თქვენთვის შეკერილ მოდელს.

**— რომელია 2023 წლის შესაფერისი აქსესუარები?**

— მოდა აქაც ერთს ამბობს, უნდა გაიკეთოთ ის, რაც გიხდებათ. ჩემი ხავერდის ახალ კაბას, ვფიქრობ, მასიური აქსესუარი არ მოუხდება, დეკოლტეა, თან თეთრი შტრიხი აქვს და ამიტომ ზედმეტი გადატვირთვა არ უნდა. მაქვს ორი საშუალო ზომის ბეჭედი, რომელიც ძალიან მიყვარს და ყოველთვის მიკეთია, საყურეები და ძეწკვები პატარა კულონებით, ასევე ჯვარი. ეს ის აქსესუარებია, რომელთაც არ ვიცვლი და რომელიც უკვე ჩემს თილისმად მიმაჩნია. ასეა, ნივთებსაც სჭირდებათ ერთგულება.

**— ფეხსაცმელი?**

— კლასიკური ფეხსაცმელი ყველა ქალს უნდა ჰქონდეს, მე ფრანგულს ვანიჭებ უპირატესობას. როცა კარგი ფეხსაცმელი გაცვია, ტანზე უკვე აწყობილი გაქვს ყველაფერი. მიყვარს როგორც თეთრი, ისე შავი და კანისფერი ფეხსაცმელი, ე. წ. „ლოდოჩკას“ — ნავის ფორმისაც. ადამიანს გემოვნება ბავშვობიდან უნდა ჩამოუყალიბდეს, საკუთარ თავს დღესასწაული თვითონ უნდა მოუწყო, კაბაც უნდა შეირჩიო და ფეხსაცმელიც.

**— ახალი 2023 წლის ფერებია შავი და ამასთან ერთად ოქროსფერიც, თეთრი, პასტელის ფერებიც...**

— მე შავი და თეთრი ფერი მომწონს, ეს ტონები მოიცავენ ყველა ფერს. მიყვარს ლეოპარდის პრინტით გაწყობილი ტანსაცმელი, ასეთი კაბებიც მაქვს, ბლუზებიც, საცურაო კოსტიუმიც. თუმცა, ამგვარად დაფერილ ქსოვილს ყველა ვერ იხდენს და ის ინდივიდუალურია.

**— ერთ-ერთ ჩვენებაზე თქვენს ყოფილ მამამთილთან ზურა ყიფშიძესთან ერთად საქორწინო კაბა წარმოადგინეთ...**

— დიახ, ეს იყო დათუნა სულიკაშვილის მოდელების წარმოდგენა. თეთრი საპატარძლო, პრინცესას კაბა იყო და იმდენად მოეწონათ, რომ რამდენიმე ქალბატონმა მსგავსი კაბა თავისი ქორწილისთვის შეიკერა.

**— რომელი მოდის სახლს ანიჭებთ უპირატესობას?**

— ქართველებიდან საგანგებოდ ვერავის გამოვყოფ, ძალიან ნიჭიერები არიან და თან ჩემი მეგობრები. უცხოელებიდან ივ სენ ლორანის მოდის სახლს და მოდელების მხატვარ-დიზაინერს ჯონ გალიანოს. ძველი მოდებიც მომწონს, ძველი კაბები, თუკი მათი ჩაცმა კიდევ შეიძლება. ერთი შავი კაბაც რომ გქონდეს, უკვე ჩაცმული ხარ. მომწონს პიჯაკებიც და შარვლებიც, თუკი კაბა ვერ შეარჩიე, ეს სტილი გამოსავალია, ფეხსაცმელსაც ადვილად შეუხამებ, იმპროვიზაცია თავისუფალია და ყველაფერ ამაში საკუთარ ხასიათსაც ჩააქსოვ.

**— რომელი სუნამოა თქვენი ფავორიტი?**

— რამდენიმე წელია, ერთსა და იმავე სუნამოს ვყიდულობ, ეს არის CHANEL N5, კლასიკაა და მარადიულია. ბევრჯერ ვეცადე სხვა სუნამო, მაგრამ ვერ ვიგუე. როცა სხვა დასახელების სუნამოს მჩუქნიან, ჩემს შვილს ნატალიას ვჩუქნი, მას უყვარს ექსპერიმენტები.

**— რას ურჩევთ ამ ახალ წელს ქალბატონებს?**

— პირველ რიგში, შეიყვარეთ საკუთარი თავი. შეიძლება, ბევრმა თქვას, ვაიმე, რამდენი პრობლემა მაქვს და საკუთარ თავზე ზრუნვისთვის არ მცალიაო, მაგრამ, დამიჯერეთ, ვინც თავს პატივს სცემს, კარგ ხასიათზეა და დადებითი ემოციებით არის დამუხტული, საკუთარ თავში დარწმუნება ძალიან დიდი ძალის მომცემია, ადამიანი გარეგნულადაც მიმზიდველი ხდება და მნიშვნელობა არა აქვს, მოდურად და ძვირადღირებული ტანსაცმელი აცვია თუ არა. ჩაიხედეთ სარკეში და შეიყვარეთ საკუთარი თავი. ბედნიერებაა, რომ თქვენ არსებობთ, ხართ ჯანმრთელი და იქნებ, ისეც მოხდეს, რომ ვინც საყვარელ ადამიანს ეძებს, თავისი წყვილი იპოვოს.

მსოფლიო მოდის ტენდენციები 2023 წელს: აქტუალური იქნება წითელი, მწვანე, ვარდისფერი, შავი და ლურჯი. მოდურია ტყავის შარვლები და პიჯაკები. ხელოვნური ბეწვით გაწყობილი მოკლე და კოჭებამდე სიგრძის ქურთუკები. ბეწვით აწყობენ აქსესუარებსაც, ჩანთებს, ქუდებსა და ფეხსაცმელს. მოდაშია ნაქსოვი სვიტერები, კარდიგანები, კაბები, ტილოს ნაჭრის კომბინიზონები, ტვიდი, ფერადპრინტიანი კაბები, ნაქარგები, ასევე სპორტული სტილის ტანსაცმელი. შეგიძლიათ, ჩაიცვათ კუბოკრული, ზოლიანი, კოპლებიანი და ყვავილებიანი ტანსაცმელი, კვლავ აქტუალურია ოქროსფერი და ვერცხლისფერი შტრიხები, ამ ფერის აქსესუარები, ბზინვარე ბლუზები, ქურთუკები და სვიტერები, გრძელი ჯინსის შარვალი, ასევე მაღალწელიანი ჯინსი, კლასიკური ფეხსაცმელი, დიდი და პატარა ზომის ჩანთები.




2023 წლის მოდურ სუნამოებად ითვლება დოლჩე გაბანას 3 L'Imperatrice, კელვინ კლაინის CK IN2U Her, ტრუსარდის Donna, ლა კოსტას Pour Femme.

*ესაუბრა*
***ქეთევან ხამიცაშვილი***



# 2023 წლის ასტროლოგიური პროგნოზი ყოველი ნიშნებისათვის



## ვირთხა (...1936, 1948, 1960, 1972, 1984, 1996, 2008, 2020, 2032, 2044...)

**კატა-კურდღლის წელიწადი ვირთხისთვის შედარებით მშვიდი, შემოქმედებითი იქნება. ივნისში მეტი ყურადღება მართებთ პარტნიორთა ქმედებების მიმართ. ამ დროს არ ღირს გარისკვა და საერთო ფონზე თავის წარმოჩენა საკუთარი პროექტებით. მთელი წლის განმავლობაში ვირთხების ბრძნული რჩევები ფრიად ძვირფასი იქნება გარშემო მყოფთათვის, მაგრამ მათ უნდა ახსოვდეთ ისიც, რომ არ ღირს იმ ადამიანთა მხარდაჭერა და რჩევების მიცემა, რომლებიც კეთილსინდისიერებით არ გამოირჩევიან, რადგან მოგვიანებით სწორედ ვირთხებს დაადანაშაულებენ საკუთარი პრობლემების თუ შეცდომების გამო. წლის მეორე ნახევარში მოსალოდნელია სერიოზული გაუგებრობები ოჯახში ან სამსახურში. თუმცა, წლის ბოლოს შეძლებენ პრობლემებისგან თავის დაღწევას და საინტერესო საქმიან შეთავაზებასაც მიიღებენ.**

## ხარი (...1937, 1949, 1961, 1985, 1997, 2009, 2021, 2033, 2045...)



წლის დასაწყისი საკმაოდ კარგი შემოქმედებითი პერიოდი იქნება. **წლის პირველ ნახევარში** ბედი უფრო გაუღიმებთ გეგმებთან თუ პროექტებთან მიმართებით. ამ პერიოდში მათ აუცილებლად უნდა მოაგვარონ ძველი ურთიერთობები და ახალი კავშირები დაამყარონ, რადგან მეგობრებისა და პარტნიორების მხარდაჭერა დაეხმარებათ **წლის მეორე ნახევარში** გაჩენილი პოზიტიური შანსების რეალიზებაში. ბევრი **ხარი მესამე კვარტალში** მშვიდად მოახერხებს პრობლემებისა და უსიამოვნებების გადალახვას როგორც სამსახურში, ისე ახლობლებთან ურთიერთობისას. ამგვარად წლის ბოლოსათვის ხარების მიზანსწრაფულობა და შეუპოვრობა უზრუნველყოფს მათთვის მდგრად პროგრესსა და აყვავებას.



## ვეფხვი (...1938, 1050, 1962, 1974, 1986, 1998, 2010, 2022, 2034, 2046...)

**კატის წელიწადის ენერგიები განსაკუთრებით პირველ ნახევარში პოზიტიური იქნება ვეფხვთა უმრავლესობისთვის. მათი კარიერული და ფინანსური ზრდა გაგრძელდება განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ 2022 წელს ახალი პროექტები წამოიწყეს. გაიზრდება მათი ქარიზმატულობაც, ხოლო სიყვარული თუ საქმიანი კავშირები დაეხმარებათ მეტი თავდაჯერებითა და ენერგიულად მოქმედებაში. წლის მეორე ნახევარი შედარებით ნაკლებსასიკეთო იქნება. მოსალოდნელია დაბრკოლებები და სირთულეები, რომელიც, პირველ რიგში, შეეხება პარტნიორებსა და ხელმძღვანელობას. თუმცა, ვეფხვები მათ მოგვარებას დანაკარგისა და გართულების გარეშე შეძლებენ. მათი უმრავლესობა წლის ბოლოს კმაყოფილი იქნება საკუთარი საქმიანი მიღწევებით და ბიზნესისა თუ კარიერის განვითარების პერსპექტივით.**

## კატა-კურდღელი (...1939, 1951, 1963, 1975, 1987, 1999, 2011, 2023, 2035, 2047...)



2023 წელი საკმაოდ სასიკეთო, თუმცა, შფოთიანი იქნება. **კატების** უმრავლესობა უკვე წლის დასაწყისშივე მზად იქნება ცხოვრების ახალი ფურცლიდან დასაწყებად, რაც იქნება დაკავშირებული პირადი ენერგეტიკის განახლებასა და 3, 6 თუ 9-წლიანი ციკლის დაწყებასთან. წლის პირველ ნახევარში მოსალოდნელია წინსვლა სამსახურში, კეთილდღეობის ზრდა, მოგზაურობები, ბევრი ცვლილება და გეგმებისა და კავშირების გაფართოება. წლის მეორე ნახევარი ასევე აქტიური იქნება. ცვლილებებია მოსალოდნელი ოჯახში და პირადი ცხოვრებაც უკეთესობისაკენ შეიცვლება. მათი გეგმები მარტივ რეალიზებას პოვებს იმ შემთხვევაში, თუ ე.წ. „საგზაო რუკას“ შექმნიან. ამის წყალობით ბევრი მათგანი წლის მეორე ნახევარში თავს უფრო მყარად იგრძნობს, ვიდრე წლის დასაწყისში გრძნობდა.



## დრაკონი (...1940, 1952, 1964, 1976, 1988, 2000, 2012, 2024, 2036, 2048...)

**დრაკონთათვის კატის წელს ცხოვრება უფრო სტაბილური და ნაკლებდრამატული იქნება, ვიდრე ეს ვეფხვის წელს იყო. მრავალი მღელვარება და კონფლიქტი წარსულს ჩაბარდება და უკვე წლის დასაწყისში იღბლიანი „ზურგის ქარი“ დაუბერავს. წლის შედარებით მშვიდი ენერგიების წყალობით დრაკონთა ოჯახური ცხოვრების ატმოსფერო ფრიად სასიკეთო გახდება. ისინი უფრო თავდაჯერებულნი იქნებიან საკუთარ ძალებში და უწინდელ კონფლიქტურ სიტუაციებს წარმატებით დაარეგულირებენ. წლის მეორე ნახევარში მათ მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ ჯანმრთელობას, რადგან უკვე შემოდგომაზე დასჭირდებათ შესვენება. ამ დროს კარგი იქნება დასვენება და ახალი მიზნების დასახვა. გარდა ამისა, მათ უნდა დაასრულონ აუცილებლად ძველი საქმეები და დრომოჭმული ურთიერთობები, რათა შემოქმედებითი და ცხოვრებისეული ციკლის ახალი პერიოდისათვის მოემზადონ, რომელიც წლის ბოლოს დაეწყებათ.**

## გველი (...1941, 1953, 1965, 1977, 1989, 2001, 2013, 2025, 2037, 2049...)



აღმოსავლეთში **გველთათვის კატის წელიწადი** ერთობ სასიკეთო და ბედნიერ პერიოდად არის მიჩნეული. ახალი წამოწყებები და ჩანაფიქრები მათ საშუალებას მისცემთ, განახორციელონ ახალი პროექტები, რომლებიც ფინანსურ სტაბილურობას მიანიჭებენ, კარიერულ წინსვლასა და სახლის კეთილმოწყობას უზრუნველყოფენ. **წლის პირველ ნახევარში გველები** შეძლებენ გარშემო მყოფთათვის ბრძნული რჩევების მიცემას, ნათესავებსა და ახლო მეგობრებს შორის ურთიერთობების მოგვარებას, რაც მათ მხარდაჭერის მოპოვებაში დაეხმარება. **წლის მეორე ნახევარში** თავიანთ სტატუსს განამტკიცებენ. უფროსობა მათში პერსპექტიულ ლიდერს დაინახავს და ახალ თანამდებობასაც შესთავაზებს. მთელი წლის მანძილზე მზარდი შემოსავალი თუ ახალი გეგმები შეუნარჩუნებთ ოპტიმისტურ განწყობას და წლის ბოლოს მინიმალური ძალისხმევით შეძლებენ სარფიანი შედეგის მიღწევას.





# 2023 წლის ასტროლოგიური პროგნოზი აღმოსავლური ზოდიაქოს ნიშნებისთვის



## ცხენი (...1942, 1954, 1966, 1978, 1990, 2002, 2014, 2026, 2038, 2050...)

**წლის პირველი ნახევარი სასიკეთო იქნება იმ ცხენებისთვის, რომელნიც მომსახურების, ფინანსურ, სამშენებლო, საგანმანათლებლო, მასმედიის დარგში მუშაობენ. 2023 წელი დაკავშირებული იქნება მოგზაურობასთან, საინტერესო პერსპექტივების წარმოჩენასთან. ასევე დიდი ალბათობაა მნიშვნელოვანი შეხვედრის, იღბლიანი ქორწინების ან ოჯახში მატების. წლის მეორე ნახევარში მოულოდნელი სირთულეებისა და გაუგებრობების წინაშე შეიძლება აღმოჩნდნენ მათი კომპანიონები და მეგობრები, რომლებზედაც ცხენების კარიერა და ფინანსური კეთილდღეობაა დამოკიდებული. სწორედ ამიტომ მათ წინდახედულობა და საკუთარი პოზიციის შენარჩუნება მართებთ წლის მესამე კვარტალში, რათა მომდევნო წლისათვის სასიკეთო პერსპექტივები მიიღონ.**

## თხა-ცხვარი (...1943, 1955, 1967, 1979, 1991, 2003, 2015, 2027, 2039, 2051 ...)



**კატა და თხა** ხასიათით მეტად ჰგვანან ერთმანეთს, ამიტომ წელს თავდაჯერებულნი იქნებიან. მოულოდნელ სარგებელს მიიღებენ და წინ წაიწევენ კარიერაში. სარფიანად გამოიყენებენ საკუთარ მომხიბვლელობას. ამ პერიოდში, შესაძლოა, მეტისმეტმა ემოციურობამ და ეგზალტირებულობამ ცვლილებები გამოიწვიოს ახლობლებთან ურთიერთობაში. **წლის პირველ ნახევარში** მრავალი სხვადასხვა პოზიტიური სიტუაცია ელით, რაც დაუკავშირდება რომანტიკულ შეხვედრებსა და ურთიერთობებს. **წლის მეორე ნახევარში** სიფრთხილე მართებთ ჯანმრთელობასთან დაკავშირებით, რამეთუ წლის ბოლოს მნიშვნელოვან ცვლილებებსა და განცდებს მათი ფაქიზი ნატურის ტრავმირება შეუძლიათ. შედარებით უფრო მშვიდი იქნება **წლის მეორე ნახევრის დასასრული,** ამიტომაც თხებს შესაძლებლობა მიეცემათ, გაცილებით მეტი შეიძინონ მატერიალური თუ ემოციური თვალსაზრისით, ვიდრე ვარაუდობდნენ.



## მაიმუნი (...1944, 1956, 1968, 1980, 1992, 2004, 2016, 2028, 2040, 2052...)

**მაიმუნს** ხშირად **კატასთან** თამაში უყვარს, ამიტომ **2023 მათთვის** არცთუ ურიგო იქნება. **წლის პირველ ნახევარში** მეტი დინამიკურობა და ორიენტირება მართებთ კოლექტიურ გეგმებზე, თუმცა, საკუთარიც არ უნდა დაივიწყონ, რადგან მათი რეალიზება მხოლოდ წლის მეორე ნახევარში იქნება შესაძლებელი. **შემოდგომაზე** ისინი ხელმძღვანელობის მხარდაჭერას მიიღებენ და თავიანთი მრავალრიცხოვანი ნიჭისა და ურთიერთობაში გამოცდილების წყალობით კარიერაში წინ წაიწევენ. **წლის მეორე ნახევარში** საქმეები სასიკეთოდ წარიმართება იმ შემთხვევაში, თუ მანამდე სიმტკიცეს, მოთმინებასა და შრომისმოყვარეობას გამოავლენენ და ცვლილებებს არ შეუშინდებიან. შესაძლოა, სამსახურის შეცვლა და უფრო წარმატებული პროექტის მოძიება მოუწიოთ. თუკი **წლის მეორე ნახევარში** სასიკეთო პერსპექტივების დროულად ამოცნობას მოახერხებენ, მაშინ ისინი მრავალი გეგმის რეალიზებას შეძლებენ და წარმატებულნი იქნებიან.

## მამალი (...1945, 1957, 1969, 1981, 1993, 2005, 2017, 2029, 2041, 2053 ...)



**მამლებისთვის კატის წელი** იმ შემთხვევაში იქნება წარმატებული, თუ ნაკლებად კონსერვატიულები და ეგოცენტრულები იქნებიან შეხედულებებსა და ურთიერთობებში. **წლის პირველ ნახევარში** განსაკუთრებული სიფრთხილე მართებთ ფინანსური ოპერაციების, სამშენებლო და სარემონტო სამუშაოების წარმოებისას და მსხვილი შესყიდვების დროს. ამ პერიოდში გარისკვა არ ღირს, რადგან მტრები გააქტიურდებიან და შეძლებენ მათი შეცდომის თუ გაუთვალისწინებელი ნაბიჯის გამოყენებას. **წლის მეორე ნახევარში** შეფერხებებისა და პარტნიორთან კონფლიქტის გამო, შესაძლოა, ბევრისთვის არ გამართლდეს „წარმტაცი ოცნებები“, რომელიც თავიდან აქტიურად და წარმატებით დაიწყეს. ამიტომ მათ ამ პერიოდში საკუთარი ძალისხმევით უნდა გააერთიანონ ადამიანები, გამოცდილი პარტნიორები თუ ბრძენი ახლობლები. ამ შემთხვევაში მეტი შანსი მიეცემათ ეფექტური და წარმატებული მოქმედებისათვის.



## ძაღლი (...1946, 1958, 1970, 1982, 1994, 2006, 2018, 2030, 2042, 2054...)

მიუხედავად იმისა, რომ **ძაღლი და კატა** ანტაგონისტები არიან, 2023 **კატა-კურდღლის წელიწადი ძაღლებისათვის** საკმაოდ კარგი იქნება. თუმცა, ბევრ მათგანს **წლის პირველ ნახევარში** მოუწევს, იყოს საქმიანი, მიზანსწრაფული და უარი არ თქვას პირად მიზნებზე, წინააღმდეგ შემთხვევაში, მეორეხარისხოვან საქმეებზე დიდ ძალებსა და დროს დახარჯავენ. თუკი აქტიურად მოჰკიდებენ ხელს საქმეს, მაშინ კარიერასა თუ შემოქმედებით სფეროში წარმატებას მიაღწევენ. **წლის მეორე ნახევარში** მათი საქმიანობა ბევრად უფრო ნაყოფიერი გახდება. ამგვარად **2023 წელს** ბევრი ძაღლის ნიშნით დაბადებული შეძლებს საკუთარი მატერიალური და პროფესიული მდგომარეობის გაუმჯობესებას, სტრატეგიული გეგმების შესრულებას, პარტნიორებისა და ნათესავების აქტიურად დახმარებას, ამიტომ მათთვის წლის დასასრული იმაზე წარმატებული შესაძლოა, იყოს, ვიდრე ჩანდა.

## ტახი (ღორი) (...1947, 1959, 1971, 1983, 1995, 2007, 2019, 2031, 2043, 2055...)



**2023 წელი ტახებისათვის,** შესაძლოა, სავსებით სტაბილური და შემოქმედებითი იყოს. თუმცა, **წლის პირველ ნახევარში** დიდი შედეგების მოლოდინი არ გაამართლებს, რადგან ბევრ დროსა და ენერგიას წაიღებს ოჯახი, სასიყვარულო ურთიერთობები და კოლეგებთან და პარტნიორებთან, შვილებთან თუ ნათესავებთან ურთიერთობების განმტკიცება. ამ პერიოდში უმრავლესობას, შესაძლოა, მოულოდნელი სირთულეები წარმოექმნას, რომელიც ახლობლების ფინანსური დახმარებით გადაიჭრება. გარდა ამისა, **ტახები** ამ პერიოდში საკმარისად თავდაჯერებულები არ იქნებიან, რის გამოც ვერ იმოქმედებენ ეფექტურად. **წლის მეორე ნახევარში,** დიდი ალბათობით, მოსალოდნელია სამსახურის, საცხოვრებელი ადგილის ან ძველ პარტნიორთან თუ შეყვარებულთან ურთიერთობის შეცვლა. ეს შედარებით შემოქმედებითი და მშვიდი პერიოდი იქნება, ამიტომ **ტახთა უმრავლესობა** შეძლებს საკუთარი სოციალური და ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებას, დაქორწინებას, საბინაო საკითხის გადაჭრას და შვილების გაჩენას.





7 იანვარი - ხორციელად შობა უფლისა ღმრთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესუ ქრისტესი

**26 დეკემბერი. ორშაბათი.** მოწამეთა: ევსტრატისა, ავქსენტისა, ევგენისა, მარდარისა და ორესტისა; ქალწულმოწამისა ლუკიასი; ღირსისა არსენ ლატრელისა.

**27 დეკემბერი. სამშაბათი.** მოწამეთა: თვირსოსი, ლევკიოსისა და კალინიკესი; მოწამეთა: ფილიმონისა, აპოლონისა, არიანესი და თეოტიქესი.

**28 დეკემბერი. ოთხშაბათი.** წმიდათა მამამთავართა კვირიაკე. მღვდელმოწამისა ელევთერისა და დედისა მისისა მოწამისა ანთიასი და მოწამისა კორივი ეპარქოსისა; ღირსისა პავლე ლატრიელისა; მოწამისა ელევთერისა; ღირსისა პარდოს განდეგილისა.

**29 დეკემბერი. ხუთშაბათი.** წინასწარმეტყველისა ანგიასი; მოწამისა მამისა მარინისა; მოდესტისა, იერუსალიმელი პატრიარქისა; ნეტარისა თეოფანია დედოფლისა.

**30 დეკემბერი. პარასკევი.** წინასწარმეტყველისა დანიელისა და სამთა ყრმათა: ანანიასი, აზარიასი და მისაილისა; ღირსისა დანიელ აღმსარებელისა, ბერობაში სტეფანესი.

**31 დეკემბერი. შაბათი.** მოწამეთა სებასტიანე სვინკლიტიკოსისა და მეგობართა მისთა: ნიკოსტრატესი, ცოლისა მისისა ზოესი, კასტორისა, ტრანკვილინე ხუცისა და ძეთა მისთა, მარკელინ და მარკოზ დიაკონთა, კლავდისა — ციხეთა უფროსისა, ძისა მისისა სიმფორიანესი, ძმისა ვიქტორინესი, ტიბურტისა და კასტულისა; ღირსისა ფლოროსი, ამიელი ეპისკოპოსისა; ღირსისა მიქაელ აღმსარებელისა.

**1 იანვარი. კვირა. ღირსთა გიორგი მწერლისა და ძმისა მისისა საბასი, ხახულელთა;** მოწამისა ბონიფანტესი; მოწამეთა: ელიასი, პროვოსი და არისისა, მეგვიპტელთა; მოწამეთა: პოლიევქტოსი და ტიმოთე დიაკონისა; ბონიფანტე მოწყალისა, ფერენტიელი ეპისკოპოსისა; გრიგენტისა, ეთიოპიელი ეპისკოპოსისა.

**2 იანვარი. ორშაბათი. წინადღესასწაული ქრისტეშობისა. მღვდელმოწამისა ეგნატე ღმერთშემოსილისა;** ფილოგონისა, ანტიოქიელი ეპისკოპოსისა; დანიელისა, სერბელი მთავარეპისკოპოსისა; მართლისა იოანე კრონშტადტელისა.

**3 იანვარი. სამშაბათი. ღირსისა მაკარი მმარხველისა, ხახულის მონასტრის წინამძღვრისა; მრავალვნებულისა ანტონ II, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქისა;** მოწამისა იულიანასი და მისთანა 500-თა მამათა და 130-თა დედათა, ნიკომიდიას წამებულთა; მოწამისა თემისტოკლესი.

**4 იანვარი. ოთხშაბათი.** დიდმოწამისა ანასტასიასი, მკურნალისა და ბორკილთდამხსნელისა; მოწამეთა: ქრისოგონისა, თეოდოტიასი, ებოდისა, ევტიქიანესი და სხვათა.

**5 იანვარი. ხუთშაბათი.** 10-თა მოწამეთა კრეტელთა: თეოდულესი, სატონინესი, ევპორისა, გელასისა, ევნიკიანესი, ზოტიკესი, პომპისა, აგათოპუსესი, ბასილიდისა და ევარესტისა; ღირსისა ნიფონტისა, კვიპრელი ეპისკოპოსისა; ღირსისა პავლესი, ნეოკესარიელი ეპისკოპოსისა.

**6 იანვარი. პარასკევი.** ღირსმოწამისა ევგენისი და მისთანა მოწამეთა: პროტისა, იაკინთესი და კლავდიასი; ღირსისა ნიკოლოზ მონაზონისა.

**7 იანვარი. შაბათი. ხორციელად შობა უფლისა ღმრთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესუ ქრისტესი.**

**8 იანვარი. კვირა. მართლისა იოსებ დამწინდველისა, დავით მეფისა — ფსალმუნთამთქმელისა და მოციქულისა იაკობისა — ძმისა უფლისა; შემდგომი დღესასწაული ქრისტეშობისა. კრება ყოვლადწმიდისა ღმრთისმშობელისა.** მღვდელმოწამისა ეფთვიმისი, სარდიელი ეპისკოპოსისა; ღირსისა კონსტანტინე სინადელისა; ღირსისა ევარესტისა; ღირსისა ნიკოდიმ ტისმანელისა.




ელის საგვარეულო, სამკურნალო მალამო თქვენი სილამაზისა და ჯანმრთელობისთვის!

თბილისი, ფალიაშვილის 81, ვაკის პარკთან

599-22-59-09

აჩერებს **ართრიტის, ართროზის, კოქსართროზისა** და **ოსტეოპოროზის** (და სხვა) პროცესს ძალიან ეფექტურად; აქრობს **ანთებას თიაქრის** დროს და უბრუნებს **სახსარს** ქმედითუნარიანობას; კურნავს **მუხლის სახსროვან პათოლოგიებს** და ხსნის ტკივილს; კვებავს **სახსარსა** და **ძვალს;** აფერხებს **სითხის განლევას;** ხსნის **შეშუპებასა** და **დასიებას;** აცხრობს **ვენების ანთებით** პროცესს; აჩქარებს **გაბზარული ძვლის აღდგენას;** ამაგრებს **ქსოვილებს** და **მყესებს;** აუმჯობესებს **კანის სტრუქტურას** და მასაჟის ფონზე ერევა **ცელულიტს;** ხდის **კანს ელასტიკურს;** შეიცავს უამრავ ვიტამინსა და მინერალს.

მალამო არის ქართული საგვარეულო რეცეპტი ბუნებრივი კომპონენტებით.





მაღაზია «ბუკვიცა»

ყიდულობს და ყიდის რუსულ და ქართულ ანტიკვარულ წიგნებს, დაბეჭდილს 1945 წლამდე

574-73-46-96, 243-01-17, 555-68-82-90

მისამართი: დ.უზნაძის №15, ქურდიანის №2.


### მე-40 გვერდზე გამოქვეყნებული ლენტვორდებისა და კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 4. თახჩა; 8. კივერი; 11. ფელამუში; 12. მიომა; 13. ვალუა; 14. პალატა; 15. კავატინა; 16. რევიუ; 17. ზვარე; 18. ცერეცო; 19. კამიკაძე; 23. ტიტრი; 24. ლიბო; 26. ნიადაგ; 28. ოპერატორი; 30. ჯანი; 32. სანტე; 33. ვალსი; 35. პასტორალი; 39. მესიე; 40. ნუში; 42. სირინოზი; 43. სანაპირო; 47. მაკრონი; 48. ბანოვანი; 52. დეკალოგი; 53. ჰიტაჩი; 56. კავალერია; 57. კალორია; 61. ნესტა; 62. ტარანტინო; 63. მიმოდრამა; 64. ირანი.

შვეულად: 1. ნევადა; 2. შამანი; 3. ტუნიკა; 4. თივაზე; 5. ხალვაში; 6. ამარეტო; 7. ხორვატია; 8. კაპუცინი; 9. ვალერიანა; 10. როტაცია; 19. კვო; 20. მზე; 21. კიაზო; 22. ძეობა; 24. ლისი; 25. ბანტუ; 27. გრინგო; 29. პლატინა; 30. ჯემი; 31. ნისია; 33. ვენა; 34. ლაპი; 36. ტრიკო; 37. რბოლა; 38. ლაიმი; 40. ნაკლი; 41. შკოდა; 43. სიდი; 44. ნოკია; 45. პალტო; 46. რაგბი; 48. ბუკეტი; 49. ნოვარა; 50. ვოლანი; 51. ნერბი; 53. ჰანოი; 54. ტოსკა; 55. ჩქამი; 57. კომა; 58. ლუდი; 59. რძალ; 60. ადამ.

მელანინიადამიანესტადიალოგიკაბალასტივიდორი
კარეტაქსილოლიტაბაკარადარიალიკანტელეღვინია

| კანის, თმის ფერის განმსაზღვრელი პიგმენტი | ქართველი მწერალი | იტალიელი ფეხბურთელი | საუბარი ორ პირს შორის | მონური დამოკიდებულება | პირი – განაგებს გემების დატვირთვა-გადმოტვირთვას |
|---|---|---|---|---|---|

| გარეული ცხოველი | კოლუმბის ხომალდი | მე-14 საუკუნის ქართველი მხატვარი | რისამე განვითარების საფეხური | შინაგანი კანონზომიერება | აეროსტატის ტვირთი | რეჟისორი კინგ ... |
|---|---|---|---|---|---|---|



თარაზულად: 4. კედელში დატანებული სათავსი ჭურჭლისა და სურსათისთვის; 8. ძველებური მაღალი სამხედრო ქუდი; 11. თათარა; 12. კუნთოვანი ქსოვილის კეთილთვისებიანი სიმსივნე; 13. ფრანგ მეფეთა დინასტია; 14. სასახლე, სასახლის დარბაზი ძვირფასად მორთული (მოძვ.); 15. პატარა ლირიკული არია; 16. საესტრადო წარმოდგენა; 17. ქართული მინერალური წყალი; 18. მწვანილის სახეობა; 19. იაპონელი თვითმკვლელი მფრინავი; 23. წარწერა ფილმის კადრზე; 24. ქართული უძრავი ქონების სააგენტო; 26. მუდამ, ყოველთვის; 28. კინოს გადაღების სპეციალისტი; 30. ადამიანის ღონე, ძალა; 32. ქართული რძის პროდუქტების ფირმა; 33. წყვილთა ცეკვა; 35. ლიტერატურის ჟანრი, რომლისთვისაც დამახასიათებელია მწყესების ცხოვრების იდილიური ასახვა; 39. მიმართვა ფრანგი მამაკაცისადმი; 40. ფილმი „როცა აყვავდა ...“; 42. ზღვის ნიმფა ბერძნულ მითოლოგიაში; 43. წყლის ნაპირას მდებარე ტერიტორია; 47. საფრანგეთის პრეზიდენტი; 48. დარბაისელი ქალი, მანდილოსანი; 52. ბიბლიის ათი მცნება; 53. იაპონური ფირმა; 56. ცხენოსანი ჯარი; 57. სითბოს რაოდენობის საზომი ერთეული; 61. იტალიელი ფეხბურთელი; 62. ამერიკელი რეჟისორი, მსახიობი კვენტინ ...; 63. პანტომიმა; 64. აზიის სახელმწიფო.

შვეულად: 1. აშშ-ის შტატი; 2. ზოგ ხალხში კულტის მსახური, ჯადოქარი; 3. ძველი რომაელების სამოსი; 4. ლოპე დე ვეგა — „ძაღლი ...“; 5. ქართველი მწერალი; 6. იტალიური ლიქიორი; 7. ევროპის სახელმწიფო, დედაქალაქია ზაგრები; 8. ერთგვარი ამერიკული მაიმუნი; 9. კატაბალახა; 10. ტრიალი, წრებრუნვა; 19. ტერმინი საერთაშორისო სამართალში სტატუს ...; 20. ცის სხეული, რომლის გარშემოც მოძრაობს დედამიწა; 21. პერსონაჟი ზ. ფალიაშვილის ოპერისა „დაისი“; 22. შვილის შეძენა; 24. ჭაობის მცენარე; 25. ეკვატორულ და სამხრეთ აფრიკის კოლონიური ქვეყნების ძირითადი მოსახლეობა; 27. უპატივცემულობის გამომხატველი მეტსახელი უცხოელისა მექსიკაში; 29. ქიმიური ელემენტი, კეთილშობილი ლითონი; 30. ხილის სქელი მურაბა; 31. ვალი; 33. ავსტრიის დედაქალაქი; 34. ხოხბის ბარტყი; 36. ტრიკოტაჟის სპორტული ტანსაცმელი; 37. სპორტული შეჯიბრება ავტომობილებით; 38. ციტრუსოვანი მცენარე; 40. წუნი, ზადი; 41. ჩეხური ავტომობილი; 43. პიერ კორნელის დრამა; 44. ფინური ტელეფონების ფირმა; 45. საზამთრო ზედა სამოსი; 46. სპორტის სახეობა; 48. თაიგული; 49. ქალაქი იტალიაში; 50. ბადმინტონის სათამაშო ძაბრისებრი ბურთი; 51. დედალი ცხვარი; 53. ვიეტნამის დედაქალაქი; 54. პუჩინის ოპერა; 55. მცირე გახმაურება, ფაჩუნი; 57. უგონო მდგომარეობა ადამიანისა; 58. მცირე ალკოჰოლიანი სასმელი; 59. ბესიკი — „...-დედამთილიანი“; 60. პოლონელი პოეტი ... მიცკევიჩი.

*კროსვორდისა და ლენტვორდების პასუხები იხ. 39-ე გვერდზე*

| ოთხთვალა ეტლი | ორგანული ნაერთი, გამოიყენება როგორც გამხსნელი | ბრტყლად შემწვარი ვარია | ლოკატორი | ქალაქი ესპანეთში | ხილი | ქალაქი ბამზე ... ბრუზინსკაია |
|---|---|---|---|---|---|---|

| თმის ვარცხნილობა | საქირაო მანქანა | ნაბოკოვის რომანი | უმაღლესი ხარისხის ბროლი | თერგის ხეობის მონაკვეთი ყაზბეგის რაიონში | კარელიურ-ფინური სიმღერების საკრავი | ე. ბაბაშვილი – „.... გადაიჩეხა“ |
|---|---|---|---|---|---|---|

## ვარსკვლავები (არ) ხუმრობენ...

სასიამოვნო, სასიკეთო დღე.

პლანეტების ზეგავლენა არაკეთილსასურველია. მნიშვნელოვანს ნურაფერს მოიმოქმედებთ და ნურც ახალ საქმეს წამოიწყებთ.

მოთმინება, თავშეკავება და განსჯის უნარი გამოიჩინეთ.

ნურავის ენდობით, შეიძლება მოგატყუონ. სიფრთხილე გამოიჩინეთ მეგობრებთან და ბავშვებთან ურთიერთობაში.

მოიწყვეთ პირადი ცხოვრება, დახვეწეთ ინტიმური ურთიერთობები, ყველაფერს შემოქმედებითად მიუდექით.

მოვლენათა უეცარი შემობრუნება, ფრიად პერსპექტიული წინადადებები გელით.

მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება, პროფესიული წარმატებები.

მოერიდეთ ურთიერთობას უფროსობასთან და იმ ადამიანებთან, რომელთაც დიდი ზეგავლენა აქვთ თქვენზე. ნუ შეეცდებით, უფრო სოლიდურად გამოიყურებოდეთ.

რთულ მომენტში დახმარებისათვის მეგობრებს, თანატოლებსა და ახლობლებს მიმართეთ.

ნუ გარისკავთ. გაუფრთხილდით ჯანმრთელობას.

შესაძლოა, გქონდეთ სასიამოვნო და საჭირო შენაძენი.

| თვის რიცხვები | ვერძი | კურო | ტყუპები | კირჩხიბი | ლომი | ქალწული | სასწორი | მორიელი | მშვილდოსანი | თხის რქა | მერწყული | თევზები |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 26 ორშ. | | | | | | | | | | | | |
| 27 სამშ. | | | | | | | | | | | | |
| 28 ოთხშ. | | | | | | | | | | | | |
| 29 ხუთშ. | | | | | | | | | | | | |
| 30 პარ. | | | | | | | | | | | | |
| 31 შაბათი | | | | | | | | | | | | |

რეკომენდებულია ინიციატივისა და აგრესიულობის გამოვლენა.

შრომისუნარიანობის ამაღლება. შედეგი დიდად არის დამოკიდებული თქვენს შრომისმოყვარეობაზე.

კარგი სიახლენი, საუკეთესო პერსპექტივა და სასიხარულო მოვლენები გელით.

მოერიდეთ კამათსა და კონფლიქტებს. უარი თქვით ალკოჰოლურ სასმელებზე.

წარმატებას გიქადით ნებისმიერი სახის მგზავრობა. ენდეთ საკუთარ ინტუიციას.

სოლიდურ, ცნობილ ხალხთან და უფროსობასთან კონტაქტი სარგებელს მოგიტანთ.

ნუ გაგიტაცებთ პირადი ცხოვრება და შემოქმედება. უფრთხილდით იმედგაცრუებას.

შეძლებისდაგვარად გადადეთ მგზავრობა. მოერიდეთ ჰიპნოზიორებთან და ექსტრასენსებთან ურთიერთობას.

შეგიძლიათ ცოტა გადაჰკრათ კიდეც. სასიამოვნოა პრეზენტაციებსა და პრემიერებზე დასწრება.

გაფრთხილდით კოლეგებთან, ნათესავებთან და მეზობლებთან ურთიერთობისას.

იქონიეთ კონტაქტი ბუნებასთან, მოუარეთ შინაურ ცხოველებს. იყავით კეთილნი და გულმოწყალენი.

# გილოცავთ ახალ – 2023 წელს!

დაარსებულია 1992 წლის 3 მარტს

დამოუკიდებელი და ზეპარტიული

ასავალ დასავალი

2022 წლის 26 დეკემბერი- 2023 წლის 8 იანვარი №1-2 (1465-1466)

გამოდის ორშაბათობით

მეღიაჰოლღინგი "ასავალ-დასავალი". საგამომცემლო სახლი "ასავალ-დასავალი"

მთავარი რედაქტორი ლაშა ნადარეიშვილი

*აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით. ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელ ავტორთა განწყობა გადამოწმებას არ ექვემდებარება. მასალის დაუბეჭდაობა არ მოტივირდება.*

წერილები გამოგზავნეთ მისამართზე: **თბილისი, 0160, „ასავალ-დასავალი“**.
ტელეფონები: **215-25-25; 215-35-35; (+995) 570-50-50-50; (+995) 570-50-50-70**
„ასავალ-დასავალის“ ვებ-გვერდი ინტერნეტში: **www. asavali.com**
ელ-ფოსტა: **mail@asavali.com** ოფიციალური გვერდი ფეისბუქზე:
**www.facebook.com/Asavali.com** გაზეთი დაბეჭდილია **„ასავალ-დასავალის“ სტამბაში.**


THE FLAG OF THE UNITED STATES OF AMERICA

This is to certify that the accompanying flag was flown over the United States Capitol on April 26, 2007, at the request of the Honorable Frank R. Lautenberg, United States Senator.

This flag was flown for Lasha Nadareishvili, in honor of the 15th anniversary of the newspaper, Asaval-Dasavali.

2007-032096-001 Stephen T. Ayers, AIA
Acting Architect of the Capitol